114
1993/3

ISSN 0132—599 X

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ენათმეცნიერება

150
3-4

3

1993

ᲛᲜᲐᲗᲝᲑᲘ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ᲬᲔᲚᲘᲬᲐᲓᲘ 69-Ე № 3 ᲛᲐᲠᲢᲘ, 1993 Წ.

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲛᲬᲔᲠᲐᲚᲗᲐ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲝᲠᲒᲐᲜᲝ

ᲨᲘᲜᲐᲐᲠᲡᲘ

ᲑᲘᲑᲚᲘᲐ, ᲫᲕᲔᲚᲘ ᲐᲦᲗᲥᲛᲐ. გაგრძელება 3

ᲞᲠᲝᲖᲐ, ᲞᲝᲔᲖᲘᲐ

ᲒᲣᲠᲐᲛ ᲤᲐᲜᲯᲘᲙᲘᲫᲔ — ᲔᲨᲛᲐᲙᲘᲡ ᲑᲝᲠᲑᲐᲚᲘ. რომანი. გაგრძელება 28
ᲛᲐᲠᲘ ᲐᲑᲠᲐᲛᲘᲨᲕᲘᲚᲘ — ᲚᲔᲥᲡᲔᲑᲘ 114
ᲔᲛᲖᲐᲠ ᲙᲕᲘᲢᲐᲘᲨᲕᲘᲚᲘ — ᲚᲔᲥᲡᲔᲑᲘ 119
ᲑᲘᲝᲠᲒᲘ ᲩᲐᲠᲙᲕᲘᲐᲜᲘ — ᲚᲔᲥᲡᲔᲑᲘ 127
ᲨᲐᲑᲣᲠᲐ ᲐᲠᲐᲑᲣᲚᲘ — ᲚᲔᲥᲡᲔᲑᲘ 130
ᲗᲔᲜᲒᲘᲖ ᲑᲣᲐᲩᲘᲫᲔ — ᲜᲐᲛᲪᲔᲪᲔᲑᲘ 133

ᲙᲠᲘᲢᲘᲙᲐ, ᲞᲣᲑᲚᲘᲪᲘᲡᲢᲘᲙᲐ

ᲡᲝᲚᲝᲛᲝᲜ ᲮᲣᲪᲘᲨᲕᲘᲚᲘ — 1832 ᲬᲚᲘᲡ ᲨᲔᲗᲥᲛᲣᲚᲔᲑᲐ ᲘᲚᲘᲐ ᲩᲐᲕᲩᲐᲕᲐᲫᲘᲡ ᲨᲔᲤᲐᲡᲔᲑᲘᲗ 164
ᲘᲝᲡᲔᲑ ᲑᲣᲑᲔᲚᲐᲫᲔ — ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲔᲑᲐ ᲓᲐ ᲡᲐᲔᲙᲚᲔᲡᲘᲝ ᲙᲐᲚᲔᲜᲓᲐᲠᲘ. დასასრული . . 170

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲟᲣᲠᲜᲐᲚ-ᲒᲐᲖᲔᲗᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲛᲪᲔᲛᲚᲝᲑᲐ „ᲡᲐᲛᲨᲝᲑᲚᲝ“

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მთავარი რედაქტორი არჩილ ხულაკაური

ს ა რ ე დ ა ქ ც ი ო ნ კ ო ლ ე გ ი ა:

გრ. აბაშიძე, რ. ამაშუკელი, მ. ბერძენიშვილი, ბ. გვერდწითელი, ალ. გოგიაშვილი, ბ. დოჩანაშვილი, ბ. კალანდია, მ. ლებანიძე, ე. მაღრაძე, ლ. მრელაშვილი, ბ. ნატროშვილი, ხ. პაიჭაძე (მთ. რედაქტორის მოადგილე), რ. პატარიძე, ჯ. ჩარკვიანი, ნ. წულეიხკირი, ო. ჭილაძე, ბ. ხარანაული (პ/მგ. მდივანი), რ. ჯაფარიძე.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

20575

ბიბლია, ძველი აღთქმა

ნეემიას წიგნი

თავი პირველი

1. ნეემია ხაქალიას ძის სიტყვები. ქისლევის თვეში, მეოცე წელს, სატახტო ქალაქ შუშანში რომ ვიყავი, 2. ხანანი, ერთ-ერთი ჩემ ძმათაგანი, და სხვა რამდენიმე კაცი მოვიდა იუდადან. გამოვკითხე გადარჩენილ იუდაელებზე, ტყვეობას რომ გადაურჩენენ, რა იერუსალიმზე. 3. მითხრეს: ის დარჩენილები, ტყვეობას რომ გადაურჩენენ იქ, ქვეყანაში, დიდ უბედურებაში და დამცირებაში არიან. დანგრეულია იერუსალიმის კედელი, მისი კარიბჭეები კი ცეცხლშია გადაბუგული. 4. ეს სიტყვები რომ მოვისმინე, დავჯექი, ავტირდი და რამდენიმე დღე ვგლოვობდი, ვმარხულობდი და ვლოცულობდი ცათა ღმერთის წინაშე. 5. ვეუბნებოდი: უფალო, ცათა ღმერთო, ღმერთო დიდებულო და საშინელო, რომელიც აღთქმასა და მადლს უნახავ შენს მოყვარულებს და შენი მცნებების დამცველებს! 6. დაე, შენი ყური სმენად იყოს და შენი თვალები გახელილი იყოს, რათა შეიწყნარო შენი მსახურის ლოცვა, ახლა რომ დღედაღამე შენს წინაშე ლოცულობს ისრაელიანთათვის — შენს მსახურთათვის და აღიარებს ისრაელიანთა ცოდვებს, რომლებითაც შენ შეგცოდეს. მეც და ჩემმა მამისსახლმაც შევცოდეთ. 7. ჩვენ მეტისმეტად დავაშავეთ შენს წინაშე, არ ვასრულებდით იმ მცნებებს, წესებსა და სამართალს, შენს მსახურს მოსეს რომ უბრძანე. 8. მაგრამ გაიხსენე ის სიტყვა, შენს მსახურს მოსეს რომ უბრძანე და უთხარი: თუ თქვენ შესცოდავთ, ხალხებში გაგაბნევთო. 9. მაგრამ თუ მოიქცევით ჩემსკენ, დაიცავთ ჩემს მცნებებს და შეასრულებთ მათ, ცის კიდემდე რომც იყოთ გაფანტულნი, იქიდან შეგკრებთ და მოგიყვანთ იმ ადგილას, რომელიც ჩემი სახელის დასავანებლად ამოვირჩიეო. 10. ისინი ხომ შენი მსახურნია და შენი ერია, შენი დიდი ძალითა და მაგარი ხელით რომ გამოისყიდე. 11. გევედრები უფალო, დაე, შენი ყური სმენად იყოს შენი მსახურის ლოცვისა და იმ შენ მსახურთა ლოცვების მიმართ, შენი სახელისადმი მოწიწება რომ უყვართ. ახლა კი ხელი მოუმართე შენს მსახურს და ამ კაცის წინაშე მადლი აპოვნინე. მე მეფის ღვინისმწდე ვიყავი.

თავი მეორე

1. ნისანის თვეში, ართახშასთან მეფის მეოცე წელს, ღვინო იდგა მის წინ. ავიღე ეს ღვინო და მეფეს მივართვი. რაკი ნაღვლიანი არასოდეს ვყოფილვარ მის წინაშე, 2. მეფემ მითხრა რატომ გაქვს ნაღვლიანი სახე? ავად არა ხარ. ეს სხვა არაფერია, თუ არა გულის წუხილიო. ძალზე შევშინდი, 3. ვუთხარი მეფეს: საუკუნოდ იც-

---

გაგრძელება. იხ. „მნათობი", № 2.

საქართველოს
ეროვნული
ბიბლიოთეკა

ოცხლე, მეფევ! აბა, როგორ არ მექ-
ნება სახე ნაღვლიანი, როცა ის ქალა-
ქი, სადაც ჩემი მამა-პაპის სამარხთა
სახლი მეგულება, დაქცეულია და
მისი კარიბჭეებიც ცეცხლშია გადაბუ-
გული. 4. მითხრა მეფემ: ახლა რას
ითხოვ? მე ვილოცე ცათა ღმერთის წი-
ნაშე 5. და ვუთხარი მეფეს: თუ მეფე
თანახმაა და თუ შენმა მსახურმა მად-
ლი ვპოვე შენს წინაშე, გამიშვი იუ-
დაში, იმ ქალაქში, სადაც მამა-პაპის
სამარხები მეგულება, და ავაშენებ მას.
6. მითხრა მეფემ, რომელსაც დედოფა-
ლიც გვერდში ეჯდა: რამდენ ხანს იქ-
ნები წასული და როდის დაბრუნდე-
ბი? მეფემ ინება ჩემი გაშვება და მეც
ვადა დავუთქვი. 7. ვუთხარი მეფეს:
თუ მეფე ინებებს, წერილები გამატა-
ნოს მდინარისგაღმელ მთავრებთან,
რათა მათ მეგზურები გამაყოლონ, ვიდ-
რე იუდამდე მივიდოდე. 8. ერთი წე-
რილი ასაფთან გამატანოს, სამეფო
ტყის მცველთან, რათა მომცეს ხე-ტყე
ციხე-სიმაგრის კარიბჭეთა ასაფიცრად,
ასევე ტაძრისათვის, ქალაქის კედლი-
სათვის და იმ სახლისათვის, რომელშიც
მე ვიცხოვრებ. მიბოძა მეფემ, რადგან
ღვთის მოწყალე ხელი იყო ჩემზე.
9. მივედი მდინარისგაღმელ მთავრებ-
თან და მეფის წერილები გადავეცი. მე-
ფემ თან სარდლები და მხედრები გა-
მომაყოლა. 10. გაიგეს ეს სანბალატ
ხორონელმა და ტობიამ, ყამონელთა
მსახურმა, და დიდად ეწყინათ, რომ
ისრაელიანთა სიკეთისმყოფელი კა-
ცი მოვიდა. 11. ავედი იერუსალიმში
და სამი დღე დავრჩი იქ. 12. ღამით
ავდექი რამდენიმე კაცთან ერთად, ისე
რომ კაცისშვილისთვის არ მითქვამს,
თუ რისი გაკეთება ჩამიდო გულში
ჩემმა ღმერთმა იერუსალიმისთვის.
არავითარი პირუტყვი თან არ მყოლია,
გარდა იმ პირუტყვისა, რომელზეც თა-
ვად ვიყავი ამხედრებული. 13. ღამი-
ანად გამოვედი ხევის კარიბჭით, გა-
ვემართე ურჩხულის წყაროსკენ და
სანაგვის კარიბჭისკენ. დავათვალიერე
იერუსალიმის დანგრეული კედლები
და ცეცხლში გადაბუგული მისი კარიბ-
ჭეები. 14. მივედი წყაროს კარიბჭეს-
თან და მეფის ტბორთან. მაგრამ იქ
ადგილი არ იყო, რომ იმ პირუტყვს
გაეარა, რომელზეც ამხედრებული ვი-
ყავი. 15. ღამით ავუყევი ხევს, დავათ-
ვალიერე კედელი, მერე უკან გამოვ-
ბრუნდი, წამოვედი ხევის კარიბჭით და
დავბრუნდი. 16. მოხელეებმა არ იცო-
დნენ, სად დავდიოდი და რას ვაკე-
თებდი. არც იუდეველებს, არც
მღვდლებს არც დიდებულებს, არც
მოხელეებს, არც საქმის მკეთებლებს
ჯერ არაფერს ვუმხელდი. 17. ვუთხარი
მათ: ხომ ხედავთ როგორ უბედურ
დღეში ვართ, როგორ არის გაპარტა-
ხებული იერუსალიმი და როგორ არის
მისი კარიბჭეები ცეცხლში გადაბუგუ-
ლი. წავიდეთ და ავაშენოთ იერუსა-
ლიმის კედელი და აღარ ვიქნებით
შერცხვენილნი. 18. ვუთხარი ჩემი
ღვთის ხელზე, სასიკეთო რომ იყო
ჩემთვის, და მეფის სიტყვებზე, მან
რომ მითხრა. თქვეს: ავდგეთ და ავ-
აშენოთ! და ხელი გაამტკიცეს სასიკე-
თოდ. 19. გაიგეს ეს სანბალატ ხორო-
ნელმა, ტობიამ, ყამონელთა მსახურმა,
და გეშემ არაბმა და დაცინვითა და
ზიზღით ყურება დაგვიწყეს. ამბობდ-
ნენ: ამას რას სჩადით? მეფის წინა-
აღმდეგ აღდგომა ხომ არ გინდათო? 20.
სიტყვა შევუბრუნე და ვუთხარი: ცა-
თა ღმერთმა მოგვიმართა ხელი და
ჩვენც, მისი მსახურნი, ავდგებით და
ავაშენებთ. თქვენ კი იერუსალიმში არა
გაქვთ-მეთქი არც წილი, არც უფლე-
ბა და არც სახსენებელი.

თავი მესამე

1. ადგნენ ელიაშიბ მღვდელმთავა-
რი და მისი ძმები — მღვდლები და
ცხვრის კარიბჭე აღადგინეს. განათლეს
იგი, ჩაუყენეს კარი და განათლეს მეას
კოშკამდე და ხანანელის გოდლამდე.
2. მის გვერდით ერთ მხარეს იერიხო-

ნელები აშენებდნენ, მეორე მხარეს ზაქურ იმრის ძე აშენებდა. 3. თევზთა კარიბჭეს ჰასენაას ძენი აშენებდნენ. გადახურეს იგი, კარი ჩაუყენეს, და ბოქლომი და ურდული გაუკეთეს. 4. მათ გვერდით კედელს ამაგრებდა მერემოთი, ძე ურიასი, ძისა ჰაკოცისა, მის გვერდით ამაგრებდა მეშულამი, ძე ბერექიასი, ძისა მეშეზაბელისა. მის გვერდით ამაგრებდა ცადოკ ბაყანას ძე. 5. მის გვერდით თეკოაყელნი ამაგრებდნენ. მათი დიდებულები კი ქედს არ ხრიდნენ, რომ თავიანთი უფლისათვის ეშრომათ. 6. ძველ კარიბჭეს იოადაყ ფასეახის ძე და მეშელამ ბესოდიას ძე ამაგრებდნენ. მათ გადხურეს იგი, კარები ჩაუყენეს და ბოქლომი და ურდული გაუკეთეს. 7. მათ გვერდით მელატია გიბყონელი, იადონ მეროთელი, გიბყონისა და მიცფას მკვიდრნი ამაგრებდნენ მდინარისგაღმელი მთავრის ტახტამდე. 8. მის გვერდით ამაგრებდა ყუზიელ ხარჰაიას ძე, ოქრომჭედელი. მის გვერდით ამაგრებდა იანანია ჰარაკახიმის ძე. აღადგინეს იერუსალიმი ფართო კედლამდე. 9. მათ გვერდით ამაგრებდა რეფაია ხურის ძე, იერუსალიმის ნახევარი ოლქის მთავარი. 10. მათ გვერდით და თავისი სახლის წინ იედაია ხარუმაფის ძე ამაგრებდა. მის გვერდით ამაგრებდა ხატუშ ხაშაბნეიას ძე. 11. მეორე მხარეს ამაგრებდნენ მალქია ხარიმის ძე და ხაშუბ ფახათმოაბის ძე. მათვე გაამაგრეს ღუმელის გოდოლი. 12. მის გვერდით ამაგრებდა შალუმ ჰალოხეშის ძე, იერუსალიმის ნახევარი ოლქის მთავარი, თავის ასულებთან ერთად. 13. ხევის კარიბჭეს ამაგრებდნენ ხანუხი და ზანოახის მკვიდრნი. მათ ააშენეს იგი, ჩაუყენეს კარი, და ბოქლომი და ურდული გაუკეთეს. მათვე გაამაგრეს ათასი წყრთა კედელი სანაგვის კარიბჭემდე. 14. თვით სანაგვის კარიბჭეს კი ამაგრებდა მალქია რექაბის ძე, ბეთ-ჰაქერემის ოლქის მთავარი. მან ააშენა, ჩააყენა კარი და თავისი ბოქლომი და ურდული გაუკეთა. 15. წყარის კარიბჭეს ამაგრებდა შალუმ ქოლ-ხოზეს ძე, მიცფას ოლქის მთავარი. ააშენა, გადახურა იგი, ჩაუყენა კარი და თავისი ბოქლომი და ურდული გაუკეთა. მანვე ააშენა მეფის ბაღის წინ სილოამის ტბორის კედელი, ვიდრე დავითის ქალაქიდან ჩასასვლელ კიბეებამდე. 16. მის იქით ამაგრებდა ნეემია ყაზბუკის ძე, ბეთ-ცურის ნახევარ ოლქის მთავარი, დავითის სამარხის მოპირდაპირე მხარემდე, გაშენებულ ტბორამდე და გმირთა სახლამდე. 17. მის იქით ამაგრებდნენ ლევიანები: რეხუმ ბანის ძე. მის გვერდით თავისი ოლქის სახელით ამაგრებდა ხაშაბია, კეყილას ნახევარი ოლქის მთავარი. 18. მის იქით ამაგრებდნენ მათი ძმები: ბავაი ხენადადის ძე, კეყილას ნახევარი ოლქის მთავარი. 19. მის გვერდით ეზერ იეშუაყის ძე, მიცფას მთავარი, ამაგრებდა მეორე მხარეს, საჯაბადროს ასასვლელის პირდაპირ, კუთხესთან. 20. მის იქით თავგამოდებით ამაგრებდა მეორე მხარეს ბარუხ ზაბაის ძე, — კუთხიდან ელიაშიბ მღვდელმთავრის სახლის კარამდე. 21. მის იქით მეორე მხარეს ამაგრებდა მერემოთი, ძე ურიასი, ჰაკოცის ძისა, ელიაშიბის სახლის კარიდან ელიაშიბის სახლის ბოლომდე. 22. მის იქით იერუსალიმის სანახებში მცხოვრები მღვდლები ამაგრებდნენ. 23. მათ იქით თავიანთი სახლის წინ ამაგრებდნენ ბენიამინი და ხაშუბი. მათ იქით თავისი სახლის ახლოს ამაგრებდა ყაზარია მაყასეიას ძე, ყანანიას ძე. 24. მის იქით მეორე მხარეს ბინუი ხენადადის ძე ამაგრებდა ყაზარიას სახლიდან კუთხემდე და მოსახვევამდე. 25. მის იქით ფალალ უზაის ძე ამაგრებდა კუთხისა და იმ გოდლის მოპირდაპირე მხარეს, რომელიც მეფის ზემო სახლიდან გამოდის და სატუსაღოს ეზოს ემიჯნება. მის იქით ფედაია ფარყოშის ძე ამაგრებდა 26. შეწირულებ-

მა კი, ყოფელში რომ ცხოვრობდნენ, გაამაგრეს წყლის კარიბჭის მოპირდაპირე მხარემდე, აღმოსავლეთისკენ და გამოშვერილ გოდლამდე. 27. მათ იქით მეორე მხარეს ამაგრებდნენ თეკოაყელები დიდი გამოშვერილი გოდლის საპირისპირო მხრიდან ყოფელის კედლამდე. 28. ცხენების კარიბჭის ზემოთ მღვდლები ამაგრებდნენ, თითოეული თავისი სახლის წინ. 29. მათ იქით თავისი სახლის წინ ამაგრებდა ცადოკ იმერის ძე. მის იქით ამაგრებდა შემაია შექანიას ძე, აღმოსავლეთის კარიბჭის მცველი. 30. მის იქით მეორე მხარეს ამაგრებდნენ ხანანია შელემიას ძე და ხანუნი, ცალაფის მეექვსე ვაჟი. მის იქით, თავისი ოთახის წინ ამაგრებდა მეშელამ ბერექიას ძე. 31. მის იქით ამაგრებდა მალქია ჰაცორფიას ძე შეწირულთა და ვაჭართა სახლამდე, ჰამიფკადის მოპირდაპირე მხარეს და კუთხის ოთახამდე. 32. კუთხის ოთახსა და ცხვრის კარიბჭეს შორის ამაგრებდნენ ოქრომჭედლები და ვაჭრები. 33. როცა სინბალატმა შეიტყო, რომ ჩვენ კედელს ვაშენებთ, გაცხარდა, ბევრი იჯავრა და მასხრად აიგდო იუდაელები. 34. თავისი ძმებისა და სამარიელი მეომრების წინაშე ამბობდა: ამას რას აკეთებენ ეს ბეჩავი იუდაელები? ნუთუ ამის უფლებას მისცემენ? ნუთუ მსხვერპლს შესწირავენ? ნუთუ ოდესმე მოამთავრებენ? ნუთუ ქვები გაცოცხლდებიან ნაგადაბუგული ფერფლის გროვებიდანო? 35. ტობია ყამონელმა, მის გვერდით რომ იყო, მიუგო: როგორც არ უნდა ააშენონ, მელა რომ მიადგეს, ისიც კი გაარღვევს მათ ქვის კედელს. 36. ისმინე, ღმერთო ჩვენო, რადგან განკიცხულნი შევიქენით, და მათი შეურაცხყოფა მათვე დაათიე, და საძარცვად მიეცი ისინი თავიანთი ტყვეობის ქვეყანაში. 37. ნუ დაფარავ მათ უკეთურებას და ნუ წარიხოცება მათი ცოდვა შენს წინაშე, რადგან მათ მშენებელნი გაანაწყენეს. 38. ვაშენებდით კედელს და მთელი კედელი შეიკრა [illegible] სანახევროდ. ხალხს კიდევ უწევდა გული სამუშაოდ.

თავი მეოთხე

1. როცა სანბალატმა, ტობიამ, არაბებმა, ყამონელებმა და აშდოდელებმა შეიტყეს, რომ შენდება იერუსალიმის კედლები და მრთელდება მისი ბზარები, ძალიან გაცხარდნენ. 2. ყველა ერთად შეითქვა იერუსალიმზე გასალაშქრებლად და ზიანის მისაყენებლად. 3. მაგრამ ჩვენ ვევედრებოდით ჩვენს ღმერთს და მათ წინააღმდეგ დაცვა გვეყენა დღედაღამ მათგან თავის დასაცავად. 4. თქვა იუდამ: ძალა გამოელია მზიდავს, ნაგავი კი უამრავია, აღარ შეგვიძლია კედლის შენება. 5. ჩვენი მტრები ამბობდნენ: ვერც გაიგებენ და ვერც დაინახავენ, ვიდრე მათ შორის არ აღმოვჩნდებით, მუსრს გავავლებთ და მუშაობას შევაწყვეტინებთ. 6. მაშინ მოდიოდნენ მათ ირგვლივ მცხოვრები იუდაელები და ათგზის გვიმეორებდნენ ყველა მხრიდან: იქნებ დაბრუნდეთო ჩვენთან. 7. დაბლობ ადგილებში, კედლის გარეთ და უწყლო ადგილებში ხალხი ჩავაყენე საგვარეულოებისდა მიხედვით თავიანთი მახვილებით, შუბებითა და მშვილდებით. 8. შევხედე, წამოვდექი და დიდებულებს, მმართველებსა და დანარჩენ ხალხს მივმართე: ნუ გეშინიათ მათი! გახსოვდეთ დიდი და საშინელი უფალი, იბრძოლეთ თქვენი ძმების, ქალ-ვაჟების, ცოლებისა და სახლების გულისათვის. 9. როგორც კი ჩვენმა მტერმა შეიტყო, რომ ჩვენ ყველაფერი ვიცით, ღმერთმა გააქარწყლა მათი ზრახვა და ჩვენ ყველანი კედელთან დავბრუნდით, თითოეული თავის საქმეზე. 10. იმ დღიდან ასე იყო: ჰაბუკთა ნახევარი საქმეს აკეთებდა, მათი ნახევარი კი შუბით, ფარით, მშვილდითა და მუზარადით

იყო შეიარაღებული. მთავრები კი მთელი იუდას სახლის უკან იდგნენ. 11. კედლის მშენებლები კედელს აშენებდნენ და ტვირთის მზიდავები ტვირთს ეზიდებოდნენ, ცალი ხელით საქმეს აკეთებდნენ და ცალ ხელში იარაღი ეჭირათ. 12. თითოეული მშენებელი წელზე მახვილშემორტყმული აშენებდა. გვერდით კი მებუკე ჰყავდა. 13. ვუთხარი დიდებულებს, თავკაცებს და სხვა ხალხს: დიდი და ვრცელი სამუშაო გვაქვს, ჩვენ კი კედელზე ვართ გაფანტულნი და მოშორებულნი ვართ ერთმანეთს. 14. ამიტომ, საიდანაც ბუკის ხმა შემოგესმებათ, იმ ადგილას მოგროვდით. ჩვენი ღმერთი იბრძოლებს ჩვენს მაგივრად. 15. ასე ვაკეთებდით საქმეს. მათ ნახევარს განთიდიდან ვარსკვლავების გამოჩენამდე შუბი ეჭირა. 16. ამავე დროს ხალხს ვუთხარი, რომ ყველას თავისი ვაჟიშვილებითურთ იერუსალიმში ეთიათ ღამე, რომ ღამით ჩვენთან ერთად ეყარაულათ, დღისით კი ემუშავათ. 17. არც მე, არც ჩემი ძმები არც ჩემი ბიჭები, არც ჩემი მცველები, თან რომ მახლდნენ, ტანსაცმელს არ ვიხდიდით, წყალზეც კი იარაღასხმული მივდიოდით.

თავი მეხუთე

1. იყო დიდი დრტვინვა ხალხისა და მათი ცოლებისა თავიანთ იუდაელ ძმათა წინააღმდეგ. 2. იყვნენ ისეთები, რომელნიც ამბობდნენ: ბევრნი ვართ ჩვენ ჩვენი ვაჟებითა და ასულებით. პური გვინდა ვიშოვოთ, რათა ვჭამოთ და ვიცოცხლოთო. 3. იყვნენ ისეთებიც, რომელნიც ამბობდნენ: ჩვენს ყანებს, ვენახებსა და სახლებს ვაგირავებთ ამ შიმშილობის ჟამს ხორბლის საშოვრადო. 4. იყვნენ ისეთებიც, რომელნიც ამბობდნენ: ჩვენი ყანების და ვენახების დაგირავებით ვერცხლს ვსესხულობთ მეფის ხარკის გადასახდელადო. 5. ახლა, ჩვენ ძმებს ისეთივე ხორცი აქვთ, როგორც ჩვენ, მათ ისეთივე ვაჟები ჰყავთ, როგორც ჩვენ. ჩვენი ვაჟები და ასულები მონებად უნდა მივცეთ, ზოგიერთი ჩვენი ასულთაგანი კი უკვე დამონებულია, ძალა აღარა გვაქვს ხელებში. ჩვენი ყანები და ვენახები სხვებს ეკუთვნის. 6. ძალიან მეწყინა, როდესაც მათი დრტვინვა და ასეთი სიტყვები მოვისმინე. 7. მაგრამ გულმა მიკარნახა და დავა დავუწყე დიდებულებს, თავკაცებს და ვუთხარი: თქვენი ძმებისგან ვახშს იღებთ-მეთქი. მათ წინააღმდეგ დიდი კრებული მოვიწვიე. 8. და ვუთხარი: ხალხებს მიყიდული ჩვენი იუდაელი ძმები გამოვისყიდეთ, რამდენადაც შეგვეძლო. თქვენ კი საკუთარ ძმებს ყიდით, რომ ჩვენ მოგვყიდონ? ისინი კი დუმდნენ და სიტყვას ვერ პოულობდნენ. 9. ვუთხარი: არ არის კარგი ეს საქმე, თქვენ რომ აკეთებთ. განა ჩვენი ღვთის შიშით არ უნდა დადიოდეთ, რათა ხალხებისგან და ჩვენი მტრებისგან სირცხვილი აიცილოთ? 10. მე ჩემი ძმებიცა და ბიჭებიც ვალად ვაძლევდით ვერცხლსა და ხორბალს. მოდით, მივუტევოთ მათ ეს ვალი. 11. დღესვე დავუბრუნოთ მათი ყანები, ვენახები, ზეთისხილის ბაღები, სახლები, ასეულობით ვერცხლი, პური, ღვინო და ზეითუნის ზეთი, სარგებელში რომ აიღეთ მათგან. 12. თქვეს: დავუბრუნებთ, და აღარ მოვთხოვთ. ისე მოვიქცევით, როგორც შენ ამბობ. მღვდელს დავუძახე და დავაფიცე ისინი, რომ ამ სიტყვისამებრ მოიქცეოდნენ. 13. გამოვიბერტყე ჩემი სამოსლის უბე და ვთქვი: ასე გამობერტყოს-მეთქი ღმერთმა თავისი სახლიდან და მამულიდან ყველა ის კაცი, რომელიც ამ სიტყვას არ შეასრულებს. ასე იყოს-მეთქი გაბერტყილი და გამოცარიელებული! და თქვა მთელმა კრებულმა: ამინ! და განადიდა უფალი. და ხალხიც მოიქცა ამ სიტყ-

ვისამებრ. 14. იმ დღიდან, რაც მეფემ იუდას ქვეყანაში ოლქის მთავრობა მიბრძანა, მეფე ართახშასთას მეოცე წლიდან ოცდამეთორმეტე წლამდე, თორმეტი წლის განმავლობაში, მე ჩემს ძმებთან ერთად ოლქის მთავრის პური არ მიჭამია. 15. წინანდელი ოლქისმთავრები, ჩემამდე რომ იყვნენ, ამძიმებდნენ ხალხს და, ორმოცი შეკელის გარდა, პურს და ღვინოსაც ართმევდნენ. ამის გარდა, მათი ნაშიერები ხალხზე ბატონობდნენ. მე კი, ღვთის შიშის გამო, ასე არ ვიქცეოდი. 15. ამავე დროს კედელზე მუშაობას ვაგრძელებდი. ყანას აღარ ვყიდულობდით და ჩემი ბიჭებიც იქ გროვდებოდნენ სამუშაოდ. 17. ჩემს სუფრასთან ასორმოცდაათი კაცი მყავდა: იუდაელები, მმართველები, ჩვენს გარშემო **მცხოვრები ხალხიდან** მოსულნი. 18. აი, რა მზადებოდა ერთი დღისთვის: ერთ ხარს, ექვს გამორჩეულ ცხვარს და ფრინველებს მიმზადებდნენ. ათი დღის მანძილზე ბევრი ნაირგვარი ღვინო იხარჯებოდა. ამასთან ერთად ოლქის მთავრის პურს არ ვითხოვდი, რადგან მძიმე იყო ამ ხალხის სამუშაო. 19. ყველაფერი სასიკეთოდ გამიხსენე, ღმერთო ჩემო, რაც ამ ხალხისთვის გამიკეთებია.

თავი მეექვსე

1. როდესაც სანბალატმა, ტობიამ, გეშემ არაბმა და სხვა დანარჩენმა მტრებმა შეიტყვეს, რომ კედელი ავაშენე და ზედ ბზარი არ დამიტოვებია (თუმცა საიმდროოდ ჯერ კიდევ არ მქონდა კარიბჭეში კარი ჩაყენებული), 2. სანბალატმა და გერშომმა კაცი გამომიგზავნეს და შემომითვალეს: წამო და ერთად შევიყაროთ ონის ხეობის რომელიმე სოფელში. განზრახული ჰქონდათ, ჩემთვის ბოროტება შეემთხვიათ. 3. მოციქულები გავუგზავნე და შევუთვალე: დიდ საქმეს ვაკეთებ და არ შემიძლია ჩამოსვლა. რისთვის უნდა შეჩერდეს საქმე, როცა მივატოვებ და თქვენთან ჩამოვალ-მეთქი? 4. ამგვარი სიტყვა ოთხჯერ შემომითვალეს და იგივე პასუხი დავუბრუნე. 5. ასეთი სიტყვით მეხუთედ გამომიგზავნა სანბალატმა თავისი მსახური, რომელსაც ხელში გახსნილი წერილი ჰქონდა. 6. მასში ეწერა: ხალხებში ხმა დადის და გეშემიც ამბობს, რომ შენ და იუდაელებს განდგომა გაქვთ განზრახული და ამიტომაც აშენებთ კედელს. როგორც ამბობენ, შენ იქნები მათი მეფე. 7. წინასწარმეტყველებიც დაგიყენებია, რომ იერუსალიმში იქადაგონ და თქვან: იუდაშიაო მეფე. ახლა, მეფის ყურამდე დაშიაო მეფე. ახლა, ძეფის ყურამდე მივა ეს სიტყვები. ამიტომ მოდი და ერთად მოვთათბიროთ. 8. გავუგზავნე კაცი და შევუთვალე: ასეთი სიტყვები არ თქმულა, შენ რომ ამბობ, და ეგენი შენი ჭკუით მოიგონე-მეთქი. 9. ყველანი გვაშინებდნენ და ამბობდნენ: ხელები ჩამოუცვივათ საქმიდან და ველარც დაასრულებენ. გეევდრი, გაამაგრე ახლა ჩემი ხელები. 10. შემაყიას, დელაია მეჰეტაბელის ძის ვაჟის სახლში მივედი, იგი ჩაკეტილი დამიხვდა. მითხრა: ერთად წავიდეთ ღვთის სახლში, შუაგულ ტაძარში, და ჩავკეტოთ ტაძრის კარი, რადგან შენს მოსაკლავად მოვლენ. სწორედ ამაღამ მოვლენ შენს მოსაკლავადო. 11. მე ვუთხარი: ჩემნაირი კაცი როგორ უნდა გაიქცეს? ანდა ჩემნაირი კაცი სიცოცხლის გადასარჩენად ტაძარში როგორ შევა? არ წამოვალ-მეთქი. 12. მივხვდი, ღვთის გამოგზავნილი რომ არ იყო, და ჩემზე იმიტომ იწინასწარმეტყველა, რომ ტობიას და სანბალატის მოსყიდული იყო. 13. იმისთვის მოისყიდეს, რომ შევშინებულიყავი, ისე მოვქცეულიყავი, რომ ცოდვა ჩამედინა და ეს წამხდარი სახელი ჩემს დასამცირებლად გამოეყენებინათ. 14. ღმერთო ჩემო, მათი ამ საქმეებისამებრ გაიხსენე ტობია და სანბალატი,

აგრეთვე ნოყადია, წინასწარმეტყველი ქალი, სხვა დანარჩენი წინასწარმეტყველები, მე რომ მაშინებდნენ. 15. ელულის თვის ოცდამეხუთე დღეს დასრულდა კედელი — ორმოცდათორმეტ დღეში. 16. როცა ეს ყველაფერი ჩვენმა მტრებმა გაიგეს და ჩვენს გარეშემო მცხოვრებმა ხალხებმა დაინახეს, დიდად დამცირდნენ საკუთარ თვალში და მიხვდნენ, რომ ჩვენი ღვთის მიერ არის ეს საქმე გაკეთებული. 17. იმავ დღეებში დიდებულები იუდადან წერილებს უგზავნიდნენ ტობიას, ტობიასგან კი მათ მოსდიოდათ, 18. რადგან იუდაში მრავალი იყო მასთან ფიცით შეკრული, რაკი იგი შექანია არახის ძის სიძე იყო, ხოლო მის ძეს, იოხანანს, მეშელამ ბარექიას ძის ასული ჰყავდა ცოლად. 19. მის სიკეთეს ამბობდნენ ჩემ წინაშე, ჩემი სიტყვები კი მასთან მიჰქონდათ. ტობია კი წერილებს მიგზავნიდა, რომ დაეშინებინე.

თავი მეშვიდე

1. კედელი რომ აშენდა, კარი ჩავაყენე და კარისმცველნი, მგალობელნი და ლევიანები განვაწესე. 2. ვუბრძანე ხანანის, ჩემ ძმას, და ხანანიას, იერუსალიმის ციხისთავს, რომელიც მართალი და სხვებზე მეტად ღვთისმოშიში კაცი იყო, 3. და ვუთხარი, რომ იერუსალიმის კარიბჭეები არ გაეღოთ, ვიდრე მზე არ დააცხუნებდა, და დაეხურათ და ჩაეკეტათ კარები, ვიდრე იდგებოდნენ. მცველები იერუსალიმის მკვიდრთაგან დაეყენებინათ თითოეული თავის საგუშაგოზე, თითოეული თავისი სახლის წინ. 4. ქალაქი ფართო და დიდი იყო, ხალხი კი ცოტა იყო მასში და არც სახლები იყო აშენებული. 5. ღმერთმა გულში ჩამიდო, რომ დიდებულები, თავკაცები და ხალხი აღსანუსხავად შემეკრიბა. ვიპოვნე პირველმოსულთა საგვარტომო ნუსხა. მასში ჩაწერილნი იყვნენ: 6. ქვეყნის ის მკვიდრნი, რომელნიც ნებუქოდონოსორ ბაბილონის მეფის მიერ გადასახლებულ ტყვეთაგან წამოვიდნენ და იერუსალიმსა და იუდაში დაუბრუნდნენ თავ-თავიანთ ქალაქებში. 7. აგრეთვე ისინი, ვინც ზერუბაბელთან, იესოსთან, ნეემიასთან, აზარიასთან, რაყამიასთან, ნახამანთან, მორდეხაისთან, ბილშანთან, მისფერეთთან, ბიგვაისთან, ნეხუმთან და ბაანასთან ერთად მოვიდნენ. ისრაელის ერის მამაკაცთა რიცხვი იყო: 8. ფაროყოშის ძენი — ორიათას ასსამოცდათორმეტი, 9. შეფატიას ძენი — სამას სამოცდათორმეტი, 10. არახის ძენი — ექვსას ორმოცდათორმეტი, 11. ფახათ-მოაბის ძენი, იაშუაყისა და იოაბის ძეთაგან — ორიათას რვაას თვრამეტი. 12. ელამის ძენი — ათას ორას ორმოცდათოთხმეტი, 13. ზათუს ძენი — რვაას ორმოცდახუთი, 14. ზაქაის ძენი — შვიდას სამოცი, 15. ბინუის ძენი — ექვსას ოცდარვა, 16. ბებაის ძენი — ექვსას ოცდარვა, 17. აზგადის ძენი — ორიათას სამას ოცდაორი, 18. ადონიკამის ძენი — ექვსას სამოცდაშვიდი, 19. ბიგვაის ძენი — ორიათას სამოცდაშვიდი, 20. ყადინის ძენი — ექვსასორმოცდათხუთმეტი, 21. აცერის ძენი, ხიზკიას სახლიდან — ოთხმოცდათვრამეტი, 22. ხაშუმის ძენი — სამას ოცდარვა, 23. ბეცაის ძენი — სამას ოცდათხი, 24. ხარიფის ძენი — ასთორმეტი, 25. გაბაონის ძენი — ოთხმოცდათოთხმეტი, 26. ბეთლემელი და ნეტოფელი კაცები — ასოთხმოცდარვა, 27. ყანათოთელი კაცები — ასოცდარვა, 28. ბეთ-აზმავეთელი კაცები — ორმოცდაორი, 29. კირიეთ-იეყარიმელი, ქერიფელი და ბეეროთელი კაცები — შვიდას ორმოცდასამი, 30. რამელი და გაბაყელი კაცები — ექვსას ოცდაერთი, 31. მიქმასელი კაცები — ასოცდაორი, 32. ბეთ-ელელი და ჰაყა-

იელი კაცები — ასოცდასამი, 33. ნებო-ახერელი კაცები — ორმოცდათორმეტი, 34. სხვა ყელამის ძენი — ათას ორას ორმოცდათოთხმეტი, 35. ხარიმის ძენი — სამასოცი, 36. იერიხონის ძენი — სამას ორმოცდახუთი, 37. ლოდის, ხადიდის და ონოს ძენი — შვიდას ოცდაერთი, 38. სენაას ძენი — სამიათას ცხრაას ოცდაათი, 39. მღვდლები: იედაყიას ძენი იეშუაყის სახლიდან — ცხრაას სამოცდაცამეტი, 40. იმერის ძენი — ათას ას ორმოცდათორმეტი, 41. ფაშხურის ძენი — ათას ორას ორმოცდაშვიდი, 42. ხარიმის ძენი — ათას ჩვიდმეტი, 43. ლევიანები: იესოს ძენი, კადმიელის სახლიდან, ჰოდეკას ძეთაგან — სამოცდათოთხმეტი, 44. მგალობელნი: ასაფის ძენი — ას ორმოცდარვა, 45. კარისმცველნი: შალუმის ძენი, აცერის ძენი, ტალმონის ძენი, აკუბის ძენი, ხაციტას ძენი და შობაის ძენი — ას ოცდათვრამეტი, 46. შეწირულთა: ციხას ძენი, ხასუფას ძენი, ტაბაყოთის ძენი, 47. კეროსის ძენი, სიყას ძენი, ფადონის ძენი, 48. ლებანას ძენი, ხაგაბას ძენი, შალმაის ძენი, 49. ხანანის ძენი, გიდელის ძენი, გახარის ძენი, 50. რეაიას ძენი, რეცინის ძენი, ნეკოდას ძენი, 51. გაზამის ძენი, ყუზას ძენი, ფასეახის ძენი, 52. ბასაის ძენი, მეუნიმის ძენი, ნეფიშსიმის ძენი, 53. ბაკბუკის ძენი, ხაკუფას ძენი, ხარხურის ძენი, 54. ბაცლითის ძენი, მეხიდას ძენი, ხარშას ძენი, 55. ბარკოსის ძენი, სისრას ძენი, თამახის ძენი, 56. ნეციახის ძენი, ხატიფას ძენი, 57. სოლომონ-ძენი, ფოქერეთ-ჰიფერიმის ძენი, სოფერეთის ძენი, ფერიდას ძენი, 58. იაყლას ძენი, დარკონის ძენი, გიდელის ძენი, 59. შეფატის ძენი, ხატილის ძენი, ფოქერეთ-ჰაცებაიმის ძენი. ამონის ძენი. 60. შეწირულთა და სოლომონის მსახურთა ძენი სულ სამას ოთხმოცდათორმეტნი იყვნენ. 61. აჰა, თელ-მელახიდან, თელ-ხარშადან, ქერუბ-ადონიდან და იმერიდან გამოსულნი, რომელთაც აღარ შეეძლოთ რაიმე ეთქვათ თავიანთ მამისსახლზე და მოდგმაზე, ისრაელიდან იყვნენ თუ არა. 62. დელაიას ძენი, ტობიას ძენი და ნეკოდას ძენი — ექვსას ორმოცდაორი. 63. მღვდელთაგან: ხობაიას ძენი, ჰაკოცის ძენი და ბარზილაის ძენი, ბარზილაი გალაადელის ასულთაგანი რომ შეერთო და მათი სახელით იწოდებოდა. 64. ეძებეს მათ თავიანთი სია საგვარტომო ნუსხაში, მაგრამ ვერ იპოვნეს, ამიტომაც გაათავისუფლეს მღვდლობიდან. 65. თირშათამ ისინი გააფრთხილა, რომ წმიდათა წმიდადან არ ეჭამათ, ვიდრე მღვდელი არ დადგებოდა ურიმითა და თუმიმით. 66. მთელ კრებულში ერთიანად ორმოცდაორი ათას სამასსამოცნი იყვნენ, 67. მსახურთა და მხევალთა გარდა. ესენი შვიდათას სამას ოცდაჩვიდმეტნი იყვნენ. მათგან ორას ორმოცდახუთი მგალობელი ქალი და კაცი იყო. 68. მათ ჰყავდათ შვიდას ოცდათექვსმეტი ცხენი, ორას ორმოცდახუთი ჯორი, 69. ოთხას ოცდათხუთმეტი აქლემი და ექვსი ათას შვიდას ოცი სახედარი. 70. ზოგიერთმა მამისსახლის თავკაცმა სამუშაოსთვის შესაწირავი გაიღო. თირშათამ შესწირა საგანძურს: ათასი დრაქმა ოქრო, ორმოცდაათი თასი, ხუთას ოცდაათი სამღვდელო კვართი. 71. მამისსახლთა თავკაცთაგან საგანძურს შესწირეს სამუშაოსთვის: ოცი ათასი დრაქმა ოქრო და ორიათასი მინა ვერცხლი. 72. რაც დანარჩენმა ხალხმა შესწირა: ოციათასი დრაქმა ოქრო, ორი ათასი მინა ვერცხლი და სამოცდაშვიდი სამღვდელო კვართი. 73. დაიწყეს ცხოვრება მღვდლებმა, ლევიანებმა, კარისმცველებმა, მგალობლებმა, უბრალო ხალხმა, შეწირულებმა და მთელმა ისრაელმა თავიანთ ქალაქებში. დადგა მეშვიდე თვე და ისრაელიანები თავ-თავიანთ ქალაქებში იყვნენ.

თავი მერვე

1. როგორც ერთი კაცი, შეიკრიბა
მთელი ერი იმ მოედანზე, წყლების
კარიბჭის წინ რომ არის, და უთხრეს
ეზრა მწიგნობარს, რომ მოეტანა მო-
სეს რჯულის წიგნი, რომელიც უფალ-
მა მისცა ისრაელს. 2. ეზრა მღვდელმა
მეშვიდე თვის პირველ დღეს გამო-
იტანა რჯული კრებულის წინაშე, რო-
მელშიც შედგებოდა კაცებისგან, ქა-
ლებისგან და ყველა იმათგან, ვისაც
გაგების უნარი შესწევდა. 3. წყლების
კარიბჭესთან რომ მოედანია, იქ კით-
ხულობდა მას განთიადიდან შუადღე-
მდე კაცების, ქალებისა და გამგებთა
წინაშე. მთელი ერის ყური რჯულის
წიგნზე იყო მიპყრობილი. 4. შედგა
ეზრა მწიგნობარი ხის კვარცხლბეკზე,
ამ საქმისთვის რომ იყო გაკეთებული.
მის ახლოს, ხელმარჯვნივ მათითია,
შემაყი, ყანაია, ურია, ხილკია და მა-
ყასია იდგნენ, მის ხელმარცხნივ კი
ფედაია, მიშაელი, მალაქია, ხაშუმი,
ხაშბადანა, ზაქარია და მეშელამი იდ-
გნენ. 5. გახსნა ეზრამ მთელი ხალხის
თვალწინ წიგნი, მთელ ხალხზე მაღ-
ლა იდგა. როდესაც გახსნა იგი, მთე-
ლი ხალხი ფეხზე წამოდგა. 6. აკურ-
თხებდა ეზრა უფალს, დიად ღმერთს.
ხალხი კი ხელებშემართული პასუხობ-
და: ამინ! ამინ! და თაყვანს სცემდა
უფალს პირქვე დამხობილი. 7. იესო,
ბანი, შერებია, იამინი, ყაკუბი, შაბ-
თაი, ჰოდია, მაყასეია, კელიტა, ყაზა-
რი, იოზაბადი ხანანი, ფელაია და ლე-
ვიანები მათ წინ მდგომ ხალხს რჯულს
განუმარტავდნენ. 8. კითხულობდნენ
ღვთის რჯულის წიგნიდან, განმარტავ-
დნენ და ხალხსაც ესმოდა წაკითხუ-
ლი. 9. ნეემიამ, იმავე თირშათამ, ეზ-
რა მღვდელმა და მწიგნობარმა, და
ლევიანებმა, ხალხს რომ მოძღვრავდ-
ნენ, უთხრეს მთელ ხალხს: ეს დღე
წმიდაა უფლისთვის, თქვენი ღვთის-
თვის, ნუ იგლოვებთ და ნუ იტირებთ!
(რადგან რჯულის სიტყვების გამგონე,
მთელი ხალხი ქვითინებდა). 10. უთ-
ხრა მათ: წადით და ცხიმიანი ჭამეთ
და ტკბილი დალიეთ. ნაწილი იმათ
გაუგზავნეთ, ვისაც არ მოუმზადებია,
რადგან ეს დღე წმიდაა ჩვენი უფლი-
სათვის. ნუ ინაღვლებთ, რადგან უფ-
ლის სიხარულია თქვენი გაძლიერება.
11. ლევიანები ამშვიდებდნენ მთელ
ხალხს და ეუბნებოდნენ: გაჩერდით,
რადგან წმიდაა ეს დღე და ნუ სწუხ-
ართ! 12. წავიდა მთელი ხალხი საჭ-
მელად, სასმელად, წილობების დასა-
გზავნად და დიდი სიხარულის საყო-
ფად, ვინაიდან გაიგეს ის სიტყვები,
რომელნიც მათ ამცნეს. 13. მეორე
დღეს მთელი ერის მამისსახლთა თავ-
კაცებმა, მღვდლებმა და ლევიანებმა
ეზრა მწიგნობართან მოიყარეს თავი,
რათა ჩასწვდომოდნენ რჯულის სიტყ-
ვებს. 14. ნახეს რჯულში დაწერილი,
სადაც მოსეს ხელით უფალი თავის
ხალხს უბრძანებს, რომ ისრაელიანე-
ბმა მეშვიდე თვის დღესასწაულისას
კარვებში იცხოვრონ, 15. რომ გამოუ-
ცხადონ და ხმა მიაწვდინონ ყველა
ქალაქსა და იერუსალიმს: გადით მთა-
ზე რა მოიტანეთ ბაღის ზეთისხილი-
სა და ველური ზეთისხილის ფოთ-
ლები, ღვიის, ფინიკისა და სხვა ხე-
თა ფოთლები კარვების გასაკეთებლ-
ად, დაწერილისამებრ. 16. გავიდა ხალ-
ხი, მოიტანა და გაიკეთა კარვები ყვე-
ლამ თავ-თავის ბანზე, ეზოში, ღვთის
სახლის ეზოებში, წყლების კარიბჭი-
სა და ეფრემის კარიბჭის მოედნებზე.
17. კარვები გააკეთა ტყვეობიდან
დაბრუნებულმა მთელმა კრებულმა და
ცხოვრობდა კარვებში, რადგან იესო
ნავეს ძის შემდეგ ამ დღემდე ისრაე-
ლიანებს ასე არ გაუკეთებიათ. და
იყო ძალზე დიდი სიხარული. 18. ყო-
ველდღე კითხულობდნენ ღვთის რჯუ-
ლის წიგნს, პირველიდან უკანასკნელ
დღემდე. შვიდ დღეს იზეიმეს და მერ-
ვე დღეს კი საზეიმო თავყრილობა
ჰქონდათ, წესისამებრ.

თავი მეცხრე

1. ამავე თვის ოცდამეოთხე დღეს შეიკრიბნენ ისრაელიანები — მარხულნი, ჯვალოთი შემოსილნი, და თავზე მტვერდაყრილნი. 2. ყამოეყო ისრაელის მოდგმა ყველა სხვა უცხო გვარ-ტომს. ადგნენ და აღიარეს თავიანთი ცოდვები და მამა-პაპის უკეთურებანი. 3. იდგნენ თავ-თავიანთ ადგილას და დღის მეოთხედში უფლის, თავიანთი ღვთის რჯულის წიგნს კითხულობდნენ, მეორე მეოთხედში აღსარებას ამბობდნენ და თაყვანს სცემდნენ უფალს, თავიანთ ღმერთს. 4. იესო, ბანაი, კადმიელი, შებანია, ბენი, შერებია, ბანი, ქენანი ლევიანთა ამაღლებულზე შედგნენ და ღაღადით მოუხმეს უფალს, თავიანთ ღმერთს. 5. ლევიანებმა: იესომ, კადმიელმა, ბანიმ, ხაშბანიამ, შერებიამ, ჰოდიამ, შებანიამ უთხრეს: ადექით და აკურთხეთ უფალი, ღმერთი თქვენი, უკუნითი უკუნისამდე. აკურთხონ შენი დიდებული სახელი, რომელიც ყველა კურთხევასა და ქებაზე აღმატებულია. 6. უფალო, შენ ერთადერთი ხარ. შენ შეჰქმენ ცანი და ცანი ცათანი თავისი მხედრობით, მიწა და ყველაფერი, რაც მასზეა, ზღვები და რაც მათშია. ამის ყველაფრის მაცოცხლებელი შენა ხარ და ზეცის მხედრობა შენ გეთაყვანება. 7. შენ სწორედ ის უფალი და ღმერთი ხარ, აბრამი რომ გამოიყვანე ქალდეველთა ურიდან და სახელად აბრაამი უწოდე. 8. შენ აღმოაჩინე, რომ მისი გული მართალი იყო შენს წინაშე და ამიტომაც დაუდე აღთქმა, რომ ქანაანელთა, ხეთელთა, ამორეველთა, ფერიზელთა, იებუსელთა, გირგაშელთა მიწას მისცემდი მის მოდგმას. შენ შეასრულე შენი სიტყვა, რადგან შენ მართალი ხარ. 9. შენ დაინახე ჩვენი მამა-პაპის გაჭირვება ეგვიპტეში და მათი ღაღადი შეისმინე მეწამულ ზღვაზე. 10. შენ მოეცი ნიშნები და სასწაულები ფარაონის, მის მსახურთა, ქვეყნის მთელი ხალხის წინააღმდეგ, რადგან იცოდი, რომ ისინი მზაკვრულად ექცეოდნენ მათ, შენ კი სახელი გაითქვი დღესამომდე. 11. მათ თვალწინ გააპე ზღვა და შუაგულ ზღვაში ხმელზე გაიარეს. მათ მხედრები კი ზღვის უფსკრულში ისე ჩაძირე, როგორც ლოდი აბობოქრებულ წყლებში. 12. დღისით ღრუბლის სვეტით მიგყავდა და ღამით ცეცხლოვანი სვეტით, რათა ის გზა გაგენათებინა, რომელსაც ადგნენ. 13. სინაის მთაზე ჩამოხველ, ზეციდან ელაპარაკე მათ და სწორი სამართალი, ჭეშმარიტი სწავლანი, კეთილი წესები და მცნებები მიეცი. 14. ასწავლე მათ შენი წმიდა შაბათი, მცნებები, წესები და რჯული დაუწესე შენი მსახურის, მოსეს ხელით. 15. პურს ზეციდან აძლევდი მათი შიმშილის მოსაკლავად და წყალს კლდიდან გადმოუჩქეფდი მათი წყურვილის დასაკლებლად. შენ უთხარი, რომ რომ ქვეყნის დასამკვიდრებლად წასულიყვნენ, რომლის მიცემაც შენ ფიცით აღუთქვი მათ. 16. მათაც და ჩვენმა მამა-პაპამაც შესცოდეს, გაიფიცხეს ქედი და ყურს აღარ უგდებნენ შენს მცნებებს. 17. არც გაგონება ინდომეს, არც ის შენი საკვირველებანი გაიხსენეს, მათ რომ გაუკეთე. მათ ქედი გაიფიცხეს და თავიანთი ურჩობით ბელადი დაიყენეს მონობაში დასაბრუნებლად. მაგრამ შენ ღმერთი ხარ, შემნდობი, მოსიყვარულე და გულმოწყალე. რისხვისას დინჯი ხარ, წყალობის გაღებისას კი უხჯი, ამიტომაც არ მიატოვე ისინი. 18. თუმცა მათ ხბო ჩამოასხეს და თქვეს: აჰა, ის შენი ღმერთი, ეგვიპტიდან რომ გამოგიყვანაო. დიდად გასაწყრომი საქმეები ჩაიდინეს. 19. მაგრამ შენი დიდი გულმოწყალებით არ სტოვებდი მათ უდაბნოში. დღისით ღრუბლის სვეტი არ შორდებოდა, გზაზე რომ ეტარებინა, და ღამით ცეცხლოვანი სვეტი, ის გზა რომ გაენათებინა, რო-

მელსაც ადგნენ. **20.** შენი კეთილი
სული მიანიჭე მათ ჭკუის დასარიგებ-
ლად. შენი მანანა მათი პირიდან არ
მოგიშორებია. ამავე დროს წყალს აძ-
ლევდი მათ წყურვილის მოსაკლავად.
21. ორმოც წელიწადს ასაზრდოებდი
მათ უდაბნოში და არაფერი არ აკლ-
დათ, სამოსელი არ უცვდებოდათ და
ფეხები არ უსივდებოდათ. **22.** შენ
მიეცი მათ სამეფოები და ხალხები
და ქვეყნებად დაუნაწილე მათ. ისი-
ნი დაეპატრონენ სიხონის ქვეყანას,
ხეშბონის მეფის ქვეყანას, ბაშანის მე-
ფის კუთვნილ ყოგის ქვეყანას. **23.** მა-
თი ვაჟები გაამრავლე, როგორც ცა-
ში ვარსკვლავები, და შეიყვანე იმ
ქვეყანაში, რომელზეც მათ მამა-პაპას
უთხარი, რომ მის დასამკვიდრებლად
მივიდოდნენ. **24.** მოვიდნენ ვაჟები და
დიმკვიდრეს ქვეყანა. შენ დაუმორ-
ჩილე მათ იმ ქვეყნის მკვიდრნი —
ქანაანელები და მათ ხელში ჩაყარე
მათი მეფეები, იმ ქვეყნის ხალხები,
მათ თავიანთი ნება-სურვილისა-
მებრ მოქცეოდნენ. **25.** დაიპყრეს ცი-
ხე-ქალაქები და პოხიერი მიწა, და-
იმკვიდრეს ყოველგვარი სიკეთით სავ-
სე სახლები, კლდეში ამოკვეთილი ჭე-
ები, ვენახები, ზეთისხილის ბაღები და
უამრავი ხეხილი. ჭამეს, დაძღნენ, და-
სუქდნენ და განცხრომას მიეცნენ შენი
დიდი სიკეთით წყალობით. **26.** გაჯი-
უტდნენ და განგიდგნენ, ზურგს უკან
გადაიგდეს შენი რჯული, ხოცავდნენ
შენს წინასწარმეტყველებს, რომელნიც
შეაგონებდნენ, რომ შენსკენ მოქცე-
ულიყვნენ, მაგრამ ისინი შენს წინაშე
დიდად გასაწყრომ საქმეებს სჩადიოდ-
ნენ. **27.** შენ ჩაყარე ისინი მტრის
ხელში, რათა შეეჭირვებინათ, მაგრამ,
როცა გაჭირვების ჟამს შემოგღაღა-
დებდნენ, შენ ზეციდან უსმენდი, და
შენი დიდი გულმოწყალებისამერ
მხსნელებს აძლევდი და ისინიც იხს-
ნიდნენ მათ მტრის ხელიდან. **28.** რო-
გორც კი სულს მოითქვამდნენ, კვლავ
იწყებდნენ ბოროტის ქმნას შენს
წინაშე. შენ მათ მტრის ხელში ყრიდი,
და ისინიც მათზე ბატონობდნენ. მაგ-
რამ თუ კვლავ მოიქცეოდნენ და შე-
მოგღაღადებდნენ, შენ ზეციდან ის-
მენდი და შენი დიდი მოწყალებისა-
მებრ მრავალგზის იხსნიდი მათ. **29.**
შენ შეაგონებდი მათ, რომ დაბრუნ-
ებოდნენ შენს რჯულს, მაგრამ ჯიუტო-
ბდნენ და ყურს არ უგდებდნენ შენს
მცნებებს და სცოდავდნენ იმ შენი კა-
ნონების წინაშე, რომლითაც კაცს შე-
უძლია იცოცხლოს, თუკი შეასრულებს
მათ. ისინი ჯიუტობდნენ, ქედს იფიცხე-
ბდნენ და ყურს არ უგდებდნენ. **30.** შენ
მრავალი წელი აყოვნებდი მათი გუ-
ლისათვის, შეაგონებდი შენი სუ-
ლით — წინასწარმეტყველთა ხელით,
მაგრამ ყურს არ უგდებდნენ. ამიტომაც
ჩაყარე ისინი ქვეყნის ხალხების ხელ-
ში. **31.** მაგრამ ბოლომდე არ შემუს-
რე ისინი შენი დიდი გულმოწყალე-
ბით. და არ მიატოვე, რადგან შენ
მოწყალე და მოსიყვარულე ღმერთი
ხარ. **32.** ახლა კი, ღმერთო ჩვენო,
დიდო, ძლიერო, აღთქმისა და მადლის
შემნახველო, ნულარ იცოტავებ ყვე-
ლა იმ შეჭირვებას, ჩვენ, ჩვენს მე-
ფეებს, ჩვენს მთავრებს, ჩვენს
მღვდლებს, ჩვენს წინასწარმეტყველ-
ებს, ჩვენს მამა-პაპასა და მთელ ჩვენს
ხალხს რომ შეგვემთხვა აშურის მე-
ფეთა დროიდან დღესამომდე. **33.** შენ
მართალი ხარ ყველაფერში, რაც კი ჩვე-
ნზე მოავლინე, ვინაიდან შენ წრფელად
იქცეოდი, ჩვენ კი ბოროტებას ჩავდიო-
დით. **34.** ჩვენი მეფენი, ჩვენი მთავ-
რები, ჩვენი მღვდლები, ჩვენი წინას-
წარმეტყველები არ ასრულებდნენ
შენ რჯულს, ყურს არ უგდებდნენ შენს
მცნებებსა და შეგონებებს, რომლითაც
მათ შეაგონებდი. **35.** არ გემსახურე-

ბოდნენ თავიანთი ხელმწიფობისა და შენს მიერ მინიჭებული კეთილდღეობის ჟამს იმ ვრცელსა და პოხიერ ქვეყანაში, შენ რომ უბოძე, და თავიანთი უკეთური საქმეებისგან უკან არ იხევდნენ. **36.** აჰა, დღეს ჩვენ დამონებული ვართ. და, აჰა, იმ ქვეყანაში, ჩვენ მამა-პაპას რომ უბოძე, რათა მისი ნაყოფითა და სიკეთით ესაზრდოვა, დამონებული ვართ. **37.** მისი უხვი მოსავალი იმ მეფეებისაა, რომელნიც დაგვიყენე ჩვენი ცოდვების გამო, ჩვენ სხეულებსაც ეპატრონებიან ისინი და ჩვენს საქონელსაც თავიანთ ნებაზე და ჩვენ დიდ გასაჭირში ვიმყოფებით. **38.** ყოველივე ამის გამო მტკიცე აღთქმას ვდებთ და ხელს ვაწერთ. ჩვენმა მთავრებმა, ლევიანებმა და მღვდლებმა დაბეჭდეს.

თავი მეათე

1. აჰა, ისინი, ვინც ბეჭდები დაუსვეს: ნეემია — თირშათა ხაქალიას ძე და ციდკია, **2.** სერაია, ყაზარია, ირმია, **3.** ფაშხური, ამარია, მალქია, **4.** ხატუში, შებანია, მალუქი, **5.** ხარიმი, მერემოთი, ყობადია, **6.** დანიელი, გინთონი, ბარუქი, **7.** მეშულამი, აბია, მიამინი, **8.** მაყაზია, ბილგაი, შემაყია — ესენი მღვდლები არიან. **9.** ლევიანები: იეშუაყ აზანიას ძე, ბინიუ, ხენადადის ძეთაგანნი, კადმიელი; **10.** მათი ძმები: შებანია, ჰოდია, კელიტა, ფელაია, ხანანი, **11.** მიქა, რეხობი, ხაშაბია, **12.** ზაქური, შერებია, შებანია, **13.** ჰოდია, ბანი, ბენინუ, **14.** ხალხის თავკაცები: ფარყოში, ფახათი, მოაბი, ყელამი, ზათუ, ბანი, **15.** ბუნი, ყაზგადი, ბებაი, **16.** ადონია, ბიგვაი, ყადინი, **17.** აცერი, ხიზკია, ყაზური, **18.** ჰოდია, ხაშუმი, ბეცაია, **19.** ხარიფი, ყანათოთი, ნებაი, **20.** მაგფიყასი, მეშულამი, ხეზირი, **21.** მეშეზაბელი, ცადოკი, იადუაყი, **22.** ფელატია, ხანანი, ყანაია, **23.** ჰოშეაყი, ხანანია, ხაშუბი, **24.** ჰალოხეში, ფილხა, შობეკი, **25.** რეხუმი, ხაშაბნა, მაყასეია, **26.** ახია, ხანანი, ყანანი, **27.** მალუქი, ხარიმი, ბაყანა. **28.** დანარჩენი ხალხი — მღვდლები, ლევიანები, კარისმცველები, მგალობელნი, შეწირულნი, უცხო ქვეყანათა ხალხს გამორიდებულნი და ღვთის სჯულისკენ მოქცეულნი, მათი ცოლები, ვაჟები, ასულები, ყველა მცოდნე და გამგები, **29.** შეუერთდნენ თავიანთ ძმებს, თავიანთ წარჩინებულებს, და შეჰფიცეს და ფიცით აღთქმა დადეს, რომ მოსეს, ღვთის მსახურის ხელით მოცემულ ღვთის რჯულს დაიცავდნენ და შეასრულებდნენ უფლის, ჩვენი ბატონის, ყველა მცნებას, მის სამართალს და წესებს, **30.** რომ ჩვენს ასულებს უცხო ქვეყნის ხალხს არ გავატანდით და არც მათ ასულებს შევრთავდით ჩვენს ვაჟებს. **31.** იმ ქვეყნის ხალხისგან, რომელთაც შაბათობით გასაყიდად მოაქვთ საქონელი და ყოველგვარი საზრდო, აღარაფერს შევიძენთ შაბათ დღეს — წმიდა დღეს. მეშვიდე წელს ყანას დავასვენებთ და ყველანაირ ვალს მივუტევებთ. **32.** წესად დავიდეთ, რომ წელიწადში სამი შეკელი გავიღოთ ჩვენი ღვთის სახლის სამსახურისათვის. **33.** საწირი პურისათვის ყოველდღიური ძღვენისთვის, ყოველდღიური აღსავლენი მსხვერპლისათვის, შაბათებისათვის, ახალმთავრობებისთვის, დღესასწაულებისთვის, წმიდა საგნებისათვის, ისრაელის ცოდვებისგან განსაწმედი მსხვერპლებისათვის და ჩვენი ღვთის სახლის ყველანაირი საქმისთვის. **34.** შეშის მოტანაზე მღვდლებმა, ლევიანებმა და ხალხმა წილი ვყარეთ, რომ ჩვენი ღვთის სახლში ჩვენი მამისსახლების მიხედვით, დათქმულ დროს, წლიდან წლამდე შეშა ვზიდოთ, რომ უფლის, ჩვენი ღვთის სამსხვერპლოზე ცეცხლი ისე ენთოს, როგორც რჯულში სწერია. **35.** ჩვენ ვიკისრეთ მიწის პირ-

ველმოწეული ნაყოფის, ყველა ხეხილის პირველმოწეული ნაყოფის წლიდან წლამდე უფლის სახლში მიტანა **36.** ჩვენი ვაჟებიდან და საქონლიდან, რჯულში დაწერილის მიხედვით, პირმშოთა მიყვანა ჩვენი ღვთის სახლში. ღვთის სახლში მომსახურე მღვდლებთან ჩვენი პირველმოგებული ხარებითა და ცხვრებითურთ. **37.** ჩვენს პირველ ცომს, ჩვენს შესაწირავს, ყველა ხის ნაყოფს, მაჭარს და ზეითუნის ზეთს მღვდლებს მივართმევთ ჩვენი ღვთის სახლის ოთახებში. ჩვენი მიწიდან მეათედს ლევიანებს მივუტანთ. ლევიანები მეათედს აიღებენ ყველა ჩვენი სამიწათმოქმედო ქალაქებიდან. **38.** აარონიანი მღვდელი იქნება ლევიანებთან, როცა ისინი ლევიანთა მეათედს აიღებენ. ლევიანები ამ მეათედიდან მეათედს ჩვენი ღვთის სახლის საგანძურის ოთახებში აიტანენ, **39.** რადგან ამ ოთახებში უნდა მიიტანონ ისრაელიანებმა და ლევიანებმა შესაწირავი ხორბალი, მაჭარი და ზეითუნის ზეთი. იქ ინახება წმიდა ჭურჭელი. მოსამსახურე მღვდლები, კარისმცველნი და მგალობელნიც იქვე არიან. არ მივატოვებთ ჩვენი ღვთის სახლს!

თავი მეთერთმეტე

1. ერისმთავრები იერუსალიმში დასახლდნენ, დანარჩენმა ხალხმა კი წილი ჰყარა, რათა ათიდან ერთი იერუსალიმში, წმიდა ქალაქში შეეყვანათ საცხოვრებლად, ხოლო ცხრანი — სხვა ქალაქებში. **2.** ერმა დალოცა ყველა ისინი, ვინც თავისი ნება-სურვილით დასახლდა იერუსალიმში. **3.** აჰა, ის ოლქის მთავრები, იერუსალიმში რომ დასახლდნენ: იუდას ქალაქებში თავთავიანთ სამკვიდრებლებში და ქალაქებში ცხოვრობდნენ: ისრაელიანები, მღვდლები, ლევიანები, შეწირულნი და სოლომონის მსახურთა შთამომავალნი. **4.** იერუსალიმში ცხოვრობდნენ იუდიანთაგან და ბენიამინიანთაგან. იუდიანთაგან: ყათაია ძე ყუზიასი, ძისა ზაქარიასი, ძისა ამარიასი, ძისა შეფატიასი, ძისა მაჰალალიელისა — ფერეცანთაგან. **5.** მაყასეია ძე ბარუქისა, ძისა ქოლ-ხოზესი, ძისა ხაზაიასი, ყადაიასი, ძისა იოიარიბისა, ძისა ზაქარიასი, ძისა ჰაშილონისა. **6.** ფერეციანები, ყველანი, იერუსალიმში რომ ცხოვრობდნენ, რიცხვით ოთხას სამოცდა რვანი იყვნენ — მაგარი ვაჟკაცები. **7.** აჰა, ბენიამინიანები: სალუ, ძე მეშელამისა, მისა იოყედისა, ძისა ფედაიასი, ძისა კოლაიასი, ძისა მაყასეიასი, ძისა ითიელისა, ძისა ესიასი. **8.** მის შემდეგ გაბაი და სალაი — რიცხვით ცხრაას ოცდარვა. **9.** იოელ ზიქრის ძე იყო მათი ხელისუფალი. იუდა ჰასენუიას ძე მეორე კაცი იყო ქალაქში. **10.** მღვდელთაგან: იედაყია იოარიბის ძე, იაქინი, **11.** სერაია, ძე ხილკიასი, ძისა მეშელამისა, ძისა ცადოკისა, ძისა მერაიოთისა, ძისა ახიტუბისა — ღვთის სახლის წინამძღვარი. **12.** მათი ძმები, რომელნიც ღვთის სამსახურს ეწეოდნენ, რიცხვით რვაას ოცდაორნი იყვნენ; ყადაია იეროხამის ძე, ფელალიას ძე, ამცის ძე, ზაქარიას ძე, ფაშხურის ძე, მალქიას ძე, **13.** და მისი ძმები — მამისსახლთა თავკაცები ორას ორმოცდაორნი იყვნენ. ყამაშსაი, ძე ყაზარელისა, ძისა ახზაისა, ძისა მეშილმოთისა, ძისა იმერისა, **14.** და მათი ძმები, მამაცი ვაჟკაცები, ას ოცდარვანი იყვნენ. მათი ხელისუფალი იყო ზაბდიელ ჰაგედოლიმის ძე. **15.** ლევიანთაგან: შემაყია, ძე ხაშებისა, ძისა ყაზრიკამისა, ძისა ხაშაბიასი, ძისა ბენისა, **16.** შაბთაი და იოზაბადი — ღვთის სახლის გარე საქმეების გამრიგე ლევიანთა თავკაცთაგან. **17.** მათანია, ძე მიქასი, ძისა ზაბდისა, ძისა ასაფისა — ლოცვისას სადიდებლის მთავარი დამწყები, ბაბუკია, მისი მეორე ძმა, ყაბდა, ძე შამუაყისა, ძისა გალალისა, ძისა იედუთუნისა. **18.** წმიდა ქალაქში სულ ორას ოთხმოცდაოთხი ლევიანი იყო. **19.** კარისმცველნი: ყაკუბი, ტალმონი და მათი ძმები, კარიბჭეებს რომ იცავდნენ, ას სამოცდათორ-

მეტნი იყვნენ. 20. დანარჩენი ისრაელიანები და ლევიანები იუდას ყველა ქალაქში ცხოვრობდნენ, თავ-თავიანთ სამკვიდროებში. 21. შეწირულნი ყოფელში ცხოვრობდნენ. შეწირულებს ციხა და გიშფა ადგნენ თავს. 22. ლევიანთა ხელისუფალი იერუსალიმში იყო უზია ძე ბანისა, ძისა ხაშაბიასი, ძისა მათანიასი, ძისა მიქასი, იმ ასაფიანთაგან, რომელნიც მგალობელნი იყვნენ ღვთის სახლის სამსახურში. 23. რადგან მეფის ბრძანება იყო მათზე. ყოველდღიური სარგო იყო დაწესებული მგალობელთათვის. 24. ფეთახი ამეშაბელის ძეს, ზარახ იუდას ძის ძეთაგანს, ხალხის ყველა საქმე მეფის მიერ ჰქონდა მინდობილი. 25. თავიანთ სოფლებში და ყანებში იუდიანთაგან ცხოვრობდნენ: კირიათ-ჰაარბაყში და მის დაბა-სოფლებში, დიბონში და მის დაბა-სოფლებში, იეკაბცელში და მის სოფლებში, 26. იეშუაყში, მოლადაში, ბეთფალეტში, 27. ხაცარ-შეყალში, ბეერშებაყში და მის დაბა-სოფლებში, 28. ციკლაგში, მექონაში და მის დაბა-სოფლებში, 29. ყენ-რიმონში, ცარყაში, 30. ზანოახში, ყადულამში და მათ სოფლებში, ლაქიშში და მის მინდვრებში, ყაზეკაში და მის დაბა-სოფლებში. ისინი დასახლდნენ ბეერ-შაბყიდან ჰინომის ხევამდე. 31. ბენიამინიანები დასახლდნენ გაბაყიდან მოკიდებული მიქმაშში, ყაიაში, ბეთელში და მის დაბა-სოფლებში, 32. ყანათოთში, ნობში, ყანანიაში, 33. ხაცორში, რამშში, გითაიმში, 24. ხადიდში, ცებოყიმში, ნებალატში, 35. ლოდში და ონოში, ხარაშიმის ხევში. 36. ლევიანთაგან იუდას ზოგი განაყოფი ბენიამინს ჰქონდა მიწერილი.

თავი მეთორმეტე

1. აჰა, ის მღვდლები და ლევიანები, ზერუბაბელ შელათიელის ძესთან და იესოსთან ერთად რომ მოვიდნენ: შერაია, ირმია, ეზრა, 2. ამარია, მალუქი, ხატუში, 3. შექანია, რეუმი, მერემოთი, 4. ყიდო, გინთოი, აბია, 5. მიამინი, მაყადია, ბილგა, 6. შემაყია, ოიარიბი, იედაყია, 7. სალუ, ყამოკი, ხილკია, იედაყია. ესენი იყვნენ მღვდელთა წინამძღვარნი და მათი ძმები იესოს დროს. 8. ლევიანები: იესო, ბინიუ, კადმიელი, შერებია, იუდა და მათანია, რომელიც სამადლობელ გალობას უძღვებოდა თავის ძმებთან ერთად. 9. ბაკბუკია, ყუნი, მათი ძმები მათ მოპირდაპირე მხარეზე გუშაგობდნენ. 10. იესომ შვა იოაკიმი, იოაკიმმა შვა ელიაშიბი, ელიაშიბმა შვა იოიადაყი, 11. იოიადაყმა შვა იონათანი, იონათანმა შვა იადუაყი. 12. იოაკიმის დღეებში მღვდლებად მამისსახლთა თავკაცები იყვნენ. სერაიას სახლიდან მერაია, ირმიას სახლიდან ხანანია, 13. ეზრას სახლიდან მეშელამი, ამარიას სახლიდან იეჰოხანანი, 14. მალუქის სახლიდან იონათანი, შებანიას სახლიდან იოსები, 15. ხარაიმის სახლიდან ყადნა, მერაიოთის სახლიდან ხელკაი, 16. ყიდოს სახლიდან ზექარია, გინთონის სახლიდან მეშულამი, 17. აბიას სახლიდან ზიქრი, მინიამინის და მოყადიას ლიდან იეჰოხანანი, 14. მალუქის სახლიდან შამუაყი, შემაყიას სახლიდან იოსები, 15. ხარიმის სახლიდან ყადნა, 20. სალაიას სახლიდან კალაი, ყამოკის სახლიდან ყებერი, 21. ხელკაიას სახლიდან ხაშაბია, იედაყიას სახლიდან ნეთანელი. 22. ლევიანები, მამისსახლთა თავკაცები, ელიაშიბის, იოიადაყის, იოხანანისა და იოდუაყის დროს არიან ნუსხაში ჩაწერილში, ხოლო მღვდლები დარიოს სპარსელის მეფობის დროს. 23. ლევიანები, მამისსახლთა თავკაცები, ნეშტთა წიგნში ჩაწერილნი არიან იოხანან ელიაშიბის ძის დღეებამდე. 24. ლევიანთა თავკაცები: ხაშაბია, შერებია, იესო კადმიელის ძე და მისი ძმები, იდგნენ მათ მოპირდაპირე მხარეზე, რათა რიგ-რიგობით ექოთ და ედიდებინათ დავითის, ღვთისკაცისგან

დადგენილი წესით. 25. მათანია, ბაკ-
ბუკია, ყობადია, მეშელამი, ტალმონი,
ყაკუბი — გუშაგები და კარისმცველე-
ბი კარიბჭეების ზღურბლებთან ყარა-
ულობდნენ. 26. ისინი ცხოვრობდნენ
იოაკიმ იეშეაყ იოცდაკის ძის ვაჟის,
ნეხემია ოლქის მთავრის და ეზრა
მღვდლისა და მწიგნობრის დროს. 27.
იერუსალიმის კედლის კურთხევისას,
დაძებნეს ლევიანები ყველა მათ ადგი-
ლებში იერუსალიმში მოსაყვანად,
რათა კედელის სატფურება ეზეიმათ
სიხარულით, სამადლობლებით, წინ-
წილებზე, ქნარებზე და ებნებზე სიმ-
ღერით. 28. შეიკრიბნენ მგალობელთა
ძენი იერუსალიმის სანახებიდან და ნე-
ტოფათელთა სოფლებიდან, 29. ბეთ-
ჰაგილგალიდან და გებაყისა და დაზმა-
ვეთის მინდვრებამდე, რადგან მგალობ-
ლებს იერუსალიმის სანახებში ჰქონ-
დათ გაშენებული სოფლები. 30. განი-
წმიდნენ მღვდლები, ლევიანები და
ხალხი, კარიბჭეები და კედელი აკურთ-
ხეს. 31. კედელთან მოვუხმე იუდას
მთავრებს. დავაყენე ორი დიდი გუნდი
შემოსავლელად — ერთი კედლის მარ-
ჯვენა მხარეს, მეორე სანაგვის კარიბ-
ჭესთან. 32. მათ უკან მისდევდნენ ჰო-
შაყია და იუდას მთავართა ნახევარი,
33. ყაზარია, ყეზრა, მეშელამი, 34.
იუდა, ბენიამინი, შემაყია, ირმია. 35.
მღვდლების ძეთაგან საყვირებით მის-
დევდნენ ზაქარია, ძე იონათანისა, ძი-
სა შემაყიასი, ძისა მათანიასი, ძისა მი-
ქაიასი, ძისა ზაქურისა ძისა ასაფისა.
36. მისი ძმები: შემაყია, ყაზარელი, მი-
ლალაი, გილალაი, მაყაი, ნეთანელი,
იუდა, ხანანი, დავითის, ღვთისკაცის
საკრავებით მიდიოდნენ, წინ ეზრა
მწიგნობარი მიუძღოდათ. 37. წყაროს-
თვალის კარიბჭესთან, მოპირდაპირე
მხარეს მიუყვებოდნენ დავითის ქალა-
ქის კიბეებს კედელზე ამავალი კიბე-
ებით, დავითის სახლის ზემოთ რომ
გადადიოდა წყლების კარიბჭისკენ, აღ-
მოსავლეთით. 38. მეორე გუნდი მათი
საპირისპირო მხრიდან უვლიდა, მე და
ხალხის ნახევარი მას მივყვებოდით
კედელზე, ღუმელთა გოდლიდან ფართე
კედლამდე. 39. ეფრემის კარიბჭიდან,
ძველი კარიბჭისა და თევზთა კარიბ-
ჭის, ხანანელის გოდლისა და მეას გოდ-
ლის გავლით, ვიდრე ცხვრის კარიბ-
ჭემდე. ისინი სატუსაღოს კარიბჭესთან
შედგნენ. 40. შემდეგ ორთავე გუნდი
ღვთის სახლში დადგა, მეც იქ ვიყავი,
წინამძღოლთა ნახევრის თანხლებით.
47. იქვე იყვნენ მღვდლები: ელიაკიმი,
მაყასეია, მინიამინი, მიქაია, ელიოყე-
ნაი, ზექარია და ხანანია თავიანთი სა-
ყვირებით, 42. აგრეთვე მაყასეია, შე-
მაყია, ელეაზარი, ყუბი იეჰოხანანი, მა-
ლქია, ყელამი და ყაზერი. მგალობელ-
ნი იზრახიას ლოტბარობით გალობ-
დნენ. 43. დიდძალი მსხვერპლი შეს-
წირეს იმ დღეს, ხარობდნენ, რადგან
ღმერთმა დიდი სიხარულით გაახარა ის-
ინი. მათთან ერთად მათი ცოლ-შვი-
ლიც მხიარულობდა. შორს გავარდა იე-
რუსალიმის მხარულობის ხმა. 44 იმა-
ვე დღეს კაცები მიუჩინეს შესაწირავ-
ისთვის, პირველმოწეული ნაყოფებ-
ისთვის და მეათედისათვის განკუთვნი-
ლი საგანძურის ოთახებს, რა-
თა ქალაქების ბაღებიდან იქ
შეეგროვებინათ მღვდლებისთვის და
ლევიანებისთვის რჯულით და-
წესებული წილი. რადგან ხარობდა
იუდა, სამსახურად მდგომი მღვდლებ-
ისა და ლევიანების შემყურე, 45. რად-
გან ასრულებდნენ სამსახურს და გან-
წმედის სამსახურს. მგალობელნი და
კარისმცველნი დავითისა და მისი ძის,
სოლომონის მიერ დადგენილი წესი-
სამებრ იდგნენ. 45. რადგან უწინ, და-
ვითისა და ასაფის დროს, დადგენილნი
იყვნენ მგალობელთა ლოტბარნი და
დაწესებულ იქნა ღვთის სადიდებელი
და სამადლობელი გალობები. 47. ზე-
რუბაბელისა და ნეემიას დღეებში მთე-
ლი ისრაელი ყოველდღიურად იძლე-
ოდა მგალობელთა და კარისმცველთა

საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა

წილს. შესაწირავს ლევიანებს აძლევდნენ, ლევიანები კი აარონიანებს აძლევდნენ.

თავი მეცამეტე

1. იმ დღეს ხალხის გასაგონად წაიკითხეს მოსეს წიგნი და მასში ჩაწერილი აღმოჩნდა, რომ უკუნისამდე ვერ შევლენ ყამონელნი და მოაბელნი ღვთის კრებულში. 2. ეს იმის გამო, რომ ისინი ისრაელიანებს პურითა და წყლით კი არ შეეგებნენ, არამედ მის წინააღმდეგ მოისყიდეს ბალაამი, რომ შეეჩვენებინა ისინი. ჩვენმა ღმერთმა კი ეს შეჩვენება კურთხევად მოაქცია. 3. ეს რჯული რომ მოისმინეს, ყველა სხვა თესლ-ტომი გამოარიდეს ისრაელს. 4. ამის წინ ელიაშიბ მღვდელმა, ტობიას ახლობელმა, ჩვენი ღვთის სახლის ოთახში რომ ცხოვრობდა, 5. ტობიას ის დიდი ოთახი მოუწყო, სადაც უწინ, წესისამებრ, საძღვნო ფქვილი, საკმეველი, ჭურჭლეული, ხორბლის მეათედი, ბადაგი და ზეითუნის ზეთი ინახებოდა ლევიანთათვის, მგალობელთათვის და კარისმცველთათვის, სამღვდელო შესაწირავთან ერთად. 6. ამ დროს იერუსალიმში არ ვყოფილვარ, რადგან ართახშასთა ბაბილონის მეფის ოცდამეთორმეტე წელს, მეფეს ვეახელი. ხანი რომ გამოხდა დავეთხოვე მეფეს. 7. დავბრუნდი იერუსალიმში და შევიტყვე იმ ბოროტების შესახებ, ელიაშიბს რომ გაეკეთებინა ტობიასთვის ღვთის სახლის ეზოებში ოთახის მიცემით. 8. ძალიან გავბოროტდი და ტობიას სახლის ნივთები მთლიანად ოთახის გარეთ გამოვყარე. 9. ვუბრძანე, გამოესუფთავებინათ ოთახები და იქ დაებრუნებინათ ღვთის სახლის ჭურჭლეული, საძღვნო ფქვილი და საკმეველი. 10. გავიგე, რომ ლევიანებს არ ეძლევათ წილი და რომ ამის გამო ლევიანები და საქმის მკეთებელი მგალობელნი თავ-თავიანთ ყანებში გაიფანტნენ. 11. ვედავე წინამძღვრებს და ვუთხარი: რატომ არის მიტოვებული ღვთის სახლი? შეეკრიბე ისინი და თავ-თავის ადგილებზე დავაყენე. 12. მთელმა იუდამ დაიწყო ხორბლის, მაჭრისა და ზეითუნის ზეთის მეათედის საგანძურებში შეტანა. 13. საგანძურებში ჩავაბარე შელემია მღვდელს, ცადოკ მწიგნობარს და ფედაია ლევიანს. მათთან ერთად ხანანს, მათანია ზაქურის ძის ძეს, რადგან ისინი ცნობილი იყვნენ თავიანთი ერთგულებით. მათ დაეკისრათ თავიანთი ძმებისთვის წილის მიცემა. 14. ამის გულისათვის გამიხსენე, ჩემო ღმერთო, და ნუ წარხოცავ იმ ჩემს ძველ საქმეებს, რაც ღვთის სახლისთვის და მისი სამსახურისთვის გამიკეთებია. 15. იმ ხანად შევნიშნე, რომ იუდაში შაბათობით საწნახლებში ღვინოს წურავენ, ზიდავენ ძნებს, სახედრებს ჰკიდებენ ღვინოს, ყურძენს, ლეღვს, ყველანაირ საპალნეს და შაბათ დღეს იერუსალიმში მიჰყავთ. მე ვამხილე ისინი იმ დღეს, როცა საჭმელ-სასმელს ყიდდნენ. 16. იერუსალიმშივე ცხოვრობდნენ ტვიროსელნი. მათ შაბათობით მოჰქონდათ თევზი, ყველა სხვა გასაყიდი საქონელი და იუდასა და იერუსალიმის მკვიდრებს ასყიდებდნენ. 17. გავკიცხე იუდას დიდებულები და ვუთხარი: რად სჩადიხართ ამ ბოროტ საქმეს, რატომ ბილწავ შაბათ დღეს? 18. განა ასე არ იქცეოდა თქვენი მამა-პაპა? განა ამის გამო არ იყო, რომ ჩვენმა ღმერთმა ასეთი უბედურება მოავლინა ჩვენზე და ამ ქალაქზე? თქვენ კი შაბათის წაბილწვით უმატებთ ღვთის რისხვას ისრაელზე! 19. როგორც კი იერუსალიმის კარიბჭეებთან ჩამობნელდა, შაბათის წინა საღამოს ვუთხარი და ჩაკეტეს კარები. განკარგულება გავეცი, რომ შაბათის მომდევნო დილამდე არ გაეღოთ. ჩემი მსახურები დავაყენე კარიბჭეებთან, რომ შაბათ დღეს არანაირი ტვირთი არ შემოტანილიყო. 20. სოვდაგრებმა და ნაირ-ნაირი სა-

ქონლით მოვაჭრეებმა ერთიორჯერ იერუსალიმის გარეთ გაათიეს ღამე. 21. ვამხილე ისინი და ვუთხარი: კედელთან რატომ ათევთ ღამეს? თუ კიდევ მოიქცევით ასე, ხელს აღვმართავ თქვენზე. მას აქეთ შაბათ დღეს აღარ მოსულან. 23. ვუბრძანე ლევიანებს, განწმედილიყვნენ და კარიბჭეთა დასაცავად მოსულიყვნენ, რათა წმიდად შეენახათ შაბათი დღე. ამის გულისთვისაც გამიხსენე, ღმერთო ჩემო, და დამიცავი შენი დიდი მოწყალებით! 23. იმავ დღეებში ვნახე, რომ იუდაელებს აშდოდელი, ყამონელი და მოაბელი ქალები მოჰყავდათ ცოლებად. 24. და მათი შვილების ნახევარი ან აშდოდურად, ანდა სხვა რომელიმე ხალხის ენაზე ლაპარაკობდა, იუდაური ენა კი აღარ იცოდა. 25. გავკიცხე ისინი, ვწყევლე, ვურტყი ზოგიერთ მათგანს და თმა-წვერი ვაგლიჯე. ღმერთზე დავაფიცე, რომ თავიანთ ასულებს მათ ვაჟებს არ მიათხოვებდნენ და მათ ასულებს თავიანთ ვაჟებს არ შერთავდნენ, და არც თვითონ არ მოიყვანდნენ. 26. განა ამ საქმეზე არ შესცოდა სოლომონმა, ისრაელის მეფემ? ბევრ ხალხს როდი ჰყოლია იმისთანა მეფე. მის ღმერთს უყვარდა იგი და მეფედ დააყენა მთელ ისრაელზე. თუმცა-ღა ისიც აცდუნეს უცხოელმა ცოლებმა. 27. სად გაგონილა ამდენი ბოროტების კეთება და ამოდენა ცოდვის ჩადენა ჩვენი ღვთის წინააღმდეგ უცხოელ ცოლებთან წოლით? 28. იოადაყის, ელიაშიბ მღვდელმთავრის ძის, ერთერთი შვილი სანბალატ ხორონელის სიძე იყო. თავიდან მოვიშორე იგი. 29. ღმერთო ჩემო, გაუხსენე მათ, ვინც მღვდელმსახურება და მღვდელთა და ლევიანთა აღთქმა შელახეს. 30. გავწმიდე ისინი ყოველივე უცხოურისგან და მღვდლებს და ლევიანებს მსახურება აღვუდგინე თავ-თავიანთ საქმეში. 31. ვიზრუნე დათქმული დროისთვის შეშისა და პირველმოწეული ნაყოფის მოტანაზე. ღმერთო ჩემო, ეს ყოველი თილად მომიხსენე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ესთერი

თავი პირველი

1. ახაშვეროშის დროს, იმ ახაშვეროშისა, რომელიც მეფობდა ას ოცდაშვიდ მხარეზე ინდოეთიდან მოყოლებული ვიდრე ქუშამდე, 2. იმ დროს, როცა იჯდა მეფე ახაშვეროში სამეფო ტახტზე შუშანში, სატახტოში, 3. თავისი მეფობის მესამე წელს გაუმართა ლხინი თავის მთავრებს, თავის მსახურთ, სპარსელთა და მიდიელთა სარდლებს, ხელისუფალთ და მხარეთა განმგებელთ, 4. და აჩენდა თავისი სამეფოს დიდებულ სიმდიდრეს და თავისი სიდიადის ბრწყინვალებას მრავალ დღეს, ას ოთხმოც დღეს. 5. როცა ჩათავდა ეს დღეები, გაუმართა მეფემ მთელს ხალხს, ვინც კი შუშანში, სატახტოში იყო, დიდსა და პატარას, შვიდდღიანი ლხინი სასახლის ბაღში. 6. მრავალფერი ქსოვილები ეკიდა ბისონისა და ძოწის ძაფებით ვერცხლის რგოლებზე და მარმარილოს სვეტებზე. ოქროსა და ვერცხლის საწოლები იდგა ალებასტრით, მარმარილოთი, სადაფითა და შავი მარმარილოთი მოფენილ იატაკზე. 7. სასმელს ოქროს სასმისებით სვამდენ, მრავალფერი სასმისებით. უხვად იყო სამეფო ღვინო, მეფეთა საკადრისი. 8. წესისამებრ სვამდნენ, არავინ იყო დამძალებელი, რადგან ასე დაუდგინა მეფემ სახლთუხუცეს, თითოეულის ნება-სურვილისამებრ მოქცეულიყვნენ. 9. ვაშთი დედოფალმაც გაუმართა ლხინი ბანოვანთ მეფე ახაშვეროშის ერთ-ერთ სასახლეში. 10. მეშვიდე დღეს, როცა ღვინომ გაამხიარულა მეფის გული, უბრძანა მეჰუმანს, ბიზეთას, ჰარბონას, ბიგთას, აბაგთას, ეზთარს და ქარქასს — შვიდ საჭურისს, მეფე ახაშვეროშის

წინაშე მომსახურეთ, 11. მოეყვანათ ვაშთი დედოფალი მეფის წინაშე სამეფო გვირგვინით, რომ ეჩვენებინა ხალხებისთვის და მთავრებისათვის მისი სილამაზე, რადგან მშვენიერი იყო სახთ. 12. არ ისურვა ვაშთი დედოფალმა მისვლა მეფის ბრძანებაზე, საჭურისების პირით რომ ეცნობა, დიდად გაწყრა მეფე და რისხვით აენთო. 13. უთხრა მეფემ ბრძენკაცებს, დროებამის მცოდნეთ (რადგან ასე წყდებოდა სამეფო საქმე რჯულისა და სამართლის მცოდნეთა წინაშე. 14. მისი დაახლოებული პირები კი იყვნენ: ქარშენა, შეთარი, ადმათა, თარშიში, მერესი, მარსენა და მემუქანი, შვიდი სპარსელი და მიდიელი მთავარი, მეფის პირისმხილველნი და პირველ ადგილზე მჯდომელნი სამეფოში): 15. რისი ღირსია ვაშთი დედოფალი რჯულის მიხედვით, რომ არ შეასრულა მეფე ახაშვეროშის ბრძანება, საჭურისების პირით რომ ეცნობა? 16. თქვა მემუქანმა მეფისა და მთავრების წინაშე: არა მხოლოდ მეფე გააწბილა ვაშთი დედოფალმა, არამედ ყველა მთავარი და ყველა ხალხი, ვინც კი მეფე ახაშვეროშის მთელს სახელმწიფოში ცხოვრობს. 17. რადგან მიუვათ დედოფლის ამბავი ქალებს და ისინიც დაამცირებენ თავიანთ ქმრებს, იტყვიან: ვაშთი დედოფლის მიყვანა ბრძანა მეფე ახაშვეროშმა თავის წინაშე, მაგრამ არ მივიდა იგი. 18. ამიერიდან სპარსელ და მიდიელ მთავართა ცოლები, რომლებიც შეიტყობენ დედოფლის ამბავს, შეეპასუხებიან მეფის მთავრებს. ბევრი დამცირება და წყენა შეგვხვდება. 19. თუ მეფე ინებებს, გაიცეს მისგან სამეფო ბრძანება, ჩაიწეროს სპარსელთა და მიდიელთა რჯულში უცვალებელად, რომ აღარ შევიდეს ვაშთი მეფე ახაშვეროშის წინაშე. ხოლო მისი დედოფლობა მეფემ სხვას მისცეს, მასზე უკეთესს. 20. მოიკლის მეფის ბრძანება მთელს მის სამეფოს (თუმცა ვრცელია იგი) და ყველა ცოლი, აზნაური თუ მდაბიო, პატივისცემით მოეპყრობა თავის ქმარს. 21. მოეწონათ ეს სიტყვა მეფესა და მთავრებს. მემუქანის სიტყვისაებრ მოიქცა მეფე. 22. დაუგზავნა წერილები სამეფოს სამთავროებს, თითოეულ სამთავროს თავისი დამწერლობით და თითოეულ ხალხს თავის ენაზე, რომ ყოველი კაცი ბატონი ყოფილიყო თავის სახლში და თავისი ხალხის ენაზე ელაპარაკნა.

თავი მეოთხე

1. ამ ამბების შემდეგ, როცა დაუცხრა მეფე ახაშვეროშს რისხვა, გაიხსენა მან ვაშთი, მისი საქციელი და მასზე გამოტანილი განაჩენი. 2. თქვეს მეფის მხლებლებმა, მისმა მსახურებმა: მოუძებნონ მეფეს ლამაზი ყმაწვილი ქალები, 3. დააყენოს მეფემ ზედამხედველნი თავისი სამეფოს ყველა სამთავროში, რომ თავი მოუყარონ ყველა ლამაზ ყმაწვილ ქალს შუშანში, სატახტო ქალაქში, და ჩააბარონ სადიაცო სახლში მეფის საჭურისს დიაცთა მცველს, ჰეგეს, რომელიც დაურიგებს მათ ფერუმარილს. 4. ქალწულმა, რომელიც თვალში მოუვა მეფეს, იდედოფლის ვაშთის ნაცვლად. მოეწონა ნათქვამი მეფეს და ასე მოიქცა. 5. იყო ერთი იუდაელი კაცი შუშანში, სატახტო ქალაქში, სახელად მარდოქაი, ძე იაირისა, ძისა შიმყისა, ძისა კიშისა, ბენიამინელი, 6. რომელიც გადასახლებული იყო იერუსალიმიდან იექონიასთან, იუდას მეფესთან ერთად გადასახლებულთა შორის, რომელნიც ნაბუქოდონოსორმა, ბაბილონის მეფემ გადაასახლა. 7. მეურვეობდა იგი ჰადასას ანუ ესთერს, თავის ბიძაშვილს, რადგან არც მამა ჰყავდა მას, არც დედა. ტანადი და პირმშვენიერი იყო ყმაწვილი ქალი. როცა დედ-მამა დაეხოცა, იშვილა იგი მარდოქაიმ. 8. როცა გამოაცხადეს მეფის ბრძანება

და დადგენილება და თავი მოუყარეს უამრავ ყმაწვილ ქალს შუშანში, საბახტო ქალაქში, და ჩააბარეს ჰეგაის, მაშინ მიიყვანეს ესთერიც მეფის სახლში და ჩააბარეს ჰეგეს, დიაცთა მცველს. 9. მოეწონა მას ყმაწვილი ქალი, რომელმაც მადლი ჰპოვა მის თვალში; სასწრაფოდ მიაცემინა მისთვის ფერუმარილი და კუთვნილი წილი, მიაჩენინა შვიდი რჩეული მხევალი მეფის სახლიდან და მხევლებთან ერთად სადიაცო სახლის უკეთეს სადგომში გადაიყვანა. 10. არ გაუმჟღავნებია ესთერს თავისი ხალხი და სამშობლო, რადგან დაარიგა მარდოქაიმ, რომ არ გაემჟღავნებინა. 11. ყოველდღე ჩაივლიდა ხოლმე მარდოქაი სადიაცო სალის ეზოს წინ ესთერის ჯანმრთელობისა და ამბის გასაგებად. 12. როცა მოუწევდა ყმაწვილ ქალს რიგი მეფე ახაშვეროშთან შესასვლელად თორმეტი თვის ბოლოს, როგორც დაწესებული იყო ქალებისთვის (რადგან ამდენი ხანი სჭირდებოდა მათ დაზელვას: ექვსი თვე მირონის ზეთით და ექვსი თვე ბალსამონით და სხვა სადიაცო ნელსაცხებლებით), 13. მაშინ შევიდოდა ყმაწვილი ქალი მეფესთან. რაც არ უნდა მოეთხოვა, თან გაატანდნენ ხოლმე სადიაცო სახლიდან მეფის სახლში მიმავალს. 14. საღამო ხანს შედიოდა და დილით ბრუნდებოდა სხვა სადიაცო სახლში შაბგაზის, მეფის საჭურისის და ხარჭათა მცველის ხელქვეით. მეტჯერ აღარ შედიოდა მეფესთან, თუ არ ინებებდა მეფე მის დაძახებას, თუ სახელდებით არ დაუძახებდა. 15. როცა მოუწია ესთერს, მარდოქაის ბიძის, აბიხაილის ასულს, რომელიც ნაშვილები ჰყავდა მას, მეფესთან შესვლის რიგმა, არაფერი მოუთხოვია, გარდა იმისა, რაც დაწესებული ჰქონდა ჰეგესგან, მეფის საჭურისისა და დიაცთა მცველისგან. ყველა მისი მნახველის თვალში მადლი ჰქონდა ნაპოვნი ესთერს. 16. მიჰგვარეს ესთერი მეფე ახაშვეროშს მის სამეფო სახლში მეათე თვეს, ანუ ტებეთის თვეში, მისი მეფობის მეშვიდე წელს. 17. შეუყვარდა მეფეს ესთერი ყველა ქალზე უფრო, ყველა ქალწულზე მეტი მადლი და წყალობა ჰპოვა ესთერმა მის წინაშე და დაადგა თავზე სამეფო გვირგვინი მეფემ და ვაშთის ნაცვლად გაადედოფლა. 18. გაუმართა მეფემ დიდი ლხინი თავის მთავრებსა და მსახურებს ლხინი ესთერის სახელზე და შეუმსუბუქა ტვირთი სამთავროებს და მეფურად გასცა საჩუქრები. 19. როცა მეორეჯერ მოუყარეს თავი ქალწულებს, სამეფო კარიბჭესთან იჯდა მარდოქაი. 20. არ გაუმჟღავნებია ესთერს თავისი ხალხი და სამშობლო, როგორც დარიგებული იყო მარდოქისგან. ახლაც ისევე ასრულებდა ესთერი მარდოქაის სიტყვას, როგორც მაშინ, როცა მის მეურვეობაში იყო. 21. იმ ხანებში, როცა სამეფო კარიბჭესთან იჯდა მარდოქაი, გაცოფდნენ ბიგთანი და თერეში, მეფის ორი საჭურისი, ზღურბლის მცველები და მეფე ახაშვეროშზე ხელის აღმართვა განიზრახეს. 22. შეიტყო ეს ამბავი მარდოქაიმ და აცნობა დედოფალ ესთერს, ხოლო ესთერმა მარდოქაის სახელით მოახსენა მეფეს. 23. გამოძიებული იქნა საქმე, დადასტურდა და ორივენი ხეზე ჩამოკიდეს. ეს ყველაფერი ჩაიწერა მატიანის წიგნში მეფის თვალწინ.

თავი მესამე

1. ამ ამბების შემდეგ განადიდა მეფე ახაშვეროშმა ჰამან ჰამდათას ძე, აგაგიელი, აღაზევა და დაუდგა სავარძელი ყველა მთავარზე მაღლა, ვინც კი ჰყავდა. 2. მეფის ყველა მსახური, ვინც კი იყო სამეფო კარიბჭესთან, მუხლს იყრიდა და თაყვანს სცემდა ჰამანს, რადგან ასე ჰქონდა მასზე ნაბრძანები მეფეს. მაგრამ მარდოქაის არ მოუყრია მუხლი და არ უცია თაყ-

ვანი. 3. ეუბნებოდნენ მეფის მსახურნი, სამეფო კარიბჭესთან ვინც იყვნენ, მარდოქაის: რატომ არ ემორჩილები მეფის ბრძანებას? 4. ყოველდღე რომ ეუბნებოდნენ და ყურს არ უგდებდა მათ, შეატყობინეს ჰამანს, რათა ენახათ იდგებოდა თუ არა თავის სიტყვაზე მარდოქაი, რადგან ნათქვამი ჰქონდა მათთვის, რომ იუდაელი იყო. 5. დაინახა ჰამანმა, რომ მუხლს არ იყრიდა და თაყვანს არ სცემდა მას მარდოქაი, და რისხვით აღივსო ჰამანი. 6. იუკადრისა, მხოლოდ მარდოქაიზე აღემართა ხელი. რაკი მოახსენეს მარდოქაის გვარ-ტომი, გადაწყვიტა ჰამანმა მოესრა მთელი იუდაელობა, მარდოქაის ერი, ყველა ვინც კი ახაშვეროშის სამეფოში იყო. 7. პირველ თვეს, ანუ ნისანის თვეში, მეფე ახაშვეროშის მეთორმეტე წელს, დაიწყეს ფურის ანუ წილის ყრა ჰამანის თვალწინ და ყრიდნენ დღიდან დღემდე და თვიდან თვემდე, თორმეტ თვეს, ანუ ადარის თვემდე. 8. უთხრა ჰამანმა მეფე ახაშვეროშს: არის ერთი ხალხი, განთესილი და გაფანტული სხვა ხალხებს შორის შენი სამეფოს ყველა სამთავროში. მათი რჯული განსხვავდება ყველა ხალხის რჯულისგან და არ ასრულებენ მეფის კანონებს. არა ხამს მეფისთვის მათი დატოვება. 9. თუ მეფე ინებებს, გადაწყდეს მათი განადგურება. ათი ათას ქანქარ ვერცხლს მივუწონი ხელში მოხელეებს, რომ სამეფო ხაზინაში შეიტანონ. 10. წაიძრო მეფემ ხელიდან ბეჭედი და მისცა ჰამან მედათას ძეს, აგაგიელს, იუდაელთა მტერს. 11. უთხრა მეფემ ჰამანს: ვერცხლიც გეძლევა და ხალხიც. მოექეცი, როგორც გენებოს. 12. შეიყარნენ მეფის მდივნები პირველი თვის მეცამეტე დღეს და ყველაფერი ისე დაიწერა, როგორც ჰამანმა უბრძანა მეფის სატრაპებს, თითოეული სამთავროს განმგებელს, ყოველი ხალხის მთავრს, თითოეულ სამთავროს თავისი დამწერლობით და თითოეულ ხალხს თავის ენაზე. მეფე ახაშვეროშის სახელით დაიწერა და სამეფო ბეჭდით დაიბეჭდა. 13. დაგზავნა წერილები შიკრიკების ხელით მეფის ყველა სამთავროს, რომ გაეწყვიტათ, დაეხოცათ, მოესპოთ ყველა იუდაველი ყმაწვილიდან მოხუცამდე, დედა-წულიანად, ერთ დღეს, მეთორმეტე თვის ანუ ადარის მეცამეტე დღეს, და დაეტაცებინათ მათი ქონება. 14. ბრძანების პირი, როგორც კანონი, უნდა წაეღოთ ყველა სამთავროში და გამოეცხადებინათ მთელი ხალხისთვის, რათა მზად ყოფილიყვნენ ამ დღისთვის. 15. სასწრაფოდ წაიღეს შიკრიკებმა მეფის ბრძანება. გამოცხადდა თუ არა კანონი შუშანში, სატახტო ქალაქში, დასხდნენ პურობად მეფე და ჰამანი. შუშან-ქალაქი კი ტიროდა.

თავი მეოთხე

1. შეიტყო მარდოქაიმ ყველაფერი, რაც მოხდა. შემოიხია მარდოქაიმ სამოსელი, ჩაიცვა ჯვალო და თავზე ნაცარი დაიყარა, გავიდა შუაგულ ქალაქში და ხმამაღლა და მწარედ მოთქვამდა. 2. მივიდა სამეფო კარიბჭემდე, რადგან ჯვალოთი შემოსილს სამეფო კარიბჭეში შესვლა არ შეეძლო. 3. ყველა სამთავროში, ყველგან, სადაც კი მეფის ბრძანება და კანონი მივიდა, დიდი გლოვა ჰქონდათ იუდაელებს, მარხვა, ტირილი და გოდება. ჯვალო და ნაცარი ეგო ბევრს. 4. მივიდნენ ესთერთან მისი მოახლეები და საჭურისები და ყველაფერი უამბეს. დიდად შეშფოთდა დედოფალი. გაუგზავნა სამოსელი რომ შემოსილიყო მარდოქაი და გაეძრო ჯვალო, მაგრამ არ მიიღო. 5. იხმო ესთერმა ჰათაქი, მეფის საჭურისთაგანი; რომელიც მისთვის ჰყავდა მიჩენილი მეფეს, და უბრძანა წასულიყო მარდოქაისთან, რომ გაეგო მისგან ამბავი. 6. გავიდა ჰათაქი მარდოქაისთან ქალაქის მოედანზე, სამეფო კა-

რიბეის წინ რომ არის. 7. მოახსენა მარდოქაიმ ყველაფერი, რაც შეემთხვა, და იმ ვერცხლის ამბავიც, რომელიც უნდა შეეტანა ჰამანს სამეფო ხაზინაში იუდაელთა გასაწყვეტად. 8. დაწერილი კანონის პირიც, შუშანში რომ გამოვიდა მათ გასაწყვეტად, მისცა მას, რომ ეჩვენებინა ესთერისთვის და ეცნობებინა. დაავალა ესთერს, წასულიყო მეფესთან, რათა შევედრებოდა მას და პატიება გამოეთხოვა თავისი ხალხისთვის. 9. მოვიდა ჰათაქი და მოახსენა ესთერს მარდოქაის ნათქვამი. 10. უთხრა ესთერმა ჰათაქს და დაუბარა მარდოქაიასთან. 11. მეფის ყველა მსახურმა და მეფის სამთავროების ხალხმა იცის, რომ ყოველ კაცს თუ ქალს, ვინც კი დაუძახებლად შევა მეფესთან შიდა ეზოში, ერთი სასჯელი ელის — სიკვდილი. მხოლოდ ის გადარჩება, ვისკენაც თავის ოქროს კვერთხს გაიშვერს მეფე. მე კი ოცდაათი დღეა, რაც მეფეს არ დავუძახივარ. 12. მიუტანეს მარდოქაის ესთერის სიტყვები. 13. უთხრა პასუხად მარდოქაიმ ესთერს: ნუ ფიქრობ გულში, რომ შენ ერთი გადარჩები მეფის სახლში იუდაელთაგან. 14. რადგან თუ ახლა დაიდუმებ, სხვა მხრიდან მოვა იუდაელთა შველა და ხსნა, შენი მამისსახლი კი დაიღუპება. ვინ იცის, იქნებ ამ ჟამისთვის ეწიე დედოფლობას? 15. უთხრა პასუხად ესთერმა მარდოქაის: 16. წადი, თავი მოუყარე შუშანის მთელს იუდაველობას, იმარხულეთ ჩემთვის, არ ჭამოთ და არ სვათ სამ დღეს, არც დღისით, არც ღამით. მეც ვიმარხულებ ჩემს მხევლებთან ერთად, მერე კი წავალ მეფესთან, თუმცა წეწესი არ არის, თუ დავიღუპები, დავიღუპო. 17. წავიდა მარდოქაი და ყველაფერი ისე გააკეთა, როგორც ესთერმა დაარიგა.

თავი მეხუთე

1. მესამე დღეს დედოფალმა შეიმოსა ესთერი და მეფის სახლის შიდა ეზოში გაჩერდა, მეფის სახლის წინ. მეფე კი თავის სამეფო ტახტზე იჯდა სამეფო სახლში, შესასვლელის პირდაპირ. 2. როგორც კი დაინახა მეფემ ეზოში მდგარი დედოფალი ესთერი, მადლი ჰპოვა ესთერმა მის თვალში და გაიშვირა მეფემ მისკენ ოქროს კვერთხი, ხელში რომ ეჭირა. მიუახლოვდა ესთერი და შეეხო კვერთხის წვერს. 3. უთხრა მეფემ: რა იყო, დედოფალო ესთერ? რა სათხოვარი გაქვს? ნახევარი სამეფოც რომ იყოს, მოგეცემა. 4. თქვა ესთერმა: თუ მეფე ინებებს, მობრძანდნენ მეფე და ჰამანი დღეს ნადიმზე, რომელიც მოვუმზადე მას. 5. თქვა მეფემ: სასწრაფოდ დაუძახეთ ჰამანს, რომ შესრულდეს ესთერის სიტყვა. მივიდნენ მეფე და ჰამანი ნადიმზე, რომელიც გამზადებული ჰქონდა ესთერს. 6. უთხრა მეფემ ესთერს ღვინის სმის დროს: რა სათხოვარი გინდა რომ აგისრულდეს? რას მეხვეწები? ნახევარი სამეფოც რომ იყოს, მოგეცემა. 7. მიუგო ესთერმა და უთხრა: აი, ჩემი სათხოვარი და სახვეწარი: 8. თუ მადლი მიპოვნია მეფის თვალში და თუ მეფე ინებებს ჩემი სათხოვრის მოცემას და სახვეწარის ასრულებას, მოვიდნენ მეფე და ჰამანი ხვალ ნადიმზე, რომელსაც გავმართავ მათთვის. ხვალ გავაკეთებ მეფის სიტყვისამებრ, 9. გავიდა იმ დღეს ჰამანი მხიარული და კმაყოფილი, მაგრამ როგორც კი დაინახა ჰამანმა სამეფო კარიბჭესთან მჯდარი მარდოქაი, რომელიც არ ამდგარა და არც განძრეულა მის წინ, რისხვით აივსო ჰამანი მარდოქაის მიმართ. 10. მაგრამ თავი შეიკავა ჰამანმა. მივიდა სახლში და დაიბარა მეგობრები და ზერეში, თავისი ცოლი. 11. მოუყვა მათ ჰამანი თავისი დიდების, დოვლათისა და უამრავი შვილის ამბავს, როგორ განა-

დიდა იგი მეფემ და როგორ აღაზევა სხვა მთავრებზე, მეფის მსახურებზე. 12. თქვა ჰამანმა: არავინ მოუწვევია ესთერ დედოფალს მეფესთან ერთად გამზადებულ ნადიმზე ჩემს მეტი. ხვალაც მიწვეული ვარ მეფესთან ერთად. 13. ეს ყველაფერი არად მიჩანს, ვიდრე იუდაელ მარდოქაის ვხედავ სამეფო კარიბჭესთან მჯდარს. 14. უთხრეს მას ზერეშმა, მისმა ცოლმა და მეგობრებმა დაამზადებინეს ორმოცდაათ-წყრთიანი ძელი და დილით უთხარი მეფეს, მასზე გამოჰკიდონ მარდოქაი. მერე გულმხიარულად წადი მეფესთან ერთად ნადიმზე. მოეწონა ეს სიტყვა ჰამანს და დაამზადებინა ძელი.

თავი მეექვსე

1. იმ ღამით ძილი გაუტყდა მეფეს. მოატანინა სამახსოვრო წიგნი — მატიანე და უკითხავდნენ მეფეს. 2. აღმოჩნდა ჩაწერილი, როგორ ამხილა მარდოქაიმ ბიგთანა და თერეში, მეფის ორი საჭურისი, ზღურბლის მცველნი, რომელთაც მეფე ახაშვეროშზე ხელის აღმართვა ჰქონდათ განზრახული. 3. თქვა მეფემ: რა პატივი და დიდება ხვდა ამისთვის მარდოქაის? მიუგეს მეფეს მისმა მსახურებმა: არაფერი ხვდომია. 4. თქვა მეფემ: ვინ არის ეზოში? ჰამანი იყო მოსული მეფის სახლის გარეთა ეზოში, იმის სათქმელად, რომ ჩამოეკიდათ მარდოქაი მისთვის გამზადებულ ძელზე. 5. უთხრეს მეფეს მისმა მსახურებმა: აჰა, ჰამანი დგას ეზოში. თქვა მეფემ: შემოვიდეს. 6 შევიდა ჰამანი. უთხრა მას მეფემ: რა უნდა გავუკეთოთ კაცს, ვისი პატივიც სურს მეფეს? თქვა გულში ჰამანმა: ვისი პატივი უნდა სურდეს მეფეს, თუ არა ჩემი? 7. უთხრა ჰამანმა მეფეს: იმ კაცს, ვისი პატივიც სურს მეფეს, 8. მიართვან სამეფო შესამოსელი, რაც ემოსა მეფეს, და ცხენი, რაზედაც იჯდა მეფე, როცა სამეფო გვირგვინი დადგეს თავზე. 9. მიართვან შესამოსელი და ცხენი მეფის უპირველესი კარისკაცის ხელით. შემოსონ ის კაცი, ვისი პატივიც სურს მეფეს, მიიყვანონ ცხენით ქალაქის მოედანზე და გამოაცხადონ მის წინაშე: ასე ექცევიან იმ კაცს, ვისი პატივიც სურს მეფეს! 10. უთხრა ჰამანს მეფემ: სასწრაფოდ აიღე შესამოსელი და ცხენი, როგორც თქვი, და მოექეცი ასე მარდოქაის, იუდაველს, სამეფო კარიბჭესთან რომ ზის. არაფერი დააკლო შენს ნათქვამს. 11. აიღო ჰამანმა შესამოსელი და ცხენი, შეიმოსა მარდოქაი, გაიყვანა ცხენით ქალაქის მოედანზე და გამოაცხადა მის წინაშე: ასე ექცევიან იმ კაცს, ვისი პატივიც სურს მეფეს! 12. დაბრუნდა მარდოქაი სამეფო კარიბჭესთან. ჰამანი კი გაეშურა შინისკენ, დამწუხრებული და თავჩაქინდრული. 13. უამბო ჰამანამ ზერეშს, თავის ცოლს, და მეგობრებს ყველაფერი, რაც შეემთხვა. უთხრეს მისმა ბრძენკაცებმა და ზერეშმა, მისმა ცოლმა: თუ იუდაელთა მოდგმის არის მარდოქაი, რომლის გამოც ემხობი, ვერ დასძლევ მას, არამედ ნამდვილად დაემხობი მის წინაშე. 14. ამას ეუბნებოდნენ, რომ მოვიდნენ მეფის საჭურისები და დააჩქარეს ჰამანი, წასულიყო ესთერის მომზადებულ ნადიმზე.

თავი მეშვიდე

1. მივიდნენ მეფე და ჰამანი სანადიმოდ ესთერ დედოფალთან. 2. უთხრა მეფემ ესთერს მეორე დღესაც, ღვინის სმის დროს: რა გაქვს სათხოვარი, ესთერ დედოფალო? მოგეცემა. რა გაქვს სახვეწარი? ნახევარი სამეფოც რომ იყოს, აგისრულდება. 3. თქვა პასუხად ესთერ დედოაფლმა: თუ მადლი მიპოვნია შენს თვალში, მეფევ, და თუ ინებებს მეფე, მომეცეს ჩემი სი-

ცოცხლე ჩემს სათხოვარში და ჩემი ერი ჩემს სახვეწარში. 4. რადგან გაყიდული ვართ მე და ჩემი ერი დასაღუპად, ამოსაწყვეტად და მოსასპობად. მონებად და მხევლებად რომ გავყიდულიყავით, დავიდუმებდი, მაგრამ მტერი ვერ აანაზღაურებს მეფის ზარალს. 5. თქვა მეფე ახაშვეროშმა და ჰკითხა ესთერ დედოფალს: ვინ არის იგი და სად არის, ვინც გაბედა ეს საქმე? 6. თქვა ესთერმა: მტერია და მოძულე. ორგული კაცია ეს ბოროტი ჰამანი. შედრკა ჰამანი მეფისა და დედოფლის წინაშე. 7. ადგა მეფე ნადიმიდან განრისხებული და გავიდა სასახლის ბაღში. ხოლო ჰამანი დარჩა, რათა პატიება გამოეთხოვა ესთერ დედოფლისგან, რადგან ხედავდა, რომ ავი ხვედრი ელოდა მეფისგან. 8. როცა სასახლის ბაღიდან სანადიმო დარბაზში დაბრუნდა მეფე, დამხობილი დახვდა ჰამანი საწოლზე, რომელზეც ესთერი იყო. თქვა მეფემ: დედოფალზეც რომ ძალადობს ჩემთან სახლში! სიტყვა დასცდა მეფის ბაგეს და დაუფარეს სახე ჰამანს. 9. თქვა ხარბონამ, საჭურისთაგანმა, მეფის კარისკაცმა: აჰა, ჰამანის სახლში დგას ის ძელიც, ჰამანმა რომ მოუმზადა მარდოქაის, მეფეზე კარგის მოლაპარაკეს. ორმოცდაათი წყრთაა სიმაღლით. თქვა მეფემ: მასზე ჩამოაღრჩვეთ. 10. ჩამოაღრჩვეს ჰამანი იმ ძელზე, მარდოქაისთვის რომ ჰქონდა გამზადებული, და დაცხრა მეფის რისხვა.

თავი მერვე

1. იმ დღეს მისცა მეფე ახაშვეროშმა ესთერ დედოფალს ჰამანის სახლი, იუდაელთა მტრისა. მარდოქაი კი ეახლა მეფეს, რადგან გაუმჟღავნა ესთერმა, თუ რა იყო იგი მისი. 2. მოიძრო მეფემ ბეჭედი, ჰამანისთვის წართმეული, და მისცა მარდოქაის. ხოლო ესთერმა ჰამანის სახლის ზედამხედველად დაადგინა მარდოქაი. 3. კვლავ ელაპარაკა მეფეს ესთერი, დაემხო მის ფეხქვეშ და ატირდა. ემუდარებოდა გაეუქმებინა ჰამან აგაგელის სიავე და განზრახვა რომელიც იუდაელთა წინააღმდეგ ჰქონდა განზრახული. 4. გაიშვირა მეფემ კვერთხი ესთერისკენ და წამოდგა ესთერი და დადგა მეფის წინაშე. 5. თქვა: თუ მეფე ინებებს, თუ მადლი მიპოვნია მის წინაშე, თუ მოსაწონია ეს საქმე მეფისათვის და მეც კეთილად ვჩანვარ მის თვალში, უკანვე იქნას გამოთხოვილი წერილები, ჰამან ჰამდათას ძის, აგაგელის განზრახვა, რომელიც დაწერა მან მეფის ყველა სამთავროში მცხოვრები იუდაელების მოსასპობად. 6. რადგან, როგორ ვუყურო უბედურებას, რაც ჩემს ერს უნდა შეემთხვას? როგორ ვუყურო ჩემი მშობლიური ხალხის განადგურებას? 7. უთხრა მეფე ახაშვეროშმა ესთერ დედოფალს და მარდოქაის, იუდაელს: აჰა, ხომ მივეცი ესთერს ჰამანის სახლი, თავად კი ხეზე ჩამოკიდე, რადგან იუდაელებზე აპირებდა ხელის აღმართვას. 8. ახლა დაწერეთ, რაც გინდათ დაწერეთ იუდაელთა გამო მეფის სახელით და სამეფო ბეჭდით დაბეჭდეთ, რადგან არ შეიცვლება მეფის სახელით დაწერილი და სამეფო ბეჭდით დაბეჭდილი წერილი. 9. მაშინ დაუძახეს მეფის მწერლებს სივანის თვის ოცდამესამე დღეს და ყველაფერი ისე დაიწერა, როგორც უბრძანა მარდოქაიმ იუდაველებს, სატრაპებს, მხარეთა განმგებლებსა და მთავრებს ინდოეთიდან ქუშამდე, ასოცდაშვიდ სამთავროს, ყოველ სამთავროს თავისი დამწერლობით და ყოველ ხალხს თავის ენაზე, იუდაელებსაც თავიანთი დამწერილობით და თავიანთ ენაზე. 10. დაწერა მეფე ახაშვეროშის სახელით, დაბეჭდა სამეფო ბეჭდით და დააგზავნა წერილები ცხენოსანი შიკრიკების, სახელმწიფო ცხენსაშენში ნაშობ რაშებზე ამხედრებულთა ხელით, 11. რომ მეფე ნებას აძლევს იუდაელებს,

რომელ ქალაქშიც არ უნდა იყვნენ, შეიკრიბონ და დაიცვან თავი, მოსპონ, დახოცონ, გაწყვიტონ ვინც კი არის ძლიერი ხალხში და სამთავროში, ვინც ავიწროებს მათ და მათ ცოლ-შვილს, და ნადავლად წაიღონ მათი ქონება, **12.** ერთი დღის მანძილზე მეფე ახაშვეროშის ყველა სამთავროში, მეთორმეტე თვის ანუ ადარის მეცამეტე დღეს. **13.** წერილის პირი უნდა გაეცათ როგორც კანონი ყველა სამთავროში, ხალხისთვის გამოსაცხადებლად, რომ მზად ყოფილიყვნენ იუდაელები ამ დღისთვის მტრის შურის საძიებლად. **14.** სახელმწიფო რაშებზე ამხედრებულმა შიკრიკებმა სწრაფად მიმოატარეს მეფის ბრძანება. კანონი კი შუშანში სატახტოში გამოცხადდა. **15.** გამოვიდა მარდოქაი მეფისგან ლურჯი და თეთრი ფერის სამეფო შესამოსელში, ოქროს დიდი გვირგვინით, ბისონისა და ძოწეული მოსასხამით. ყიჟინებდა და ხარობდა შუშან-ქალაქი. **16.** იუდაელთათვის ნათელი, სიხარული, შვება და ლხენა იყო. **17.** ყველა სამთავროში, ყველა ქალაქში, ყველგან, სადაც კი მივიდა მეფის ბრძანება და კანონი, სიხარული და შვება ჰქონდათ იუდეველებს, ლხინი და დღესასწაული. ქვეყნის ბევრი ხალხი გაიუდაელდა, რადგან იუდაელთა შიშმა მოიცვა ისინი.

თავი მეცხრე

1. მეთორმეტე თვის ანუ ადარის მეცამეტე დღეს, როცა მოაწია მეფის ბრძანებისა და კანონის აღსრულების ჟამმა (იმ დღეს, როცა იუდაელთა მტრები აპირებდნენ მათ ძლევას, თუმცა პირუკუ კი მოხდა, იუდაელებმა ძლიეს თავიანთ მოძულეთ), **2.** შეიკრიბნენ იუდაელნი თავთავის ქალალაქებში, მეფე ახაშვეროშის ყველა სამთავროში, რათა ხელი აღემართათ თავიანთ მოსისხლეებზე. ვერავინ დაუდგა მათ წინ, რადგან მათმა შიშმა მოიცვა ყოველი ხალხი. **3.** მხარეთა მთავრებმა, სატრაპებმა, განმგებლებმა და სამეფო საქმეთა აღმსრულებლებმა პატივი მიაგეს იუდაელებს, რადგან მარდოქაის შიშისზარით იყვნენ მოცულნი. **4.** რადგან დიდი იყო მარდოქაი მეფის სასახლეში და მისწვდა მისი ამბავი ყველა სამთავროს, რადგან უფრო და უფრო დიდი ხდებოდა ეს კაცი, მარდოქაი. **5.** დასცხეს მტრებს იუდაელებმა, გაწყვიტეს მახვილით და მოსპეს, როგორც უნდოდათ, ისე მოექცნენ თავიანთ მოძულეებს. **6.** შუშანში, სატახტოში დახოცეს და მოსპეს იუდაელებმა ხუთასი კაცი. **7.** ფარშანდაია, დალფონ და ასფათა, **8.** ფორათა, ადალია და არიდათა, **9.** ფარმაშთა, არისაი, არიდაი და იეზათა. **10.** დახოცეს ჰამან ამადათას, იუდაელთა მტრის, ათი შვილი, მაგრამ გასაძარცვად ხელი არ აღუმართავთ. **11.** იმავე დღეს მიუვიდა შუშანში, სატახტოში, მეფეს დახოცილთა სია. **12.** უთხრა მეფემ ესთერ დედოფალს: ხუთასი კაცი და ჰამანის ათი ვაჟიშვილი გაწყვიტეს და მოსპეს იუდაელებმა შუშანში, სატახტოში, მეფის სხვა სამთავროებში რაღას იზამდნენ? რა სათხოვარი გაქვს? მოგეცემა. კიდევ რა სახვეწარი გაქვს? აგისრულდება. **13.** თქვა ესთერმა: თუ მეფე ინებებს, ხვალაც დაანებონ შუშანელ იუდაელებს იმის გაკეთება, რაც დღეს გააკეთეს. ხეზე ჩამოჰკიდონ ჰამანის ვაჟები. **14.** თქვა მეფემ: იყოს ასე. გამოცხადდა განკარგულება შუშანში და ჩამოჰკიდეს ჰამანის ათი ვაჟი. **15.** შეიკრიბნენ შუშანელი იუდაელები ადარის თვეშიც, მეთოთხმეტე დღეს, და გაწყვიტეს შუშანში ასი კაცი. გასაძარცვად კი ხელი არ აღუმართავთ. **16.** შეიკრიბნენ დანარჩენი იუდაელნი, მეფის სამთავროებში რომ იყვნენ, და დადგნენ თავის დასაცავად, რომ მოესვენათ მტრებისგან, და ამოხოცეს თავიანთი მოძულენი — სამოცდათხუთმეტი ათასი კაცი. მაგრამ გასა-

ძარცვად ხელი არ აღუმართავთ. 17. ეს იყო ადარის თვის მეცამეტე დღეს. მეთოთხმეტე დღეს კი მოისვენეს და ლხინისა და სიხარულის დღედ აქციეს ეს დღე. 18. იკრიბებობდნენ შუშანის იუდაელები მეცამეტე და მეთოთხმეტე დღეს, ხოლო მეთხუთმეტე დღეს ისვენებდნენ, ლხინისა და სიხარულის დღედ გახადეს. 19. ამიტომ არის, რომ სოფლელი იუდაელებისათვის, რომლებიც უგალავნო დაბებში ცხოვრობენ, ადარის მეთოთხმეტე დღე სიხარულისა და ლხინის, ზეიმისა და ერთმანეთისთვის საჩუქრების დაგზავნის დღეა. 20. დაწერა ეს ამბები მარდოქაიმ და დაუგზავნა წერილები ყველა იუდაელს, მეფე ახაშვეროშის ყველა სამთავროში მცხოვრებს, ახლო მყოფს და შორს მყოფს, 21. რომ დაეწესებინათ ყოველწლიური ზეიმი ადარის თოთხმეტსა და თხუთმეტში, 22. რაც დღეებშიც მოისვენეს იუდაელებმა მტრებისაგან და რა თვეშიც მწუხარება სიხარულით შეეცვალათ და გლოვა—ზეიმად, რათა ექციათ ეს დღეები ლხინისა და სიხარულის დღეებად ერთმანეთისთვის საჩუქრების გაგზავნისა და ღარიბ-ღატაკთა მოკითხვის დღეებად. 23. მიიღეს იუდაელებმა, რისი გაკეთებაც თავად დაიწყეს და რასაც სწერდა მათ მარდოქაი, 24. როგორ ჩაიფიქრა ჰამან ჰამდათას ძემ, აგაგიელმა, მთელი იუდაელობის მტერმა, იუდაელების დაღუპვა და ჰყარა ფური ანუ წილი მათ ჩასაწყვეტად და გასანადგურებლად, 25. როგორ წარუდგა ესთერი მეფეს და ბრძანა მეფემ წერილობით: მის თავზე ეოიქცეს ავი განზრახვა, რაც იუდაელებზე ჰქონდა ჩაფიქრებული. და ხეზე ჩამოჰკიდეს იგი და მისი ვაჟიშვილები. 26. ამიტომაც უწოდეს ამ დღეებს ფურიმი, ფურის (ანუ წილის) სახელი. ამიტომაც თანახმად ამ წერილის სიტყვებისა და საკუთარი თვალით ნანახისა, თანახმად იმისა, რაც მათ შეემთხვათ, 27. დაადგინეს და დაუწესეს იუდაელებმა თავიანთ თავს, თავის შთამომავლობას და ყველას, მათთან შეკედლებულს, რომ არ შეწყვიტათ ეს ორდღიანი ზეიმი ყოველწლიურად, დათქმულ დროს, დაწერილისამებრ. 28. ხსომებოდათ ეს დღეები და ეზეიმათ ყოველ თაობაში, ყოველ საგვარეულოში, ყოველ სამთავროში და ყოველ ქალაქში. ფურიმის დღეები ყოფილიყო ეს დღეები, არ გაუქმებულიყო იუდაელთა შორის და არ გამქრალიყო შთამომვლობაში მათი ხსოვნა. 29. დაჟინებით წერდნენ დედოფალი ესთერ აბიხაილის ასული და იუდაელი მარდოქაი, რომ შეეასრულებინათ ეს მეორე წერილი ფურიმის თაობაზე. 30. დაუგზავნა წერილები მთელს იუდაელობას ახაშვეროშის სამეფოს ასოცდაშვიდ სამთავროში, მშვიდობისა და სიმტკიცის სიტყვები, 31. რათა დაეცვათ ფურიმის ეს დღეები განსაზღვრულ დროს, როგორც დაუწესეს მათ იუდაელმა მარდოქაიმ და ესთერ დედოფალმა და როგორც თავად მათ დაუწესეს თავიანთ თავსა და თავიანთ შთამომავლობას — მარხვისა და მოთქმის დღეები. 32. ესთერის ბრძანებამ დააწესა ეს ფურიმი და წიგნშიც ჩაიწერა.

თავი მეათე

1. დადო ხარკი მეფე ახაშვეროშმა ქვეყანას და ზღვის კუნძულებს. 2. ნისი სიქველისა და გმირობის საქმე, მარდოქაის დიდების ამბავი, როგორ განადიდა იგი მეფემ, მიდიელ და სპარსელ მეფეთა მატიანეშია ჩაწერილი. 3. რადგან იუდაელი მარდოქაი მეორე კაცი იყო მეფე ახაშვეროშის შემდეგ, იუდაელთა შორის განდიდებული და დაფასებული თავის მრავალრიცხოვან მოძმეთა შორის, სიკეთის მაძიებელი თავისი ერისათვის და სიტყვის შემწევი მთელი თავისი მოდგმის სამშვიდობოდ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გურამ ფანჯიკიძე

ეშმაკის ბორბალი

რომანი

თავი მეთერთმეტე

1

ივლისის ცხელი დღე გათენდა. თბილისს თითქოს დილიდანვე ცეცხლი მოედო. ორპირი ქარიც ვერაფერს შველოდა. ჰაერი არა და არ იძროდა.

არჩილ გორდელმა შვიდ საათზე გაიღვიძა. წამოდგომა სცადა, ვერ შეძლო. წუხანდელმა ქეიფმა თავისი გაიტანა. გვერდი იცვალა და კვლავ ძილს მიეცა.

წუხელ გამოსაშვები საღამო ჰქონდათ, მეგობრებმა, ჩვეულებისამებრ თამადად აირჩიეს, თავი არ დაუზოგავს. შინ როგორ მოვიდა, არ ახსოვდა.

არჩილის საწოლ ოთახში ქეთევანი შემოვიდა, შვილს პირსახოცით ოფლიანი სახე სიყვარულით შეუმშრალა და ყურში ისე ნაზად ჩასჩურჩულა, გაიღვიძეო, თითქოს შვილის გაღვიძებისა ეშინოდა.

— შვილო, უკვე ცხრა საათია!

არჩილმა თვალები გააზილა და სივრცეს უაზროდ შეხედა.

— მერე რა, რომ ცხრა საათია, — წარმოსთქვა გაოცებულმა, — დღეიდან ხომ მაინც აღარ მაქვს ლექციები და გამოცდები.

უცებ გაახსენდა, ღამის სამ საათზე, დაწოლის წინ დედას რომ უთხრა, ცხრა საათზე უეჭველად გამაღვიძეო.

„რატომ ვუთხარი? რა საქმე მაქვს ცხრა საათზე?! — ფიქრობდა გაოცებული, — იქნებ სადმე ვარ წასასვლელი?“

ვერაფერი გაიხსენა და კედლისკენ გადაბრუნდა. ველარ დაიძინა. ბევრს ეწვალა, მაინც ვერ გაიხსენა, დედას რატომ სთხოვა, დილის ცხრა საათზე გამაღვიძეო. თხოვნის მომენტი კი ნათლად აღიდგინა გონებაში. დაწოლის წინ დედას შუბლზე აკოცა და უთხრა, დილის ცხრა საათზე უეჭველად გამაღვიძეო. მაინც რატომ? რისთვის? ბიჭებმა ნამცეცობა ორი საათიდან და-

გაგრძელება იხ. „მნათობი“, № 2.

თქვეს, მანამდე კარგად გამოვიძინოთო. აბა, ეს ცხრა საათი საიდანღა გამოტყვრა?

— შვილო, უკვე ათის თხუთმეტი წუთია! — შემოესმა დედის ხმა.

— ჰო, ავდგები, ჩაი გამიმზადე!

არჩილი ლოგინზე წამოჯდა და თავი ხელებში ჩარგო. ასე იჯდა კარგახანს. მერე უცებ თავი ასწია, ენერგიულად გაიქნ-გამოიქნია, თითქოს რაღაცას იშორებსო, ფეხზე წამოდგა, გაიზმორა და საბაზანოსაკენ გაემართა.

— ჩაი სად მოგიტანო? — ჰკითხა დედამ.

— სასტუმრო ოთახში, ინჟინერ კაცს სამზარეულოში ხომ არ მასაუზმებ! — გახუმრება სცადა ღვინისაგან თავგასიებულმა არჩილმა.

უცებ ტელეფონის ზარის ხმა გაისმა.

„ვინ ჯანდაბა უნდა იყოს!“ — წამოდგომა შეეზარა და ტელეფონისაკენ უმწეოდ გაიხედა.

ზარი განმეორდა.

არჩილი უკან შემობრუნდა და ტელეფონთან მივიდა.

— გისმენთ!

— არჩილ, გამარჯობა!

არჩილმა იცნო სოსო ხომერიკის ხმა და ენა ჩაუვარდა.

— ალო, არჩილ, ისმის?

— დიახ, გისმენთ! — ისე თქვა არჩილმა, თითქოს ვერ იცნო მეგობრის ხმა.

ოთახში შემოსულმა დედამ უმალვე შენიშნა შვილის მღელვარება. ადგილზე გაშეშდა და არჩილს შეშფოთებული მიაჩერდა.

— არჩილ, გამარჯობა, სოსო ვარ!

გულის სიღრმეში აკიაფებული იმედი, იქნებ ხმა წავამსგავსე და სოსო ხომერიკი კი არა, სხვა ვინმე მირეკავსო, უმალვე ჩაქრა. ნირშეცვლილმა მემბრანას ხელი დააფარა და დედას ანიშნა, გადი, ნუ მისმენო.

კიდევ უფრო შეშინებული ქალი სამზარეულოში გავიდა.

— რომელი სოსო? — იკითხა მექანიკურად. იქნებ გამიზნულადაც. უნდა გონს მოსულიყო, დამშვიდებულიყო.

— სოსო ვარ, ხომერიკი.

— გისმენ! — თქვა საკმაოდ ცივად.

— საქმე მაქვს შენთან. როდის გცალია? მაქსიმუმ ათიოდე წუთში გეტყვი ჩემს სათქმელს.

— საქმე?!

— ჰო, საქმე! იქნებ გამოხვიდე. სადაც შენ გინდა, იქ მოვალ, როცა შენ გინდა, მაშინ მოვალ!

— სა-ად? — წარმოთქვა არჩილმა უხალისოდ და დაფიქრდა.

„ნეტავ რა უნდა? ასე ზრდილობიანად რატომ მელაპარაკება?“ — ფიქრობდა გაოცებული და სულ დაავიწყდა, სოსო რომ პასუხს ელოდებოდა.

— არჩილ! — შეახსენა სოსომ თავი.

— გისმენ!

— ვერ გაიგონე, რა გთხოვე?

— გავიგონე, მაგრამ ჯერ პასუხი ვერ მოვიფიქრე... იქნებ ერთი საათის შემდეგ შევხვდეთ, აქვე, სადმე ახლოს... არა, ბოდიშს ვიხდი, ერთი საათის შემდეგ არა... სხვა საქმე მაქვს. ახლავე გეტყვი, სად და როდის...

„რატომ უნდა ეგონოს, რომ ცნობისმოყვარეობამ შემიპყრო?“ — ფიქრობდა არჩილი და პასუხს კვლავ აგვიანებდა.

— იცი, როდის? პირველზე, არა, ორის ნახევარზე.

— ნება შენია! — ჩაეცინა სოსოს.

არჩილ გორდელი ინტონაციაზე ვერ მიხვდა, სოსომ დაცინვით წარმოსთქვა ნება შენიაო, თუ უბრალოდ, ზრდილობისათვის ჩაიცინა.

— ჰო, ორის ნახევარზე, იცი, სად?

— არ ვიცი! — კვლავ ჩაიცინა სოსომ.

— ახლავე გეტყვი. მე ორ საათზე ვაკეში უნდა ვიყო ერთ ადგილზე. ორის ნახევარზე, თუ გინდა, ორის თხუთმეტ წუთზე უნივერსიტეტთან ვიქნები. შევთანხმდით?

— შევთანხმდით. — სოსომ ყურმილი დაკიდა.

არჩილ გორდელს ტელეფონის წყვეტილი ზუმერი კარგა ხანია ყურში ჩაესმოდა, ყურმილს მაინც არ ჰკიდებდა, გაქვავებული იდგა და რაღაცას ფიქრობდა.

— რა იყო, შვილო, მოხდა რამე? — ჰკითხა დედამ.

— არჩილი გამოერკვა, ყურმილი ბერკეტზე დადო და დედას გაუცინა.

— სოსომ დამირეკა.

— რომელმა სოსომ?

— ხომერიკმა. სოსო ხომერიკმა. სოსო აღარ გახსოვს? — შეეცადა უდარდელი ხმით წარმოეთქვა ყოფილი მეგობრის სახელი და გვარი.

— რამდენი ხანია, სოსოს ჩვენთან არ გამოუვლია და არც დაურეკია. ხომ არაფერი გიწყენინებია?

— რა უნდა მეწყენინებინა?! — ვითომ უდარდელი ხმით გაიცინა არჩილმა.

უცებ ქეთევანს ჭიქა ხელიდან გაუვარდა და ნამსხვრევებად იქცა.

— რა იყო, დედა!

— არაფერი, შვილო, ჭიქა გამივარდა ხელიდან.

— გაფითრებული რატომ ხარ? — ჰკითხა არჩილმა და უმალვე ინანა. მიხვდა, დედის გულმა რაღაც იაზრა. ბუნებრივია, გაახსენდა 1952 წლის ოქტომბრის ღამე, თბილისიდან ხალხი რომ გაასახლეს. თვალწინ დაუდგა, შუაღამისას სოსო ხომერიკმა რომ მოაკითხა არჩილს. ისიც გაახსენდა, არჩილის საწოლ ოთახში შეკეტილები რაღაცაზე რომ საუბრობდნენ. საბრალო ქალმა ალბათ ახლაღა გაითვითცნობიერა, მას შემდეგ სოსოს ფეხი რომ აღარ დაუდგამს გორდელების ოჯახში.

„რა მოხდა? იმ ღამეს რატომ საუბრობდნენ შეშფოთებულები, ან დღეს რატომ დაურეკა? რამე კავშირი ხომ არ არის იმ ღამესა და დღევანდელ დღეს შორის?“

მთელი სიცოცხლე შიშით ნაცხოვრები ქალის გამძაფრებული ინტუიცია ამჯერადაც არ ღალატობდა. შეკითხვები ერთბაშად წამოიშალნენ ყველა მხრიდან. იცოდა, შვილი არაფერს ეტყოდა, ამიტომაც მისჩერებოდა არჩილს დაკვირვებით. უნდოდა შვილის ყალბ სიცილში, ვითომ მხიარულ გამოხედვაში, მაგრამ მხიარული გამოხედვისათვის მეტისმეტად შეუფერებელ სევდიან თვალებში ამოეკითხა, არჩილს საფრთხე ხომ არაფერი ელოდა.

— დედა! ასე დაჟინებით ნუ მომჩერებიხარ!

— მეტი აღარ შემიძლია, არჩილ! ‘ცოტაც და გავგიჟდები!

— არაფერია, დედა, ორის თხუთმეტ წუთზე უნდა შევხვდე უნივერსიტეტთან, იქიდან ნამცეცობაზე მივდივარ ვაკეში.

— სად იყო აქამდე, რატომ არ ჩანდა, ან ახლა რატომ გირეკავს?

— დედა, ბოლოს და ბოლოს, პატარა ხომ აღარა ვარ! არის ამბები, შვილები რომ დედას არ უმხელენ. უფრო სწორად, ეუხერხულებათ და ვერასდროს ვერ მოუყვებიან. ერთს კი გეტყვი, შეგიძლია სავსებით მშვიდად იყო. შენს შვილს იოტისოდენა საფრთხეც კი არ ელის. არც პოლიტიკური, არც სამოქალაქო. გასაგებია? — გაიცინა თავისი ხუმრობით კმაყოფილმა არჩილმა.

ქეთევანს გულზე მოეშვა. ამჯერად შვილის სიცილში ვერ შენიშნა ყალბი ნოტები.

2

ორის ოც წუთზე უნივერსიტეტის ეზოს შესასვლელთან მომლოდინე სოსო ხომერიკმა შორიდანვე შენიშნა არჩილ გორდელი.

არჩილმა ხუთი წუთი დააგვიანა. დაგვიანა განგებ. კიდევ ერთხელ უნდოდა ხაზი გაესვა, მაინცდამაინც არ აინტერესებდა, სოსო რისთვის იბარებდა. თითქოს ყველაფერი წარსულს ეკუთვნოდა. თანაც არა უბრალოდ წარსულს, არამედ წარსულს, რომლითაც ცხოვრების ერთი მნიშვნელოვანი ეტაპი სა-

ბოლოოდ დასრულდა და უმალვე მეორე დაიწყო.

— გამარჯობა, სოსო! — არჩილმა ყოფილ მეგობარს ხელი ენერგიულად გაუწოდა. თავიდანვე უნდოდა ხაზი გაესვა, რომ ის უკვე სხვა არჩილი იყო, სხვა პიროვნება, სხვა კაცი, რომელსაც საერთო აღარაფერი ჰქონდა იმ საბედისწერო ღამინდელ არჩილ გორდელთან.

— გამარჯობა! ხომ არ სჯობია, ბაღში შევიდეთ? — ჰკითხა სოსომ.

— სადაც გინდა, იქ შევიდეთ! — უდარდელად და ხალისიანად წარმოსთქვა არჩილმა. თან საათს დახედა. — შეთანხმებისამებრ, ათ წუთში ხომ ჩავეტევით, ორ საათზე გამოსაშვები საღამოს ბანკეტს ვაგრძელებთ. ვაკეში უნდა ვიყო, ერთ ოჯახში.

სოსო ხომერიკს არჩილის არცერთი ყალბი გრიმასი არ ეამოჰპარვია და სახეზე ირონიულმა ღიმილმა გადაურბინა.

— არ იფიქრო, ჩემს საქმეზე დაგიძახე. თუ გეჩქარება, შეგიძლია, ახლავე წახვიდე.

სოსო ხომერიკის დამცინავმა კილომ არჩილი ერთბაშად მოტეხა.

— საწყენად არაფერი მითქვამს! განა შენ თვითონ არ თქვი, ჩემს სათქმელს ათ წუთში ჩავტევო?

— ხუთ წუთშიც შემიძლია, დროს თუ ტყუილად არ დავკარგავთ.

ბედად, უნივერსიტეტის ეზოს მყუდრო კუთხეში თავისუფალი სკამი იპოვეს. არჩილმა ჯიბიდან სიგარეტი ამოიღო და მეგობარს გაუწოდა.

— არ ვეწევი! — მოკლედ მოუჭრა სოსომ.

— როდის დაანებე თავი?

— არასდროს არ ვეწეოდი.

— მართლა? — გაოცდა არჩილი.

ყალბი იყო არჩილ გორდელის გაოცება. მშვენივრად იცოდა, სოსო სიგარეტს არასდროს არ ეწეოდა. მისი გულმავიწყობა წინასწარ გათვლილი მანევრი იყო. უნდოდა ყოფილი მეგობარი დაერწმუნებინა, რომ იგი მისთვის აღარაფერს აღარ ნიშნავდა და კარგა ხნის დავიწყებულიც ყოფილა.

— წარმოიდგინე, რომ მართლა არასდროს არ ვეწეოდი!

არჩილის გაწაფულმა ყურმა იოლად შეიგრძნო სოსო ხომერიკის დამცინავი ინტონაცია. მიხვდა, ყოფილმა მეგობარმა მის მიერ შინ მომზადებულ ყოველ სვლას სწორი საპასუხო სვლები შეაგება. უცებ გადაწყვიტა, თავი ოფიციალურად დაეჭირა.

— გისმენ!

— ძალიან კარგი. მე ყაზახეთს მივემგზავრები.

— სასიამოვნოა!—სხვათაშორის თქვა არჩილმა, თუმცა კარგად მიხვდა, სოსო ხომერიკი ყაზახეთში რატომ მიდიოდა. სუნთქვა შეეკრა ლამის გულიც შეუჩერდა. ცივმა ოფლმა დაასხა. შეშინებულმა სხეული გაჩერებული საათივით შეანჯღრია, გული რომ ამუშავებულიყო. ნებისყოფა მაქსიმალურად დაძაბა და საკუთარ თავს როგორღაც მაინც მოერია.

— მივლინებაში მიდიხარ?

— ძალიან კარგად იცი, სადაც მივდივარ და რატომაც მივდივარ! — ხმაში სიცივე შეეპარა სოსოს. თვალებშიც რისხვა ჩაუდგა.

— საიდან უნდა ვიცოდე? — კვლავ გულუბრყვილოდ წარმოსთქვა არჩილმა და ყოფილ მეგობარს თვალებში შეხედა.

სოსომ უმალვე თვალი თვალში გაუყარა. არჩილმა ვერ გაუძლო ხომერიკის თვალებს, დაბნეულმა გამოსავალი მაინც გამონახა, ჯიბიდან ასანთი ამოიღო და ჩამქრალ სიგარეტს ხელახლა მოუკიდა.

ეტყობა, ამ პირუტყვთან დელიკატური ლაპარაკი არ ღირსო, — დაასკვნა სოსომ და მთავარი სათქმელი პირდაპირ მიახალა.

— მანანასთან მივდივარ!

— მანანასთან?! — წამოიყვირა არჩილმა.

უმალვე შეკრთა. მიხვდა, შეცდომა და-

უშვა და მთელი თავისი შინაგანი ვნებათაღელვა გამოამჟღავნა. დაწყვეტამდე დაჭიმულმა ნერვებმა ბოლომდე ვერ გაუძლო დაძაბულობას.

— ძალიან სასიამოვნოა. დავრწმუნდი, მანანა მართლაც ძალიან გყვარებია. — გაღიმება სცადა არჩილმა.

— შენ კი დარწმუნდი, მაგრამ მანანა?

— რა მანანა?

— მანანამ არც კი იცის, მე რომ მიყვარს.

— არ იცის?! — აღმოხდა არჩილს — დავიჯერო?!

— გინდ დაიჯერე, გინდ არა, მან ეჭვადაც კი არ იცის, მე რომ სიგიჟემდე მიყვარს. იქნებ გაინტერესებს, რატომ არ გავუმხილე მას ჩემი სიყვარული, უკანასკნელად რომ ვნახე, ეშელონში, გადასახლების წინ?

— ?!

— იმიტომ, რომ შენ ჩემი მეგობარი იყავი. მე ვიცოდი, თქვენ ერთმანეთი გიყვარდათ. არავითარი უფლება არ მქონდა, წინ გადაგდგომოდი. თქვენი სიყვარული შეუღლებით რომ დამთავრებულიყო, ვერც ერთი და ვერც მეორე, ვერასდროს გაიგებდით ჩემი გრძნობების ამბავს. ჩემი ბუნება და პატიოსნება, ჩემი ნებისყოფა და შეგნება მეყოფოდა სიყვარულის გულში ჩასაკლავად. თანაც არ მინდა, მდგომარეობაც გავაიოლო. დარწმუნებული ვიყავი, ჩემს სიცოცხლეში მეტი აღარავინ შემიყვარედებოდა და სიკვდილამდე უბედური ადამიანი ვიქნებოდი. შენ შეიძლება გაგეცინოს კიდეც, მაგრამ ერთ საიდუმლოს მაინც გაგიმხელ. მორწმუნე გახლავართ! დიახ, მორწმუნე კაცი ვარ და არ შემიძლია მართალი არ ვიყო ღმერთისა და კაცის წინაშე.

სოსო შეჩერდა და არჩილს დაკვირვებით შეხედა, უნდოდა ყოფილი მეგობრის გამოხედვაში დაეჭირა, რას ფიქრობდა ქანდაკებად ქცეული არჩილი. ან ფიქრობდა კი რამეს საერთოდ?!

— მანანას უყვარხარ? — ჰკითხა მისუსტებული ხმით არჩილმა.

— არა მგონია, ან საიდან უნდა ეუყვარდე, მას ხომ შენ უყვარდი. კიდევ გიმეორებ, მანანამ არც კი იცის, მე რომ მიყვარს. ბუნებრივია, გზაში ბევრ სხვა რამესთან ერთად მეც გამიხსნებდა, ხომ დაფიქრდებოდა, იმ უბედურებაში რატომ მივედი ეშელონთან... იქნებ მიხვდა კიდეც რაღაცას...

— ვთქვათ, მიხვდა და შეგიყვარა, მით უმეტეს, იქ რომ ჩააკითხავ! ცოლად როგორ მოიყვან?

— სრულიად უბრალოდ, მეც კოლონიაში დავრჩები საცხოვრებლად.

— კოლონიაში?

— დიახ, კოლონიაში!

პაუზა.

— ჩემთან საუბარი რატომ მოინდომე? იქნებ იმიტომ, რომ კიდევ ერთხელ მატკინო გული? კიდევ ერთხელ დატკბე ჩემი წამებით? ხომ არ არის შენი საქციელი ეჭვიანი და ბოღმიანი კაცის შურისძიება?

— პირიქით, არჩილ, პირიქით! წეღან გითხარი, მორწმუნე კაცი ვარ-მეთქი. ახლავე ყველაფერს აგიხსნი. მეგონა, თვითონ მიხვდებოდი. რა ვქნა, ვერ მიმიხვდი. უფრო გულსატკენი რამ მინდა გითხრა. თუმცა დარწმუნებული ვარ, კარგადაც რომ აგიხსნა, მაინც ვერ მიხვდები. იცი, რატომ ვერ მიხვდები?

— ?!

— იმიტომ რომ შენთვის მაინც ჩინურივით დარჩება ჩემი საქციელი. საათს დახედე, მგონი, კიდევ დამრჩა ორიოდე წუთი.

— გააგრძელე. მაინტერესებს, რას ვერ მივხვდები.

— მანანას გადასახლების პირველი დღიდანვე ეცდილობდი გამეგო, სად მიდიოდა ეშელონი, სად ჩაიყვანეს გადასახლებული ხალხი. გულახდილად მითხარი, ერთხელ მაინც მოგსვლია აზრად გაგეგო, სად გადაასახლეს მანანა?

ღუმილი.

— არ მოგსვლია. ამ საქმეს მთელი ერთი წელი მოვანდომე. ბოლოს მივაკვლიე. უნივერსიტეტის დამთავრებას რამდენიმე თვეღა მაკლდა. არ ღირდა სწავლის შეწყვეტა. თან მტკიცედ გადავწყვიტე, როგორც კი სახელმწიფო გამოცდებს მოვრჩებოდი, მანანასთან წავსულიყავი. წავსულიყავი სამუდამოდ თუკი, რასაკვირველია, შემიყვარებდა და ცოლობაზე დამთანხმდებოდა.

— ჩემთან? ჩემთან რატომ მოხვედი, გამგაზვრების წინ ჩემთან საუბარი რატომ მოისურვე? — ლამის ყვირილით აღმოხდა არჩილს.

— თუ დამაცლი, ყველაფერს ახლავე აგიხსნი. მე ხომ არ ვიცოდი, მთელი ამ პერიოდის მანძილზე შენ რას აკეთებდი. იქნებ მოძებნე კიდეც მანანას ადგილსამყოფელი, იქნებ აპირებ კიდეც ყაზახეთში გადასახლებას. ამიტომაც გთხოვე, დღეს ჩემთვის ათი წუთი გამოგეყო. შენ თუ მართლა დააპირებდი ყაზახეთში წასვლას, მე, ბუნებრივია, უფლება აღარ მექნებოდა, თქვენს შორის მურმანივით გავჩხერილიყავი. მე მჯეროდა, რომ შენ არსად წასვლას არ ფიქრობდი. მაინც არ ვენდე ჩემს ვარაუდს. ამიტომაც გადავწყვიტე, პირადად მოგლაპარაკებოდი. არ დაგიმალავ, სიხარულს ვყავარ შეპყრობილი, ყაზაზეთს სუფთა სინდისით შემიძლია გავემგზავრო. მე არ ვიცი, მანანა თანამიგრძნობს თუ არა, ერთი კი ვიცი, მართალი ვიქნები ღმერთისა და კაცის წინაშე. მგონი, ჩემი სათქმელი ბოლომდე და ნათლად გითხარი. თუ პასუხს არ დააყოვნებ, ჩავეტიეთ კიდეც ათ წუთში.

ღუმილი.

სოსო ხომერიკი დაკვირვებით და მოთმინებით მისჩერებოდა სივრცეში უაზროდ თვალგაშტერებულ არჩილ ბორდელს.

— ჩემთვის ყველაფერი ნათელია! — წამოდგა ფეხზე სოსო.

3

არჩილს არ ახსოვს, რამდენხანს იჯდა სკამზე გარინდული. სოსო რომ წავიდა, თვალიც არ გაუყოლებია. საზურგეს მიაწვა და თვალები დახუჭა, ერთხანს შეეცადა, არ ეფიქრა, უნდოდა გათიშულიყო, არ გამოუვიდა. შეკითხვები კვლავ ყოველი მხრიდან ეხვეოდა. იმ მრავალ შეკითხვათა შორის, თავს რომ ყვავებივით დასტრიალებდნენ, ტვინს ყველაზე უფრო ერთი შეკითხვა უბურღავდა.

„რატომ დამიძახა? რატომ ამიხსნა და განმიმარტა ყოველივე? განა არ შეეძლო, ამ საცოდავი ფარსის ჩაუტარებლად წასულიყო ყაზახეთში? ვითომ კეთილშობილებამ აიძულა? ვითომ მართლა არ წავიდოდა, მე რომ მივდიოდე? მე რომ წასვლა შემეძლოს, სოსო მართლა არ წავიდოდა. იმიტომ კი არა, რომ „მართალი ყოფილიყო, ღმერთისა და კაცის“ წინაშე. იმიტომ, რომ მანანას მე ვუყვარვარ და სოსო ხომერიკს ყაზახეთში აღარაფერი ესაქმებოდა. ვაი, რომ ვერ მივდივარ! ვაი, რომ ოჯახური მდგომარეობა საშუალებას არ მაძლევს მსგავსი ნაბიჯი გადავდგა! ნამდვილად ამიტომ მიხმო. ჯერ ალბათ შორიდან დამზვერა. მერე კი, როცა დარწმუნდა, დედაჩემისა და ბაბუას გამო ყაზახეთში წასვლას ვერ შევძლებდი, კეთილშობილი კაციც ითამაშა და ანგარიშიც გამისწორა. დიახ, მანანას რომ ვუყვარდი, არ მაპატია. ეტყობა ვერა და ვერ მოინელა ჩვენი სიყვარული. მაშინ, მგონი, დაიფიცა კიდეც, მანანას მიერ გამოტანებული წერილი არ წამიკითხავსო. დავიჯერო, ასეთი კეთილშობილია?! დავიჯერო, ასე იოლად გაუძლო ცთუნებასა და ცნობისმოყვარეობას?! იქნებ მართლაც არ წაუკითხავს?! შეიძლება, მართლაც არ წაუკითხავს, მაგრამ არა კეთილშობილების გამო. უბრალოდ, შეეშინდა წერილის წაკითხვისა, შეეშინდა მანანას მიერ ჩემდამი

მოწერილ სასიყვარულო სიტყვებს საბოლოოდ არ ჩაეკლა მისთვის გულში იმედის ნაპერწკალი, იქნებ ოდესმე მანანა ჩემი გახდესო. დიახ, დიახ, ნამდვილად ამიტომ არ წაიკითხა, თუკი, რასაკვირველია, არ იტყუება და მართლა არა აქვს წერილი წაკითხული. დიახ, ეშინოდა, ეშინოდა, რადგან მშვენივრად იცოდა, მანანას ყოველი ფრაზა გულში ლახვარივით ჩაეცემოდა. შეიძლება ყველაფერი პირიქით მოხდა. წაიკითხა, ბოღმითა და კბილების ღრჭიალით წაიკითხა. და აი, იმ დღიდან მოყოლებული, მთელი სისასტიკით მისწორებს ანგარიშს. თუმცა ჯერ კიდევ არ არის ფონს გასული. შეუყვარდება კი მანანას?! ეხ, წყალწაღებული ხავს ეჭიდებოდაო, ისეა ჩემი საქმე. შეუყვარდება, როგორ არ შეუყვარდება! უიმედო პირობებში ჩავარდნილ ქალს ალბათ ნებისმიერი მამაკაცი შეუყვარდება. მითუმეტეს კაცი, რომელიც მზადაა სიყვარულის გამო დათმოს თავისუფლება და კოლონიაში საცხოვრებლად საკუთარი ფეხით ჩავიდეს. იქნებ მანანა გათხოვდა კიდეც? არა, არ გათხოვდებოდა. მანანა ის გოგო არაა, ასე სწრაფად ერთი დაევიწყებინა და მეორეს ცოლად გაჰყოლოდა! და ეს მეორე, ხვალ თუ ზეგ, ნუთუ სოსო ხომერიკი იქნება?!“

არჩილ გორდელს გუნებაში მწარედ ჩაეცინა, მანანას დაკარგვით გამოწვეული სინანული კი არა, ბოღმა და შურისძიების გრძნობა ალაპარაკებდა. განა მისთვის უკვე სულერთი არ იყო, მანანა ვის გაჰყვებოდა?

„არავითარ შემთხვევაში, ვისაც უნდა გაჰყვეს, ოღონდ სოსო ხომერიკის ცოლი ნუ გახდება“.

— მეგობარო, სიგარეტს ვერ მომაწვინებთ? — ჩაესმა ყურში.

თვალი მძიმედ გაახილა და დაბნეული ფეხზე წამოდგა.

— ბოდიშს გიხდით, მგონი, გაგაღვიძეთ! — ღიმილით მიმართა მსუქანმა, სათვალიანმა ბიჭმა.

— კარგი ქენით, რომ გამაღვიძეთ,— მწარედ ამოღერღა არჩილმა. ჯიბიდან სიგარეტი ამოიღო და სათვალიან ბიჭს გაუწოდა. ერთი თვითონაც ამოიღო. ასანთი სათვალიანმა ბიჭმა შეაგება. არჩილმა სიგარეტი ხარბად მოქაჩა და საათს დახედა. სამს ხუთი წუთი აკლდა. თავი უკმაყოფილოდ გაიქნია და წელმოწყვეტილი იქაურობას გაეცალა..

თავი მეთორმეტე

— ლექსი თუ დაგიწერიათ? თუმცა რა სისულელეს გეკითხებით. განა მწერალი კაცი ერთხელ და ორჯერ სცდიდით ლექსის დაწერას?! აჰ, არ დაგიწერიათ? არც ბავშვობაში? მხოლოდ სახუმარო ლექსები? გასაგებია, გასაგები! საერთოდ კი გამიგონია, ქვეყანაზე ჯერ კაცი არ დაბადებულა, მით უმეტეს, ქართველი, ლექსი რომ არ დაეწეროსო. მე ვარ, ეტყობა, ერთადერთი კაცი, რომელსაც ლექსი არ დამიწერია. მხოლოდ ერთხელ ვცადე ჩემს ცხოვრებაში სტრიქონისთვის სტრიქონი გადამება. თუმცა, არ მინდა მოვლენებს წინ გავუსწრო. გაგიმარჯოთ, ჩემო ბატონო. თუ ნებას დამრთავთ, თქვენი კულტურა და მოთმინება მინდა ვადღეგრძელო. მჯერა, ვერასდროს ვერ გადავიხდი თქვენს პატივისცემას, ვერ წარმოიდგენთ, თქვენთან ყოველი შეხვედრის შემდეგ რამოდენა სიმსუბუქეს ვგრძნობ. ისეთი წარმოდგენა მაქვს, თითქოს გულზე რკინის ორფუთიანი გირები მეკიდოს. თქვენთან ყოველი შეხვედრის შემდეგ თითქოს გირას ვიშორებ გულიდან.

ღღეს საუბარი ცოტა მხიარულ ტალღაზე დავიწყე. თუმცა, რაც ახლა უნდა გიამბოთ, სულაც არ არის ჩემი ცხოვრების სამხიარულო ეპიზოდი.

პაუზა, ნაფაზი.

— ღილით უჩვეულო ხმაურმა გამაღვიძა. ჯერ კიდევ ბურანში ვიყავი,

საათს რომ დავხედე. შვიდს თხუთმეტი წუთი აკლდა. სასადილო ოთახიდან ბაბუაჩემის ნაბიჯების ხმა ისმოდა. მოხუცი პოლკოვნიკი ენერგიულად სცემდა ბოლთას. უცებ მან ჩემი საწოლი ოთახის კარი ჯიქურ შემოაღო და საწოლში თავზე დამადგა. გავვოცდი, ბაბუას სააღლუმო მუნდირი ეცვა, მკერდზე ორდენები და მედლები უბრწყინავდა. შვილის დაპატიმრების ამბავი რომ შეიტყო, მას მერე სამხედრო ფორმა აღარ ჩაუცვამს. მით უმეტეს, სააღლუმო მუნდირი. ჩექმები საგანგებოდ გაწმინდა და კარადაში შეინახა. კიტელს მაინც ვერ შეელია. მწვანე გაცვეთილი კიტელი ჩვეულებრივ სამოქალაქო შარვალზე ეცვა. სამსახურს თავი დაანება, მთელი დღეები შინ იჯდა, საუკეთესო მეგობრებსაც აღარ ურეკავდა. მათთან სტუმრობა ან ბაღში სეირნობა სამუდამოდ აღიკვეთა. აღარც ჩვენ გველაპარაკებოდა. საკუთარ ოთახში ჩაკეტილი მხოლოდ რადიოს უსმენდა და გაზეთებს კითხულობდა. მარტო სადილობდა და მარტო ვახშმობდა. ძილის წინ მხოლოდ ჩაის სვამდა. კარგად რომ დაბნელდებოდა, შინიდან მაშინ გადიოდა. მკაცრ სამხედრო ცხოვრებას მიჩვეული კაცი თუ ფიზიკურ ენერგიას არ დახარჯავდა, კარგად ვერ იძინებდა. სასეირნოდ ისეთ ადგილებს ირჩევდა, ნაცნობ-მეგობრებს რომ არ გადაჰყროდა. შინ შეუმჩნევლად ბრუნდებოდა. რადიოს ხმას რომ გავიგონებდით, ვწყნარდებოდით. გულწრფელად გეტყვით, გვეშინოდა, თავისათვის არაფერი აეტეხა. სიბერემ ერთბაშად დარია ხელი. თუმცა ავადმყოფობას არ უჩიოდა, არც ექიმებთან დადიოდა.

სააღლუმო მუნდირმა გამაოცა და დამაბნია.

„რა მოხდა?“ — გავიელე გულში და თან მოოქროვილ მუნდირს შევავლე თვალი. უცებ ჩემს მეხსიერებაში გერმანიასთან ომის დაწყების პირველი დღე, უფრო სწორად პირველი დილა ამოტივტივდა. ჭაშინაც სააღლუმო მუნდირი ეცვა გვარდიის პოლკოვნიკს. ნუთუ დღესაც რაიმე საშინელება მოხდა? ომი ხომ არ დაიწყო? სასიხარულო მოვლენის აღსანიშნავად, რომ არ ეცვა საზეიმო მუნდირი, ამას პოლკოვნიკის სასოწარკვეთილი და უაღრესად დამწუხრებული გამოხედვა მოწმობდა.

უცებ ყველაფერს მივხვდი. ახლად გაღვიძებულს გონებაში სქლად ჩაწოლილი ბურუსი სწრაფად გამეფანტა. აღარც კი იყო საჭირო ბაბუას სიტყვები „ბელადი გარდაიცვალა!“

გავიდა ერთი კვირა, თვე და კიდევ მეტი. ამაოდ ვცდილობდი აღმედგინა, რა განცდა დამეუფლა ამ სიტყვების გაგონებისას.

თვალები ერთბაშად დამიბნელდა?

არა!

— მეგონა, მეხი დამეცა?

არა!

იქნებ გული ჩამწყდა და სადღაც ბნელ უფსკრულში ჩაიკარგა?

არა!

კონკრეტულად და გამოკვეთილად არაფერი აღმიქვამს. ერთდროულად კი, ალბათ, თვალიც დამიბნელდა, ელექტრონის ლამის მომაკვდინებელმა ნაკადმაც დამიარა, ჩაწყვეტილი გულიც სადღაც ბნელ უფსკრულში ჩაიკარგა. დღესაც არ ვიცი, ცნობიერება რამდენი წუთით გადამეკეტა. გონს რომ მოვედი, კედლისკენ გადავბრუნდი და ავტირდი, ბაბუა ოთახში აღარ იყო. მისი ენერგიული ნაბიჯების ხმა კვლავ სასადილო ოთახიდან მოისმოდა. რადიო სამგლოვიარო მუსიკას გადმოსცემდა.

აღარ მახსოვს, რამდენ ხანს ვიტირე, ყოველი წამი საუკუნოდ მეჩვენებოდა.

„ნეტავ, რა ხდება ქალაქში?“ — ვფიქრობდი და თან ვზლუქუნებდი. ნელნელა ტირილს ვუკელი. გონება ისევ ამუშავდა. ფიქრები ყოველი კუთხიდან დაიძრა. ჩემი ტვინი აეროპორტს გავდა, ყოველი კუთხიდან მო-

სეული ფიქრები თვითმფრინავებივით გუგუნით რომ ეშვებოდნენ და მერე ისევ გუგუნით მიფრინავდნენ.

სტალინის მძიმე ავადმყოფობის ამბავი, თქვენც კარგად გემახსოვრებათ, ხუთი დღით ადრე გამოაცხადეს. სულით ხორცამდე შევძრწუნდი. ბელადის სიკვდილი გულში ფიქრადაც კი არ გამივლია, ან როგორ უნდა გამევლო. სტალინის სიკვდილს ვინ წარმოიდგენდა. თანც ასე უეცრად, ასე მოულოდნელად, ყოველგვარი ფსიქოლოგიური მომზადების გარეშე.

სოსო ხომერიკის სიტყვები გამახსენდა, ბოლოსდაბოლოს, სტალინი ცას ხომ არ გამოეკერებაო.

რასაკვირველია, სტალინიც ადამიანი იყო, სიკვდილი მასაც ელოდა, მაგრამ მაშინ არც მე და არც სხვა მილიონობით ადამიანი ბელადის სიკვდილზე არ ვფიქრობდით. სტალინის სიკვდილი ძალზე შორეული ამბავი მეგონა. ისეთივე შორეული, როგორც, ვთქვათ, პლანეტაზე ცივილიზაციის მოსპობა, სიცოცხლის ყოველგვარი ფორმის გადაშენება.

ინსტიტუტში ფეხის წვერებზე დავდიოდით. ხმას არავინ იღებდა. ბელადის ჯანმრთელობაზე ლაპარაკს ყველა გაურბოდა. თითქმის პირველივე ინფორმაციიდან ნათელი იყო, რომ სტალინი გონს ვეღარ მოვიდოდა და რამდენიმე დღეში გარდაიცვლებოდა. ხალხს ბელადის მოსალოდნელი სიკვდილი მაინც არ სჯეროდა. არ სჯეროდა კი არა, ვერ წარმოედგინა!

განა შეიძლება, ღმერთი მოკვდეს?!

არ შეიძლება!

განა შეიძლება ღმერთის ტოლა კაცი მოკვდეს?!

თურმე შეიძლება და მოკვდა კიდეც!

„რა მოხდება ღეს?"

„რა ეშველება ქვეყანას, ხალხს?"

„ვინ უნდა გააგრძელოს ბელადის საქმე? განა არის კი ამ ქვეყნად ადამიანი, სტალინის მეათედი სიბრძნით მაინც რომ შესძლებს სოციალისტური ბანაკის გაძღოლას?"

პირველმა ელდამ რომ გამიარა, ფსიქოლოგიურად ვიყავი შზად თუ არა, ბელადის სიკვდილი მაინც დავიჯერე. იმ მრავალ შეკითხვათა შორის, ჩემს თავში მრგვალ აკვარიუმში ჩაყრილი უამრავი პატარა ფერადი თევზებივით რომ დასრიალებდნენ და ერთმანეთში ირეოდნენ, თანდათანობით გამოიკვეთა ერთი დიდი შეკითხვა, რომელიც, სხვათაშორის, სტალინის სიკვდილის გაგებისთანავე დაიბადა ჩემს გონებაში: „რა იქნება ხვალ, რა ელის ქვეყანას, ვინ ჩაიბარებს ამოდენა მემკვიდრეობას, ვინ დადგება სახელმწიფოს საჭესთან?"

ეტყობა, უმთავრესი პრობლემა ქვეცნობიერად და წამიერად ებადება ადამიანს. შემდგომში კი ხდება მისი დახვეწა, ცალკეული დეტალების გაანალიზება და პრობლემის სიღრმეებში ჩაწვდომა. მაგალითად, აზრი „ხომ არ გადაინაცვლებს სოციალიზმის ცენტრი ჩინეთში, მაო ძე დუნი ხომ არ გახდება სოციალისტური ქვეყნების წინამძღოლი, იგი ხომ ყველაზე გამოკვეთილი ფიგურაა სხვა სოციალისტური სახელმწიფოების ლიდერებს შორის", — უფრო გვიან დაიბადა ჩემს გონებაში.

გულწრფელად მაწუხებდა და მეშინოდა, როგორ შეხვდებოდა უცხოეთი, კაპიტალისტური სამყარო დიდი ბელადის გარდაცვალებას და უიმედობა თანდათან მიპყრობდა.

„განა ვინმეს ეგულება კაცი, რომელიც შეცვლის სტალინს? ვინ, ვინ უნდა შეცვალოს დიდი ბელადი, მალენკოვმა? მოლოტოვმა? ბერიამ? ალბათ მაინც მალენკოვმა! მოლოტოვი მოტეხილია, ბერია ქართველია. არ შეიძლება ამოდენა სხვის სახელმწიფოს ზედიზედ ორი ქართველი მართავდეს. მალენკოვი? მას ხომ სტალინმა საანგარიშო მოხსენება ანდო პარტიის მეცხრამეტე ყრილობაზე. მალენკოვის ფიგურა მაინც ყველაზე ნათლად იკ-

ვეთება ჩემს გონებაში. ბერია? ბერია დათმობს ძალაუფლებას? ხელიდან გაუშვებს შანსს, სათავეში ჩაუდგეს მსოფლიოში ყველაზე დიდ და ძლიერ სახელმწიფოს? თუ იგი ჭკვიანია, პირველობა არც უნდა მოინდომოს. უნდა მიხვდეს, რუსეთი ვერ აიტანს მის მმართველობას. ბერია სხვებზე ჭკვიანიც არის და ძლიერიც, ხელთ უსაზღვრო ძალაუფლება უპყრია, მაგრამ ქართველია. სტალინი სხვა იყო, ღმერთამდე ასული კაცის ეროვნება არავის ახსოვდა. ბელადთან არამცთუ მისი, ნებისმიერი პიროვნების პარალელი სასაცილოა, მაგრამ ბერიასთან შედარებით სხვებს დიდი კოზირი უჭირავთ ხელში, — რუსები არიან! ბერია მაინც არ დათმობს ძალაუფლებას. იგი ამჯობინებს მეორე ვიოლინოს როლი შეასრულოს, ოღონდ სიმბოლურად! ბერიას ძალაუფლება აინტერესებს და არა სიმბოლოები. მაშ რა მოხდება მაშინ, თუ არაოფიციალურად ბერიამ ჩაიგდო ხელში სახელმწიფო ძალაუფლება?" რაო, რაო, რა მითხრა მაშინ სოსო ხომერიკმა, ბერიასაც მალე გაუყენებენ სტალინის გზასო?! არა მგონია. სოსოს უყვარდა ექსტრავაგანტური აზრებით კოპწიაობა".

აი, ასეთი აზრები მეხვეოდა ბუზებივით. გულწრფელად გეტყვით, მარტო მე კი არა, ხრუშჩოვი თითქმის არავის გახსენებია. აბა მაშინ ვინ წარმოიდგენდა, რომ ამოდენა სახელმწიფოს საჭესთან ტვინგათეთრებული კაცი დადგებოდა.

მომეჩვენა, საუკუნე გავიდა მას შემდეგ, ბაბუაჩემმა რომ მომაკითხა. ფეხზე წამოვიჭერი, წვერი გავიპარსე და ტანზე ცივი წყალი გადავიღვარ. აბაზანიდან რომ გამოვედი, რადიოსთან მიმჯდარმა ბაბუამ თავისი ოთახიდან მანიშნა, ჩუმად იყავიო.

„ლაპარაკობს მოსკოვი, ლაპარაკობს მოსკოვი!"

ვერ წარმოიდგენთ, რა დაძაბული ვისმენდი პარტიისა და მთავრობის განცხადებას. აქამდე, თვითონ რომ არა მქონდა ოფიციალური ტექსტი მოსმენილი, სადღაც გულის სიღრმეში თითქოს იმედი მქონდა, რომ სტალინი ცოცხალი იყო. დიქტორის ხმამ ყველაფერი ნათელი გახადა, ოცნებას წერტილი დაუსვა!

მოხუცი პოლკოვნიკი უკმაყოფილო წამოდგა. თურმე ზუსტად ის გაუმეორებიათ, დილით რომ გადმოუციათ. სიტყვაც არ ყოფილა შეცვლილი. განცხადებას სამგლოვიარო მუსიკა მოჰყვა. საათს შევხედე. ცხრის ათი წუთი იყო. გადავწყვიტე ორი ლუკმით წამესაუზმებინა და ინსტიტუტში გავქცეულიყავი. ცნობისმოყვარეობა მკლავდა, ქალაქში რა ხდებოდა.

2

სამგლოვიარო მიტინგი ინსტიტუტის სააქტო დარბაზში ჩატარდა. მიტინგი რაიკომის მეორე მდივანმა გახსნა. დარბაზში ნემსი არ ჩავარდებოდა. დერეფნებიც ბოლომდე იყო გადატენილი.

მეორე რიგში ვიდექი. მიტინგის განმავლობაში ბურთი ყელში მქონდა გაჩრილი. დროდადრო თვალებიდან ცრემლი მდიოდა. გოგონები ტიროდნენ, ბიჭები საცოდავად ზლუქუნებდნენ. სცენის სიღრმეში გაკრულ სტალინის დიდ პორტრეტთან პალმები და ქოთნის ყვავილები დაედგათ. საპატიო ყარაული ყოველ ხუთ წუთში იცვლებოდა. ვიძალე და როგორც იქნა, მეც მომიწია საპატიო ყარაულში დგომამ. უსაზღვროდ ბედნიერი ვიყავი, დიდი ბელადის პორტრეტთან გაჭიმული რომ ვიდექი. მიტინგის შემდეგ ტოლ-მეგობრებში რომ გავერიე, თავს გმირად ვგრძნობდი. მეხუთე კურსელებს ისედაც პატივისცემით შემოგვცქეროდნენ უმცროსი კურსელები. იმ დღეს კი, სა-

პატიო ყარაულში დგომის შემდეგ, ჩემი აქციები, ეტყობოდა, ერთი სამად გაიზარდა.

ბუნებრივია, ლექციები არ ჩაგვტარებია. ლითონმცოდნეობის ლაბორატორიაში მაინც შევიარე. ჩემი ხელმძღვანელის ნახვა მსურდა. ლაბორატორიაში მხოლოდ ნოდარ ორაგველიძე დამხვდა, უფროსი მასწავლებელი. ახლაღა მივხვდი, რომ სამგლოვიარო მიტინგის დროს ჩვენი ფაკულტეტის პროფესორ-მასწავლებელთა დელეგაციაში ბატონი ნოდარისათვის თვალი არ მომიკრავს. ნოდარ ორაგველიძე დონბასში და კუზბაზში დიდი ხნის მუშაობის შემდეგ დაბრუნდა საქართველოში. კათედრის გამგემ უმალვე ინსტიტუტში მოიწვია. სამოც წელს მიღწეულ კაცს სამეცნიერო ხარისხი არ ჰქონდა, მაგრამ ღრმა პრაქტიკული ცოდნა და პიროვნული შინაგანი ძალა გაიძულებდა, პატივისცემით მოპყრობოდი.

ნოდარ ორაგველიძე მაგიდასთან იჯდა და რაღაც მონაცემებს ჩასჩერებოდა.

— მაშ სტალინი გარდაიცვალა? — წარმოსთქვა თავაუღებლად და „ყაზბეგის“ კოლოფი მაგიდაზე ჩემსკენ გამოაცურა.

— გმადლობთ!

გულწრფელად რომ გითხრათ, სულით ხორცამდე შემაძრწუნა უფროსი მასწავლებლის უდარდელმა ტონმა. პაპიროსის კოლოფი ისევ თავისკენ მიაჩოჩა, ერთი ცალი ამოიღო, მოუკიდა, ღრმა ნაფაზი დაარტყა, სკამის საზურგეს უდარდელად მიაწვა და უკანა ორ ფეხზე შეაყენა.

— მაშ, აღარა გვყავს დიდი ბელადი? — ფეხებგაჭიმული სკამს წინ და უკან ოსტატურად აქანავებდა — ყველაფერი თავის დროზე იცოდა მაგ დალოცვილმა!

უცებ ფეხზე წამოდგა და ფანჯარასთან მივიდა. გაჩუმებული ვიდექი, არ ვიცოდი, რა მექნა.

„რაღა მაინცდამაინც მე დამიწყო სტალინზე აგდებულად საუბარი?“ — შემიპყრო ეჭვმა. თუმცა, კაცმა რომ თქვას, სხვას ვინ უნდა გამოლაპარაკებოდა, ლაბორატორიაში მხოლოდ მე ვიყავი.

— დიახ, ბელადმა მართლაც თავის დროზე იცოდა ყველაფერი. შენ როგორ გგონია?! — მკითხა ისე, რომ ჩემსკენ არ მოუხედავს ფანჯრიდან კვლავ დაჟინებით იცქირებოდა.

უცებ, ასაკთან შედარებით მკვირცხლად შემობრუნდა და პაპიროსი საფერფლეზე დაადგა.

— ნაყოფი რომ დამწიფდება, ვთქვათ, მსხალი, დროულად თუ არ მოწყვიტე, ჩამოვარდება. თუ არ ჩამოვარდა, ტოტს მიალპება. სტალინი დროზე მოწყდა ტოტს. რომ არ მომკვდარიყო, რა იქნებოდა შემდგომ წლებში? კაცმა არ იცის, რა გზას დაადგებოდა, სახელმწიფოს მართვას როგორ გააგრძელებდა. ჩემის აზრით, მან უკვე ყველაფერი თქვა და გააკეთა. დიახ. ყველაფერი გააკეთა, რაც შეეძლო. ისტორიამ ბოლო წუთამდე აცალა სათქმელის თქმა. მსოფლიოში არ ყოფილა არცერთი დიდი იმპერატორი, ისტორია ბოლომდე რომ მოთმინებით დალოდებოდა. „დიდმა ბელადმა“ თავისი ნიჭი და შესაძლებლობები ლიმონივით გამოწურა.. გამოწურა ბოლომდე, წვეთი აღარ ჩაუტოვებია სხეულში!

ნოდარ ორაგველიძე სკამზე ჩამოჯდა და კვლავ ლაბორატორიული კვლევის მონაცემებს ჩაუღრმავდა. მე კვლავ გაშეშებული ვიდექი და მოსმენილით გაოგნებულმა აღარ ვიცოდი, რა მექნა. „ვითომ მცდის“ რატომ მელაპარაკება. ასე გულახდილად? იქნებ ორგანოებმა დაავალეს ჩემი შემოწმება, მიხარია თუ არა ბელადის სიკვდილი, მე კი ჩემი ინიციატივით წამოვეგე ანკესზე? სახელმწიფოში, ბუნებრივია, საგანგებო მდგომარეობაა გამოცხადებული. ალბათ, ყოველ წუთში ომია მოსალოდნელი. მთელი სახელმწიფო გაოგნე-

ბულია და დაბნეული. მტერი ხელიდან რატომ გაუშვებს ხელსაყრელ მომენტს? განსაკუთრებით, ალბათ, იმ ხალხს გვამოწმებენ, უკმაყოფილონი რომ უნდა ვიყოთ ბელადისა და მის მიერ შექმნილი რეჟიმისა".

— ბატონო ნოდარ! — ამოვიღე ბოლოს ხმა, — მე რატომ მელაპარაკებით ასე გულახდილად? გამოცდას ხომ არ მიწყობთ? განა ოდესმე შეგიტყვიათ ჩემთვის რაიმე უკმაყოფილება? განა გულწრფელად არ განვიცდი ბელადის სიკვდილს? — თვითონ ვერ შევნიშნე, ლოყებზე ცრემლები როგორ ჩამომიგორდა.

ნოდარ ორაგველიძე ხმამაღლა გაიცინა. ქაღალდებს თავი მიანება და სკამი კვლავ უკანა ორ ფეხზე შეაყენა.

— ნუ გეშინია, ახალგაზრდავ, ნუ გეშინია! ვიცი, შენს ორგანიზმში ჩამყნობილი შიში კიდევ დიდხანს არ გამოვა შენი ტვინიდან და სისხლიდან. დიდი ბელადის გენიით დაბრმავებული შენ და მილიონობით შენისთანები ვერ გრძნობთ, თქვენს არსებაში ჩაბუდებულ და ბატონკაცურად მოკალათებულ შიშსა და მონურ ინსტინქტებს. რასაკვირველია, თანდათან გამოფხიზლდებით, დრო ალბათ თავისას გაიტანს, ახალი სიტუაცია ახალ ადამიანებად გაქცევთ, მაგრამ მხოლოდ ნაწილობრივ, შენ და არამარტო შენ, ბოლომდე მაინც ვერ განთავისუფლდებით კიბოსავით შეყრილი უბედურებისაგან. თქვენი სხეულის ყოველ კუნჭულში, თქვენი ტვინის ყოველ უჯრედში, მისუსტებულად, ხშირად შეუმჩნევლად, მაგრამ მაინც იქნება ჩათესლილი ეჭვი და შიში. მერწმუნე და მომავალში, ალბათ, ბევრჯერ გამიხსენებ, რომ შიშის თესლი შესაბამის სიტუაციებში ორი სიტყვით დაიწყებს გაღვივებას — „ვაი თუ!.." ხომ არ გგონია, სამოც წელს მიღწეულმა კაცმა ჭკუა დავკარგე და ლაყბობის ხასიათზე დავდექი. ყველას შენსავით როდი გადვუშლი გულს! განა იმიტომ, რომ მეშინია! ბრიყვებს შაინც ვერაფერს გამიგებენ. შენ კი იმიტომ მოგმართე, ვატყობ, თვითონ ვერ მიხვდი, სტალინის სიკვდილს რომ ამნისტია მოჰყვება. ალბათ მამაშენსაც ეღირსება შინ დაბრუნება. თუ მამა რეაბილიტაციით დაბრუნდება, შენც გეშველება, გზა გაგეხსნება. მადლობა ღმერთს, სტალინმა, თავისი სიკვდილით ცხოვრებაში პირველად გააკეთა კეთილი საქმე.

— მაგრამ ბერია? — აღმომხდა უცებ.

უმალვე შიშმა შემიპყრო. მივხვდი, გონებიდან ამოსხლეტილ სიტყვას უკან ვეღარ ჩავაბრუნებდი.

— ჰმ, ბერია, ბერია... — დაფიქრდა ნოდარ ორაგველიძე და თვალებში დაკვირვებით შემომხედა. — მე რომ შენსავით დაკომპლექსებული ადამიანი ვიყო, იცი, უმალვე რას გავიფიქრებდი? „ღირს კი ამ ყმაწვილთან გულახდილი საუბარი? მაქვს გარანტია, რომ აქედან გასვლისთანავე არ გაიქცევა და იქ არ დაფქვავს ყველაფერს, სადაც საჭიროა?" მჯერა, რომ შენ არ ხარ ამის ჩამდენი. ბერიას დიდი დღე არ უწერია, ყმაწვილო! ქართველები ძალიან დიდხანს განაგებდნენ კრემლს. რუსები ერთხელ შეცდნენ. საბედისწერო შეცდომას მეორედ აღარ გაიმეორებენ. მე არ ვიცი, ვინ დადგება სახელმწიფოს საჭესთან. ის კი ვიცი, დიდი ადამიანის სიკვდილის შემდეგ საქმე ძველებურად ვეღარ გაგრძელდება. ვინც არ უნდა დადგეს ქვეყნის საჭესთან, სტალინის ავტორიტეტი უზარმაზარი ლოდივით დააწვება. გულითაც რომ არ უნდოდეს, იძულებული გახდება, მნიშვნელოვანი ცვლილებები გაატაროს. ეკონომიკური ცვლილებები დიდ სირთულეებთან და დროსთან არის დაკავშირებული. ხალხის ნდობისა და სიყვარულის მოსაპოვებლად ყველაზე იოლი მაინც დემოკრატიული ღონისძიებების გატარება იქნება. ასე რომ, მე და შენ, ჩემი ძვირფასო არჩილ, უკეთესი დროის მოლოდინში უნდა ვიყოთ.

„განა ზუსტად ასე არ მსჯელობდა სოსო ხომერიკიც? იქნებ არ ცდებიან? იქნებ მართლა ეშველოს მამაჩემსაც და მეც? და თუ მცდის? და თუ მართლა მოგზავნილია? სტალინი ჯერ არ დაუსაფლავებიათ, განა ახლა შეიძლება ბელადზე ასეთი სიტყვებით ლაპარაკი? ფრთხილად უნდა ვიყო. ძალიან ფრთხილად! დღეს, თანაც ასეთ წუთებში, რას გაარჩევ, ვინ არის მტერი და ვინ მეგობარი, ვინ გულწრფელად გელაპარაკება და ვინ შენს გამოტეხვას ცდილობს, ვინ ძვრება კანში, რომ ბელადის საწინააღმდეგო სიტყვა წამოგაცდენინოს. ენას კლიტე უნდა დავადო. სტალინის დაკრძალვამდე გაღიმებითაც კი არ უნდა გავიღიმო!“

გონებაში ჩემი ნალაპარაკევი ერთბაშად აღვადგინე. ერთადერთი ფრაზა, უფრო სწორად, ერთადერთი შეკითხვა არ მომეწონა — მაგრამ ბერიამეთქი, რომ წამომცდა.

„რა ძალა მადგა? რატომ ვახსენე მისი გვარი? — მომეწურა გული, — თუმცა, მე რა ვახსენე? განა ვიღაცამ ჩემი სხეულიდან არ წამოიყვირა მისი გვარი? განა გონებიდან თევზივით უნებურად არ ამოხტა?“

მე ხომ ფიქრშიაც ვერიდებოდი ბერიას გვარის ხსენებას!

— კარგად იყავით, ბატონო ნოდარ!

— კარგად იყავი, ჩემო არჩილ!

დერეფანში გამოვედი თუ არა, კიბეებზე გიჟივით დავეშვი და ქუჩაში გავვარდი.

— არჩილ! — მომესმა უცებ.

ადგილზე გავქვავდი. უცებ გონს მოვეგე და შეშინებულმა უკან მოხედვა ველარ ვბედე.

— არჩილ! — განმეორდა იგივე ხმა.

უკან მოვიხედე. გონებადაბინდულმა ჩემი თანაკურსელი რეზო ახელედიანი ველარ შევიცანი,

— არჩილ, რა მოგივიდა? — გაოცდა რეზო.

— არ იცი, რაც მოგვივიდა?! — ვუპასუხე და თვითონვე მომეწონა ჩემი პასუხი. მივხვდი, გონებიდან ნისლი გადამეწმინდა.

— რა იდიოტივით მელაპარაკები, ნონეშვილის ლექსი მოისმინე?

— რა ლექსი? — დავიბენი მე.

— პოეტი რომ არის, იოსებ ნონეშვილი, ლექსი დაუწერია სტალინზე. დღეს უკვე ოთხჯერ გადმოსცეს რადიოთი, იცი, რა ლექსია!

— არა, არ მომისმენია.

— ქიმიკოს გოგონებსა აქვთ. თუ გინდა, გადაგაწერინებენ. თუმცა, ხვალ, ალბათ გაზეთშიც გამოაქვეყნებენ. — მეც დავწერე ლექსი, ოღონდ ჯერ არ დამიმთავრებია, შენ არ წერ?

— მე?! — პირი გავაღე გაოცებისაგან,— როდის იყო მე ლექსებს ვწერდი?!

— არც მე ვწერდი, მაგრამ ახლა ყველა წერს. გოგიმაც დაწერა, დათომაც. ყველა ცდილობს, ბელადს რაღაც მიუძღვნას. შენ რაღა დაგემართა?

— რა ვიცი, აზრად არ მომსვლია!

— აუცილებლად სცადე. ან რა გული გიძლებს, ჯერ რომ არაფერი დაგიწერია? ლექსი აუცილებლად დღესვე უნდა დავამთავრო. კომკავშირის კომიტეტის მდივანს ვაჩვენე. მოეწონა. მითხრა, დაამთავრე და სტალინის დასაფლავების დღეს მიტინგზე წაგაკითხებო.

— როგორ, ბელადს დაასაფლავებენ? — ვკითხე გაოცებულმა. — განა მავზოლეუმში არ დაასვენებენ?

— რასაკვირველია, მავზოლეუმში დასვენებენ! — შეცბა რეზო.

— მერე მავზოლეუმში დასვენებას დასაფლავება ჰქვია?

რეზო დაფიქრდა.

— რა ვიცი, ამაზე არ მიფიქრია.

— არა, დასაფლავება ნამდვილად არ ჰქვია. იქნებ გასვენება ან დაკრძალვა სჯობია?

— დაკრძალვა, მაგრამ სად? — შემომბრუნა კითხვა რეზომ.

— მავზოლეუმში დაკრძალავენ, — არ ვარგა. არც „მავზოლეუმში დასვე-

ნებენ". არ ვიცი.. ალბათ... არ ვიცი...

— მაშ არ მოგისმენია ნონეშვილის ლექსი?

— სამწუხაროდ არ მომისმენია.

— იცი, რა ლექსია? „მამავ, ძვირფასო, ჩვენზე ფიქრით გათეთრებულო..." აფსუს, გაგრძელებას ველარ ვიხსენებ! თანაც, იცი, რამხელა ლექსია?! თითქმის ნახევარ საათს კითხულობდა. ჰო, აბა ყური დამიგდე, „მამა, ძვირფასო, ჩვენზე ფიქრით გათეთრებულო, ჩვენო იმედო და ოცნებავ დაუსაბამო..." არა, ალარ მახსოვს. ხვალ ალბათ გაზეთში იქნება და დავიზეპირებ. იცი, რა მიკვირს? ლექსი დილის ათ საათზე წაიკითხა რადიოში. სტალინის გარდაცვალების ცნობა, ექვსზე თუ შვიდის ნახევარზე გადმოსცეს. როდის მოასწრო ამოდენა ლექსის დაწერა?! ბა და გაიქცა.

რეზო მოულოდნელად დამემშვიდობა და გაიქცა.

შინ გულდამძიმებული დავბრუნდი. ლოგინში გვიან შევწექი. ბაბუა შინ არ იყო. დედაჩემს რომ შევხედე, ამნისტიის ამბავი მაშინ გამახსენდა. „ვუთხრა დედაჩემს?" — ვფიქრობდი და, რატომღაც თქმაც ვერ გამებედა. ღღეს უტაქტობა იქნება, ხვალ შუადღისას ვეტყვი-მეთქი, გადავწყვიტე და ფიქრი სხვა დიაპაზონზე გადავრთე. თბილისის ქუჩები გამახსენდა, მგლოვიარე ხალხით, ბელადის შავ არშიაშემოვლებული პორტრეტებითა და დროშებით დასევდიანებული ქუჩები. საშინელებაა ზღვა ხალხი რომ მოდის და ხმას რომ არავინ იღებს! საშინელებაა, ამოდენა ქალაქი რომ დუმს! მაინც რა დამთრგუნველია საყოველთაო დუმილი, როგორ აწვება იგი ადამიანის სულსა და გონებას, მიწასთან როგორ ასწორებს და ანადგურებს! კიდევ უფრო საშინელია ყველა სახლიდან, ყველა ფანჯრიდან, რომ ერთი და იგივე სამგლოვიარო მუსიკა ისმის. ადამიანს დამთრგუნველი განცდა გეუფლება, თითქოს მთელი ქალაქი გარდაცვლილებით არის ავსე. უფრო მეტიც, თითქოს მთელი ქალაქი გარდაიცვალა! ადამიანები, ათასობით და ათი ათასობით შეკუმშული, აცრემლებული და დამუნჯებული ადამიანები, სამგლოვიარო მუსიკამ რომ საბოლოოდ დათრგუნა, სული რომ სიკვდილით გაუჟღინთა და ენა დაუდუმა, დიდი კატასტროფის შემდეგ შემთხვევით გადარჩენილებს ჰგავდნენ, გადარჩენილებს, მაგრამ საშინელი უიმედობით შეპყრობილებს, ხვალ თუ ზეგ გარდაუვალი დაღუპვა რომ ელოდათ. თბილისის უკლებლივ ყველა ქუჩაში, ყველა შენობაში, პირველი სართულიდან დაწყებული ბოლო სართულის ჩათვლით, ყველა ბინაში სიკვდილი გამეფებულიყო. მიწაზე და ჰაერში სიკვდილის სუნი იდგა, მძიმედ რომ ისუნთქავდა გულდამძიმებული ადამიანი.

რეზოს ნათქვამი გამახსენდა, ლექსს არ წერო, რომ მკითხა.

„ალბათ, მეც უნდა დავწერო ლექსი. ღღეს ყველამ უნდა დაწეროს ლექსი",— ვფიქრობდი და თან არ ვიცოდი, ლექსი როგორ იწერებოდა.

„დიდო სტალინო, ღვთაებავ და ადამიანო", — დაიბადა გონებაში უცებ სტრიქონი. „დიდო სტალინო, ღვთაებავ და ადამიანო", — გავიმეორე, მგონი, უკვე მეათედ. ვერა და ვერ მოვაბი მეორე სტრიქონი. „დიდო სტალინო, ღმერთკაცო და ადამიანო", — შევცვალე ღვთაება ღმერთკაცით და უმალვე მეორე სტრიქონიც მოფრინდა საიდანღაც. — „მზე ჩაგვიქრა თუ ალარ ბრწყინავს შენი თვალები". „შენი" გავიფიქრე გაკვირვებულმა. — განა შეიძლება ბელადს შენობით მიმართო?" — უნებურად გამახსენდა რომელიღაც პოეტის ლექსი — „შენი სურათი სახლებში ჰკიდია როგორც ხანჯალი". რამდენი წელი იყო, ეს ლექსი რომ მახსოვდა, ბელადზე კი შენობით მიმართვა თუ შეიძლებოდა, არ მეგონა. არ გაგიკვირდეთ, ბატონო ჩემო, ტექნიკური ინტელიგენცია ცუდად

ვერკვევით ასეთ საკითხებში. მხოლოდ შემდგომ გავიგე, რომ საქართველოში მეფეებს შენობით მიმართავდნენ, თურმე თვით ღმერთსაც კი შენობით ელაპარაკებიან. განა თვითონ სტალინზე არ ვიცოდი ან არ წამეკითხა უამრავი ლექსი, სადაც პოეტები ბელადს შენობით მიმართავენ? „შენი სახლი ისევ დგას, ბედად გადარჩენილი?“ შანშიაშვილისაა, არა? უკაცრავად, გრიშაშვილის. საოცარია, ვკითხულობთ ლექსებს და ასეთ ნიუანსებს არ ვათვითცნობიერებთ. ეტყობა, ჩვენი ტვინი მაინც სხვანაირად არის მოწყობილი. მაგალითსაც ახლავე მოგახსენებთ. ვთქვათ, რომელიმე სადგურში გაჩერებული მატარებლის ვაგონიდან, რომელშიც მე ვზივარ, მოპირდაპირე მხარეს დავინახე ცისტერნა. უმალვე ვიწყებ გამოანგარიშებას, რამდენტონიანია იგი, შემდეგ ვეძებ წარწერას და ვერ წარმოიდგენთ, რა ბედნიერება მეუფლება, მართალი რომ გამოვდგები ხოლმე. ბუნებრივია, მწერლებს, თქვენ არ გგულისხმობთ, თქვენ ხომ ტექნიკური ინტელიგენციის წარმომადგენელი ბრძანდებით, აზრადაც არ მოუვათ ცისტერნების მოცულობა ან ჰაერში ვერტმფრენის სიჩქარე გამოთვალონ.

„დიდო სტალინო, ღმერთკაცო და ადამიანო, მზე ჩაგვიქრა თუ აღარ ბრწყინავს თვალები შენი“, — გადავანაცვლე უცებ ბოლოში ორი სიტყვა; ეს იყო და ეს. ველარ გავაგრძელე. გონებაში მილიონჯერ დატრიალებულ ორ სტრიქონს ველარაფერი მივუმატე. ქუთუთოები ნელ-ნელა დამიმძიმდა და ღრმად ჩამეძინა.

განა დღევანდელი ახალგაზრდობა ოდესმე გაიგებს ჩვენს განცდებს? ჩაიხედავს ჩვენს სულში და გაიანალიზებს, როგორ და რა სულისკვეთებით გავიზარდეთ?! დღევანდელ ახალგაზრდობას რომ ვამბობ, პირველ რიგში ჩემს შვილს ვგულისხმობ, ჩემს დაკითს. განა ისინი მიხვდებიან, სისხლში და ტვინის უჯრედებში ხელოვნურად როგორ ჩაგვითესლეს შიში და უნდობლობა?! როგორ გაგვხედნეს, როგორ დაეუფლნენ ჩვენს სულსა და აზროვნებას?! განა დღევანდელი თაობა მიხვდება, ორას ოც მილიონიანი საბჭოთა ხალხი როგორ დაადამბლავეს ფანატიზმისა და მონური ერთგულების ხელოვნური კიბოთი, თვითოეულ ადამიანს როგორ შეუყვანეს ორგანიზმში ანტითავისუფლების ვაქცინა?!

არც უნდა გაგვიკვირდეს, რომ ვერ გაგვიგონ. ყველა დროს თავისი პრობლემები მოაქვს, თავისი ტკივილი და საწუხარი.

3

არ ვიცი, არჩილ გორდელი კიდევ აპირებდა თუ არა საუბრის გაგრძელებას. კომპოზიციურად ეპიზოდი დამთავრებულის შთაბეჭდილებას სტოვებდა. დამთავრებულის, ოღონდ ცალმხრივის. დარწმუნებული ვიყავი, რაც მიამბო, ალალად მიამბო. არცერთ მისეულ კომენტარში ეჭვი არ შემპარვია. ოღონდ, კიდევ ვიმეორებ, ცალმხრივად მიამბო. ბუნებრივია, შეეცადა საკუთარი პიროვნება უკეთესად დაეხატა, ვიდრე სინამდვილეში იყო. მისი მცდელობა არ იმსახურებს დიდ გაკიცხვას. ყველანი ადამიანები ვართ. ყველას გვსურს, სარკეში უკეთესი გამოვჩნდეთ, ვიდრე სინამდვილეში ვართ. ცხოვრების სარკე, დამეთანხმებით, ფრიად რთული რამ გახლავთ. იქ მარტო ფიზიკური კი არა, სულიერი პორტრეტიც იხატება კაცისა. ჯგუფურ სურათში ცალთვალა კაცი აუცილებლად პროფილით დგება, რომ დახედვისთანავე თვალში არ გვეცეს მისი ფიზიკური ნაკლი. არჩილ გორდელის ნაამბობმა ჯგუფურ სურათში პროფილით მდგარი კაცის ასოციაცია აღმიძრა. განა მან არ მიამბო, ჯერ კიდევ მაშინ, სოსო ხომერიკმა რომ უთხრა, ჩვენი უკვდავი ბელადი მართლა უკვდავი ხომ არ გგონია, ერთ მშვენიერ დღეს მასაც

მიაკითხავს მიქელ გაბრიელიო, რა განცდაც დაეუფლა? და შემდეგ, სოხომ დემოკრატიასა და ამნისტიაზე გრძელი მონოლოგი რომ წარმოსთქვა, იმ წუთში შეშინებულსა და თავზარდაცემულს, განა იმედი ძალზე გაუბედავად, მაგრამ თანდათანობით, ნელ-ნელა, მისხალ-მისხალ არ გაუჯდა ტვინის უჯრედებში?! სოსოსთან მაშინდელი საუბრიდან გამომდინარე, ყველაზე სამწუხარო ის იყო, რომ არჩილ გორდელს პირველ რიგში თავის კარიერა აინტრესებდა, შემდეგ მამის განთავისუფლება. თავისი ფიქრებისა თვითონვე რცხვენოდა. საკუთარ თავს არ უტყდებოდა. ბოლოს და ბოლოს, ჩემი ტყუილუბრალოდ ნაწამები მამა განთავისუფლდებაო, არწმუნებდა საკუთარ თავს, მაგრამ გულში სითბო უფრო იმიტომ ეღვრებოდა, მამის რეაბილიტაციით კარიერისაკენ ჩარაზული გზების გახსნას რომ წარმოიდგენდა. ბელადის ავადმყოფობის ამბავი რომ გაიგო, გულწრფელ შეშფოთებას, სასოწარკვეთასა და თავზარდაცემას ამნისტიის სანუკვარი ოცნებაც დაუწყვილა. ლითონმცოდნეობის ლაბორატორიაში უფროსი მასწავლებლის დიალოგმა პირველად ძალზე შეაშინა, მაგრამ მისი მსჯელობა შინ რომ გაიანალიზა, ამნისტია კიდევ უფრო სარწმუნო ეჩვენა და თავზე საბანწაფარებულმა სიბნელეში ნათელ მომავალს გაუღიმა. უცებ ისევ ბელადი გაახსენდა. სტალინის სიკვდილმა წამიერად კვლავ თავზარი დასცა და ყველაფერი დაავიწყა. იოლად როდი ხდება ნარკოტიკისაგან სისხლისა და ტვინის უჯრედების გაწმენდა! ქვეყნის დემოკრატია და ძოსალოდნელი ამნისტია სიცივეში გარეთ გაგდებულ პატარა ბავშვს დაემსგავსა.

არჩილ გორდელი დარწმუნდა, შორს აღარ იყო ის დღე, მართლაც რომ დიდი ძვრები მოხდებოდა მაგრამ როდის? ერთ წელიწადში? ორში?. იქნებ სულაც სამში? სულმოთვინიერებული მეხუთე კურსის სტუდენტი მიხვდა, სტალინის სიკვდილიდან დემოკრატიის დაწყებამდე ყველაზე სახიფათო შუალედი იქნებოდა. კრემლში პოზიციების საბოლოო გამაგრებამდე, კაცმა არ იცის, ვინ რას მოიმოქმედებდა.

თავი მეცამეტე

1

— ერთი სასაცილო ამბავი მინდა გიამბოთ, თუკი, რასაკვირველია, შეიძლება ამ ამბავს სასაცილო ეწოდოს. თუმცა, სანამ უშუალოდ ამბავს მოგიყვებოდეთ, ჩემი ცხოვრებიდან ერთი თითქოს უმნიშვნელო ეპიზოდი მინდა გავიხსენო. ისინი ორგანულად უკავშირდებიან ერთმანეთს და იქნებ ორი პარალელური ამბით უფრო მიგახვედროთ, რისი თქმა მინდა.

ორი წლის უკან ბერლინში გახლდით, სიმპოზიუმზე. არა, აღმოსავლეთ ბერლინში კი არა, დასავლეთ ბერლინში. სამთო გეოლოგიის სამმართველოდან მახლდა ერთი ახალგაზრდა ინჟინერი, განათლებული და კარგი ყმაწვილი. სიმპოზიუმი თითქოს დაძაბულად და საქმიანად მიმდინარეობდა, მაგრამ, კაცმა რომ თქვას, თავისუფალი დროც ბევრი გვქონდა. მეორე თუ მესამე დღეს, სხდომის შემდეგ, რაიხსტაგისაკენ გავეშურეთ. რაიხსტაგი. რასაკვირველია, ნანახი გექნებათ. გაქვთ, არა? მაშინ მისი აღწერით თავს აღარ შეგაწყენთ. ოღონდ ერთს დავძენ, იგი ისე მრისხანედ როდი გამოიყურება, ბავშვობის წარმოდგენებიდან გონებაში რომ მქონდა ჩარჩენილი. მიუხედავად იმედის ერთგვარი გაცრუებისა, ჩემზე მაინც დიდი შთაბეჭდილება მოახდინა. ვიდექი და საოცარი ინტერესით შევჩერებოდი ხანძრისაგან ჩონჩხად ქცეულ გუმბათს და გუმბათის თავზე მოფრიალე დასავლეთ გერმანიის შავ-ყვითელ დროშას. ვიდე-

ქი და შევჩერებოდი მაშინდელი გაგებით დიდი სამამულო ომის, ხოლო ღღეევანდელი გაგებით მეორე მსოფლიო ომის სიმბოლოს. რაიხსტაგთან ჩიტების გუნდივით წამოშლილმა მოგონებებმა ჩემს ბავშვობაში დამაბრუნა. მეხსიერებაში თანდათან გამომიცოცხლდა შიშით, მწუხარებით, შემდგომ გამარჯვების სიხარულით აღსავსე ღღეები. ვერ გეტყვით, რამდენხანს ვიდექი ღრმა ფიქრსა და მოგონებებში წასული. უცებ ყურში ჩემი ახალგაზრდა კოლეგას სიტყვები ჩამესმა. ბატონო არჩილ, რას მისჩერებიხართ ამ ჩამონგრეულ შენობას, გვერდზე გაიხედეთ, როგორი ცხოვრება დუღსო. გაოცებულმა შევხედე ოცდარვა წლის ჭაბუკს. შენობა, რომელიც ჩემი ბავშვობის მოგონებების, ჩემი სულის, ჩემი სხეულის, ჩემი ვნებათაღელვებისა თუ მთელი ჩემი ბიოგრაფიის განუყოფელი ნაწილი იყო, ოცდარვა წლის წინ დაბადებული ყვაწვილისათვის დამწვარ და ჩამონგრეულ შენობას წარმოადგენდა.

— ბატონო არჩილ, ხომ არაფერი გაწყენინეთ? — მკითხა შეცბუნებულმა.

— რა ბრძანეთ? — ვკითხე მე. ეტყობა, ბოლომდე მაინც ვერ ვიყავი ფიქრებიდან გამორკვეული.

— ხომ არაფერი გაწყენინეთ-მეთქი?!

ეტყობა, ჩემს თვალებში, ჩემს გამოხედვაში იმდენი გაოცება და, ადვილი შესაძლებელია, აღშფოთებაც ამოიკითხა, რომ თავის უტაქტობას მიხვდა და გულწრფელად შეწუხდა.

— არა, არაფერი, პირიქით! თქვენმა გულწრფელმა ნათქვამმა ბევრ რამეში ჩამახედა და გამარკვია. არის ბევრი რამ, ეურასდროს რომ ვერ გავუგებთ ერთმანეთს. ღღეს კიდევ ერთხელ დავრწმუნდი, რომ თქვენზე მხოლოდ ოცდაშვიდი წლით კი არა, სამამულო ომით ვარ უფროსი.

მწერალი ბრძანდებით და რა დასკვნებსაც ახლა გავაკეთებ, თუ რა მოსაზრებებსაც ახლა ჩამოვაყალიბებ, თქვენ გაცილებით ღრმად და ფილოსოფიურად შეგიძლიათ ჩასწვდეთ და გაანალიზოთ. ჩვენი და ჩვენზე უფროსი თაობიდანაც ბევრს ჰგონია, რომ სამამულო ომი დიდი ხანია დამთავრდა, დიახ, დამთავრდა და დავიწყებასაც მიეცა. ცდებიან, ბატონო ჩემო, მწარედ ცდებიან. მან თავის დროზე სულ სხვანაირად ჩამოაყალიბა ჩვენი სული და გონება, ერთ გარკვეულ და მტკიცე ჩარჩოებში მოაქცია, ერთი გარკვეული მიმართულებაც მისცა. მართალია, ბევრმა გადაუხვია ამ მიმართულებიდან, ბევრმა მკვეთრადაც გადაუხვია, მაგრამ ფაქტი ერთია, ძირითადი მიმართულება მაინც იგივე დარჩა. ჩვენ ხანდახან ვერც კი ვგრძნობთ, მაგრამ, მერწმუნეთ, იგივე დარჩა. მაშინდელი განცდები და შთაბეჭდილებები უხილავ ზეგავლენას ღღესაც ახდენს ჩვენზე.

პაუზა. ნაფაზი. ღრმა ამოსუნთქვა თუ ამოოხვრა.

— ამჯერად მეორე ამბავი მინდა მოგითხროთ. შეიძლება მოგეჩვენოთ, რომ მათ შორის არავითარი ლოგიკური კავშირი არ არსებობს. მე პირიქით მგონია. ჩემი ნაამბობი კაცმა შეიძლება რთული, ფილოსოფიური ან სოციალური თვალსაზრისით გააანალიზოს. სრულიად ადვილი შესაძლებელია მარტივი, პირდაპირი და იქნებ ირონიული ახსნაც მოუნახოს. თუმცა მჯერა, თქვენ უფრო დიდ სიღრმეებში შეგიძლიათ შესვლა. ვინ მეტყვის, სად იწყება ან სად მთავრდება ზღვარი ტრაგედიასა და კომედიას შორის? არსებობს კი მათ შორის გამოკვეთილი საზღვარი, თუ ერთმანეთშია არეული და შეზელილი?

ამ რამდენიმე წლის წინ ქუთაისში გახლდით. უფრო სწორად, ტყიბულში. მაგრამ ქუთაისის სასტუმროში ვამჯობინე გაჩერება. მეორე დილით, უთენია, ხმაურმა და მხიარულმა ყიჟინამ გამომაღვიძა. საათს დავხედე. შვიდი იწყებოდა. განერვიულებულმა ლო-

გინში ტყუილად ვიწრიალე, ძილი ველარ შევიბრუნე. ყიჟინა და ხმაური არ კლებულობდა. პირიქით, თანდათან მატულობდა. ფეხზე წამოვიჭერი და ასასვლელად მოვემზადე. ნომრიდან რომ გამოვედი, უამრავ ხანშესულ სამხედრო პირს მოვკარი თვალი. მკერდზე ორდენები და მედლები უბრწყინავდათ: ისეთებიც იყვნენ, ორდენები და მედლები მკერდზე რომ აღარ ეტეოდათ: ორი თუ სამი ცალფეხა იყო. ერთ ცალთვალასაც მოვკარი თვალი. უმრავლესობა რუსები იყვნენ. აქა-იქ შუაზიელებიც ერევნენ. კიბეზე დავეშვი. ერთი სული მქონდა, როდის გავეცლებოდი მათ მხიარულ ხორხოცს.

ვესტიბულში ვიღაც პოლკოვნიკი წინ გადამიდგა.

შევცბი, ერთბაშად გონს ვერ მოვეგე. ვერ მივხვდი, ვინ იყო და რა უნდოდა, უცებ, ქუდი რომ მოიხადა, მაშინღა ვიცანი, ჩემი მეგობრის ბაბუა გახლდათ, სანდრო მიქაბერიძე. ცნობა რომ გამიჭირდა, ნუ გაგიკვირდებათ. მანამდე მოხუცი სამხედრო ფორმაში არასღროს მენახა. არც ის ვიცოდი, თუ ამდენი ორდენი და მედალი ჰქონდა.

— რა ხდება, რას ღღესასწაულობთ? — ეკითხე ღიმილით. — ვხედავ, მოელი საბჭოთა კავშირი აქ ჩამოგიფანიათ.

— დიდი ღღესასწაული გვაქვს არჩილ ლევანის ძევ, ჩვენმა მეოთხე გვარდიულმა პოლკმა თვით ბერლინამდე მიაღწია. აქ ვისაც ხედავთ, ყველანი რაიხსტაგის შტურმის მონაწილენი ვართ. ღღეს ვზეიმობთ ფაშისტურ გერმანიაზე გამარჯვების ოცდამეთორმეტე წლისთავს. აი, სულ ესღა დავრჩით ცოცხალნი მეოთხე გვარდიის პოლკის შემადგენლობიდან. უმრავლესობა ომში დაიღუპა. რამდენიმე მათგანი თავისი სიკვდილით მოკვდა, სამმა კაცმა კი ჩამოსვლა ვერ მოახერხა. დანარჩენები ყველანი აქა ვართ, სულ ორმოცდაშვიდი - კაცი. საცოდაობაა, არა? თქვენ რომ ახლა დაინვალიდებულებსა და დაფეხვილ მოხუცებს გვიყურებთ, სწორედ ჩვენ ვიყავით, ბერლინი რომ მიწასთან გავასწორეთ.

— გულწრფელად, გილოცავთ დიდ ღღესასწაულს! — წარმოვთქვი ღიმილით და წასვლა დავაპირე.

— არა, არჩილ ლევანის ძევ, გვარდიის გადამდგარი პოლკოვნიკის არჩილ დავითის ძე გორდელის შვილიშვილი ღღეს ჩვენი საპატიო სტუმარი უნდა იყოს. კოცონზე მოსვლით არ შეგაწუხებთ. უმორჩილესად გთხოვთ, საღამოს რვა საათზე რესტორან „იმერეთში“ მობრძანდეთ. სიტყვა უნდა მომცეთ, რომ აუცილებლად მესტუმრებით. მაძლევთ ვაჟკაცი კაცის სიტყვას?

გაძლევთ-მეთქი, — ვუთხარი კვლავ ღიმილით და გამოთხოვების ნიშნად ხელი ჩამოვართვი.

— მჯერა, არჩილ დავითის ძე გორდელის შვილიშვილი ტყუილს არ იკადრებს! — პოლკოვნიკმა ხელი მხედრულად ამიღო, მკვირცხლად, სამხედრო წესების დაცვით შებრუნდა და ვესტიბულში შეჯგუფულ ვეტერანებთან მივიდა

განა შეიძლება სიტყვებით გადმოიცეს, რაც იქ, რესტორანში, ბანკეტზე ხდებოდა? ვიღაც მადლიანს ვიდეოკასეტაზე უნდა აღებეჭდა მართლაც რომ გასაოცარი, ჩვენი ახალგაზრდებისათვის ალბათ გაუგებარი და იქნებ სასაცილო სცენები. ერთმანეთის ხვევნა-კოცნა, ახალგაზრდული ენერგია და ხალისი, ყიჟინა, სიმღერა, შეძახილები... შევცქეროდი ლამის სამარის კარამდე მისულ მოხუცებს და ვერ გავრკვეულიყავი, უნდა შემბრალებოდნენ, თუ უნდა შემშურებოდა მათი — ჩვენი თაობისათვის უცხო ოპტიმიზმი და შემართება! დიახ, ფანატიკოსები საბრალონი არიან, ვამბობთ ჩვენ. იქნებ ვცდებით! იქნებ არც ვცდებით! მხოლოდ მაღალმა ღმერთმა იცის, საბრალონი არიან ისინი თუ უბედ-

ნიერესი ადამიანები. იცით, როგორი შთაბეჭდილება დამრჩა მათ აღტაცებულ სახეებსა და გაბრწყინებულ თვალებს რომ ვხედავდი? ხვდებით, ხომ? ყველაფერი, დღეს რომ ჩვენს ირგვლივ დულს და გადმოდულს, იდეათა საოცარი, დაუნდობელი ჭიდილი, კომუნისტური იმპერიის ყველა მონაპოვრის უარყოფის მცდელობა, სევდა და ტკივილი, უქმად დაკარგული წლები და ფუჭად ჩავლილი ცხოვრება მათთვის არ არსებობს, დიახ, დიახ, არ არ-სებობს! ისინი ისევ იქ არიან, ფრონტზე, ხელთ ისევ იარაღი უპყრიათ და კვლავ რაიხსტაგის შტურმისათვის ემზადებიან. გამარჯვების ექსტაზით მთვრალნი დღესაც განიცდიან ამდენი ათეული წლის წინანდელ, გამარჯვებული კაცის ენით აუწერელ ტკბობას. „ჩვენ რომ სტალინგრადთან ვიბრძოდით!", — „ჩვენ რომ ჩეხოსლოვაკია ავიღეთ!" „ჩვენ რომ ბერლინს მივუახლოვდით!", „ჩვენ რომ გერმანია გავანადგურეთ!" ისმოდა ყოველ წუთს. ყოველი მეორე თუ არა, მესამე სადღეგრძელო მაინც დიდი ბელადისა და მთავარსარდლისა ისმებოდა. შევჩერებოდი რწმენით, ფანატიზმით, ოპტიმიზმით, ღვინით აცუნდრუკებულ მოხუცებს და, გულწრფელად რომ გითხრათ, თავი სხვა პლანეტიდან ჩამოსული ადამიანი მეგონა.

კიდევ ერთი საათი და სუფრაზე ისეთი სიტუაცია შეიქნა, ჩემს იქ დარჩენას არავითარი აზრი აღარ ჰქონდა. არც აღარავის ვახსოვდი. ჩემი ცნობისმოყვარეობისათვის ახალიც აღარაფერი ხდებოდა და იქაურობას შეუმჩნევლად გავეცალე.

„მე თუ ვყოფილვარ როდესმე ასეთი ბედნიერი?" — ვფიქრობდი გზაში. ფიქრი ლოგინშიც გავაგრძელე. მაინც ვერ შევძელი გამერკვია, ბედნიერები იყვნენ ისინი, თუ უბედურები. ვთქვათ, უბედურები არიან თავიანთი უვიცობით, ფანატიზმით, გონებაშეზღუდულობით, ვერ შეიგრძნეს წუმპესა და სიბინძურეში რომ ცხოვრობენ, ვერ ამჩნევენ სულიერად დაკოდილ ადამიანებს, ვერ გრძნობენ, თვითონაც რომ ყოველთაოდ გაკოტრებული იდეების მსხვერპლნი არიან. მე? მე, რომელმაც ვიცი და პირადად განვიცადე ეს ყოველივე, ბედნიერი ვარ?! ან თუნდაც თქვენ, ჩემზე უკეთ რომ შეიგრძენით ბოლშევიკური წუმპე და ჩვენი ცხოვრების არარაობა, ბედნიერი ხართ? პირიქით, ბატონო ჩემო! პირიქით, უბედურები ვართ, უბედურები. განა არ მივტირით უხალისოდ, ფუჭად დაკარგულ წლებს? არ ვიცი, კიდევ რამდენხანს ვიცოცხლებ. მაძლევთ გარანტიას, სიკვდილამდე თუნდაც ერთ დღეს მაინც რომ ვიქნები ჭეშმარიტად ბედნიერი და თავისუფალი?

ის იყო ჩამთვლიმა, რომ ვეტერანების ხმაურმა (გამომაღვიძა) ეტყობოდა, კარგა შეხურებულები დაბრუნდნენ რესტორნიდან. ტუმბოზე მოთავსებული ღამის ნათურა ავანთე. ორი სრულდებოდა. ლოგინში გვერდი ვიცვალე და დაძინებას შევეცადე. დიდხანს ჩამესმოდა ყურში ხმამაღალი ლაპარაკი და სიცილი. დროდადრო არმიულ სიმღერებსაც მღეროდნენ. კარგა ხნის შემდეგ თითქოს მიწყნარდა აურზაური. მხოლოდ რომელიღაც ნომრიდან მოისმოდა სიმღერის ხმა. ეტყობოდა, ზოგიერთებს კიდევ ჰქონდათ ფეხზე დგომის თავი და ერთ-ერთის ნომერში შეკრებილნი აგრძელებდნენ გამარჯვების ზეიმს.

დაღლილობამ თავისი გაიტანა და ღრმად ჩამეძინა. მე, ღამე არ გავა ისე, ოთხი-ხუთი სიზმარი მაინც რომ არ ვნახო. იმ ღამეს არაფერი დამსიზმრებია. ოღონდ ეგ იყო, მოულოდნელად ბრახაბრუხი, უკმაყოფილო შეძახილები და შიგადაშიგ გინებაც ჩამესმა. პირველად მეგონა, სიზმარს ვხედავ-მეთქი. კარზე უცერემონიო ბრახუნი და გინება მეზობელი ნომრიდანაც რომ გაგიგონე, მივხვდი, ყველაფერი ცხადში ხდებოდა. თვალი გავახილე. ფანჯ-

რებში ადრიანი დილა იცქირებოდა. საათს დავხედე. შვიდს ოცდახუთი წუთი აკლდა. დერეფნებში ყვირილი, აურზაური და გინება თანდათან უფრო ძლიერდებოდა. ვერ გავრკვეულიყავი, რა ხდებოდა. უმალვე ფეხზე წამოვიჭერი. ცნობისმოყვარეობა მკლავდა, მაგრამ სანამ საბოლოოდ არ მოვწესრიგდი, ნომრიდან ფეხი არ გამომიდგამს. დერეფანში რომ გამოვედი, ორმხრივი კიბეების მრგვალ ბაქანზე ვეტერანებს შორის ჩამდგარი ნაცნობი პოლკოვნიკი დავინახე. ირგვლივ სამხედროები ირეოდნენ. ზოგს ჩანთა ეჭირა ხელში, ზოგს პორტფელი, ზოგსაც მომცრო ჩემოდანი. გაცხარებული და აღელვებული პოლკოვნიკი რაღაც ბრძანებებს იძლეოდა, მაგრამ ხალხის ზრიალში არაფერი ისმოდა.

უცებ დირექტორს და ადმინისტრატორს მოვკარი თვალი. ისინი ნომრებში დარბოდნენ და თან გამწარებული ყვიროდნენ, ჩქარა დაცალეთ ოთახები, სადაცაა ტურისტები მოვლენო.

— მეგობარო, ორდენი დაგრჩათ, ორდენი! — მომესმა დამლაგებელი ქალის ხმა. მან ცალხელა ოფიცერთან მიირბინა და შეწუხებული ღიმილით ორდენი გაუწოდა.

— მიშველე, — ოლია, მიშველე! — მომესმა უცებ.

ზემო სართულიდან დამლაგებელი ქალი ჩამორბოდა.

ჩვენი სართულის მორიგემ, ოლია რომ რქმევია, დამლაგებელ ქალს კითხვის ნიშნით შეხედა.

— შუშის თვალი დარჩა მაგ უბედურს ჭიქაში. მე რუსული არ ვიცი, თუ ქალი ხარ, მიუტანე!

— რომელს, გოგო?

— აგერ, ა, მკერდი რომ სულ ორდენებით აქვს სავსე!

— დააჩქარეთ, მეგობრებო, დააჩქარეთ! — გაისმა აქცენტიანი რუსულით გაცემული განკარგულება.

კიბესთან მივედი და დაბლა გადავიხედე. მთავარ გასასვლელთან ორ-მოღურად ჩაცმულ ქალბატონს მოვკარი თვალი. შავი სათვალეები შუბლზე აეტანათ, კედელთან მიმდგარიყვნენ, ყველს ღეჭავდნენ და კიბეზე ლანძღვა-გინებით ჩამომავალ სამხედროებს დამცინავი ღიმილით მისჩერებოდნენ.

მივხვდი, „ინტურისტის“ წარმომადგენლები იყვნენ.

რამდენიმე წუთში სასტუმროს წინ ორი ავტობუსი ჩამოდგა. ავტობუსებიდან ერთმანეთის მიყოლებით გადმოვიდნენ გემოვნებით ჩაცმული დასავლეთგერმანელი ტურისტები. ყველანი, ქალებიც და კაცებიც, ხანშესულნი იყვნენ, ალბათ პენსიონერები. წარმოიდგინეთ, ბატონო ჩემო, რა ტრაგი-კომიკური სცენის მოწმე გავხდი, გერმანელები მაღლა ამოდიოდნენ, ხოლო სასტუმროდან გამოყრილი ომის ვეტერანები ქუჩისაკენ მიემართებოდნენ. ისინი დაახლოებით ერთი ასაკისანი იყვნენ. ვინ იცის, იქნებ ფრონტზე შეხვედრიან კიდეც ერთმანეთს. ალბათობა ძალზე დიდია და საეჭვო, მაგრამ ხომ შეიძლება გერმანელ ტურისტთა შორის ყოფილიყო ის კაცი, ორდენებით მკერდგადაჭედილ მაიორს რომ თვალი მოსთხარა, ან იმ დაბალ, ჩაფსკვნილ ზემდეგს რომ ფეხი დააკარგვინა?!

პაუზა. ჩიბუხის ტრადიციული გაწყობა. შიგადაშიგ ხმადაბალი, ირონიული ჩაცინება.

— რატომ გიამბეთ ეს ორი ეპიზოდი? არ იფიქროთ, ჩემი თავგადასავალის ყველა მსხვილმანი თუ წვრილმანი დეტალების ან დაკვირვებების მოყოლას ვაპირებდე. არა, თქვენი მოთმინებითა და კეთილშობილებით ბოროტად ნამდვილად ვერ ვისარგებლებ. ვფიქრობ, მაინცდამაინც არც ჩემი ფილოსოფიური თუ ფსიქოლოგიური დასკვნები დაგაინტერესებთ. ალბათ ისეთს ვერაფერს ბეტყვით, თქვენ რომ არ განგიცდიათ და აღმოგიჩენიათ. დღეს, უბრალოდ, ბაბუაჩემის, გვარდიის პოლკოვნიკ არჩილ გორდელის დაბადების დღეა. ნება მიბოძეთ, ყოველგვარი

ამაღლებული სიტყვების გარეშე დავლიო მისი შესანდობარი. ბაბუაჩემი დიდი კაცი იყო, იმიტომაც მოიკლა თავი. ჩემზე უკეთ მოგეხსენებათ, თავის მოკვლას არ ამართლებს არც ქრისტიანული სარწმუნოება, არც სახელმწიფოებრივი იურისპრუდენცია. მაინც გთავაზობთ დიდი ფიქრის და შინაგანი განსჯის, საკუთარ თავთან მძაფრი დიალოგის შედეგად გამოტანილ მოსაზრებას. ზოგჯერ თავის მოკვლაში იმდენად დიდი აზრია ჩადებული, იმდენად დიდია წინასწარი განჭვრეტის სავარაუდო შედეგი, რომ ნება მიბოძეთ, არ დავეთანხმო არც რელიგიურ, არც იურიდიულ დებულებებს. ქუთაისში, აბუჩად აგდებულ და სულიერად განადგურებულ ომის ვეტერანებს რომ ვუყურებდი, უნებურად, ბაბუაჩემი გამახსენდა. თუმცა, რატომ უნებურად? ვფიქრობ, ბაბუაჩემის გახსენება ლოგიკური და ბუნებრივი იყო, კიდევ კარგი, რომ ამ დროს ვერ მოესწრო. მაინც რა დროულად მოიკლა თავი! მრავალი წლის მანძილზე მტანჯავდა ფიქრი, რამ მიიყვანა-მეთქი იგი თვითმკვლელობამდე. უბედურება ის იყო, ჩემს ფიქრსა და ტანჯვას ვერავის ვუზიარებდი. ბაბუაჩემის თვითმკვლელობის ამბავი ხომ მარტო მე და დედაჩემმა ვიცოდით. დედაჩემი ცოცხალი აღარ არის. დღესდღეობით მარტო მე და თქვენ ვიცით. დღეს თავისუფლად შეიძლება ბაბუას თვითმკვლელობის ამბავი ყველას გავაგებინო, პოლიტიკური თვალსაზრისით აღარავითარი საშიშროება არ მემუქრება. მაინც არავის ვუმხელ. შვილსაც კი! რაკი გვარდიის პოლკოვნიკმა ჩუმად მოიკლა თავი და პატარა ანდერძს ვინ დაეძებს, ორსიტყვიანი წერილიც არ დაგვიტოვა, ალბათ არ უნდოდა მისი თვითმკვლელობის ამბავი ვინმეს გაეგო. მეც თავს ვალდებულად ვთვლი, ბაბუაჩემის თვითმკვლელობის საიდუმლო არ გამოვამჟღავნო. წლების მანძილზე ვიკლავდი გულში მოუშუშებელ ტკივილს. თუმცა დრო ყველაფრის მკურნალია და იგი ნელ-ნელა მინელებს ტანჯვას. ცხოვრების ორომტრიალმა და ჩვენს წინაშე წამოჭრილმა მილიონმა პრობლემამ ლამის საკუთარი თავიც კი დაგვავიწყა. და აი, მაშინ, ქუთაისში, ახალი ძალით იფეთქა ბაბუაჩემის თვითმკვლელობით ჩემს გულში დაბადებულმა ტკივილმა. მივხვდი, რომ სწორად მოიქცა. უფრო მეტიც, დავრწმუნდი, რომ სხვანაირად არ შეეძლო მოქცეულიყო. განა ფანატიკური რწმენის კაცს, მთელი ცხოვრება რომ პატიოსნად იცხოვრა და იბრძოლა, შეეძლო თვალში შეეხედა დღევანდელი სინამდვილისათვის? აღარც რწმენა, აღარც პატიოსნება. მაღალ იდეალებს ვინ დაეძებს, ოჯახურ პრობლემებს იქით აღარ ქრის ჩვენი გონება. და ვინც კვლავ ფანატიკურად ერთგულები დარჩნენ თავიანთი რწმენისა და იდეალებისა, რა საცოდავები, სასაცილოები და, ამავე დროს, რა გამაღიზიანებლები სჩანან და არიან დღევანდელ დღეს! განა რომელიმე ხედება, რა უაზროდ გაატარა მთელი ცხოვრება, რა სახელმწიფოს აშენებას შესწირა ნიჭი და ენერგია?! ბაბუაჩემმა, გვარდიის პოლკოვნიკმა არჩილ გორდელმა იგრძნო მოახლოებული უბედურება, იგრძნო, როგორ ინგრეოდა მისი ენერგიული შრომითაც აშენებული ქვეყანა, იგრძნო, როგორ უფასურდებოდა რწმენა და ძველი ფასეულობანი. მიხვდა, როგორ ახლოვდებოდა მორალური სიკვდილი, სულიერი სიკვდილი, მიხვდა და დაასწრო, თავი მოიკლა. სულიერ სიკვდილს ფიზიკური სიკვდილი ამჯობინა. განა ყველას აქვს მომავლის შეგრძნების მსგავსი ინტუიცია? გეთანხმებით, გეთანხმებით, ინტუიცია, შეიძლება ბევრსაც აქვს, მაგრამ ყველას როდის შესწევს უნარი მსგავსი საბედისწერო ნაბიჯის გადადგმისა.

გულწრფელად უნდა გამოგიტყდეთ. არჩილ გორდელის იმდღევანდელი

ნაამბობი ლიტერატურულად უფრო მეჩვენა საინტერესოდ, ვიდრე მისი სულისა და არსის ამოსაცნობად და გასახსნელად. ვიფიქრე, რაკი ბაბუამისის დაბადების დღეა, საბრალო პოლკოვნიკი მხოლოდ ტრადიციული წესისამებრ გაიხსენა-მეთქი. კიდევ ერთ მნიშვნელოვან დეტალს ვერ მივაქციე სათანადო ყურადღება. არჩილ გორდელის თვალში მთელი ამ ხნის მანძილზე პირველად შევნიშნე ცრემლი. იმ დღეს ჩვეულებრივზე მეტი კონიაკი დალია. ღმერთო, შეგცოდე და ვიფიქრე, იქნებ მთვრალი კაცის სანტიმენტალიზმი შემოაწვა-მეთქი.

კარგა ხნის შემდეგ, რომანის წერის დროს ამ ეპიზოდს რომ მივადექი, მაშინღა მივხვდი, არჩილ გორდელის ნაამბობს უფრო სხვა და ღრმა მნიშვნელობა ჰქონდა, ვიდრე ბაბუამისის დაბადების დღესთან დაკავშირებით წამოყენებულ მორალური სიკვდილის თეორიას. საკუთარ თავზე გული მომივიდა. როგორ ვერ ჩავწვდი სიტუაციის ნამდვილ არსს, როგორ ვერ მივხვდი, რომ არჩილ გორდელი საბედისწერო ნაბიჯის გადასადგმელად ემზადებოდა.

იქნებ იმიტომაც ვერ მივხვდი, რომ მისი თვითდაჯერებული გამომეტყველება, უნაკლო ჩაცმულობა, საკმაოდ მაღალი თანამდებობა და საზოგადოებრივი მდგომარეობა ამ ძიმართულებით ფიქრსაც კი უაზროს ხდიდა? იქნებ მისი ოპტიმისტური ტონი, ლაპარაკის მაღალფარდოვანი მანერა და არტისტული ბუნება არჩილ გორდელის შინაგან სამყაროს, რეალურის საწინააღმდეგო სულ სხვა იერს აძლევდა და სულ სხვა პლასტებით ხატავდა?

ბუნებრივია, ყველა ნიუანსმა და დეტალმა, თავის დროზე რომ უმნიშვნელო წვრილმანად მეჩვენებოდა, მხოლოდ არჩილ გორდელის სიკვდილის შემდეგ შეიძინა ჭეშმარიტი მნიშვნელობა.

თავი მეთოთხმეტე

— ბაბუაჩემმა რომ თავი მოიკლა, „კომუნისტში“ დიდი ნეკროლოგი გამოაქვეყნეს. მარტო ის რად ღირდა, ნეკროლოგს რომ ხუთი ქართველი გენერალი აწერდა ხელს! გაზეთის ასი ეგზემპლარი მაინც ვიყიდე. და აი, ერთი თვის გავლის შემდეგაც კვლავ ნეკროლოგს დავჩერებოდი, ტექსტს, ვინ იცის, მერამდენედ ვკითხულობდი. უნდა წარმოიდგინოთ, გვარდიის პოლკოვნიკის სურათს, როგორი სასოებით დავცქეროდი. უნდა მიმიხვდეთ, ბატონო ჩემო, ნეკროლოგმა რამოდენა სიხარული მომიტანა. ბაბუა, გვარდიის გადამდგარი პოლკოვნიკი არჩილ გორდელი, სიცოცხლის უკანასკნელ თვეებში ლამის რომ მაღიზიანებდა და ნერვებზე მშლიდა, ახლა რაღაც უსაშველოდ მიყვარდა და მეამაყებოდა.

მკერდს ორი ორდენი, ექვსი მედალი, გვარდიისა და აკადემიის დამთავრების სამკერდე ნიშნები უმშვენებდა. თითქოს მეცოტავებოდა, თითქოს გული მეთანაღრებოდა. რა იქნებოდა, ვნატრობდი გულში, კიდევ ერთი ორდენი რომ მაინც ჰქონოდა-მეთქი.

ბაბუას ნეკროლოგმა, სასაფლაოზე გამართულმა მიტინგმა, კუბოს საფლავში ჩაშვებისას ოცეულის სამმა ზალპმა, სიხარულითა და იმედებით ამავსო. გეოლოგიის სამმართველოს უფროსმა, სამმართველოს მთელმა კოლექტივმა, სამთო-გეოლოგიის ფაკულტეტის პროფესორ-მასწავლებლებმა, ჩემმა სკოლისა და ინსტიტუტის მეგობრებმა საკუთარი თვალით დაინახეს, ბაბუაჩემს როგორი პატივი მიაგეს. თვალნათლივ დარწმუნდნენ, მთავრობა ჩვენს ოჯახს არ ერჩოდა. პირიქით, გამორჩეული პატივით ექცეოდა. ეს კი მაშინ, დამეთანხმებით, ძალიან ბევრს ნიშნავდა. ბაბუამ თავისი

სიკვდილითაც მთელს ოჯახს კიდევ ერთი დიდი საქმე გაგვიკეთა.

ბაბუაჩემმა თავი მოიკლა-მეთქი, რომ გითხარით, გაკვირვება შეგამჩნიეთ. დიახ, სამწუხაროდ და სავალალოდ, თავი მოიკლა!

ბევრი უბედურება დაატყდა საცოდავს. მათ შორის, ორი უმთავრესი იყო, მეუღლის გადასახლება და შვილის ტყვეობის ამბავი, ტყვეობისა, რომელსაც მამაჩემის გადასახლება მოჰყვა. მიუხედავად ამ ორი დიდი უბედურებისა, არ მეგონა, თუ უზარმაზარი ენერგიისა და ნებისყოფის მქონე ფრიად ორგანიზებული კაცი თავს მოიკლავდა. შემდგომში კი მივხვდი, მას კიდევ ერთმა უბედურებამ დასცა თავზარი, რომელმაც უაზრო გახადა გვარდიის პოლკოვნიკის ამქვეყნიური სიცოცხლე.

ალბათ გახსოვთ, მამაჩემის გადასახლების ამბავი რომ გაიგო, რა დაემართა. ალბათ ისიც გახსოვთ, შვილის სურათების განაღგურება რომ მოითხოვა. მას შემდეგ გაღიმებული ბაბუა აღარ მინახავს. სევდა და ჭმუნვა თანდათანობით დაეუფლა მოხუცის სულსა და გონებას. მეგონა, დრო თავისას გაიტანდა, შვილის გადასახლებით მიყენებულ დარტყმას გადაიტანდა და მწარე სინამდვილეს თანდათან შეეგუებოდა. ყველაფერი კი პირიქით მოხდა.

ერთხელ, შინ რომ დავბრუნდი, მაგიდასთან მჯდომი ბაბუა დავინახე. გავუღიმე და ხელის აწევითაც მივესალმე. არ შერხეულა, არადა პირდაპირ მე მიმზერდა. მივხვდი, ღრმა ფიქრში წასულმა ვერ დამინახა, უფრო სწორად, დამინახა, მაგრამ ვერ აღმიქვა.

ხმა აღარ ამომიღია, სასადილოდ სამზარეულოში გავედი.

— რა დაემართა? — ვკითხე დედას.

— არ ვიცი, რა უბედურებაა მაგ საცოდავის თავს!

დედაჩემი თითქმის ჩურჩულით ლაპარაკობდა, თუმცა საეჭვო იყო, ბაბუამდე ხმამაღალ ნათქვამსაც კი მიეღწია.

— შენ რას შეამჩნევ, მთელი დღე შინ არა ხარ. არც მე გეუბნები არაფერს, — ამოიოხრა დედამ, — არ მინდა ამდენი უბედურებით დამძიმებული გული კიდევ დაგიმძიმო. მთელი დღე თავის ოთახშია შეკეტილი. თუ ხანდახან სასადილო ოთახში ინებებს გამოსვლას, ერთთავად დუმს, ჩმას არ იღებს. სივრცეზე უაზროდ თვალგაშტერებული ვერც ვერაფერს ხედავს და ვერც ვერაფერს ამჩნევს. ძე თითქმის აღარ მელაპარაკება. თუკი მოახერხებს, ცდილობს, სიტყვის უთქმელად, მიმახვედროს რა უნდა, ან რა აწუხებს.

ჭამის ხალისი დამეკარგა. ჩანგალს უგერგილოდ ვაწვალებდი და დაფიქრებული თეფშს ჩაჩერებოდი.

ჩვეულებისამებრ, დედა პირდაპირ დამიჯდა.

ზედმეტ ყურადღებას ვერ ვიტანდი. სხვა დროს ბევრჯერ უხეშადაც კი მითქვამს, საჭმელი შემარგე, ნუ მომჩერებიხარ-მეთქი. ამჯერად ხმა არ ამომიღია. დედის დაჟინებული მზერა აღარ მაღიზიანებდა. ვიცი, საბრალო ქალი ჩემგან რაღაც სანუგეშოს ელოდა. რას ელოდა ან რით უნდა მენუგეშებინა მთელი ცხოვრება დარდით და უბედურებით გაწამებული დედაჩემი?! ვიცოდი, მამამთილის უგუნებობას ყოველთვის მამაჩემს უკავშირებდა. თქმით არაფერს ამბობდა, მაგრამ მისი შეშფოთებული, ნაღვლიანი გამოხედვა მხოლოდ ერთ შიშს გამოხატავდა, ხომ არაფერს გვიმალავს მოხუცი, შვილის ცუდი ამბავი ხომ არაფერი შეიტყოო.

მამაჩემის სურათების დახევა რომ გვიბრძანა, მას მერე დიდმა დრომ გაიარა. მთელი ამ დროის მანძილზე შვილი საერთოდ აღარ უხსენებია.

უნდა გამოგიტყდეთ, რომ იმ დღიდან მოყოლებული, ბაბუაჩემისა და უცნობი სტუმრის ლაპარაკი რომ მოვისმინე, გვარდიის პოლკოვნიკზე გული ავიყარე,

ვერ წარმომედგინა, რაღაც პრინციპების გამო მამას ერთადერთი ღვიძლი შვილი როგორ უნდა გაემეტებინა! როგორ შეიძლებოდა, შვილის სიკვდილი უფრო გაგხარებოდა, ვიდრე მისი ტყვეობაში სიცოცხლე! კაცი ტყვედ ჩავარდა. ომის დამთავრების შემდეგ უკან დაბრუნდა. რაიმე დანაშაული რომ ჰქონოდა ჩადენილი, უკან დაბრუნებას ხომ ველარ გაბედავდა?! დაბრუნდა. ესე იგი, მხოლოდ ერთადერთი დანაშაული ჰქონდა, უკანასკნელი ტყვეით რომ თავი ვერ მოიკლა. განა ამისათვის კაცს ოცდახუთი წელიწადი უნდა მიუსაჯო? შეიძლება ვინმე შემომედაოს, რამდენი ტყვედნამყოფი ვიცით, მთავრობას არამცთუ არ დაუპატიმრებია, უბრალოდაც არ დაუსჯიაო! გეთანხმებით, ბატონო ოპონენტებო, გეთანხმებით, მაგრამ იმასაც შეგახსენებთ, რამდენი ადამიანი ვიცით, სრულიად უდანაშაულოდ რომ გადაასახლეს ან შეუბრალებლად რომ გაუყენეს საბოლოო გზას! მამაჩემის ღალატი არ მჯეროდა. დარწმუნებული ვარ, არც ბაბუაჩემს სჯეროდა. მაშ რამ გააცოფა მოხუცი პოლკოვნიკი? მხოლოდ შვილის გაუბედაობამ, რომ თავი არ მოიკლა?! ჩემთვის გაუგებარი გრძნობაა და ალბათ ისე ჩავალ სამარეში, ვერასდროს ვერ ჩავწვდები ბაბუაჩემის ტვინის მექანიზს. ზოგიერთ რამეს განმეორებითაც კი გიყვებით. არ იფიქროთ, უკვე რაც გიამბეთ მავიწყდებოდეს, და თავს მხოლოდ გულმავიწყობის გამო გაბეზრებდეთ. ხანდახან ერთი და იგივე ამბავი სხვადასხვა კუთხიდან არის საინტერესო. ეს ყველაფერი განმეორებით იმიტომ გიამბეთ, რომ ბაბუაჩემზე გული ავიყარე. მკაცრი ნათქვამი გამომივიდა. გული კი არ ავიყარე, აშკარად ვგრძობდი, ადრინდელი პატივისცემითა და სიყვარულით ველარ ვეპყრობოდი.

სამზარეულოდან სასადილო ოთახში რომ გამოვედი, ბაბუაჩემი იმავე პოზაში დამხვდა გაქვავებული, შემეშინდა, ხომ არაფერი დაემართა-მეთქი ... ლა შორიდანვე შევეხმიანე.

— ბაბუა, წყალს ხომ არ მიერთმევ?

მოხუცმა პოლკოვნიკმა დინჯად და უსიტყვოდ შემომხედა. დავიბენი, აღარ ვიცოდი, რა მექნა. უცებ ბაბუა წამოდგა, თავის ოთახში გავიდა და კარი შეიკეტა.

გული მეტკინა.

„ნუთუ ჩემზეა გაბრაზებული?“ — გავიფიქრე უნებურად. იქნებ იმიტომ შეგვიჯავრა მეც და დედაჩემიც, მამაჩემის გაკიცხვა რომ არ დავანებეთ? მას მერე ხომ დიდმა დრომ გაიარა, თითქმის წელიწადმა. ნუთუ ერთი წლის მანძილზე გული აღარ მოუბრუნდა? ბაბუაჩემი ფიცხი კაცი იყო, აფეთქება იცოდა, მაგრამ გულში ბოღმას არასდროს იდებდა უბრალოდ, არ იყო ბოღმიანი და შურისმაძიებელი კაცი. მაშ ახლა რაღა დაემართა? იქნებ სიბერემ დარია ხელი და წლებთან ერთად სისასტიკეც მოემატა? სახლში შემოსვლა ისედაც მეზარებოდა. ბაბუაჩემის საქციელით გამწარებულმა კარი გავიხურე და ქუჩებში უმიზნოდ დავიწყე ხეტიალი.

მგონი, მეორე დღეს, იქნებ მესამე ან სულაც მეხუთე დღეს, ერთმა ჩემმა თანამშრომელმა ჩუმად, მაგრამ შეგუბებული რისხვით მითხრა, ხედავ, როგორ თანმიმდევრობით გამოკიდეს მარქსის, ენგელსის, ლენინისა და სტალინის პორტრეტებიო?!

შვიდი ნოემბერი ახლოვდებოდა, თბილისი საზეიმოდ ემზადებოდა. ჯერ კიდევ სამ თუ ოთხ ნოემბერს ქუჩები ფერადი ნათურებით, პლაკატებითა და დროშებით იყო მორთული. ოთხეულის ცნობილი სურათი, ოპერის აივანზე რომ იყო გადმოკიდებული, საწინააღმდეგოდ შეებრუნებინათ. ჯგუფური პორტრეტი მარქსის მთლიანი პროფილით იწყებოდა, დანარჩენებისა კი მხოლოდ სახის ნაწილი მოჩანდა. ახალი თანამიმდევრობით სტალინი ბოლოში იყო მოქცეული.

— კი, მაგრამ ასეთი თანმიმდევრობაც ხომ შეიძლება? განა მაშინ მარქსი არ იყო ბოლო პლანზე? — ვუპასუხე გაოცებულმა.

— რასაკვირველია, შეიძლება. უფრო ჭკვიანურიც იქნებოდა, ბელადთა თანმიმდევრობის ორთავე ვარიანტი არსებულიყო!

— მით უმეტეს....

— არავითარი „მით უმეტეს!" დღემდე არსებობდა მხოლოდ ერთი ვარიანტი. რაკი მხოლოდ ერთი ვარიანტი არსებობდა, მას კანონის ძალა ჰქონდა. აბა ჩამოვიარე მთელი თბილისი და თუ იპოვი წლების მანძილზე დაკანონებულ ვარიანტს! ვერ იპოვი. ხომ არ უნდა ვივარაუდოთ, რომ ვიღაცამ ბრძანება გასცა, ცნობილი ოთხეულის თანმიმდევრობა შეებრუნებინათ?! ისიც ხომ გჯერა, რომ მსგავსი ბრძანება ადგილობრივ ხელმძღვანელობას თავშიც არ მოუვიდოდა? ბრძანება მოსკოვმა გასცა. და თუ ატყობ, უკვე დაიწყო სტალინის მიჩქმალვის გეგმაზომიერი კამპანია. გაზეთებს არ კითხულობ ან რადიოს არ უსმენ? სტალინს ან აღარ ახსენებენ, ან მეხუთეხარისხოვან კონტექსტში სხვათაშორის თუ მოიხსენიებენ ხოლმე.

სამსახურის დამთავრებისთანავე, ლენინის მოედნისაკენ გავემართე. ქალაქის საბჭოს მეორე სართულზეც ოთხეულის უზარმაზარ სურათში სტალინის პროფილი ბოლოში იყო მოქცეული.

დაბნეული შინისაკენ გავემართე. გზაში ველარავის ვამჩნევდი. სალამზე მექანიკურად ვპასუხობდი. ერთხელაც არ დავინტერესებულვარ, ვინ მესალმებოდა.

უცებ გონება გამინათდა. ერთ ადგილზე გავქვავდი და ხელი მკერდზე მივიდე. თითქოს შემეშინდა, გული საგულიდან არ ამომვარდნოდა. მივხვდი, რა სტანჯავდა ბაბუაჩემს, მივხვდი გულს რა უღრღნიდა! მან, ალბათ, ერთერთმა პირველმა იგრძნო, პრესაში როგორ შემცირდა ბელადის სახელის ხსენება. იმ დღიდან გაზეთებს განსაკუთრებული ყურადღებით ეკითხულობდი. რადიოსაც დაძაბული ვუსმენდი. გაზეთებში ან რადიოთი გადმოცემულ ინფორმაციებში მხოლოდ ერთი რამ მაინტერესებდა, სტალინი თუ იქნებოდა მოხსენიებული. შვიდი ნოემბრის დემონსტრაციამ ნათლად დაადასტურა ეჭვის საფუძვლიანობა. თუმცა სიტყვა „ეჭვი" რაღა მოსატანი იყო. შვიდი ნოემბრის შემდეგ ხალხი უკვე მოურიდებლად ალაპარაკდა. უკმაყოფილება აზვირთდა, საზოგადოება გრგვინავდა და ტორტმანებდა.

დედაჩემისთვის არაფერი მითქვამს. უფრო ზუსტად თუ ვიტყვი, რამდენჯერმე დავაპირე კიდეც, საბრალო ქალისათვის ამეხსნა ბაბუაჩემის საშინელი უგუნებობის მიზეზები. ვერ მოვახერხე. რატომღაც მეგონა და ვფიქრობდი, არ ვცდებოდი, სტალინის მიჩქმალვა არ იყო ის თემა, დედა-შვილს რომ უნდა ემსჯელა და ეკამათა. ასე ვცხოვრობდით ერთ ჭერქვეშ სამი გულჩათხრობილი ადამიანი. დედაჩემი ცალკე ოხრავდა, ბაბუა თვალსა და ხელს შუა დნებოდა, მე კი შინ შემოსვლა აღარ მინდოდა.

ბაბუაჩემს კიდევ ერთი უცნაურობა დასჩემდა, სადმე რომ მიდიოდა, საკუთარი ოთახის კარს გასაღებით კეტავდა. დედაჩემს ოთახის დალაგების საშუალება მაშინ ეძლეოდა, სანამ ბაბუა სახლიდან გავიდოდა. დალაგების დროს თავისი ოთახიდან რატომღაც არ გამოდიოდა, დედაჩემს თავისუფალი მოქმედების საშუალებას არ აძლევდა. ოთახის გამოგვისას ჯერ ერთ კუთხეში მიჯდებოდა, მერე მეორეში, თან გამუდმებით გაზეთებს კითხულობდა.

დედაჩემი თითქოს შეეგუა მოხუცის სახეცვლილებას. მამამთილს ზედმეტი კითხვებით არ აწუხებდა. საღილის ან ვახშმობის დრო რომ მოვიდოდა, ბაბუას ოთახის კარს არც კი

შეაღებდა, ისე შესძახებდა ხოლმე, მობრძანდით, ბატონო...

საუზმეზე ბაბუას ვერ ვხვდებოდი. სახლიდან უთენია ვავდიოდი. შინ თითქმის აღარ ვსადილობდი, ვახშმადაც ძალიან გვიან ვბრუნდებოდი. აღარ შემეძლო საშინელი დუმილით დამუხტულ სახლში ყოფნა.

თუ სახლიდან გავიდოდა, საღამოს ათ საათამდე შინ აღარ ბრუნდებოდა. კვირაში ორჯერ თბილისის საარტილერიო სასწავლებელში დადიოდა, სადაც სულ ორი ორსაათიანი ლექცია ჰქონდა, დანარჩენ დროს სად ატარებდა, არაფერი ვიცოდით. გულახდილად რომ გითხრათ, დიდად აღარც გვაინტერესებდა.

იმ საღამოს ჩვეულებრივზე სამი საათით ადრე დაბრუნდა უკან. ზარმა რომ დარეკა, რატომღაც საათს შეეხედე. ზუსტად შვიდი ხდებოდა.

ბაბუას მიერ გრაფიკის დარღვევა იმდენად არ გამკვირვებია, რამდენადაც მისმა გახსნილმა სახემ და სახეზე გადაკრულმა გულწრფელმა ღიმილმა გამაოცა. პირველად გავიფიქრე, ნასვამი ხომ არ არის-მეთქი. შემოსვლისთანავე ჩემთან მოვიდა, მხარზე ხელი გადამხვია და ლოყაზე მაკოცა. დედაჩემს კი სამზარეულოში რიხიანად და მხიარულად გასძახა — საღამო მშვიდობისაო.

ჩემი ვარაუდი მცდარი გამოდგა, წვეთი ღვინო არ ჰქონდა დალეული. მხოლოდ დასაფლავების შემდეგ მივხვდი, იმ წუთებშივე ბაბუას თავის მოკვლა უკვე მტკიცედ ჰქონდა გადაწყვეტილი. საბოლოო გადაწყვეტილებამ კი, ეტყობა, ყოველგვარი სულიერი ტვირთისაგან გაანთავისუფლა, დღემდე, ამ საათამდე, ამ წუთამდე ლოდივით რომ ჰქონდა გულზე ჩამოკიდებული.

სადილს სად მიირთმევთო, მიაძახა დედამ აბაზანისკენ მიმავალ მამამთილს. ნასადილევი გახლავართ, ოღონდ ერთი პატარა სათხოვარი მაქვს, ლოგინში თეთრეული გამომიცვალეო. შევამჩნიე, ხელში სამართებელი ეჭირა, დალეული, ძველებური სამართებელი. მამაჩემის დაპატიმრების შემდეგ გაგებამდე ხშირად ხუმრობდა ხოლმე, მე და ჩემი სამართებელი ერთად დავილევითო. გამიკვირდა. გვარდიის პოლკოვნიკი წვერს, როგორც წესი, დილის შვიდ საათზე იპარსავდა. ახლაც წვერგაპარსული იყო. ვერ მივხვდი, ძილის წინ წვერი რატომ უნდა გაეპარსა. თუმცა, წელანაც მოგახსენეთ, სახლში შვიდ საათზე დაბრუნდა-მეთქი. ვიფიქრე, ალბათ სადღაც მიდის და წვერსაც იმიტომ იპარსავმეთქი. ჩემს ოთახში გავედი და ლოგინზე წამოვწექი. მახსოვს, რაღაცას ვკითხულობდი, არ ვიცი, წიგნს, არ ვიცი, გაზეთს. საოცარია, იმ დღეს სახლში მეც რომ ადრე დავბრუნდი! იქნებ ტანმა მიგრძნო რამე? არ ვიცი, ვერაფერს გეტყვით. დასკვნა იქნებ თქვენ თვითონ გააკეთოთ. კითხვას თავი დავანებე და წამოვდექი. არც გარეთ გასვლის სურვილი გამჩენია. ერთი საქმიდან მეორეზე გადავდიოდი. ვერცერთს გული ვერ დავუდე. ისეთი განცდა დამეუფლა, თითქოს რაღაცას ველოდი. არ ვიცი, მას შემდეგ რამდენი დრო გავიდა, აბაზანიდან გამოსულმა ბაბუამ თავისი ოთახის კარი რომ შეიკეტა.

სასადილო ოთახში გავედი და სკამზე ჩამოვჯექი. აშკარად რაღაცას ველოდი. თვითონვე ვერ გამეგო, რას ველოდი. ერთი კი ვიცი, მეგობრის გამოვლას ან ტელეფონის ზარს ნამდვილად არ ველოდი. მოუსვენრობამ კიდევ უფრო შემიპყრო, ქუჩაში გასვლის სურვილიც თითქოს საგანგებოდ არ გამიჩნდა.

უცებ გვარდიის პოლკოვნიკმა ოთახის კარი გამოაღო და სასადილო ოთახში სააღლუმო მუნდირში გამოწყობილი გამოვიდა. გავვოცდი. რამდენი ხანი იყო, მას არამცთუ თუ სააღლუმო მუნდირი, ჩვეულებრივი სამხედრო ფორმაც კი არ ჩაუცვამს. მუნდირზე უფრო

ბაბუას სახეზე გადაკრულმა საზეიმო იერმა გამაოცა.

ეტყობა, სახეზე, აშკარად გამომეხატა გაოცება. პატარა საქმეზე მივდივარ და ახლავე მოვალო, — გამიღიმა ბაბუამ და წელანდელივით ლოყაზე მაკოცა. თითქმის სამი წელი იყო, მას ჩემთვის აღარ ეკოცნა. ახლა კი ერთი საათის მანძილზე ორჯერ მაკოცა.

„რა მოხდა? — ვფიქრობდი მე, — გუნება ასე რამ გამოუკეთა? საალლუმოდ გამოწყობილი ნეტავ სად აპირებს წასვლას?!"

— კარგად დაიმახსოვრე, არჩილ ლევანის ძევ, გმირების დღე დამთავრდა, დაიწყო მასხარების დღე! — სიცილით მითხრა ბაბუამ, ბეჭზე ხელი მომითათუნა და კვლავ თავისი ოთახის კარი შეიკეტა

რაღაც უსიამოვნო მოლოდინი, წელან რომ დამეუფლა, ერთბაშად და უკვალოდ გამიქრა. დამშვიდებული ჩემს ოთახში გავედი, საწოლზე წამოვწექი, და, ამჯერად, კარგად მახსოვს, ნამდვილად გაზეთების კითხვა დავიწყე. ბაბუაჩემი სულ გადამავიწყდა. აღარც გვარდიის პოლკოვნიკის საალლუმო მუნდირი მახსოვდა და აღარც მისი სახის მხიარული გამომეტყველება.

სახლში დუმილმა დაისადგურა. დედა, ჩვეულებისამებრ, სამზარეულოში საქმიანობდა. ბაბუას ოთახიდან ჩამიჩუმი არ ისმოდა. სხვათა შორის ისიც კი გავიფიქრე, ალბათ უკვე წავიდა-მეთქი.

უცებ კვლავ უსიამოვნო გრძნობა დამეუფლა. გაზეთი საწოლის გვერდით მიდგმულ სკამზე გადავდე და გულაღმა მწოლიარემ თვალები დავხუჭე. რაღაც უბედურების მოლოდინით დამძიმებული დუმილი აუტანელი გახდა. ღრმა ფიქრში წასულს უცებ სროლის ყრუ ყმა შემომესმა. უმალვე გავიფიქრე, ხომ არ მომეჩვენა-მეთქი და რატომღაც საათს დავხედე. ცხრა საათი სრულდებოდა. ფეხზე წამოვიჭერი. სამზარეულოში მაგიდასთან მიმჯდარი დედა დავინახე. ფიქრში წასული ხახვს ფცქვნიდა. სიმშვიდე დამეუფლა. ნამდვილად მომეჩვენა-მეთქი, დავასკვენი. ბაბუას ოთახისაკენ მაინც გავეშურე. გადაწყვეტილება გაუთვითცნობიერებლად, ინსტინქტურად მივიღე. კარი შევაღე. ჯერ გავვოცდი. ბაბუაჩემი გულაღმა იწვა და ჭერს შესჩერებოდა. საალლუმო მუნდირი გაეხადა და იქვე, სკამზე გადაეკიდა. უცებ მოხუცის უაზრო, გაშტერებულმა თვალებმა დამაეჭვა. იმავე წამს საწოლიდან გადმოშვებულ მარჯვენა ხელს მივაქციე ყურადღება, იქვე, იატაკზე, რევოლვერი ეგდო. დატომღაც. რევოლვერის აღება ვერ გავბედე და ფეხით კედელთან მივაცურე. საეჭვო აღარაფერი იყო, ბაბუამ თავი მოიკლა. მაგრამ სისხლი? სად იყო სისხლი? წვეთი სისხლიც კი არსად ჩანდა. უცებ დავინახე ოდნავ გაღებული ტუჩებიდან სისხლმა როგორ გამოჟონა. მივხვდი, ბაბუამ რევოლვერი პირში ჩაიდო და თავი ისე მოიკლა. იქვე, კედლის მხარეს, გვერდზე მიგდებული მეორე ბალიში დავინახე. ალბათ სახეზე დაიფარა, სროლის ხმა რომ არავის გაეგო. გასროლის შემდეგ, ეტყობა, კიდევ ჰქონია აზროვნების უნარი და მოუსწრია მარცხენა ხელით ჩაბღუჯული ბალიშის გვერდზე გადადება. სასოწარკვეთილი მივვარდი და მაჯაზე ხელი ვეტაცე. აღარ უცემდა. რატომღაც თავქვეშ ხელი შევუცურე და შეეცადე ლოგინზე წამომეჯინა. დღესაც არ ვიცი, რატომ. უცებ, პირიდან შედედებული სისხლი წამოუვიდა, და მარჯვენა ხელზე გადამესხა. შეშინებულმა და შეძრწუნებულმა თავქვეშ შედებული ხელი სწრაფად გავინთავისუფლე და ორი ნაბიჯით უკან დავიხიე. დავიბენი, აღარ ვიცოდი რა მექნა. სისხლიან ხელს სასოწარკვეთილი დავჩერებოდი. თავში ერთი აზრი მიტრიალებდა, ბაბუას თვითმკვლელობის ამ-

ბავი დედაჩემისთვის როგორ გამემხილა. სწრაფად შემოვბრუნდი და აბაზანას მივაშურე. არ ვიცი, მერამდენედ ვისვამდი საპონს. არა, ზიზღის გამო სრულებითაც არა! უბრალოდ, დროს ვიგებდი და გეგმებს ვაწყობდი, დედაჩემთან საუბარი როგორ დამეწყო. ბოლოს ხელები შევიმშრალე და სამზარეულოში გავედი. დედა ხახვს ჭრიდა და იცრემლებოდა. დღესაც ვერ გამირკვევია, ხახვისგან იცრემლებოდა თუ თავის გატანჯულ ცხოვრებას დასტიროდა. კარში გაჩხერილი დედას მივაჩერდი. შემომხედა. სახეზე შიში სასოწარკვეთილება აღებეჭდა. ალბათ, შეშლილი სახე მქონდა. რა მოხდა, შვილოო, — იყვირა და ფეხზე წამოიჭრა.

— ნუ გეშინია დედა, არაფერი არ მომხდარა. სასადილო ოთახში გავიდეთ და იქ ვილაპარაკოთ. — სუნთქვაშეკრულს სივრცე მინდოდა, პატარა სამზარეულოში სული მეხუთებოდა..

აკანკალებული ქალი მორჩილად გამომყვა. შიშმა შემიპყრო, ვაითუ ბაბუას ოთახის კარი ღია დამრჩა-მეთქი. ბედად, კარის დაკეტვა არ დამვიწყნია. დედაჩემი მაგიდასთან დავსვი. წინსაფრის მოხსნა ახლაღა გაახსენდა.

ლაპარაკი ვერა და ვერ დავიწყე. დუმილი მტანჯველი და აუტანელი ხდებოდა. დედაჩემის სახე თანდათანობით უზარმაზარ კითხვის ნიშანს ემსგავსებოდა.

— ბაბუამ თავი მოიკლა! — ვთქვი უეცრად პირდაპირ, ყოველგვარი შეპარება-შერბილების გარეშე და თავისუფლად ამოვისუნთქე.

უცებ დედაჩემს თვალები საცრისოდენა გაუხდა, მერე ნელ-ნელა დაუპატარავდა და ბოლოს სულ ჩაუქრა.

სათქმელი უკვე ნათქვამი მქონდა. ახლა დედაჩემის რიგი იყო. ყურადღებით ველოდი, რას იტყოდა. პასუხად საბრალო ქალი სკამს გადაეკიდა.

— დედა, დედა! — წამოვიჭერი ფეხზე, დედაჩემს მივვარდი და ლოყაზე ხელი მოვუტყაპუნე. დაბნეულმა ვერ მოვიფიქრე, სამზარეულოში შევვარდი, ნილიყავი და ჭიქით წყალი მომეტანა.

— დედა, დედა!

ეტყობა ჩემმა სასოწარკვეთილმა ხმამ ცივი წყლის როლი შეასრულა. უმალვე თვალი გაახილა და საცოდავად ამოილუღლუღა:

— ნუ გეშინია, შვილო! ნუ გეშინია, შვილო!

— დედა, დედა, ხომ კარგა ხარ?!

— ნუ გეშინია, შვილო, ნუ გეშინია, შვილო!

რატომღაც ეს ერთადერთი ფრაზა ამოიჩემა. თან ისეთი დუნე, ერთნაირი ინტონაციითა და მექანიკურად ამბობდა, ზეგონებოდათ, ფირფიტის გაფუჭებულ ნაწილს ნემსი ვერ გადაახტა და ერთიდაიგივე ადგილს გამუდმებით იმეორებსო.

შემეშინდა, ჭკუაზე ხომ არ შეცდამეთქი. მხრებზე ხელი ჩავავლე და მთელი ძალით შევანჯღრიე.

— ნუ გეშინია, შვილო! — კიდევ ერთხელ წარმოსთქვა და თვალი გაახილა.

— დედა, რა გემართება?

— წყალი მომიტანე!

სამზარეულოში ფეთიანივით გავვარდი, ჭიქით წყალი შემოვიტანე და დედას გავუწოდე. უცებ თავისუფლად ამოვისუნთქე, დედას სახე დამშვიდებული ჰქონდა და წეღანდელივით უაზროდ აღარ იყურებოდა. ჭიქა ჩამომართვა, წყალი ნელ-ნელა დალია და თვალები საცოდავად მომაპყრო.

— რა ვქნათ, დედა? — მივხვდი, უკვე შეიძლებოდა საქმეზე ლაბარაკი, — მამიდას და ნათესავებს ხომ არ დავუძახოთ?

— არავითარ შემთხვევაში! — შეშლილივით ფეხზე წამოიჭრა, და, მართალია, ჩურჩულით, მაგრამ ისტერიული ინტონაციით კვლავ გაიმეორა, — არავითარ შემთხვევაში!

— რატომ, დედა?

— არავინ არ უნდა გაიგოს, რომ ბაბუამ თავი მოიკლა. არავინ! ყველამ

უნდა იცოდეს, რომ მოხუცი თავისი სიკვდილით მოკვდა. უეცრად გულმა უმტყუნა. და ხელში ჩაგვაკვდა. გასაგებია?

— გასაგებია!

ერთბაშად მივხვდი, დედაჩემი რამ დააფრთხო და შეაშინა. ბუნებრივია, უმალვე დავეთანხმე. გულში ჩემი თავიც კი, გავკენწლე, ასეთი დაუფიქრებელი და მიუხვედრელი როდემდე უნდა ვიყო-მეთქი.

დედამ ჩემი უსიტყვო თანხმობა არ იკმარა და თავისი გადაწყვეტილების სისწორე ვრცლად დამისაბუთა.

— არავინ არაფერი არ უნდა გაიგოს! ხომ იცი, რა დროა! განა ვერ მიხვდებიან, თავი რატომ მოიკლა! ფრთხილად უნდა ვიყოთ, ძალიან ფრთხილად, ახალ უბედურებას რომ არ გადაეყაროთ! დღესვე ჩამოხსენი სურათები, დღესვე!

დედაჩემს არ დაუზუსტებია, ვისი სურათები უნდა ჩამომეხსნა. რატომ? იქნებ მკრეხელობად მიაჩნდა ეთქვა, ბელადის სურათები ჩამოხსენიო?! იქნებ გულში ეზიზღებოდა კიდეც სტალინი, რომელმაც ჩვენს ოჯახს თავს ამოდენა უბედურება დაატეხა? არა მგონია. დედაჩემიც ისევე იყო მოწამლული სტალინის სიყვარულით, როგორც მილიონობით ადამიანი. მაშ, ახლა რაღა დაემართა? იქნებ ბაბუას თვითმკვლელობამ გაამწარა?

არ იფიქროთ, ამ ფიქრებმა მაშინვე შემიპყრო, დედაჩემმა რომ სურათების ჩამოხსნა მიბრძანა. იმ წუთებში ფიქრისთვის სად მეცალა. შეშინებულმა და დაბნეულმა არ ვიცოდი როგორ მოვქცეულიყავი, რა გამეკეთებინა. მესამე თუ მეოთხე დღეს, პანაშვიდების შემდეგ მარტო რომ ვრჩებოდი, მხოლოდ მაშინღა მეძლეოდა ფიქრის საშუალება. დიახ, დედაჩემი ბელადს რომ პატივს სცემდა, იმიტომაც ვერ გაბედა ეთქვა ,სტალინის სურათები ჩამოხსენიო. შეეშინდა, ძალიან შეეშინდა, ამჯერად ბელადის პატივისცემისათვის არ დაესაჯათ და არ დაენგრიათ ისედაც დასჯილი და დანგრეული ოჯახი.

დედაჩემი უცებ წამოდგა და ბაბუას ოთახისაკენ გაემართა. შემეშინდა, საზარელი სურათის დანახვაზე არაფერი მოსვლოდა და უკან მივყევი. ოთახის კარი მედგრად შეაღო და პირდაპირ საწოლთან მივიდა. უცხო კაცს რომ დაენახა, ისეთი შთაბეჭდილება დარჩებოდა, თითქოს დედაჩემი უკვე იყო ნამყოფი ბაბუას ოთახში და მიცვალებული უკვე შეცხადებული ჰყავდა. გაოცებული ვიყავი, ასე ერთბაშად მის არსებაში სიმტკიცის, ენერგიისა და ძალების რა მობილიზაცია მოხდა!

— შენ გადი, შვილო, ბაბუას მე ბივხედავ. მარტო კიტელისა და პერანგის ჩაცმაზე მომეხმარე. კარი შიგნიდან დაკეტე, ტელეფონის ყურმილი არ აიღო. იცოდე, არცერთი შინ არა ვართ!

მივხვდი, სიტუაციას უკვე დედაჩემი წარმართავდა, სასადილო ოთახში მორჩილად გამოვედი და სკამზე ჩამოეჯექი. ხუთიოდე წუთის შემდეგ დედაჩემმა ბაბუას ოთახში საბაზანოდან ტაშტით წყალი შეიტანა. გზადაგზა თითქმის ბრძანებით მითხრა, შენს ოთახში შედი და წამოწექი, როცა დაგიძახებ, მაშინ მომეშველეო.

ინიციატივადაკარგული დედის მითითებებს უსიტყვოდ ვასრულებდი. ჩემს ოთახში შევედი და საწოლზე თავდაღმა დავემხე. თვალები დავხუჭე, შევეცადე აღარაფერზე მეფიქრა. დროდადრო დედაჩემის აჩქარებული ფეხის ხმა მესმოდა. ვხვდებოდი, ანდა რა მიხვედრა უნდოდა, საბაზონოსა და ბაბუაჩემის ოთახს შორის დარბოდა. გულში უსაზღვროდ მადლიერი ვიყავი დედაჩემისა, უსაშინლეს საქმეს რომ ამარიდა. იმ წუთიდან მოყოლებული დღევანდელ დღემდე მიკვირს, დედაჩემმა, უწყინარმა, ჩუმმა და საწყალმა ქალმა როგორ სძლია საკუთარ თავს. შვილისა და გადასახლებაში

მყოფი მეუღლის გადასარჩენად როგორ იქცა გააფთრებულ ძუ ლომად. მანამდე დედაჩემის გამძვინვარება მხოლოდ ერთხელ ვნახე, ბაბუაჩემს რომ მამაჩემის სურათების დახევა არ დაანება. თუმცა მაშინდელი წამიერი გამძვინვარება დედაჩემის დღევანდელ ფერიცვალებას აბა რას შეედრებოდა! მაოცებდა და დღესაც მაოცებს, როგორ მობანა გახვრეტილი კეფა ბაბუას. რა ოსტატურად შენიღბა ნატყვიარი. სასწრაფოდ როგორ დარეცხა სისხლიანი ზეწარი და ბალიშისპირი, ბაბუას სისხლიანი სამხედრო პერანგი, მიცვალებულს თვითონვე რომ გახადა, როგორ მაალაგ-მოალაგა და დაასუფთავა ბაბუას ოთახი.

იმ წუთიდან ორი საათი მაინც იქნებოდა გასული, საწოლში რომ თავდაღმა ჩავემხე. კვლავ დედაჩემის ფეხის ხმა შემომესმა. ამჯერად აბაზანაში აღარ შესულა, პირდაპირ ჩემი ოთახის კარი გამოაღო.

— წამოდი, ჩავაცვათ, — მითხრა თითქმის ჩურჩულით.

ფეხზე წამოვიჭერი და მორჩილად გავყევი.

— თუმცა არა, ჯერ სასადილო ოთახი დავალაგოთ. მაგიდა ჩემს ოთახში გავიტანოთ.

უკვე საკმაოდ ბნელოდა. დედაჩემს ნათურები მარტო ჰოლში და სამზარეულოში აენთო. იქიდან შემომავალი შუქი გარეთ არ გადიოდა, ბინას კი საკმაოდ ანათებდა. ქუჩის ნათურის ბოძი პირდაპირ ბაბუაჩემის ოთახის ფანჯარასთან იდგა და ოთახში შუქი საკმაოდ შემოდიოდა.

ძველებური ჩუქურთმებიანი მაგიდა დედაჩემის ოთახში რის ვაივაგლახით გავიტანეთ, ხის ტახტი, დედაჩემის ოთახში რომ იდგა, ოთახის შუაგულში დავდგით და თალხი ფერის ფარდაგი გადავაფარეთ.

ვერ წარმოიდგენთ, რას განვიცდიდი, ბაბუას ჯერ პერანგს, შემდეგ კი საღლუმო მუნდირს რომ ვაცმევდით ორდენებისა და მედლების ღარული ნერვებზე მშლიდა. ორი საათის წინ ჯერ მაჯაზე და შემდეგ თავზე ტალახი მოეკიდა. ბაბუა ჩვეულებრივად თბილი იყო. არ მეგონა, თუ ასე მალე ცივდებოდა ადამიანი. დღესაც მახსოვს მისი ცივი, მომჩვარული სხეული.

— აბა, გავიტანოთ და ტახტზე დავაწვინოთ. — მითხრა დედამ და სახეზე ოფლი მოიწმინდა.

მოხუცი ბაბუას მსუბუქი სხეული ავიტაცე, სასადილო ოთახში გავიტანე და ტახტზე დავასვენე.

— ტახტი სწორად დგას? — მკითხა დედაჩემმა.

დავფიქრდი. ჩვენი სახლი ისე იყო აშენებული, კაცი ვერ გაიგებდა, საით იყო აღმოსავლეთი.

ფანჯარასთან მივედი.

— არ გააღო! — მომაძახა დედაჩემმა.

შეშინებულს ფარდაც არ გადამიწევია.

— სწორად დგას! — ვუთხარი დედაჩემს და ხელების გადასაბანად წავედი. სანამ ხელ-პირს ვიბანდი, დედაჩემს მიცვალებულისათვის ზეწარი გადაეფარებინა და ტახტის პირდაპირ დადგმულ სკამზე ჩამომჯდარიყო.

ბევრი თადარიგი დაიჭირა ბაბუამ სიკვდილის წინ. წვერი გაიპარსა, საგანგებოდ იბანავა და გვარდიის პოლკოვნიკის საღლუმო ტანსაცმელშიც გამოეწყო. მართალია, თავის მოკვლის წინ კიტელი გაიხადა, მაგრამ, რაც მთავარია, გალიფე და ჩექმები ჩაცმული ჰქონდა. იცოდა, მისი თვითმკვლელობის ამბავს რომ ვერ გავამხელდით და მიცვალებულის გაპატიოსნების პროცედურები თავიდან აგვაშორა. მუნდირი, ეტყობა, იმიტომ გაიხადა, სისხლით რომ არ დათხვრილიყო.

— დავურეკოთ მამიდას? — ეკითხე მე.

— დღეს ნურავის დავურეკავთ. ყველაფერი კიდევ ერთხელ შევამოწმოთ, დავფიქრდეთ, ძალა მოვიკრიბოთ. ხვალ, დილის ათ საათზე კი მამიდასაც შევატყობინოთ და სხვებსაც.

— რა ვქნათ, როგორ გარდაიცვალაო, რომ გვკითხავენ, რა ვუპასუხოთ?

— ღამე მოუვიდა გულის შეტევა და ერთ წუთში ,ხელში ჩაგვაკვდა-თქო.

— არ ვარგა, დედა, ჩვენს თავს ხომ არ დავენდობოდით, სასწრაფო დახმარება ხომ უნდა გამოგვეძახებინა?!

— მართალი ხარ! ყველაფერს სჯობია, ვთქვათ, რომ ძილში მოკვდა. დილით საუზმეზე რომ არ გამოვიდა, რვა საათზე მივაკითხეთ და მკვდარი დაგვხვდა. უკვე გაციებული იყო. დაიმახსოვრე?

— დავიმახსოვრე.

ტახტთან მივედი და ზეწარი ოდნავ ავწიე. საშინელი სანახავი იყო ყბააკრული ბაბუაჩემი.

„ყბის აკვრა როდისღა მოასწრო?“ — ვფიქრობდი გაოცებული. საიდან ამდენი ენერგია, ნებისყოფა და სიმტკიცე? დარწმუნებული ვიყავი, მოსალოდნელმა საფრთხემ დედაჩემს მთელი წლის ენერგია დაახარჯვინა და გამოფიტა. დასაფლავების შემდეგ, გარდაცვალებიდან მეშვიდე დღეს სასაფლაოზე გასვლამდე, კიდევ შესძლო ფეხზე დგომა. სასაფლაოდან დაბრუნებისთანავე ლოგინში ჩაწვა და ათი დღე აღარ წამომდგარა.

კიდევ ერთ რამეს მივხვდი, სააღლუმო მუნდირში გამოწყობილმა გვარდიის პოლკოვნიკმა თავისი ოთახის კარი რომ შეიკეტა, გენერალისიმუსის სურათს პატაკი ჩააბარა. ხომ არ დამინახავს, ხომ არაფერი მომისმენია, მაინც მჯერა და ვერავინ გადამარწმუნებს, რომ სამხედრო წესით ხელი შუბლთან არ მიიტანა და ბელადს გამოსამშვიდობებელი სიტყვა არ უთხრა. რასაკვირველია, დაახლოებით შემიძლია წარმოვიდგინო მისი ნალაპარაკევის შინაარსი, მაგრამ რას არ მივცემდი, ოღონდ ბაბუას პატაკი თუ გამოთხოვება საკუთარი ყურით მომესმინა. გვარდიის პოლკოვნიკის გამოსათხოვარი სიტყვის სიზუსტეს ჩემთვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. დიახ, დიდი მნიშვნელობა არა ისტორიისათვის, არამედ ჩემთვის, რომ კიდევ უფრო კარგად ჩამეხედა — უფროსი არჩილ გორდელის სულსა და გონებაში. თუმცა რატომ მარტო ბაბუაჩემის სულსა და გონებაში? განა მაშინ მილიონობით ადამიანი ბაბუაჩემივით არ ფიქრობდა და აზროვნებდა? ბუნებრივია, თავს ყველა ვერ მოიკლავდა. ბაბუაჩემის თავის მოკვლა კი სამმა პირობამ განაპირობა. მას აღარავინ და აღარაფერი დაუტოვეს, აღარც მეუღლე, აღარც შვილი, აღარც რწმენა!

უცებ გამახსენდა, რომ დედის დავალება არ შემისრულებია და სურათები არ ჩამომიხსნია.

„იქნებ არ ჩამოეხსნა? — გავიფიქრე უნებურად. — ვინც ჩვენთან ოდესმე სტუმრად ყოფილა, ხომ გაუკვირდება, სურათებს რომ ველარ ნახავენ?“

უმალვე გამახსენდა, პანაშვიდის დროს მიცვალებულის სურათს გარდა ოთახში რომ არაფერი უნდა ეკიდოს.

ვერ წარმოიდგენთ, როგორმა გრძნობამ შემიპყრო, სასადილო ოთახიდან ჩიბუხიანი ბელადის სურათი რომ ჩამოვხსენი. სკამზე შემდგარი სურათს რომ მივწვდი, ხელი ამიკანკალდა. სურათი ჯერ მაღლა ავწიე და საკიდი ლურსმანს ფრთხილად მოვაშორე. ჩამოღებისას ვცდილობდი, სურათზე არ დამეხედა. უცებ დედაჩემის ხმა მომესმა, სურათი მომაწოდეო. ბაბუაჩემის ოთახშიც ფეხდაფეხ მომყვა. სურათი ჩამოვხსენი თუ არა, უმალვე ჩამომართვა, ზეწარში ორთავე ფრთხილად შეფუთა და თავის ოთახში ტანსაცმლის კარადაში შეინახა.

ბაბუას დასაფლავების შემდეგ ყოველი დეტალის, ყოველი წვრილმანის აღდგენას და გაანალიზებას რომ ვცდილობდი, მივხვდი, დედაჩემმა ბელადის სურათების ჩამოხსნა მარტო მე არ შემომატოვა და, ჟარგონით რომ ვთქვათ, თვითონაც „გავიდა საქმეში“. თვითონაც მიიღო მონაწილეობა იმ საოცარ აქტში, სამი წლის უკან რომ

ვერც წარმოვიდგენდით. ყოველ შემთხვევაში, ჩემი და დედაჩემის გონება რომ ვერ წარმოიდგენდა.

იმ მრავალი დეტალისაგან, ბაბუაჩემის დასაფლავებისას რომ დამამახსოვრდა, მხოლოდ ერთს გამოვყოფ. სამარეში კუბოს ჩაშვებისას ჯარისკაცებმა რომ ისროლეს, თითქოს ერთბაშად გამოვერკვიე და მივხვდი, ჩემს ცხოვრებაში ახალი ხანა იწყებოდა. დღეიდან მე ვიყავი ოჯახის უფროსი.

2

ბაბუაჩემის სიკვდილის შემდეგ შინ ენით აუწერელმა სამგლოვიარო სიტუაციამ დაისადგურა. მგონი, უკვე გითხარით, მეშვიდე დღეს სასაფლაოზე გასვლის შემდეგ დედაჩემი ლოგინად ჩავარდა. მთელი ათი დღე ვადექი თავზე. სამსახურიდან, მადლობა ღმერთს, გამანთავისუფლეს და მითხრეს, ჯერ დედას მიხედე, საქმე მოიცდისო. დედა რომ წამოდგა, შვებით ამოვისუნთქე, შინიდან უთენია გავდიოდი და გვიან ვბრუნდებოდი. მე და დედაჩემი ერთმანეთს თითქმის აღარ ველაპარაკებოდით. კაცმა რომ თქვას, სათქმელიც აღარაფერი გვქონდა. ხელოვნური თემების მოგონება და ნაძალადევი დიალოგების გაბმა არც დედას სიამოვნებდა და არც მე. „ხომ არ გშია?“ „როდის დაიძინებ?“ „ხვალ რას ჩაიცვამ?“ „დაღლილი რატომ ჩანხარ?“ „მოწყენილი რატომ ხარ, ხომ არავინ გაწყენინა?“ — აი დაახლოებით ამგვარი შეკითხვები და მისი შესაფერისი პასუხები გაისმოდა ჩვენს ჭერქვეშ. დედაჩემი რატომღაც ძალზე ხმადაბლა, თითქმის ჩურჩულით მელაპარაკებოდა. ხანდახან გული მომდიოდა. რა გვქონდა ჩურჩულით სალაპარაკო?! ხანდახან განგებ ხმამაღლა გავცემდი ხოლმე პასუხს. ჩემი ხმამაღალი ლაპარაკი თვითონვე მეუხერხულებოდა და უმალვე ნახევრად ჩურჩულზე გადავდიოდით. ბაბუას გარდაცვალებით ლამის დაცარიელებული ბინა, დამძიმებული ჰაერი და დედაჩემის მწუხარე სახე განსაზღვრავდა ლაპარაკის ტონალობას.

ერთ დღეს მე და დედაჩემი სამზარეულოში ვვახშმობდით. უფრო სწორად, მე ვვახშმობდი, დედაჩემი პირდაპირ იჯდა და, ჩვეულებისამებრ, დაჟინებით მომჩერებოდა. ის იყო, ვახშმობა დავამთავრე და ჩაის დალევის წინ ხელ-პირი გადავიბანე, რომ ზარმა დარეკა. უმალვე კარს მივაშურე. არ მინდოდა, დედაჩემი შემეწუხებინა. სანამ კართან მივიდოდი, ზარი ისევ განმეორდა. მოვდივარ-მეთქი, ვიყვირე უკვე კართან მისულმა და ძველებური სპილენძის საკეტი გადავაბრუნე.

გაოცებისაგან გავშეშდი.

კარში გამხდარი, თვალებჩაცვენილი უცნობი იდგა. ნაცნობი უცნობი. დიახ, ბატონო ჩემო, ნაცნობი უცნობი.

— მამა! — ვიყვირე უცებ, შემოვბრუნდი და სამზარეულოში სირბილით შევვარდი. — დედა, მამა ჩამოვიდა!

უცებ გამახსენდა, მამაჩემისთვის რომ არ მიკოცნია. ისევ გარეთ გამოვვარდი. მამაჩემი უკვე ჰოლში შემოსულიყო.

აღარ მინდა სტანდარტული სიტუაციების აღწერით თავი შეგაწყინოთ, თვითონაც კარგად წარმოიდგენთ, ყოველ ჩვენგანს რა გრძნობაც დაეუფლებოდა. აღარც იმ დეტალზე გავამახვილებ თქვენს ყურადღებას, მამაჩემმა ბაბუაჩემის გადიდებული სურათი რომ დაინახა, ლოყებზე ცრემლები როგორ ჩამოუგორდა. ერთხანს, შუა ოთახში გაქვავებული, მამის სურათს გარინდებული შესჩერებოდა. დედაჩემიც, სიხარულისაგან ლამის გაგიჟებული ქალიც, მამაჩემის გვერდით იდგა, ხან მამას უცქეროდა, ხან ბაბუას სურათს და გულსაკლავად ქვითინებდა.

მე სულ სხვა რამ მინდა გიამბოთ, უფრო საყურადღებო, ვიდრე დედაჩემის სიხარული და ჩემი შეცბუნება გა-

ხლდათ. დიახ, შეცბუნება! ერთბაშად გამიჭირდა შეგუება, რომ ეს გამხდარი, თვალებჩაცვენილი, საცოდავი კაცი მამაჩემი იყო. თუმცა ჩემს გრძნობებზე ქვემოთ მოგახსენებთ დაწვრილებით.

მამამ განაცხადა, ძალიან დაღლილი ვარ, ვიბანავებ და დავწვებიო. სანამ მამაჩემი ბანაობდა, ხოლო ბედნიერებისაგან მოქვითინე დედაჩემი საწოლ ოთახში რაღაცას საქმიანობდა, ბაბუას ოთახში შეუმჩნევლად შევედი და პატარა სეიფი ჩემს ოთახში გადმოვიტანე

„რატომ? — ვეკითხებოდი ძილის წინ ჩემს თავს, — რატომ დღეს და არა, ვთქვათ, გუშინ ან გუშინწინ?“

უნდა გამოგიტყდეთ, მანამდე სეიფის ჩემს ოთახში გადმოტანა აზრადაც არ მომსვლია. ახლა რა ეშმაკი შემიჩნდა? იქნებ შემეშინდა, რომ სეიფს მამაჩემი დაეპატრონებოდა? უცებ მივხვდი, სეიფი კი არა, სეიფში შენახული რევოლვერი მინდოდა. ხომ შემეძლო, მარტო რევოლვერი წამომეღო და სეიფი კვლავ ბაბუას ოთახში დამეტოვებინა? რასაკვირველია, შემეძლო. სეიფი მაინც წამოვიღე. ეტყობა, წლების მანძილზე ჩამომიყალიბდა რწმენა, რომ სეიფი და რევოლვერი განუყოფელი მთლიანობა იყო.

ძილის წინ, სავახშმოდ და ჩაის დასალევად რომ დავჯექით, მძიმე სიტუაცია ჩამოვარდა. სამთავენი უცხო ადამიანებივით ვიჯექით. იმდენად დიდი იყო გაუცხოების გრძნობა, თითქოს არც კი მჯეროდა, ეს თვალებჩაცვენილი და მთელ სხეულში ნაღველჩაწოლილი კაცი მამაჩემი იყო. ხმას ვერ ვიღებდი. არ ვიცოდი, მამაჩემისათვის რა უნდა მეკითხა. თერთმეტი წლის ვიყავი, უკანასკნელად რომ ვნახე. მას შემდეგ თითხმეტმა წელმა განვლო. თუმცა წლები როდი იყო მთავარი. მამა რომ ჯარში წავიდა, მაშინ ხომ მთლად ბავშვი ვიყავი. მამისკენ გახედვისა მეშინოდა. ჩაის ვსვამდი და თან ჭიქას ჩავჩერებოდი. ვიცოდი ომი, ტყვეობა, ოცდახუთწლიანი გადასახლება, თითქმის რომ აღარაფერი იმედი აღარ დაგრჩენია ოჯახში დაბრუნებისა. თავის დაღს დაასვამდა მამაჩემზე. მაინც ვერ წარმოვიდგენდი, თუ ასეთი განადგურებული და გასაცოდავებული დაბრუნდებოდა. მინდა ყველაფერი გულახდილად გიამბოთ, მჯეროდა, მამაჩემის დაბრუნება უზარმაზარ სიხარულს მომიტანდა. პირველი შეხვედრის, პირველი დღის შთაბეჭდილებით იმედები სასტიკად გამიცრუვდა. ოჯახში დაბრუნდა ნახევრად უცხო, სულიერად და ფიზიკურად განადგურებული ადამიანი. კიდევ კარგი, დაღლილი რომ იყო და სასწრაფოდ დაწოლა რომ მოითხოვა. კიდევ კარგი, ჩვენს შორის ჩამოვარდნილი დამთრგუნველი დუმილი დიდხანს რომ არ გაგრძელებულა.

ლოგინში ჩაწოლას ხსნასავით ველოდი, მინდოდა, თავზე საბანი წამეფარებინა და ჩემს თავთან მარტო დავრჩენილიყავი. მინდოდა, მამის ჩამოსვლის შემდეგ აღძრული ფიქრები გამეანალიზებინა და ყოველი მხრიდან შემოსეული კითხვებისათვის პასუხი გამეცა.

განა ასე წარმომედგინა თოთხმეტი წლის უნახავ მამასთან შეხვედრა?! ნუთუ მეტი არაფერი უნდა განმეცადა, სრულიად მოულოდნელად მამა რომ დავინახე? იქნებ ამდენი წლის განშორებამ გააცივა ჩემი გული? იქნებ გაუცხოებამ თავისი მსახვრალი კვალი დაამჩნია ჩემს სულსა და გონებას? იქნებ სიხარულს ისიც მიკვეცავდა, მამა რომ ასე დაბეჩავებული და სულიერად განადგურებული ვნახე? დიახ, სულიერად! განა მისი ჩავარდნილი თვალები და ენერგიისაგან დაცლილი გამოხედვა მარტო ფიზიკურად დაუძლურებული კაცის გამოხედვა იყო? განა მისი დიდი, დამშრალი თვალებიდან უზარმაზარი სევდა და ნაღველი არ იმზირებოდა? განა თვითონ კი გამოხატა განსაკუთრებულად ჩვენთან შეხვედრის სიხარული? მართალი ბრძანდებით, სავსებით მართალი ბრძანდებით!

იგი წლების მანძილზე ელოდა ოჯახთან, საყვარელ ცოლთან, შვილთან, მამასთან, ახლობლებთან შეხვედრას! რასაკვირველია, განთავისუფლების პირველი წუთებიდანვე, საკუთარ ოჯახთან შეხვედრის შესაძლებლობა რომ რეალურად იგრძნო, მოუთმენლობამ შეიპყრო. მართალი ხართ, გულაგიდან გამოშვებული პატიმარი თბილისამდე დღევანდელივით ერთ , მაქსიმუმ ორ დღეში ვერ ჩამოვიდოდა. მერე გაირკვა, თვენახევარი ყოფილა გზაში. თვენახევრის მანძილზე ხარჯავდა იგი ენერგიისა და ემოციის მარაგს. უახლოვდებოდა თბილისს და ოჯახთან შეხვედრის სურვილი უასმაგდებოდა, მოლოდინის ცეცხლი ეკიდებოდა. არაქათგამოცლილმა, ბოლოსდაბოლოს, სახლამდე რომ მოაღწია, ფიზიკოსების გამოთქმა რომ ვიხმაროთ, ენერგიის უკანასკნელი ულუფა ზარის ღილაკზე თითის დაჭერის დროს დახარჯა და ზღურბლზე გამომშრალმა და გამოფიტულმა გადმოაბიჯა. გასაგებია, გასაგები, მაგრამ მე რაღა დამემართა? მე ხომ მოულოდნელად ვნახე მამაჩემი? მეც ხომ ვზაში ხეტიალში არ დამიხარჯავს ენერგია?!

ერთ დაკვირვებამდე მივედი, ნება მომეცით, ბოლომდე ვთქვა ჩემი სათქმელი. საქმე გაცილებით რთულადაა, ვიდრე ერთი შეხედვით შეიძლება გვეგონოს.

ადამიანი რამდენიმე წელიწადში ივიწყებს ყველაზე საყვარელ გარდაცვლილ ადამიანს. იცით, რატომ? განა მართლა დრო ჰკურნავს ყველაფერს! რასკვირველია, განკურნების მოვლენა დროსთან პირდაპირ კავშირშია, ოღონდ სულ სხვა თვალსაზრისით. გთხოვთ, ადამიანის სხეული წარმოიდგინოთ ცოცხალ აგრეგატად, რომელიც გაშოჰყოფს გარკვეული რაოდენობის ენერგიას, სიხარულს, სიყვარულს, სიძულვილს, სინანულს.... თქვენ გგონიათ, ხორცის უნიკალურ აგრეგატს უსაზღვრო რაოდენობით შეუძლია გამოყოს თუნდაც უარყოფითი ემოციები? აბა, დააკვირდით, ყველაზე იოლად ბავშვები ეგუებიან საყვარელი ადამიანის დედის ან მამის დაღუპვას. მოხუცებსაც გაცილებით იოლად გადააქვთ შვილის სიკვდილი. თავს დატეხილ უბედურებას ყველაზე მძაფრად ადამიანები ჭარმაგობის ასაკში განიცდიან. ვფიქრობ, სამართლიანი იქნება დავასკვნათ, რომ ბავშვობის ასაკში ადამიანი—აგრეგატი მთელი ძალით ჯერ კიდევ არ მუშაობს. მოხუცებულობის პერიოდში ადამიან—აგრეგატს უკვე დახარჯული აქვს ემოციური მარაგის უდიდესი ნაწილი. მგონი, ემოციური მარაგი ვახსენე, არა? დიახ, ყოველ ადამიანს აქვს გარკვეული რაოდენობის ემოციური მარაგი. ძალიანაც რომ მოინდომოს, ერთი მისხლით მეტს ვერ გამოიმუშავებს. ადამიანს შეუძლია მთელი თავისი ემოცია წუთიერად დახარჯოს, ვთქვათ, თავი მოიკლას. თუ იგი ემოციის მარაგს წლების მანძილზე გეგმაზომიერად ხარჯავს, ნელნელა მაინც იცლება ემოციისაგან. ყოველ ადამიანს, რასაკვირველია, თანაბარი რაოდენობით როდი აქვს ემოციის გამომუშავების უნარი. ეს უკვე ადამიანის პიროვნულ სიმაღლეზე, ინტელექტსა და ბევრ სხვა ფაქტორზეა დამოკიდებული. უნიჭო კაცი სიყვარულშიც უნიჭოა, განსაცდელშიც და ტრაგიკულ წუთებშიც.

დიახ, იმას მოგახსენებდით, ადამიანი რამდენიმე წელში ივიწყებს-მეთქი გარდაცვლილ უსაყვარლეს ადამიანსაც კი. „ივიწყებს“ მკაცრად გამომივიდა, განა მშობლებმა შეიძლება როდესმე დაივიწყონ ჯარდაცვლილი შვილი? დიახ, ბატონო, გეთანხმებით, ბუნებრივია, მხოლოდ ნორმალური ადამიანები მყავს მხედველობაში. დიახ, ივიწყებს-მეთქი, რომ ვამბობ, სრულ დავიწყებას როდი ვგულისხმობ. მაგრამ ხაზგასმულად მინდა მოგახსენოთ და, ვფიქრობ, დამეთანხმებით, მათ გონებაში დენივით უწყვეტად აღარ აღი-

ძვრება ტრაგიკული ემოციები, აღარც უწყვეტად და აღარც უწინდელი ძაბვით. მხოლოდ განსაკუთრებულ დღეებში ან მარტოობის ჟამს ისევ იფეთქებს ხოლმე მძაფრი ტკივილი, რომლითაც გული დღეებისა თუ თვეების მანძილზე იმუხტება. მაგრამ სულ სხვაა ცოცხალი კაცის დავიწყება, დიახ, მამაჩემზე მოგახსენებთ. თოთხმეტი წლის უნახავი მამაჩემი ჯერ იყო და უგზოუკვლოდ დაკარგული გვეგონა, თავს არ ვუტყდებოდით, თორემ დაღუპული. შემდეგ იმედი გაგვიჩნდა, რომ ცოცხლად გადარჩენილი სადღაც უცხოეთში ცხოვრობდა. საბოლოოდ რეალური ამბავი გავიგეთ, ოცდახუთწელმისჯილი, სადღაც ციმბირში იხდიდა სასჯელს. ოცდახუთი წელი! ხომ გესმით და გრძნობთ, რას ნიშნავს ოცდახუთი წელი! ადამიანი იმედით ცოცხლობს და ამნისტიის იდეას ჩაეებღაუჭეთ. ამნისტიამ მამაჩემს სასჯელი გაუნახევრა. მისი დაბრუნება აღარც ისე შორეულ ამბად გვეჩვენებოდა. და მაინც, როგორ ფიქრობთ, ჩემი სიყვარული ცოცხალი მამისადმი აღმავალი გზით მიდიოდა, სწორხაზოვნად, თუ დაღმავალი მიმართულებით? მგონი, დიდი და რთული ამოცანა არ შემომითავაზებია გადასაჭრელად. შვილი ვარ და მიჭირს აღიარება, მაგრამ სინამდვილე სინამდვილეა. მამისადმი ჩემი სიყვარული მაინც დაღმავალი გზით მიდიოდა. ალბათ იმიტომ, რომ ბავშვობაში, ომის დაწყების დღეებში ჩემი სხეულისა და გონების ერთობლიობა, ნორჩი აგრეგატი, ჯერ მთელი სიმძლავრით ვერ მუშაობდა და იმოდენა სევდა და შიში არ დამმუფლებია, დედაჩემს რომ დაეუფლა. კიდევ ერთი რამ მინდა შეგახსენოთ. სასიხარულო ცნობას მამაშენი ცოცხალიაო, უმალვე დაეტაკა თავზარდამცემი განმარტებაც. მამას, როგორც ტყვედნამყოფსა და სამშობლოს მოღალატეს, ოცდახუთი წლით თავისუფლების აღკვეთა მიესაჯაო. ერთმანეთს საშინელი ძალით დაეჯახა სიხარული და სულისშემძვრელი ტკივილი. თქვენ ტექნიკური განათლების პატრონი ხართ და მოგახსენებთ, ნაწილაკები და ანტინაწილაკები ერთმანეთს ანადგურებენ და ამ პროცესს ანიგილაცია ჰქვია. დიახ, ჩემმა სიხარულმა და გულისტკივილმა ზუსტად ნაწილაკებივით და ანტინაწილაკებივით გაანადგურეს ერთმანეთი. ოღონდ, საბედნიეროდ, ნაწილაკები მაინც მეტი აღმოჩნდა. მეტი, მაგრამ არც იმდენი, ჩემს არსებაში მამაჩემის სიყვარული აღმავალი გზით რომ წასულიყო.

მაცალეთ, მაცალეთ. მიგიხვდით, რაც უნდა მითხრათ. თქვენ უკვე შეისწავლეთ ჩემი ხასიათი. მწერალი ბრძანდებით და ჩემზე უკვე გაქვთ გარკვეული წარმოდგენა. ვიცი, თქვენ ფიქრობთ, რომ გული სხვა მიზეზების გამოც გამიცივდა. ჩემს კარიერას გულისხმობთ, არა? ძალიან კარგი! მართალიც ბრძანდებით. მამაჩემმა გზა გადამიკეტა. მე რომ პარტიული ვყოფილიყავი, იმ წლებში განყოფილების გამგის მოადგილე მაინც ვიქნებოდი. პარტიაში არ მიმიღეს მამაჩემის გამო. შეიძლება კაცი უპარტიო იყო, არ არის ეს დიდი უბედურება! სულ სხვაა, მიღებაზე უარს რომ გეტყვიან. თანაც რატომ? იმიტომ რომ მამა გყოლია სამშობლოს მოღალატე. ახალგაზრდა კაცს რიღასი იმედი უნდა გქონდეს ერთპარტიულ ქვეყანაში, სადაც ყველა უმნიშვნელოვანესი, მნიშვნელოვანი თუ ნაკლებმნიშვნელოვანი პოსტები მხოლოდ კომუნისტებს უჭირავთ? მე არც მწერალი ვარ, არც კომპოზიტორი, არც იმ რანგის მეცნიერი, სახელმწიფოს რომ უმანდატოდაც ძალიან სჭირდება. მე ჩვეულებრივი ადამიანი გახლავართ! დღეს, მართალია, მეცნიერული ხარისხი მაქვს, მაგრამ უფრო პრაქტიკული ინჟინერი და ორგანიზატორი გახლავართ. დღეს ჩემი თანამდებობა მეტად მნიშვნელოვანია და საპატიო, მაგრამ მაინც ჩვეულებრივია მაღალი რანგის თანამდებობებთან შედარებით.

ეს მარტივი, მაგრამ რეალური, ცხოვრებისეული ცნება მაშინაც მშვენივრად მქონდა გასიგრძეგანებული, ვიცოდი, წითელი მანდატი მჭირდებოდა, სხვანაირად გზას ვერ გავიკაფავდი. მარტო თანამდებობის გამო როდი გამიჩნდა სადარდებელი. პარტიაში მიღებაზე უარი მითხრეს? ესე იგი, მთავრობის, ქვეყნისა და ხელისუფლების პოტენციურ მტრად მიმიჩნიეს! პარტიაში მიღებაზე უარის თქმა გაცილებით უარესია, ვიდრე პარტიიდან გარიცხვა. პარტიიდან გარიცხვა შეიძლება მოჰყვეს რაიმე კონკრეტულ დანაშაულს, ვთქვათ, კრიმინალური ხასიათისას. სხვათა შორის, არც მიღებაზე უარის თქმაა საშიში, თუ უარს პოლიტიკური მიზეზი არ უდევს სარჩულად. მე კი სწორედ პოლიტიკური მოტივებით მითხრეს უარი. პოლიტიკური დანაშაული კი საბჭოთა კავშირში ყველაზე საშიშ და დიდ დანაშაულად ითვლებოდა.

მერწმუნეთ, გულწრფელად გელაპარაკებით, მეტისმეტად გულწრფელად და მინდა დამიჯეროთ. მამაჩემთან ურთიერთობაზე კარიერის, ჩემი მომავლის ბუნდოვან პერსპექტივებს არავითარი ზეგავლენა არ მოუხდენია. ჩემთვის უზარმაზარი გამოცანა იყო და დღესაც არის სიყვარულისა ან სიძულვილის გამომწვევი მიზეზები. სიყვარულის და სიძულვილის გრძნობა, რომელიც ადამიანს არ ემორჩილება და, აქედან გამომდინარე, ადამიანს არ შესწევს უნარი, მართოს თავისი გრძნობები. ნუთუ თქვენ არ გიფიქრიათ ადამიანზე? ნუთუ თქვენ არ გაოცებთ ბუნების გვირგვინის ურთულესი, ამოუცნობი სამყარო?

ადამიანს უნარი შესწევს, ჩასწვდეს ბუნების ფუნდამენტურ საიდუმლოებებს, ამოხსნას მიკროსამყაროსა და გალაქტიკების მექანიზმები, მაგრამ ვერასდროს ვერ ჩასწვდება საკუთარ თავს. ვერ გაიგებს, როდის და რატომ იბადება სიყვარული, ვერ გაიგებს, როდის და რატომ იბადება სიძულვილი, ვერ გაიგებს, მის არსებაში როგორ იბადება შიში, ვერ აიძულებს საკუთარ თავს ვინმე შეიყვაროს ან შეიძულოს. მჯერა, ადამიანი ამოიცნობს სამყაროს საიდუმლოებებს! სამწუხაროდ, ისიც მჯერა, ვერასდროს ვერ ამოიცნობს საკუთარ თავს. არ იფიქროთ, სიბერეში ფილოსოფობამ გამიტაცა. გამოგიტყდებით, საზღვარი არა აქვს ჩემს სულიერ ტანჯვას. სიამის ტყუპებივით დავდივართ მე და მეცალ მხარესაა ჩემი გონება, ცოდნა, ცხოვრებისეული გამოცდილება, ესე იგი, მე, რომელიც, ვმსჯელობ, რომელიც ვფიქრობ. მეორე მხარეს კი ვარ ისევ მე, ჩემი სიყვარულით, სიძულვილით, ხანდახან, არ დაგიმალავთ და შურისძიების სასტიკი გრძნობით, ხანდახან სრულიად უსაფუძვლო შიშით, ღიახ, მეორე მე, რომელსაც ვერა და ვერ ვიმორჩილებ. ამიტომაც ვერ განმისჯია ჩემი თავი, ვერ დამიდანაშაულებია ან ვერ გამიმართლებია, მით უმეტეს, ვერ შემიქია. ბუნებრივიცაა და ვფიქრობ, დამეთანხმებით, ბევრი გადამწყვეტი ნაბიჯი გაუთვითცნობიერებლად, ჩემდაუნებურად მაქვს გადადგმული. დიახ, გადადგმული ჩემი მეორე მეს მიერ მიღებული გადაწყვეტილებით. როგორ ჩნდება, როგორ იბადება ეს გადაწყვეტილებანი? წარმოდგენა არა მაქვს. ადამიანი, ბატონო ჩემო, ურთულესი, ამოუცნობი და ჩაუწვდომელი რამ გახლავთ. არ შეიძლება ყველაფერი მხოლოდ იურიდიული ან მორალური კოდექსებით და კატეგორიებით განვსაჯოთ. მე თქვენ იმ ადამიანად მიმაჩნიხართ, რომელსაც უნარი შეგწევთ, იურიდიული და მორალური ნორმების მიღმა, უფრო დიდი სიმაღლიდან და უფრო ღრმად ჩაიხედოთ ადამიანის სულში.

თავი მეთხუთმეტე

1

— მამაჩემის ჩამოსვლამ სიხარულის ნაცვლად სევდა და წუხილი მო-

გვიტანა. დედაჩემს ჩემთვის ერთხელაც არ შემოუჩივლია, თუმცა ჩივილი ახალს რას მეტყოდა. თვალები რომ უფრო დაუსევდიანდა და კიდევ უფრო სიტყვაძუნწი რომ გახდა, სავსებით ნათელი იყო. ათი დღე ათი წელივით გაიწელა. მამაჩემი, ჩამოსვლის პირველ დღეს რომ ლოგინში ჩაწვა, მას მერე მთელი ათი დღე ფეხზე არ წამომდგარა. ერთთავად გულაღმა იწვა, ჭერს შესჩერებოდა და დუმდა. არ ვიცი, მე რომ სამსახურში მივდიოდი, იქნებ მაშინ დგებოდა. განცვიფრებული ვიყავი, ათი დღის მანძილზე ჩემთან თუნდაც ხუთწუთიანი საუბრის სურვილიც არ გასჩენია. იქნებ დედაჩემმა ყველაფერი უამბო? იქნებ ცნობისმოყვარეობა უკვე დაიკმაყოფილა და გამოჯანმრთელებას ელოდა? არ ვიცი, ვერაფერს გეტყვით. პირველ დღეებში მამაჩემის ოთახში დილით შევდიოდი, დილა მშვიდობისა-მეთქი, ვეტყოდი, ლოყაზე ვაკოცებდი და სამსახურში მივდიოდი. საღამოს ოთახში აღარ შევდიოდი, ბუნებრივია, აღარც ვკოცნიდი. მხოლოდ კარს შევაღებდი, საღამო მშვიდობისა-მეთქი, ვეტყოდი და უმალვე სამზარეულოს მივაშურებდი. თითქოს მეშინოდა, არ დაეძახა და საუბარი არ ვაება.

„იცის, ბაბუამ რომ თავი მოიკლა?“— ვფიქრობდი ხანდახან. მინდოდა დედაჩემისთვის მეკითხა, ბაბუას ამბავი თუ მოუყევი-მეთქი. ვერ გავბედე. უფრო სწორად, ბევრი ვიყოყმანე, მაგრამ მაინც ვერ დავასკვენი, იქნებოდა თუ არა ჩემი შეკითხვა გამართლებული. იქნებ დედამ რაღაც მოსაზრებით ჩათვალა, რომ მამამ არ უნდა იცოდეს ბაბუას თვითმკვლელობის ამბავი? მე ხომ უნდა გავეფრთხილებინე, მამასთან საუბრისას ბაბუას თაობაზე სიტყვა რომ არ უნდა წამომცდენოდა? ბოლოს საკითხი იოლად გადავწყვიტე. არც დედას უნდა შევკითხოდი რამეს და არც მამაჩემისთვის უნდა მეამბნა ბაბუას უკანასკნელი განცდები. მით უმეტეს, ტყვედ ჩავარდნის გამო საკუთარი შვილის გაწირვა და სურათების განადგურების ძოიხოვნის ამბავი. ორი დღე, ეფიქრობ, საკმარისი იყო, მამაჩემს რომ კარგად დაესვენა და ფეხზე წამომდგარიყო, საჭმელსაც საგანგებოდ ურჩევდა დედაჩემი. მაინც არაფერი ეშველა. პირიქით, თვალები კიდევ უფრო ჩაუცვივდა, ყვრიმალები ამოვარდნაზე ჰქონდა. ხომ შეგიმჩნევიათ, რკინის ზამბარა სავარძლის ქსოვილს რომ გაარღვევს და ზემოთ ამოვარდება ხოლმე. მამაჩემს რომ ეუყურებდი, ისეთი განცდა მეუფლებოდა, სადაც იყო, ყვრიმალის ძვლები ზამბარასავით გახევდნენ მამაჩემის გალეული სახის კანს.

ლამის იმედი დავკარგე, მამაჩემი რომ ჩემთან ვასაუბრების სურვილს გამოთქვამდა. შინ მოსვლა საერთოდაც არ მიხაროდა, მამაჩემის ჩამოსვლის შემდეგ ხომ სულ შემზიზღდა. კვირა დღესაც საქმეებს ვიმიზეზებდი. სამსახურში მივდიოდი. ცარიელა შენობაში საქმეს გულს ვერ ვუდებდი და მთელი დღე ქალაქში დავხეტიალებდი ხანდახან ეჭვი მიპყრობდა. მამაჩემს ხომ არ ვეზიზღები-მეთქი. მახსენდებოდა, ომის დაწყების დღეს სტალინის აუგად ხსენებისას როგორი თვალებით შევხედე. იქნებ მართლა ჩემს სახეზე, ჩემს ბავშვურ თვალებში ამოკითხული თავზარდაცემისა და სასოწარკვეთილების გულისთვის წავიდა მოხალისედ? ალბათ არ უნდოდა გული მტკენოდა, რომ ლაჩარი მამა მყავდა. ყურში ისევ ჩამესმა მამაჩემის გამოსათხოვარი სიტყვები — შენ პატარა აღარა ხარ, იცოდე, ფრონტზე დარდი არ გამაყოლო. იქ კი, შევეცდები, არ შეგარცხვინო! — გესმით, ბატონო ჩემო? იქ კი, შევეცდები, არ შეგარცხვინოო.' მე მითხრა, არ შეგარცხვენო. კიდევ ერთხელ მინდა გკითხოთ, განა ლოგიკური და სწორი არ იქნება ვივარაუდო, რომ მამაჩემი ფრონტზე ჩემში მის მიერვე ჩაწიხლული სიამაყის აღსადგენად წავიდა? ვინ იცის, იქნებ თავის ნაჩქარევ

და არამარტო დღევანდელი, მაშინდელი თვალსაზრისითაც უჭკუოდ გადადგმულ ნაბიჯს მარტო მე მაბრალებდა?!

აღარ ვიცოდი, რა მეფიქრა. თანამშრომლების, ნაცნობ-მეგობრების მილოცვებს სევდიანი ღიმილით ვიღებდი. ვინ იცოდა, გულში რა ცეცხლი მიტრიალებდა! ნათესავები საგანგებოდ გავაფრთხილე, მამაჩემის გამომჯობინებამდე არ მოსულიყვნენ. დედა რომ ტელეფონზე ნათესავებს ელაპარაკებოდა, მამას ყველაფერი ესმოდა. მივხვდი, იგი მამაჩემის დავალებას ასრულებდა. მხოლოდ მამიდა მოვიდა ერთხელ. იმავე წუთში ქუჩაში გავედი. არ მინდოდა მძიმე, აუტანელი სიტუაციის მოწმე და მონაწილე გავმხდარიყავი.

ორი კვირის თავზე სასაფლაოზე წასვლის სურვილი გამოთქვა. დედაჩემმა მითხრა, ხვალ ხუთ საათზე სასაფლაოზე გვინდა ასვლა და შინ დროზე მოდიო. სამსახურიდან ხუთის ნახევარზე დავბრუნდი. შესასვლელში ცელოფანში გახვეული ვარდები დავინახე. მამაჩემი სკამზე იჯდა და იატაკს დაშტერებოდა. ოთახში რომ შევედი, შემომხედა. მივედი, ლოყაზე ვაკოცე და სამზარეულოს მივაშურე. საპასუხო კოცნას ვინ დაეძებდა, ხმაც არ ამოუღია. ორი ლუკმა ზეზეულად გადავყლაპე, ხელპირი დავიბანე და სასადილო ოთახში გამოვედი. მამაჩემი ფეხზე წამომდგარი და ფანჯარასთან მისული დამიხვდა.

— უკვე ხუთი საათია! — თქვა დედამ,

— მამაჩემი შემობრუნდა.

ღმერთო, რა სასაცილოდ და საცოდავად გამოიყურებოდა ომამდე შეკერილ ძველ კოსტუმში! გინახავთ, არა, პატარა ბავშვი მამის პიჯაკს რომ შემოიცვამს? ზუსტად ვიღაც გოლიათის კოსტუმში გამოწყობილივით მოჩანდა გამხდარი და გალეული მამაჩემი.

ქუჩაში გავედი და ტაქსი დავიჭირე. მამაჩემს მანქანის კარები რომ გავუღე, გაოცდა. არ იცოდა, თბილისში თუ უკვე ტაქსები მუშაობდნენ. გაკვირვება მხოლოდ სახის გრიმასებით გამოხატა. დუმილი გზაშიც არ დაურღვევია.

ნახევარ საათში სასაფლაოზე ვიყავით. არც საბურთალოს სასაფლაო იცოდა თუ არსებობდა. ტაქსის შოფერს რომ ვუთხარი, საბურთალოს სასაფლაოზე წადი-მეთქი, მამაჩემს აშკარად შევატყვე გაკვირვება. დედამ ვარდები საფლავზე ლამაზად გაშალა და ძველი, ხელოვნური ტყავის ხელჩანთიდან სანთელი ამოიღო.

— არ აანთო! — ხმადაბლა, მაგრამ კატეგორიულად წარმოთქვა მამაჩემმა.

შეცბუნებულმა დედამ სანთელი უმალვე ჩანთაში შეინახა.

მამაჩემის ხმა არაფრით იმ ხმას არ ჰგავდა, მე რომ ბავშვობიდან მახსოვდა ამდენი წლის მანძილზე რომ ყურში მედგა.

მამაჩემი საფლავის ბოლოში დადგა. ჯერ გრანიტის ქვაზე ოქროსფერი წარწერა წაიკითხა, მერე თავი დახარა და საფლავს დააშტერდა. გამიხარდა, რომ ზოგიერთივით სპექტაკლი არ გაუთამაშებია, არ დაუჩოქნია და მიწისთვის არ უკოცნია. იდგა ჩუმად და საფლავს სევდიანად დასჩერებოდა. დედაჩემმა აქაიქ ამოსულ ბალახს დაუწყო ამოძირკვა.

ხანდახან თვალს მამისკენ გავაპარებდი ხოლმე, ვატყობდი, დედაჩემის ფუსფუსი არ მოსწონდა.

— დედა, მერე ამოვალ და საფლავს მე მივხედავ! — ვთქვი ხმადაბლა.

დედაჩემი უმალვე მიხვდა, რისი თქმაც მსურდა. საქმიანობა შეწყვიტა, გვერდზე გადგა, ბალახი გადაყარა და ხელი ცხვირსახოცზე შეიწმინდა.

„ნეტავ, თუ იცის მამაჩემმა ბაბუას თვითმკვლელობის ამბავი? ვითომ ეტყოდა დედაჩემი და სულიერად განადგურებულს ახალ საწამებელს მიუმატებდა?! არა მგონია!“ — დავასკვენი მტკიცედ.

დედაჩემს თვალით ვანიშნე, ღვინოსად არი-მეთქი. ვიცოდი, დედამ ერთი ბოთლი ღვინო და ჭიქები გუშინვე გაამზადა. დედაჩემი ვერ მიხვდა, რას ვა-

ნიშნებდი. არაფერი-მეთქი, გავაქნიე ხელი. მივხვდი, მამამ არც ღვინის წამოღება დაანება.

უცებ მამამ თავი ასწია.

— წადით, გასასვლელში დამელოდეთ. ათ-თხუთმეტ წუთზე მეტს არ გალოდინებთ.

გამიხარდა, რომ გული კვლავ არ აუჩუყებია და არ წარმოუთქვამს სანტიმენტალური სიტყვები: წადით, საფლავთან დამტოვეთ, ან კიდევ უფრო უარესი, წადით, მამასთან მარტო დამტოვეთო.

დედაჩემი უსიტყვოდ შებრუნდა და სასაფლაოს ჭიშკრისაკენ გაემართა. უმალვე მეც უკან მივყევი.

ფეხს განგებ ვითრევდი, საფლავების წარწერებს ვკითხულობდი. მინდოდა დედაჩემს ჩამოვრჩენოდი. ხმის ამოუღებლივ დგომა მეზარებოდა. არადა მამის მომლოდინეს სასაფლაოს ჭიშკართან რა თემაზე უნდა მესაუბრა?!

შინ დაბრუნებისთანავე მამამ ჩაი მოითხოვა, ხელ-პირი დაიბანა და საწოლს მიაშურა. დედამ ჩაი სასწრაფოდ წამოადუღა და საწოლ ოთახში შეუტანა.

დღეები გადიოდა, მამაჩემის დუმილი გრძელდებოდა. ცხოვრება უფრო და უფრო აუტანელი ხდებოდა.

ერთ ღამეს დედაჩემის ტირილი შემომესმა. ფეხზე წამოვვარდი და მშობლების საწოლ ოთახს მივაშურე.

მამაჩემი საწოლზე წამომჯდარიყო და თვალებს უაზროდ აცეცებდა.

— Крысы! Крысы! — იმეორებდა უაზროდ.

— ლევან, გამოფხიზლდი, ლევან! — დედაჩემი ლოყებზე ხელს ფრთხილად უტყაპუნებდა.

— Крысы! Крысы! — იმეორებდა მამაჩემი უფრო და უფრო ხმადაბლა. ბოლოს სულ გაჩუმდა. უცებ შებრუნდა. ლოგინში ჩაწვა და უმალვე ჩაიძინა.

— წადი, შვილო, დაიძინე! — მითხრა ქვითინით დედაჩემმა.

გულმოკლული გამოვბრუნდი და ლოგინში ჩავწექი. თვალი აღარ მომიხუჭავს, ან კი რა დამაძინებდა.

მომდევნო დღეებში მამაჩემს მშვიდად ეძინა. მეც თითქოს დავმშვიდდი, მაგრამ ვგრძნობდი, იმ ღამეს რომ უცნაური შიში დამეუფლა, არა და არ მშორდებოდა. რატომღაც მჯეროდა, უფრო დიდი საშინელების მოწმე გავხდებოდი.

წინათგრძნობა, თუკი რეალურ ფაქტებზე დაყრდნობილ ლოგიკურ დასკვნას ან ვარაუდს წინათგრძნობას დავარქმევთ, სამწუხაროდ, მალე ამიხდა. შაბათი დღე იყო. მამაჩემმა ჩაი სასადილო ოთახში დალია. თითქოს უკეთაც გვეჩვენა. გამიღიმა კიდეც. მივხვდი, ეჭვისათვის არავითარი მიზეზი აღარ მრჩებოდა. მამაჩემს, ეტყობა, არასდროს აზრად არ მოსვლია, ფრონტზე მოხალისედ წასვლა ჩემთვის დაებრალებინა. შვებით ამოვისუნთქე, მამაჩემის ჩამოსვლიდან პირველი ღამე იყო, გულზე ტვირთი რომ მომეხსნა და მშვიდად დავიძინე.

შუაღამისას საშინელმა ყვირილმა გამომაღვიძა. არ მახსოვს, მშობლების საწოლ ოთახში როგორ აღმოვჩნდი. ჩემს თვალწინ კვლავ პირვანდელი სურათი გადაიშალა.

— Нет! Нет! Нет! — ყვიროდა ლოგინზე წამომჯდარი მამაჩემი და თვალებს უაზროდ აცეცებდა.

— ლევან, ლევან! — ქვითინებდა დედაჩემი და მეუღლეს მთელი ძალით ანჯღრევდა.

მამაჩემმა მაშინდელივით ყვირილს ნელ-ნელა უკლო, მერე სულ შეწყვიტა. ერთხანს თვალებს კიდევ აცეცებდა, მერე უცებ ლოგინში ჩაწვა და დაიძინა.

სასადილო ოთახში გავედი და სასოწარკვეთილი მაგიდასთან სკამზე ჩამოვჯექი. ქუჩიდან შემომავალი შუქი ოთახს საკმაოდ ანათებდა. მალე დედაჩემიც გამოვიდა და მაგიდასთან ჩემს პირდაპირ ჩამოჯდა. აღარ ტიროდა.

ერთხანს ასე ვისხედით, დუმილს არცერთი არ ვარღვევდით. ბოლოს დედაჩემი წამოდგა, ჩემთან მოვიდა, ხელე-

ბი უკანიდან მომხვია და ლოყაზე მაკოცა.

— არაფერია, შვილო, არაფერი! ხომ იცი, საიდანაც ჩამოვიდა. გავა დრო და კოშმარები თანდათანობით გაუვლის,— ისეთი ტონით მითხრა დედაჩემმა, თითქოს მამაჩემის მაგივრად მებოდიშებოდა.

— ვიცი, დედა, ნელ-ნელა ყველაფერი გაუვლის. ეჭვიც არ მეპარება, რომ გაუვლის!

მივხვდი, დედაჩემი განგებ დამიდგა უკან, საუბრისას თვალებში შემოხედვას ერიდებოდა.

პაუზა. ღრმა ნაფაზი.

— ახლა უფრო საშინელი რამ უნდა გიამბოთ, ბატონო ჩემო!

დიდხანს ვიფიქრე, ღირს კი-მეთქი ყველაფრის მოყოლა? გადავწყვიტე, მაინც გიამბოთ. არასრულმა სურათმა, დაუსრულებელმა ეპიზოდმა შეიძლება მოვლენებზე სულ სხვანაირი წარმოდგენები შეგიქმნათ.

მთელი ორი კვირის მანძილზე მამას მშვიდად ეძინა. თითქოს ფერზეც მოვიდა. ბუნებრივია, იმედებით აღვივსეთ. ნათესავებისა და ნაცნობ-მეგობრების ნახვის სურვილი მაინც არ გასჩენია. არც ის უთქვამს, მუშაობის დაწყებას აპირებდა თუ არა. მინდოდა მეთქვა, ქუჩაში გასეირნება, სამსახური, მეგობრები და კოლეგებში ტრიალი ერთბაშად გამოგაცოცხლებს და გამოგაკეთებს-მეთქი. ვერ ვბედავდი, მეშინოდა, ვაითუ, ჩემი სიტყვები უტაქტოდაც აღექვა, ან, კიდევ უფრო უარესი, სულიერად ისედაც განადგურებული კაცისათვის ახალი ტრავმა მიმეყენებინა. იმედად ისღა მრჩებოდა, საქმე რომ ძალიან ნელა, მაგრამ მაინც უკეთესობისაკენ მიდიოდა.

ერთხელ ძილში რაღაც ხმაური ჩამესმა. პირველად ძილს თავი ვერ წავართვი. რამდენიმე წამის შემდეგ აშკარად გავიგონე სკამის წაქცევის ხმა. საწოლზე წამოვჯექი. საეჭვო აღარაფერი იყო, სასადილო ოთახში რაღაც ხდებოდა. უმალვე წამოვვარდი და სასადილო ოთახისაკენ გავეშურე. გზად დედაჩემს შევეჩეხე.

— შენ ნუ გამოხვალ, არჩილ, მამაშენს მე მივხედავ! — ლამის ვედრებით მითხრა დედამ.

არ დავუჯერე და სასადილო ოთახში შევედი.

მამაჩემი შუა ოთახში იდგა და შარდავდა.

— ხომ გითხარი, ნუ გამოხვალ-მეთქი! — აქვითინდა დედაჩემი.

სასწრაფოდ ჩემს ოთახში შევბრუნდი და სასოწარკვეთილი ლოგინში ჩავემხე. დედაჩემმა ისე მითხრა, შენ ნუ გამოხვალ, მამაშენს მე მივხედავო, რომ მივხვდი, რაც ახლა დავინახე, პირველად არ ხდებოდა. ვინ იცის, იქნებ ყოველდღე იგივე მეორდებოდა. დღეს რომ სკამი არ წაექცია, ვერაფერს გავიგებდი-მეთქი, ვფიქრობდი გამწარებული. დედაჩემმა მამა საწოლ ოთახში შეიყვანა, თვითონ გამობრუნდა და სამზარეულოს მიაშურა. დიდი მიხვედრა არ უნდოდა, იატაკის საწმენდი ჯოხი გამოიტანა.

სამწუხაროდ, ჩემი ვარაუდი გამართლდა, ეს საშინელი სცენა ყოველღამე მეორდებოდა. უბედურება ის იყო, რომ მამაჩემი სასადილო ოთახში მძინარე გადიოდა. შემდეგ ბრუნდებოდა, ლოგინში წვებოდა და ძილს ისე აგრძელებდა, ვითომც აქ არაფერიაო. მეორე დღეს არაფერი ახსოვდა. რასაკვირველია, დედაჩემი არაფერს ეუბნებოდა.

ერთხელ, მამაჩემის გარდაცვალებიდან ორი თუ სამი წლის შემდეგ სუფრაზე შემთხვევით მოვხვდი მამაჩემივით ომის შემდეგ გადასახლებულ ყოფილ სამხედრო ტყვესთან. მისი ნაამბობიდან შევიტყვე, რომ ჩრდილოეთ ციმბირში ბარაკებში შეყრილი პატიმრებისათვის შუა ბარაკში ვედრო ედგათ ღამე ჩასაშარდავად. ალბათ დამეთანხმებით, ჩრდილოეთში, სადაც წელიწადში თითქმის თორმეტი თვე ზამთარია, კანალიზაციაზე საუბარი, მით უმეტეს, კოლონიაში,

ღიმილის მომგვრელი გულუბრყვილობა იქნებოდა.

დრო, დრო და მხოლოდ დრო უნდა ყოფილიყო მამაჩემის მკურნალი. დრო და მშვიდი ცხოვრება. მისი აფორიაქება არაფრით არ შეიძლებოდა. ყველაზე უფრო საცოდავი მაინც დედაჩემი იყო. ჩემი რცხვენოდა. მამის მაგივრად მებოდიშებოდა. არა, თქმით არაფერს ამბობდა, თუმცა ლაპარაკი რა საჭირო იყო, ყველაფერი გატანჯულ სახეზე ეწერა.

2

— ალბათ გაინტერესებთ, რა ღონის მეცნიერი იყო მამაჩემი, არა?

მეც მაინტერესებდა, ძალიან მაინტერესებდა. განა გასაკვირია, შვილს რომ მამამისის ღონე და შესაძლებლობები აინტერესებდეს? გულწრფელად გეტყვით, მამაჩემის ჩამოსვლამდე არაფერი გამიგია, არავისთან მისაუბრია. უფრო მეტიც, არც კი ვცდილვარ გამეგო ან შემესწავლა, ფიზიკის რა დარგში მოღვაწეობდა მამაჩემი, რა გამოკვლევების ან აღმოჩენების ავტორი იყო. შემეშინდა, ბატონო ჩემო, შემეშინდა! უნდა გამიგოთ. არ მინდოდა მისი სახელი და გვარი ვიღაც-ვიღაცეებისთვის შემეხსენებინა. ფრონტზე რომ წავიდა, პატარა ვიყავი. აბა მაშინ რა გამეგებოდა ფიზიკისა. სტუდენტობის პერიოდში, განსაკუთრებით ხალხის ღამით გასახლებით შეშინებულს, განა შემეძლო სადმე მივსულიყავი და ვინმესთვის მეკითხა, როგორი ფიზიკოსი, როგორი თეორეტიკოსი და ექსპერიმენტატორი იყო-მეთქი მამაჩემი?! მე უბრალოდ, ახლობლების გადმოცემით ვიცოდი, რომ მასზე დიდ იმედებს ამყარებდნენ. ერთხელაც არ მომსვლია აზრად უნივერსიტეტში მივსულიყავი, მამაჩემის მეგობრები და კოლეგები მომენახა მამაჩემის მარტო მეცნიერული შემოქმედებით კი არა, უბრალოდ, მისი ხასიათით, მისი თვისებებით დავინტერესებულიყავი. გულწრფელად გეტყვით, ერთი დიდი ეჭვიც კი გამიჩნდა. თუ იგი მართლა უაღრესად ნიჭიერი თეორეტიკოსი და მკვლევარი იყო, აკადემიამ, უნივერსიტეტმა ან კათედრამ რატომ არ იზრუნეს, რომ სხვა გამოჩენილი მეცნიერებივით ფრონტიდან დაებრუნებინათ?! ან კიდევ უფრო მეტი: უმალვე განგაში რატომ არ ატეხეს, რომ ჯარში საერთოდ არ გაეშვათ?! ვხედავ, გეღიმებათ. ნუ გერიდებათ, კარგად გაიღიმეთ, როცა თავში მსგავსი აზრები მომდიოდა, ყმაწვილი გახლდით. გულუბრყვილოდ მეგონა, ქვეყანა სათნო და მზრუნველი ადამიანებით იყო დასახლებული. აი, აგერ, ახალგაზრდა, დიდი შესაძლებლობების მეცნიერმა გადაწყვიტა ფრონტზე მოხალისედ წასულიყო. მეგონა, კათედრა, კათედრის გამგე, ლაბორატორიის უფროსი უმალვე სათანადო ორგანოებს მიაშურებდნენ, ერთ ალიაქოთს ატეხდნენ, ლევან გორდელის ფრონტზე გაშვება არ შეიძლება, იგი სამშობლოს აქ უფრო გამოადგებაო. თქვენც არ მომიკვდეთ. ვინ იყო ხმის ამომღები! თურმე კათედრის გამგესა და ლაბორატორიის უფროსს სიხარულიც ვერ დაუმალავთ, ნიჭიერ მეცნიერს რომ თავიდან იშორებდნენ. კაცი უსამართლო არ უნდა იყო. ისეთებიც გამოჩენილან, მამაჩემის გადაწყვეტილებით რომ აღელვებულან. კათედრის გამგესთან მისულან, იქნებ როგორმე დავიყოლიოთ და მოხალისედ წასვლა გადავაფიქრებინოთო. თუ თვითონ ვერ დავითანხმებთ, კომისარიატს უნივერსიტეტის შუამდგომლობა მივართვათო. კათედრის გამგეს უთქვამს, რაც საჭიროა, ყველაფერს ვიღონებო. ბუნებრივია, არც მამაჩემი უნახავს და არც კათედრისა და უნივერსიტეტის თხოვნა მიუტანია სადმე. კათედრაზე უსირცხვილო ტყუილი უკადრებია, ბევრი ველაპარაკე, არაფერი გამომივიდაო. შუამდგომლობა კი სად წაიღო, კაციშვილმა დღესაც არაფერი იცის. უნივერსიტეტს პასუხი არ მიუღია. თუმცა პასუხისათვის ვიღას ცხე-

ლოდა, გერმანია ელვის სისწრაფით მოიწევდა წინ.

მინდა თქვენთან ბოლომდე გულწრფელი ვიყო და გითხრათ, რომ მეშინოდა კიდეც, მამაჩემის ბიოგრაფიისა და მეცნიერული მოღვაწეობის შესწავლით სათანადო ორგანოების ყურადღება არ მიმეპყრო.

და აი, მაშინ, გამხდარ, თვალებჩაცვენილ, გასაცოდავებულ მამაჩემს რომ ვუყურებდი, ჩემდა სამწუხაროდ და სავალალოდ, აღარ მჯეროდა, რომ იგი როდესმე უაღრესად დიდი იმედების მომცემი მეცნიერი იყო. სამწუხაროდ, ეს მცდარი რწმენა გამყვა ოთხმოცდაერთ წლამდე, სანამ ღრმად არ ჩავუჯექი იმ პერიოდის ფიზიკოსთა შრომებს, სანამ არ ვესაუბრე მამაჩემის რამდენიმე კოლეგას. თუმცა, არ მინდა, მოვლენებს წინ გავუსწრო. დიახ, უკვე დავკარგე რწმენა, რომ მამაჩემი მართლა მნიშვნელოვანი ფიგურა იყო მაშინდელ ქართველ მეცნიერთა შორის.

ჩამოსვლიდან ოთხი თვის თავზე მამაჩემი პირველად გავიდა ქუჩაში. დედაჩემი შეეხვეწა წამოგყვებიო. არ ქნა. აქვე, რუსების ეკლესიისკენ გავისეირნებ, ბევრი-ბევრი, ერთ საათში დავბრუნდებიო. ვერ წარმოიდგენთ, რა სიხარულით აგვავსო მამაჩემის გამოცოცხლებამ. ერთი კვირის მერე თავის ყოფილ კოლეგასა და მეგობარს დაურეკა, იქნებ ჩემთან მოხვიდეო. ძალიან დიდხანს უსაუბრიათ. თითქმის ერთ საათს. შეიძლება გაგეცინოთ, ერთი საათი რა დიდი ხანიაო. მართალიც იქნებით. ერთი საათი რა ისეთი დიდი დროა, მაგრამ სულიერად დათრგუნული მამაჩემისათვის საათიანი საუბარი თითქმის წარმოუდგენლად გვეჩვენებოდა.

მე შინ არ ვიყავი. სამსახურიდან გვიან დავბრუნდი. მამას უკვე ეძინა. დედამ სამზარეულოში მავახშმა. ფიქრში წასულს უეცრად ყურში ჩამჩურჩულა, მამაშენმა ერთ თავის კოლეგას დაურეკა, შინ მოიპატიჟა და თითქმის ერთი საათი ისაუბრესო.

ჩანგლიანი ხელი ჰაერში გამიჩერდა და დედას ცნობისმოყვარეობით შევხედე. საზეიმო გამომეტყველება ჰქონდა. სტუმრის მიღება და ერთსაათიანი საუბარი ქმრის შემობრუნების ნიშნად მიაჩნდა.

— მერე? — ვკითხე. მე.

— სს! — მიიდო ტუჩებთან ხელი.

— მერე? — ვიკითხე თითქმის ჩურჩულით.

— არ ვიცი, რაზე ილაპარაკეს. ჩაიც დალიეს. სტუმარი კიბეებამდე გააცილა.

— მუშაობის დაწყებას აპირებს??

— არა მგონია! — დედას სახე მოეღრუბლა.

— რატომ? უარს ხომ არ ეუბნებიან?

— არა, თვითონ არ სურს. ვარაუდობს, რომ თანამედროვე ფიზიკას ძალზე ჩამორჩა. ლაბორატორიაში რიგით მეცნიერად ვერ დაბრუნდებიო.

— აბა, რას ფიქრობს?

— არ ვიცი, ენახოთ, დროთა განმავლობაში კიდევ უფრო გამოჯანმრთელდება, იქნებ ხვალ და ზეგ შეცვალოს კიდევ გადაწყვეტილება.

— ჩემი აზრით სჯობია ახლავე დაიწყოს მუშაობა. თავდაპირველად ხალხში ტრიალი გაუჭირდება, მაგრამ საქმიანობას და კოლეგებთან ურთიერთობას სწრაფად შეეგუება.

გავჩუმდი. დედა ყურადღებით შემომჩერებოდა.

— რატომ ჩაფიქრდი?

— თუ მამაჩემმა ნამდვილად გადაწყვიტა მეცნიერებას დაუბრუნდეს, ეს უკვე ბევრს ნიშნავს.

— ნამდვილად ფიქრობს.

— ჩემთან ლაპარაკის სურვილი რატომ არა აქვს?

— არ ვიცი. მჯერა, თანდათანობით ეგ სურვილიც გაუჩნდება. ხომ ხედავ, თავის ყოფილ თანამშრომელთან თითქმის მთელი საათი ისაუბრა!

დედაჩემი არ მოტყუებულა. ერთი კვირის შემდეგ, დილით რვა საათზე რომ წამოვდექი, მამაჩემი უკვე სასადილო ოთახში იჯდა და ჩაის სვამდა.

დედამ საუზმე მეც სასადილო ოთახში გამიწყო. მამაჩემი, ჩვეულებისამებრ, არ წამომდგარა და საწოლ ოთახში არ გასულა.

— კიდევ დამისხი ჩაი! — უთხრა დედაჩემს.

ვერა და ვერ შევეგუე მამაჩემის ხმას. სულ მეჩვენებოდა, რომ ვიღაც უცხო კაცი ლაპარაკობდა. მამაჩემის ხმა სრულებით არ ჰგავდა იმ ხმას, ფრონტზე წასვლის წინ რომ სამუდამოდ შემორჩა ჩემს სმენას.

— დღეს დედაშენს პედსაბჭო აქვს, — დაიწყო უცებ მამაჩემმა.

მღელვარებისაგან ლამის გული გამიჩერდა.

— შენთან ლაპარაკი მსურს. თუ მოახერხებ, ორ საათზე მოდი, ოთხ საათამდე, ვფიქრობ, მოვასწრებთ საფუძვლიან საუბარს.

— აუცილებლად მოვალ! — ვცადე გაღიმება და ფეხზე წამოვდექი.

3

გორდელების სასადილო ოთახი ორმოც კვადრატულ მეტრამდე მაინც იქნებოდა. ოთახის შუაგულში დათვისფეხებიანი ძველებური მაგიდა იდგა. ფანჯრების მოწინააღმდეგე კედლის მხარეს დაცვეთილი და ზამბარებამოცვენილი ძველებური დივანი მოეთავსებინათ. ოთახის ღარიბულ მორთულობას ვერც იმ დროს მოდური „ბუფეტი“ შველოდა.

არჩილ გორდელი დივანზე იჯდა და მამას ყურადღებით უსმენდა. დილით, მამამ რომ შვილთან საუბრის სურვილი გამოთქვა, მღელვარება დაეუფლა. სამსახურში ყველამ შეატყო, უცნაურად რომ ცქმუტავდა, სხვათა ნათქვამს ყურს არ უგდებდა. უფრო სწორად, ყურს კი უგდებდა, მაგრამ ვერ აღიქვამდა. განუწყვეტლივ მამასთან მოსალოდნელ საუბარზე ფიქრობდა. თითქოს ეშინოდა კიდეც, ვაი თუ მამაჩემმა დილით ნათქვამი გადაიფიქროს და საუბარი აღარ მოინდომოსო. შინ დაბრუნებული საბოლოოდ მაშინ დამშვიდდა, მამამ რომ უთხრა, დივანზე დაჯექი და ყური კარგად დამიგდეო. თვითონ ფანჯრის მხარეს სცემდა ბოლთას. ფანჯრის მხარე შეგნებულად აირჩია. ფანჯრებიდან შემომავალი სინათლე კეფაზე ხვდებოდა და თვალებჩაცვენილი სახე ჩრდილში ექცეოდა. ოთახში გამეფებულ დუმილს ლევან გორდელის ნაბიჯების სუსტი ხმა არღვევდა. სახეზე ტანჯვა აღბეჭდვოდა, ეტყობოდა, ვერ მოეფიქრებინა, ლაპარაკი როგორ დაეწყო.

— მიხარია, რომ წარჩინებული სტუდენტი ყოფილხარ, — დაიწყო ბოლოს მამაჩემმა. სკამი გამოსწია, მაგიდასთან ჩამოჯდა და ცარიელა ჩაის ფინჯანს წვალება დაუწყო. ცდილობდა, შვილისთვის სახეში არ შეეხედა, — დედამ ყველაფერი მიამბო. სამსახურიც კარგად დაგიწყია. გაგონილი მაქვს, რომ გეოლოგიის სამმართველოს უფროსი ვალერიან კობახიძე უპატიოსნესი პიროვნებაა, კარგი მეცნიერი და ორგანიზატორი.

ლევან გორდელი დაფიქრდა. არჩილი კვლავ გაუნძრევლად იჯდა. იცოდა, მამამისს სულ სხვა რამ აწუხებდა, მთავარ სათქმელს ჯერ არ მისდგომოდა. უბრალოდ, მთავარ სათქმელამდე მისასვლელ ბილიკებს ეძებდა.

— ჩემს გამო წინააღმდეგობები ხომ არ შეგხვედრია? — ჰკითხა უცებ დ' შვილს პირველად შეხედა თვალებში.

არჩილი დაიბნა. მამის დიდრონმა, ჩაცვენილმა თვალებმა შეაშფოთა, თავი დახარა, ჯიბიდან ცხვირსახოცი ამოიღო და შუბლზე მოისვა.

— რა წინააღმდეგობა უნდა შემხვედროდა? — გაიოცა განგებ.

ლევან გორდელმა ჩაიცინა.

— რა წინააღმდეგობა? რა წინააღმდეგობა უნდა შეხვედროდა კაცს, რომლის მამა სამშობლოს ღალატისათვის ციხეში იხდის სასჯელს?! განა მე თვითონ დედაჩემის „მოღალატეობის“

გამო მთელი ცხოვრება ჭადრაკს მხოლოდ შავი ფიგურებით არ ვთამაშობდი?

„მთელი ჩემი ცხოვრება ჭადრაკს შავი ფიგურებით არ ვთამაშობდი?!“ — მოეწონა არჩილს მამის გამოთქმა.

— პარტიაში რატომ არ შეხვედი?

— პარტიაში სტუდენტებს იშვიათად იღებენ.

— ეგ მეც ვიცი. მადლობა ღმერთს, უნივერსიტეტში ვმუშაობდი. შენ როგორც მოწინავე, სანიმუშო სტუდენტს, არ შეგეძლო პარტიაში შესულიყავი?

— აზრადაც არ მომსვლია. ვიცოდი, რომ პარტიაში მხოლოდ სტალინურ სტიპენდიანტებს იღებენ.

— კარგი, ბატონო, სტუდენტობის დროს არ შესულხარ. ახლა რას უყურებ?

— რა ვიცი. ალბათ მალე შევალ.

— სამსახურში მიღებაზე ჩემი მიზეზით გქონდა რაიმე დაბრკოლება?

— არავითარი! ბატონ ვალერიან კობახიძეს წინასწარ ყველაფერი ვუამბე, შეწუხდა, ძალიან შეწუხდა, მაგრამ მაინც მიმიღო. ერთი წუთითაც არ შეყოყმანებულა.

— ვალერიან კობახიძე პატიოსანი და დიდებული პიროვნებაა. იგი არაფერს შეუშინდებოდა. მე სხვა რამ მაინტერესებს. სათანადო ორგანოებს ხომ არ გაუწევიათ რაიმე წინააღმდეგობა?

— არა მგონია, ყოველ შემთხვევაში, მე არაფერი გამიგია! — იცრუა არჩილმა. გულში კიდევ ერთხელ შეაქო თავისი წინდახედულება, პარტიაში მიღებაზე უარის თქმის ამბავი შინაურებისთვის რომ არ გაუმხელია.

— ეტყობა გვარდიის პოლკოვნიკის ორდენებმაც გიშველა.

— შეიძლება.

— ბაბუა სტალინის მიჩქმალვას როგორ შეხვდა?

არჩილ გორდელი მიხვდა, მამა მთავარ საკითხს თანდათან უახლოვდებოდა.

— ძალიან განიცდიდა. თქმით არაფერს ამბობდა, მაგრამ სახეზე რომ უზარმაზარი ტკივილი და ტანჯვა ჰქონდა აღბეჭდილი, რა დიდი მიხვედრა უნდოდა. თავის ოთახში ხანდახან დღეობით იკეტებოდა. ალბათ პროტესტის ნიშნად სააღლუმო მუნდირსაც აღარ იცვამდა.

— ბელადის სურათები როდის ჩამოხსენით?

— ბაბუას გარდაცვალების შემდეგ.

— დიდხანს იავადმყოფა?

არჩილი დაიბნა. საბოლოოდ დარწმუნდა, რომ მამამისმა გვარდიის პოლკოვნიკის თვითმკვლელობისა არაფერი იცოდა. ეტყობა დედამ უთხრა, იავადმყოფაო. გული მოუვიდა. დედამ ბაბუას სიკვდილის თავისი ვარიანტი წინასწარ რატომ არ მითხრაო.

— არც ისე დიდხანს.

დუმილი ჩამოვარდა. ლევან გორდელი მაგიდას დასცქეროდა. სახეზე საშინელი სულიერი ტანჯვა გამოხატვოდა.

— ჩემი, ჩემი ამბავი რომ გაიგო, რა თქვა? — ამოღერღა ბოლოს.

პასუხის მოლოდინში თავი არ აუწევია, ისევ მაგიდას დაშტერებოდა.

— რა თქვენი ამბავი? — არჩილმა შეკითხვა ვითომ ვერ გაიგო. უნდოდა პასუხისათვის დრო მოეგო. დაბნეულმა ისიც ვერ აღიქვა, მამას რომ თქვენობით მიმართა.

ლევან გორდელს სული შეეხუთა.

„ნუთუ კვლავ უცხო ადამიანად აღმიქვამს?!“

არჩილ გორდელი მიხვდა, მამას რაც სტანჯავდა. გამწარებული ტვინის ბორბლებს მთელი სისწრაფით აბრუნებდა, რომ სიმართლეს მიმსგავსებული პასუხი მოეფიქრებინა.

„წინასწარ როგორ ვერ გამოვიცანი, რას მკითხავდა! განა თვითონ ვერ უნდა მივმხვდარიყავი, რა სტანჯავდა, ტვინსა და გულს რა ფიქრები უბურღავდა?! დავიჯერო, დედაჩემს არაფერი გამოჰკითხა? ვაი თუ ჩემი ნათქვამი არ დაემთხვეს, ან კი საიდან დაემთხვევა დედაჩემის პასუხებს?! იქნებ მეუღლისა მოეხათრა და დედაჩემისათვის ამ თემაზე საუბარიც კი არ ჩამოუგდია?

— გაუგებრად ხომ არ დაგისვი შეკითხვა?! — გაოცდა ლევან გორდელი,— ბაბუამ რა თქვა, ჩემი დაპატიმრების ამბავი რომ გაიგო?

— თქვენი დაპტიმრების ამბავი... — დაიწყო არჩილ გორდელმა.

— თქვენობით რატომ მელაპარაკები?! — აღშფოთება ვეღარ დამალა ლევანმა.

არჩილი შეცბა. ახლაღა გაიცნობიერა, მამას რომ თქვენობით ელაპარაკებოდ. სირცხვილის ალმურმა სახე ისე დასწვა, თითქოს თავი გავარვარებულ თონეში ჩააყოფინესო.

— განა გასაკვირია? უკანასკნელად ხომ ორმოცდაერთი წლის ივნისში ვილაპარაკეთ!

— მართალი ხარ! — ამოიოხრა ლევან გორდელმა, — უკვე მერამდენე თვეა ჩამოვედი და დღემდე ვერ შევძელი შენთან ლაპარაკი.

კვლავ დუმილი, საშინელი, მტანჯველი დუმილი.

— განაგრძე, მე გისმენ! — თქვა ბოლოს ლევანმა.

— თქვენი... შენი დაპატიმრების ამბავი ძალიან გვიან შევიტყვეთ. მანამდე უგზოუკვლოდ დაკარგული გვეგონე. ბაბუამ მთელ საბჭოთა კავშირში დაგზავნა წერილები. შენი ასავალ-დასავალი მაინც ვერ გავიგეთ. და აი, ბოლოს, ბაბუამ მოიტანა ამბავი, ლევანი გადაუსახლებიათო.

— მერე?

— რა, მერე?

— რა თქვა, გამლანძღა? დაიჯერა ჩემი მოღალატეობა? მე ხომ დაახლოებით მაინც ვიცი, როგორ შემამკობდა!

— ბაბუამ ძალიან განიცადა შენი დაპატიმრების ამბავი. თქმით განსაკუთრებული არაფერი უთქვამს.

არჩილ გორდელს გულზე მოეშვა. ბოლოს და ბოლოს, „შენი“ ბეჯითად და ხაზგასმულად წარმოსთქვა.

— გულწრფელად ამბობ?

— გულწრფელად! ტყუილი რატომ უნდა გითხრა?!

— დედაჩემზე რას ამბობდა, ბოლომდე სჯეროდა მისი მოღალატეობა?

— ვერაფერს გეტყვი. ბებიაზე საერთოდ არ ლაპარაკობდა. სხვათა შორის, სეიფში ბებიას პატარა სურათი ჰქონდა შენახული.

დუმილი.

ლევანი ფეხზე წამოდგა, გაიარ-გამოიარა. არჩილი კვლავ გაუნძრევლად იჯდა და მამას დაჟინებით მისჩერებოდა.

— მინდა იცოდე, არასდროს არ შეგრცხვეს დედაჩემისა. იგი დიდბუნოვანი, ინტელიგენტი ქალი იყო. დედაჩემი და გერმანიის შპიონაჟში ჩათრეული ჯაშუში? განა შეიძლება ამ ქვეყანაზე იყოს უფრო დიდი სიცრუე, ვიდრე დედაჩემისათვის სამშობლოს ღალატის დაწამებაა? ან განა ბიძაშენი, დედაშენის ძმა, ძველი ინტელიგენტი და ჭეშმარიტი ოფიცერი, შეიძლება ყოფილიყო გერმანიის აგენტი და ბინძურ საქმიანობაში საკუთარი და ჩაეთრია?! არა, ბატონო ჩემო!

ლევან გორდელს თვალები წამოენთო. დაუძლურებულმა სახემ შეუსაბამოდ დიდი რისხვა გადმოაფრქვია.

— ბიძაშენი იმიტომ დაიჭირეს, რომ მისი ბინა ბერიას თავისი საყვარლისთვის დასჭირდა. დედაჩემიც გახვიეს ბინძურ გამონაგონში, რომ პოლონეთში მომუშავე კაცის შპიონად გამოცხადებას მეტი რეალური საფუძველი ჰქონოდა. ბიძაშენი პოლონეთში, დედაჩემი თბილისში, შექმნეს ღერძი ლოძი — თბილისი! როდესმე დაწვრილებით მოგიყვები მათი დაპატიმრების დეტალებს.

— შენთვის მაშინვე იყო ცნობილი ბებიასა და მისი ძმის დაპატიმრების ნამდვილი მიზეზი?

— ოთხი თვის შემდეგ გავიგე, როცა ის გარეწარი ბიძაშენის ბინაში შესახლდა!

— მერე?

— რა, მერე? — ლევანი კვლავ სკამზე ჩამოჯდა და ფინჯანს ხელი მოჰკიდა. წელან წამონთებული სახე უმალვე ჩაუფერა, შვილის წინ კვლავ სულიერად

დათრგუნული და ფიზიკურად გატეხილი კაცი იჯდა.

— ბაბუამ არაფერი მოიმოქმედა?

— ბაბუას ვერ გავუმხილე სინამდვილე.

— რატომ?

— მაშინ ყველას დაგვიჭერდნენ. ბაბუასაც, მეც, დედაშენსაც. პირველ რიგში შენ გაგიფრთხილდი. სრულიად უპატრონოდ დარჩებოდი. მოღალატე ოჯახის შვილს ახლო ნათესავიც არ გაგეკარებოდა. თუ ცოცხალი გადარჩებოდი, სადმე უპატრონოთა სახლში შეგაგდებდნენ. გვარსაც დაგავიწყებდნენ და ეროვნებასაც!

— ომში მოხალისედ რატომ წახვედი? ბაბუას სიტყვა ვერ შეუბრუნე?

ლევან გორდელმა მწარედ გაიცინა.

— საკითხს მთლად ნუ გავაიოლებთ. ფრონტზე მოხალისედ წასვლა წამიერად როდი წყდება. ბაბუაშენს, ანუ მამაჩემს, რასაკვირველია, ყოველთვის დიდ ანგარიშს ვუწევდი. მოხალისეობაზე კი ნამდვილად ვერ დამითანხმებდა, სხვა მიზნები რომ არ მქონოდა. ვიცოდი, დედაჩემის ამბავი მძიმე ტვირთად აწვა ჩვენს ოჯახს. ჩემი თავი ჯანდაბას! კარიერისტული სურვილები და მიზნები არასდროს მამოძრავებდა! ტრაბახით არ ვამბობ, საკუთარი თავის უსაზღვრო რწმენა მქონდა. ერთსაც დავძენ, ჩემი რწმენა რეალურ საფუძვლებს ემყარებოდა. მეოცნებე არასდროს ვყოფილვარ, გაიოლება არაფრისა მჩვეოდა. მე შენი ბედი მაწუხებდა. ვინ იცის, დრო როგორ შეიცვლებოდა. იქნებ მოღალატეთა ოჯახებისთვის ხელი დაეხვიათ და ერთიანად გაესახლებინათ. აი, რა მაშფოთებდა და მაწუხებდა. ამიტომაც გადავწყვიტე ფრონტზე მოხალისედ წასვლა. მამაჩემის გვარდიის პოლკოვნიკობას, ფინეთის ომში მოპოვებულ ორდენსა და მედლებს ჩემი მოხალისეობაც რომ მიემატებოდა, ჩემი ანგარიშით საფრთხე თავიდან უნდა აცილებოდა. საბოლოოდ, ჩანაფიქრი ბოლომდე ვერ განვახორციელე. პირველსავე ბრძოლაში ტყვედ ჩავვარდი. ფეხში დაჭრილი ტყვეშ, დამიჭირეს და საკონცენტრაციო ბანაკში მიკრეს თავი. რა ვქნა, შვილო, თავი ვერ მოვიკალი. პირდაპირ ვიტყვი, შეგნებულად არ მოვიკალი! უკანასკნელი ტყვიით თავის მოკვლა, დღევანდელ დღეს რომ თავი დავანებოთ, მაშინაც კი სულელურ ბრძანებად მიმაჩნდა. ერთსაც ვიტყვი, არ მინდოდა, შვილის მომავალი მამის თვითმკვლელობაზე ყოფილიყო დაფუძნებული. შეიძლება შენ ვერც გაგეგო ჩემი თვითმკვლელობის ამბავი, მაგრამ ქვეცნობიერად მთელი ცხოვრების მანძილზე იგრძნობდი ამოუხსნელ სულიერ ტანჯვას. მინდა ისიც გითხრა, რომ შეგიძლია ნებისმიერ ადამიანს თვალებში ამაყად შეხედო! მამაშენს რომ ღალატი სდომოდა, მისი ცოდნა და ატომის ბირთვის კვლევის გამოცდილება სრულიად საკმარისი იქნებოდა, გერმანიის რომელიმე ატომურ ცენტრში აღმოჩენილიყო. მე შენ გეტყვი და ოჯახური ბიოგრაფია არ მიწყობდა ხელს! მე ხომ „გერმანიის შპიონის“ შვილი ვიყავი!

ლევან გორდელის თვალებში ისევ იფეთქა ნაპერწკალმა.

— ომის დამთავრებისთანავე სამშობლოს მოვაშურე. ილუზიებით არ ვცხოვრობდი, ვიცოდი, სულ ადვილად შეიძლებოდა, ხიფათს გადავყროდი. მაინც წამოვედი. ჩემი სიმართლის იმედი მქონდა. სამშობლოსა და ოჯახის მონატრებამ თითქმის დამავიწყა, რა ქვეყანაშიც ვცხოვრობდი. გადარჩენის ერთი ბეწო იმედიც რომ არ მქონოდა, მაინც წამოვიდოდი. უცხოეთში დარჩენა აშკარა ღალატს ნიშნავდა. მაშინ შენ მართლა მოღალტის შვილი იქნებოდი. ხოლო მე, მარტო სამშობლოს მოღალტე კი არა, საკუთარი ოჯახის, საკუთარი შვილის მოღალატე ვიქნებოდი. თუ არ გეზარება, ჩაი მომიდუღე.

არჩილ გორდელმა უმალვე სამზარეულოს მიაშურა და ჩაიდანი ნავთქურაზე

დადგა. უხაროდა, ამოსუნთქვის საშუალება რომ მიეცა. მამის მონაყოლმა თავზარდამცემი შთაბეჭდილება მოახდინა. რცხვენოდა გაეხსენებინა, თუ ოდესმე მამაზე გულში ირიბი ფიქრი ჰქონდა გავლებული. უცებ, ყველაფერი თავის ადგილზე დადგა, ყველა მოვლენას შორის ლოგიკური კავშირი გაიბა. ოჯახური ტრაგედია მთელი სიღრმით და სიმძაფრით შეიგრძნო. უსამართლობამ, ადამიანის ვერაგობამ და გაუმაძღრობამ ჯერ უდანაშაულო ბებია შეიწირა. ბებიას გადასახლებამ კი საბოლოოდ შეარყია გორდელების ოჯახური სიმყუდროვე და ბედნიერება. მას შემდეგ უფროსი არჩილ გორდელი, გვარდიის სახელოვანი პოლკოვნიკი ერთი დღეს კი არ ყოფილა ბედნიერი. დედის გადასახლებით გამოწვეული უბედურების მოსაშთობად ლევან გორდელი ფრონტზე მოხალისედ წავიდა. შინ ნაპატიმრალი, სულიერად და ფიზიკურად განადგურებული დაბრუნდა. დედამთილის გადასახლების დღიდან იტანჯებოდა არჩილის დედა ქეთევანი. თვითონ არჩილს კი, სულიერად დათრგუნულ ახალგაზრდას, რამდენჯერ დახვდა წინ ბებიისა და მამის მიმართ შეთითხნილი ბრალდება!

არჩილმა მამას ჩაი დაუსხა და კვლავ დივანზე მოკალათდა.

— ციხიდან რატომ არაფერი შეგვატყობინე?

— მამაჩემს გავუფრთხილდი. ვიცოდი, რა ლახვარიც იქნებოდა გვარდიის პოლკოვნიკისათვის შვილის მიერ სამშობლოს ღალატი.

— განთავისუფლების შემდეგ რატომ არაფერი მოგვწერე?

— ძალიან სუსტად ვიყავი. არ ვიცოდი, ჩამოვაღწევდი თუ არა. ტყუილად რატომ უნდა ამეფორიაქებინეთ?!

— უნივერსიტეტში დაბრუნება გადაწყვიტე? — სხვა არხზე გადართო საუბარი არჩილ გორდელმა. მიხვდა, ომისა და გადასახლების თემა თითქმის ამოიწურა.

— რაღა დროს ჩემი უნივერსიტეტია! — მწარედ ჩაიცინა ლევანმა.

— რატომ?

— ჩემმა მდინარემ უკვე ჩაიარა!

„ჩემმა მდინარემ უკვე ჩაიარა!“ — მამის გამოთქმამ გული ატკინა, თუმცა, იმავდროულად, მოეწონა კიდეც.

— აბა, მეგობარი რატომ გამოიძახე?

— კიდევ ერთხელ რომ დავრწმუნებულიყავი ჩემი გადაწყვეტილების სიმართლეში.

— გამუდმებით შინ ჯდომა არ გაგიჭირდება?

— რასაკვირველია, გამიჭირდება. სექტემბრიდან რომელიმე სკოლაში დავიწყებ მუშაობას.

— რატომ გგონია, რომ „შენმა მდინარემ უკვე ჩაიარა?“

— თოთხმეტი წელია მოვწყდი ფიზიკას. მე რომ პრობლემა მიტაცებდა, უკვე გადაწყვეტილია. მიხარია, რომ ჩემი ვარაუდი სწორი გამოდგა.

— უნივერსიტეტში მაინც უნდა დაიწყო მუშაობა.

— მე რომ ახლა უნივერსიტეტში მივიდე, მეცხრამეტე საუკუნის ადამიანივით გამოვჩნდები. ახალ პრობლემასთან შეჭიდების აღარც თავი მაქვს და აღარც ენერგია. ოდესღაც საპატივცემულო მეცნიერი კათედრის რიგითი წევრი ვერ გავხდები.

ლევან გორდელმა ჩაი მოსვა და ფინჯანი კვლავ ლამბაქზე დადო.

— მაინც მინდა ორიოდე სიტყვით გიამბო ომში წასვლის წინ რა პრობლემაზე ვმუშაობდი. ათას ცხრაას თერთმეტ წელს რეზერფორდმა დაარღვია საყოველთაოდ დაკანონებული აზრი ატომის განუყოფელობისა და მეცნიერებას ამცნო ატომური ბირთვის არსებობა. შევეცდები, ატომის ბუნების გაშიფრვისა და შესწავლის მხოლოდ ძირითად ეტაპებზე გესაუბრო. ერთი წლის შემდეგ აღმოაჩინეს ნეიტრონი. ერთი სიტყვით, დადასტურდა, რომ ატომი შედგებოდა პროტონებისა და ნეიტრონებისაგან. ატომის ბირთვის აღნაგობა დადასტურ-

და, მაგრამ ვერავის განემარტა რა ჰკრავდა მათ მტკიცე ატომურ ბირთვად. მიზიდულობის ძალა? არავითარ შემთხვევაში. ისინი მეტისმეტად უმნიშვნელო ძალისა არიან. იქნებ ელექტრომაგნიტური ტალღები? მით უმეტეს, არავითარ შემთხვევაში! პროტონები, როგორც ერთნაირად დამუხტული ნაწილაკები, ერთმანეთს, პირიქით, განიზიდავენ. ნეიტრონები კი ნეიტრალური ნაწილაკები არიან. ერთი წლის შემდეგ აკადემიკოსი იგორ ტამი მიხვდა, რომ პროტონი ნეიტრონთან ერთად აშენებს უმტკიცეს ატომს, თუმცა ნეიტრონი დიდხანს ვერ ცოცხლობს, იგი გარდაიქმნება პროტონად, ელექტრონად და რაღაც უმცირეს ნაწილაკად. ოცდაცამეტ წელს კი ენრიკო ფერმიმ ექსპერიმენტით დაადასტურა მესამე უმცირესი ნაწილაკის არსებობა და მას მცირე ნეიტრონი ანუ ნეიტრინო უწოდა. იგორ ტამმა ძველი ვარაუდი ოდნავ გაასწორა და აზრი გამოთქვა, ადვილი შესაძლებელია, პროტონსა და ნეიტრონს შორის ელექტრონისა და ნეიტრონის ურთიერთგაცვლის რთული და უწყვეტი პროცესი წარმოშობდა მათ შემდეგ ბირთვულ ძალებს. გაუგებრად ხომ არ ვლაპარაკობ?

— არა. ყველაფერი მშვენივრად მესმის! — პირველად გაიღიმა არჩილ გორდელმა.

— მაშ განვაგრძოთ. უკვე ვუახლოვდებით იმ პერიოდს, საიდანაც მეც ჩავერთე კვლევა-ძიებაში. იგორ ტამის მოსაზრებას, უმალვე გამოეხმაურა ახალგაზრდა იაპონელი მეცნიერი ხიდეკი იუკავა. მის მიერ წარმოდგენილი მოსაზრება ძალზე შთამბეჭდავი იყო. პროტონები და ნეიტრონები ერთმანეთს უცვლიან არა ელექტრონებსა და ნეიტრინოებს, არამედ სრულიად უცნობ სხვა ნაწილაკს. იაპონელმა მეცნიერმა ისიც დაადგინა, რომ პროტონებსა და ნეიტრონებს ირგვლივ არტყიათ ძალური ველები. და თუ იაპონელი მეცნიერი მართალი იყო, რატომ არ უნდა გვევარაუდა, რომ აქაც მოქმედებენ აინშტაინის კვანტური კანონები?

არჩილ გორდელი გაოცებული ჩესჩერებოდა თვალებგაბრწყინებულ მამას. სად გაქრა მისი დათრგუნული, გატანჯული გამოხედვა? სად გაქრა გამხდარი სახე და კანში რკინის ზამბარასავით ამოჭრილი ყვრიმალები? ლევან გორდელი თვალსა და ხელს შუა გაძლიერდა, სახეზე ფერი მოუვიდა, ხმაში ლითონი შეეპარა.

— იაპონელმა მეცნიერმა ტამის სქემას სულ სხვა იერი მისცა. ელექტრონი და ნეიტრონი მან ბირთვული კვანტებით შეცვალა. ისმება კითხვა, რანაირად შეიძლება ბირთვული კვანტები იყვნენ იგივე ფოტონები? მათ ხომ გააჩნია უძრაობის მასა? თეორიულად ნავარაუდევ კვანტებს ამიტომაც უწოდა იაპონელმა მეცნიერმა მძიმე ფოტონები.

და აი, სწორედ აქედან ჩავები მე მუშაობაში. მივხვდი, იაპონელი მართალი იყო. უცნობი ნაწილაკი, ბუნებრივია, ელექტრონზე მძიმე, მაგრამ პროტონზე გაცილებით მსუბუქი უნდა ყოფილიყო. იაპონელის გაანგარიშებით ორასჯერ მეტი უნდა ყოფილიყო ელექტრონის მასაზე, ხოლო უნდა „ეცოცხლა“ წამის ერთ მემილიონედს.

ორი წლის შემდეგ ამერიკელმა კარლ ანდერსონმა აღმოაჩინა უცნობი ნაწილაკი. მისი მასა ელექტრონის ორას მასას შეადგენდა, ხოლო თითქმის ცხრაჯერ უფრო მცირე იყო პროტონის მასაზე. „მასა“ ხომ არ გეხამუშება? ელემენტარული ნაწილაკების სიმძიმის განსაზღვრისას წონას არასდროს არ ხმარობენ, ხმარობენ მხოლოდ მასას. ანდერსონმა თავის აღმოჩენილ ნაწილაკს „მეზონი“ უწოდა. მეზონი ლათინურად ნიშნავს შუალედურს. დაადგინა მისი „სიცოცხლის“ ხანგრძლივობაც — წამის ორი მემილიონედი ნაწილი. მთელმა მსოფლიომ აღიარა, რომ ანდერსონმა აღმოაჩინა იაპონელი მეცნიერის ნავარაუდევი ნაწილაკები. მათი მასები და სიცოცხლის ხანგრძლივობა ხომ

თითქმის მთლიანდ ემთხვეოდა ერთმანეთს.

მე ვერ გავიზიარე მეცნიერთა აღტაცება. ჩემში ეჭვი აღძრა ანდერსონის მეზონების უცნაურმა „ქცევამ". ისინი თავისუფლად დასეირნობდნენ ტყვიის სქელ ფენაში. მინდა ხაზი გავუსვა, მსოფლიო იმდენად იყო დარწმუნებული, ანდერსონმა ნამდვილად იაპონელი მეცნიერის ნავარაუდევი მეზონი აღმოაჩინაო, რომ ამ მიმართულებით ყოველგვარი ექსპერიმენტი შეწყდა. მხოლოდ მე ვაგრძელებდი ექსპერიმენტს. მიუხედავად დიდი სულიერი ტრავმისა, დედაჩემის დაპატიმრებამ და სიკვდილმა რომ მომაყენა, დღე და ღამე იმ შუალედურ მეზონზე ვფიქრობდი, ატომს რომ ადულაბებდა. ომის დაწყებამდე სამი თვით ადრე აკადემიაში წარვადგინე წერილი, სადაც ვწერდი: „თუ ანდერსონის მეზონები იგივე იაპონელი მეცნიერის იუკავას მიერ ნავარაუდევი ნაწილაკებია, ესე იგი, ბირთვული ველის კვანტებია, ატომების ბირთვებთან შეჯახებისას რატომ არ სუსტდებიან და ენერგიისაგან რატომ არ იცლებიან?! რატომ „დასეირნობენ" ისინი თავისუფლად ტყვიის სქელ ფენაში?! ჩემი ვარაუდით, შემდეგ აბებელი მეზონი უნდა ყოფილიყო ელექტრონის სამასი მასა მაინც, ესე იგი, ანდერსონის მეზონზე ასი მასით მეტი, ხოლო მისი სიცოცხლისუნარიანობა არა წამის მემილიონედი, არამედ ასმემილიონედი ნაწილი. აქ აღარ მოგიყვები, რით იყო განპირობებული ჩემი ვარაუდი. თუ დაგაინტერესებს, წაიკითხე ჩემი წერილის ასლი, რომელიც აკადემიაში 1941 წლის 21 აპრილს წარვადგინე, თუკი, რასაკვირველია, არ გაუნადგურებიათ.

ლევან გორდელმა ჩაი მოსვა და უსიამოდ დაიმანჭა.

— გაცივდა არა? — ჰკითხა არჩილმა, — ხელახლა ხომ არ დაგისხა?

— არ ღირს, მალე დედა მოვა და ვისადილოთ.

— მერე? — ჰკითხა არჩილმა მოუთმენლად.

— მერე ომი დაიწყო. პასუხი, როგორც ხედავ, დღემდე არ მიმიღია! — ჩაიცინა მწარედ.

— დადასტურდა შენი ვარაუდი?

— ჩემს კოლეგასთან შეხვედრამდე არაფერი ვიცოდი. და აი, მხოლოდ ახლა შევიტყვე, რომ ჩემი ვარაუდი თავიდან ბოლომდე დადასტურებულა: ათი წლის შემდეგ, ორმოცდაშვიდ წელს, მე რომ ციმბირში „ვისვენებდი", ინგლისელმა მეცნიერმა პაულმა აღმოაჩინა ახალი მეზონი. იგი ასი მასით აღემატებოდა ანდერსონის მეზონებს და „ცოცხლობდა" წამის ერთ ასმემილიონედს. არც მასაში მოვტყუებულვარ და არც სიცოცხლის ხანგრძლივობაში.

მინდა დაფიქრდე და წარმოიდგინო, მთელი მსოფლიოს მასშტაბით რამოდენა სენსაცია იქნებოდა, ინგლისელებზე ხუთი წლით ადრე მე რომ აღმომეჩინა პი-მეზონები. დიახ, ანდერსონის მეზონებს მიუ-მეზონები უწოდეს, პაუველისას კი — პი-მეზონები.

— მითუმეტეს, რატომ არ გსურს უნივერსიტეტში დაბრუნება?

ლევან გორდელმა მწარედ ჩაიცინა.

— რამდენ ნაწილაკს ვიცნობდით მაშინ ფიზიკოსები? მხოლოდ ექვსს. დღესდღეობით თურმე, უკვე სამოცამდე ელემენტარული ნაწილაკი აღმოუჩენიათ. წელან, მგონი, გითხარი, ჩემმა მდინარემ უკვე ჩაიარა-მეთქი.

არჩილის წინ კვლავ სულიერად დათრგუნული, თვალებამოღამებული, ფიზიკურად განადგურებული ლევან გორდელი იჯდა. ყვრიმალები ძველი სავარძლის რკინის ზამბარასავით თითქოს გახეული კანიდან ჰქონდა ამოჩრილი.

უცებ ლევანი წამოდგა და თავის საწოლ ოთახს მიაშურა. არჩილი კვლავ დივანზე იჯდა გაშეშებული და ფიქრში წასული.

ყველაზე უფრო მაინც ერთ რამეზე

სტკიოდა გული, მამა ეცოდებოდა. ძალიან ეცოდებოდა, მაგრამ ეს მაინც არ იყო ის შეცოდება, შვილს რომ მამა უნდა შესცოდებოდა.

4

მთელი კვირა გავიდა, მამაჩემი აღარ დამლაპარაკებია. ვგრძნობდი ჩემთან შეხვედრისაც ერიდებოდა. დილით ჩემს წასვლამდე ლოგინში იწვა. შინ რომ ვბრუნდებოდი, კვლავ ლოგინში მხვდებოდა. ჩვენს შორის აღმართული ბარიერი, სამწუხაროდ, ძალიან ნელა იმსხვრეოდა. რატომღაც ველარ ვბედავდა, მამის საწოლ ოთახში თავი შემეყო და, საუბარს ვინ დაეძებს, თუნდაც საღამო მშვიდობისა მეთქვა. იქნებ ნანობდა, ერთი კვირის წინ რომ გული გადამიშალა? ადვილი შესაძლებელია. იქნებ კვლავ ცუდად შეიქნა? არც ეს იყო გამორიცხული.

მამაჩემთან საუბრის დღეს, დედაჩემი რომ შინ დაბრუნდა, ერთი სული მქონდა მეამბნა, მამა რაზე მელაპარაკა. ვიცოდი, სანამ მე თვითონ არ ვუამბობდი, დედაჩემი თვითონ არაფერს მკითხავდა. არ მინდოდა მეწვალებინა და ხელსაყრელ მომენტს ვეძებდი, სინამდვილის საწინააღმდეგოდ ყველაფერი გაცილებით ოპტიმისტური შტრიხებით დამეხატა.

მამამ სადილი აღარ ინება. დედას სთხოვა, საწოლ ოთახში ჩაი შემომიტანე, მეტი არაფერი მინდაო.

სამზარეულოში მაგიდას მარტო მე და დედაჩემი მივუჯექით. თითქმის ყველაფერი ვუამბე. სურათი გაცილებით იმედიანად დავხატე. დედაჩემს რწმენა ჩაუნერგე, უნივერსიტეტს აუცილებლად დაუბრუნდება-მეთქი. ხმადაბლა, თითქმის ჩურჩულით ვლაპარაკობდი. მეშინოდა, მამაჩემს არაფერი გაეგო. უნივერსიტეტში დაბრუნების ამბავი რომ მოვუყევი, თითქოს ვიზუალურადაც დავინახე, ყელში ბურთი როგორ გაეჩხირა. თვალზე მომდგარი ცრემლი უმალვე მოიწმინდა. მე თითქოს არაფერი შემემჩნიოს, ჭიქას ხელი უდარდელად მოვავლე და წყალი დავლიე.

ერთი კვირა და იქნებ ცოტა მეტიც იყო გასული, მამამ მთხოვა, რუსული ეკლესიისკენ გავისეირნოთო. შაბათი იყო, შემოდგომის წყნარი, მზიანი დღე.

ერთხანს ჩუმად მივდიოდით. შემდეგ, გოგებაშვილის ქუჩა რომ გავიარეთ და ეკლესიისაკენ შევუხვიეთ, მამამ პირველმა დაარღვია სიჩუმე.

— როგორ მიდის სამსახურში შენი საქმეები?

— ჯერ ისევ ვალერიან კობახიძის რეფერენტი ვარ.

— პრაქტიკული გადაწყვეტილებების მიღება თუ გიხდება? მეშინია, რეფერენტობამ პროფესიულად უკან არ დაგხიოს.

— არა მგონია. უშუალო გადაწყვეტილებებს მე არ ვიღებ. ოღონდ, ვალერიან კობახიძე ყოველი პრობლემისა და თვით წვრილმანი საკითხების გადაჭრისას გვერდიდან არ მიცილებს. ერთი სიტყვით, ყველაფრის აქტიური მონაწილე ვარ.

— ძალიან კარგი!

ეკლესიის ეზოში უამრავი ბავშვი ირეოდა. მშობლები, უფრო მეტი კი ბებიები და ბაბუები სიყვარულით მისჩერებოდნენ მოლზე მოკუნტრუშე ბავშვებს.

— გულწრფელად მითხარი, დედაჩემის ან ჩემს გამო ხომ არავინ გავიწროებდა?

— მგონი, ერთხელ უკვე გითხარი, არავინ-მეთქი! — ვიცრუე კვლავ.

— საოცარი ამბავია! — ჩაილაპარაკა მამაჩემმა და კორტოხზე ჩამოჯდა. მეც მის გვერდით მოვთავსდი და თავისუფლად ამოვისუნთქე, ლაპარაკის დროს აღარ მომიწევდა მამაჩემისათვის სახეში შემეხედა.

— საოცარი ამბავია. — გაიმეორა მან კვლავ.

— რა არის საოცარი? — ვითომ ვერ გავიგე, რას გულისხმობდა.

— არავის რომ არ შეუვიწროებიხარ, ესაა საოცარი. ალბათ ბაბუას დამსახურებამ დიდი როლი ითამაშა.

დუმილი ჩამოვარდა.

ჩვენს ქვემოთ მთელი თბილისი ერთი მთლიანი ორგანიზმივით სუნთქავდა.

— ინსტიტუტში, ხალხში, როგორი განწყობილებაა?

— რა მხრივ?

— პოლიტიკურ განწყობილებას ვგულისხმობ. მე ბინიდან არსად გავდივარ, მაგრამ ვგრძნობ, სტალინის მიჩქმალვა ხალხს როგორ აღელვებს.

— ხალხი გამწარებულია. გამწარებული და შეურაცხყოფელი!

— ყველა ფენა?

— თითქმის ყველა ფენა, ცალკეულ პიროვნებათა გარდა.

— საოცარია! — აღმოხდა გაოცებულს, — ნუთუ ოცდაჩვიდმეტმა წელმა ან თუნდაც ორმოცდათორმეტმა ხალხს არაფერი ასწავლა?

— ხალხს...

— სსს! — მამაჩემმა ლაპარაკი შეაწყვეტინა.

მოვიხედე, ვიღაც მოხუცი კაცი გვიახლოვდებოდა. „თემო, თემო“, უყვიროდა შვილიშვილს. ბავშვი მის ყვირილს ყურადღებას არ აქცევდა და თავდაღმა მიჰქროდა.

— ჰო, რისი თქმა გინდოდა? — მითხრა მამაჩემმა, მოხუცი რომ საკმაო მანძილით დაგვშორდა.

— ხალხს მალე ავიწყდება ყოველგვარი უბედურება. დღეს განწყობა შეიცვალა.

— დროა, ქართველი ხალხი აზრზე მოვიდეს. სტალინს ჩვენი დასაცავი არაფერი სჭირს. ისტორიას ჯერ არცერთი დიდი პიროვნება არ დარჩენია შეუფასებელი. სამი ოთხი თაობის შემდეგ, ხალხისათვის მისი სისასტიკე და დაუნდობლობა რომ მხოლოდ ისტორიული ცნობა იქნება, ვიღას ატკენს გულს მის მიერ ჩახოცილი და ნაწამები ადამიანის უბედურება? განა შენ ან რომელიმე ჩვენგანს გვიპყრობს შებრალების გრძნობა იმ ადამიანების მიმართ, იულიუს კეისარმა ან ნაპოლეონმა, რომ ამოჟლიტეს? დიდი ადამიანის სიკვდილის შემდეგ ჰგონიათ, რომ ჭადრაკის დაფაზე ვიღაცამ ფიგურებს შეგნებულად მოუსვა ხელი და პარტია არია. არავითარ შემთხვევაში. პოზიცია დარჩა. თუ პოზიცია რეალურად არ შეაფასე და სწორი გაგრძელება არ მოუნახე, იწყება ქაოსი. ახალ საჭადრაკო პარტიას ვერა და ვერ დაიწყებ ძველი პოზიციის გაუანალიზებლად. არ იფიქრო, მხატვრულად ვაზროვნებდე. დაფიქრდი და მიხვდები, რასაც გეუბნები.

მამაჩემი გაჩუმდა და თვალი მიწას გაუშტერა.

— შინ წავიდეთ! — თქვა უცებ მან.

უკან ნელი ნაბიჯით გამოვემართეთ.

უცებ მამა შეჩერდა და გაკვირვებით შემომხედა.

— როგორ გგონია, მოსალოდნელია თუ არა რეპრესიები?

მე მხრები ავიჩეჩე.

— რასაკვირველია, მოსალოდნელია! — თვითონვე გასცა პასუხი თავის შეკითხვას. თან ირგვლივ მიმოიხედა, ხომ არ გვისმენსო.

— სად არის მექანიზმი, რომელიც წინ აღუდგება დიქტატურას? დიახ, დიქტატურას. განა სასაცილო არ არის მათი დევიზი, „კოლექტიური მმართველობა“! განა ყველაფერს ის ერთი კაცი არ წყვეტს და აკეთებს? სად არის ამერიკული ან ევროპული ტიპის ოპოზიცია, სენატი ან კონგრესი? სად არის ძალა, რომელიც წინ აღუდგება იმ ერთი კაცის ნებას? განა ადამიანთა ბედი ერთი ადამიანის კეთილ ან ბოროტ ბუნებაზე უნდა იყოს დამოკიდებული? არ დაიჯერო, რომ ამ ქვეყანას რამე ეშველება! არ დაიჯერო ამათი გაკეთილშობილება! ფრთხილად იყავი. იცოდე, გითვალთვალებენ, ყველას უთვალთვალებენ. საქმეებს და დოსიეებს მაინც ადგენენ. პირველსავე შემთხვევას ელოდებიან. არ გაშინებ, მაგრამ ფრთხილად იყავი! ახლა იწყება ყველაზე რთული

პროცესი, ადამიანების ფანატიზმიდან განთავისუფლების პროცესი, გონს მოსვლის პროცესი. დიახ, ადამიანები სულ მალე მოვლენ გონს, სულ მალე მიხვდებიან, რომ დიდ საპყრობილეში ცხოვრობდნენ, სულ მალე შეიგრძნობენ თავისუფლების გემოს, საკუთარი ღირსების ფასს, მაგრამ უმალვე დაიწყება საშინელი პროცესი. უკვე გონებაგახსნილი და ნარკოზიდან გამოსული ადამიანები მიხვდებიან, მთელი სიმძაფრით იგრძნობენ, რომ კვლავ დიდ საპყრობილეში არიან გამომწყვდეულნი.

მამა გაჩუმდა. ახალგაზრდა წყვილი გვიახლოვდებოდა. ბედნიერ მამას პატარა ბავშვი სიყვარულით ჩაეკრა გულში. თვალებგაბრწყინებული დედა კი ქმრის მხარდამხარ ამაყად მოაბიჯებდა.

— აი, სწორედ მაშინ დაიწყება დიდი და საყოველთაო ტრაგედია, — განაგრძო მამაჩემმა, ბავშვიანი წყვილი რომ საკმაო მანძილით დაგვშორდა, — წარმოიდგინე ჰიპნოზიდან ერთბაშად განთავისუფლებული ორასი მილიონი ადამიანი, წარმოიდგინე სიბნელიდან სინათლეში გამოშვებული, მაგრამ მაინც საპყრობილეში საიმედოდ ჩაკეტილი ორასი მილიონი ადამიანი! მათ უკვე იციან, რა არის ჭეშმარიტი თავისუფლება, რა არის ჭეშმარიტი სულიერი ღირებულებანი, რა არის ჭეშმარიტი არსი, სილამაზე და მიზანი ცხოვრებისა, მაგრამ ირგვლივ საიმედოდ შემოვლებული ეკლიანი მავთულხლართები მეტისმეტად შორეულსა და მიუწვდომელს ხდის ჭეშმარიტ იდეალებს. აი, სწორედ ამ მომენტიდან იწყება ადამიანთა დეგრადაცია, სულიერი გახრწნა და გადაგვარება...

ეს იყო უკანასკნელი სიტყვები, მამაჩემმა რომ წარმოსთქვა. უეცრად მოხდა საშინელი რამ. უკნიდან გერმანულმა ნაგაზმა დაჰყეფა. მამაჩემი უმალვე მიწაზე გაერთხა და თავი წინგაწვდილ მკლავებში ჩამალა. ირგვლივ სიცილი ატყდა. განრისხებული შემოვბრუნდი და ძაღლის პატრონს, თორმეტიოდე წლის ბიჭს დავუყვირე, აქედან გაეთრიე-მეთქი. არ ვიცი, რაზე-გორი გამოხედვა მქონდა, ირგვლივ სიცილი უმალვე შეწყდა. ძაღლი ადგილზე აწკმუტუნდა. ბიჭმა ტყავის საბელი მოქაჩა და უკან გაბრუნდა. ძაღლი მორჩილად გაჰყვა. უმალვე მამას მივვარდი და ფეხზე წამოვაყენე. საცოდავმა ტანსაცმელი ჩაიფერთხა და შინისაკენ უსიტყვოდ გაემართა. ისე სწრაფად მიდიოდა, დაწევა მიძნელდებოდა. ეტყობა, მომაკვდავმა უკანასკნელი ღონე მოიკრიფა, ნებისყოფა უკანასკნელად დაძაბა. შინ მისვლისთანავე საწოლ ოთახს მიაშურა და კარი უსიტყვოდ შეიკეტა. სამი დღის შემდეგ გარდაიცვალა. სამი დღის მანძილზე კედლისკენ გადაბრუნებული იწვა და ხმას არ იღებდა, არც საჭმელს ჭამდა, არც წყალს სვამდა, არც ექიმს იკარებდა. დედაჩემის ქვითინი და ლაპარაკი თითქოს არ ესმოდა. ვინ იცის, იქნებ მართლა არ ესმოდა.

მამაჩემი მეგობარმა ექიმმა გააპატიოსნა. მთელი სხეული ძაღლისგან ჰქონდა დაკბენილ-დაგლეჯილიო, — მითხრა ექიმმა საბაზონოდან გამოსვლისას, ხელებს რომ იმშრალებდა.

„რა-მეთქი?“ — ვკითხე მე.

მთელი სხეული ძაღლისაგან ჰქონდა დაკბენილ-დაგლეჯილიო, — გაიმეორა მან.

ეტყობა, საშინელი ფერი დამედო.

— რა დაგემართა? — მომვარდა შეშფოთებული ექიმი.

მეორე ოთახში გავვარდი და მთელი ხმით ავღრიალდი.

ვერც ექიმი, ვერც დედა და ვერც იქ მყოფი შინაურები ვერ მიხვდნენ, ასე რამ გამამწარა. ან როგორ უნდა მიმხვდარიყვნენ. მე ხომ დედაჩემისათვისაც არ მიამბნია, რუსულ ეკლესიასთან რაც მოხდა.

●

პაუზა. უჩვეულოდ ხანგრძლივი პაუზა. მოსმენილისაგან შეძრწუნებული

არამც თუ ხმის ამოღებას, განძრეა-საც ვერ ვბედავდი. შევამჩნიე, არჩილს ყბა უცახცახებდა, ცრემლს ძლივს იმაგრებდა. მივხვდი, სანამ მღელვარებას არ მოთოკავდა, საუბრის გაგრძელებას ვერ მოახერხებდა.

●

— იმ ღამეს ყველას ვთხოვე, მარტო დავეტოვებინე. მამაჩემის ცხედართან ჩამოვჯექი. დედაჩემიც ვაიძულე, დაწოლილიყო. დროდადრო მაინც დგებოდა, გამოდიოდა და ატირებული მეხვეწებოდა, დაიძინე, მე შეგენაცვლები, ხომ ხედავ, არ მეძინებაო. ნერვებაშლილმა უხეშად ვუთხარი, თავი დამანებე-მეთქი. საბრალო ქალი შეცბა და უკან გაბრუნდა.

ცრემლი აღარ გადმომდიოდა. გულში კი განუწყვეტლივ ვტიროდი. უცებ მივხვდი, ვაკუუმი შეივსო. მამაჩემი ჩემთვის ისეთივე ახლობელი და საყვარელი გახდა, ომში წასვლამდე რომ იყო, დიახ, ომში წასვლამდე...

თავი მეთექვსმეტე

1

ნიკიტა სერგის ძემ სიმთვრალეში პირველად ნახა სიზმარი. დილით რომ გაიღვიძა, ერთბაშად ვერ მიხვდა, სად იყო. მერე თანდათან მოვიდა აზრზე. წამოდგომა დააპირა, სცადა კიდეც, მაგრამ შეეზარა, ლოგინში გულაღმა დაწვა და მარცხენა ხელი შუბლზე შემოიდო.

„რატომ აქამდე არ მინახავს მთვრალს სიზმარი?“ — ფიქრობდა გაოცებული.

ჩვეულებრივ, თითქმის მთელ ღამეს სიზმრებში ატარებდა. უბედურება ის იყო, რომ ბოლო რამდენიმე წლის მანძილზე იმ მრავალ სიზმართა შორის, კინოკადრებივით განუწყვეტლივ რომ ერთმანეთს მიჰყვებოდნენ, ერთ ძველ სიზმარს ყოველდღე ნახულობდა. ამ სიზმარის შემდეგ კი აუცილებლად ელვიძებოდა. ბევრჯერ უნდოდა, ეს სიზმარი ვინმესთვის მოეყოლა. ერთხელ გადაწყვიტა, პირადი ექიმისათვის ეამბნა, მაგრამ მოულოდნელად გადაიფიქრა და ექიმს სულ სხვა რამ ჰკითხა, სიზმრებს მთვრალი რატომ არ ვნახულობო. ექიმმა მოკრძალებით აუხსნა, როგორ ვერ ხედავთ, ნიკიტა სერგის ძევ, ოღონდ არ გამახსოვრდებათო.

მაინც რა იყო ეს საშინელი სიზმარი, რომლის ნახვის შემდეგაც უეჭველად ელვიძებოდა? თითქოს დიდი შემაშფოთებელი არაფერი, კაბინეტის, საწოლის ან სასადილო ოთახების კედლებზე მონაცვლეობით სურათის ცარიელ ჩარჩოს ხედავდა.

კაცმა რომ თქვას, რა იყო აქ საშიში? მართლაც რომ არაფერი! ოღონდ გაოცება იპყრობდა, ხან ერთ და ხან მეორე კედელზე სურათის ცარიელი ჩარჩო რატომ ჰკიდიაო. სანამ ფიქრებში გაერკვეოდა, უცებ შორიდან, ძალიან შორიდან, ვიღაცის სიცილი ესმოდა, დინჯი, ნაცნობი სიცილი. ოღონდ ვერა და ვერ ხვდებოდა, ვინ იცინოდა. ეს არ იყო უბრალო, გულიანი სიცილი. ვიღაცა ძალზე დამცინავად ქირქილებდა.

„ნუთუ სიზმარში ვარ?!“ — ფიქრობდა იგი.

„არავითარი სიზმარი, ყველაფერი ხომ ცხადში ხდება, ცხადში! აი, მე ხომ ფეხზე ვარ, აი, ეს ხომ ჩემი საწოლი ოთახია. რატომ ბნელა? აბა სინათლე ავანთო? ხომ ვამბობდი, სიზმარში კი არა ცხადში ვარ, ცხადად ვხედავ-მეთქი ყველაფერს. მაშ ვინ იცინის, ან საიდან მოდის სიცილის ხმა? ჩუმად! ეს ფეხის ხმა ვიღასია? ირგვლივ რომ არავინ ჩანს?“

არადა, ფეხის ხმა უფრო და უფრო ძლიერდებოდა. ისეთი განცდა ეუფლებოდა, თითქოს ვიღაც რკინისძირებიანი ჩექმებით მის ტვინში დააბიჯებდა. აი, სწორედ ამ დროს გამოჩნ-

დებოდა ხოლმე მბოლავი ყალიონი. მხოლოდ ყალიონი, ჰაერში დაკიდებული ყავისფერი ყალიონი. იგი არავის ეპყრა ხელთ, ჰაერში რაღაც მანქანებით დაკიდებულიო, იქით-აქეთ დაცურავდა და ბოლავდა. სწორედ ამ დროს შეჰყვირებდა ხოლმე პირველი მდივანი და უმალვე ლოგინზე წამოჯდებოდა. თვალებს ჯერ სიბნელეში აცეცებდა, მერე გონს რომ მოვიდოდა, ხელმარჯვნივ მაგიდის ლამპის ღილაკს მოსძებნიდა, სინათლეს აანთებდა და იქვე, სკამზე გადაფენილი პირსახოცით ოფლს მოიწმენდდა.

წუხანდელი ღამე გამონაკლისი იყო. ნიკიტა სერგის ძეს ამჯერად არ დასიზმრებია ჰაერში დაკიდებული და იქით-აქეთ მოცურავე მბოლავი ჩიბუხი. სამაგიეროდ, სულ სხვა რამ დაესიზმრა. უდაბნოში იყო, მზე საშინლად აჭერდა. მოშორებით მატარებელი იდგა, რომლის გასვლას აღარაფერი უკლდა. თავქუდმოგლეჯილი მირბოდა, ეშინოდა მატარებელს არ გაესწრო. როგორც იქნა, ბოლო ვაგონს მიუახლოვდა და მატარებელიც დაიძრა. უნდოდა ეყვირა, გააჩერეთ, სულ ერთი წამით შეაჩერეთო, მაგრამ საშინლად მწყურვალეს თაბაშირად ქცეული ყელიდან ხმა არ ამოსდიოდა. მატარებელი ნელ-ნელა სიჩქარეს უმატებდა. სასოწარკვეთილი უკანასკნელ ღონეს იკრებდა, კვლავ დაყვირებას ცდილობდა, ყელიდან თითქოს ხრიალიც ამოსდიოდა, მაგრამ მატარებელსა და მას შორის მანძილი თანდათან იზრდებოდა. უცნაური ის იყო, რომ მატარებლის უკან რკინიგზა და შპალები აღარ რჩებოდა და უცნაურად უჩინარდებოდა. ორთქლმავალმა სადღაც შორს-შორს იყვირა და თვალს მიეფარა. სასოწარკვეთილს ფეხი წაუცდა, რამდენიმე ნაბიჯი კიდევ გადადგა, ბოლოს თავმა წასძლია და გავარვარებულ ქვიშაზე ცხვირით დაენარცხა. სიკვდილს შეგუებულმა თითქოს შვებით ამოისუნთქა, უკანასკნელად ამოიხრიალა და გაეღვიძა კიდეც.

თავზე ნინა პეტრეს ასული ადგა.

— ხომ გეუბნებოდი, არ დალიო-მეთქი! — უსაყვედურა მეუღლეს.

ნიკიტა სერგის ძემ უაზროდ გაიღიმა და მეუღლეს ანიშნა, წამოჯდომაში მომეხმარეო. გაახსენდა, წუხელ როგორ გალაღდა. ქართული ღვინო ზრდილობისათვის მოსვა, შეაქო და უმალვე არაყი დაისხა. ეშხში შესული აღარავითარ ყურადღებას არ აქცევდა ნინა პეტრეს ასულის პროტესტს, მეუღლის პიჯაკს რომ უჩუმრად ქაჩავდა. ველარც მუჯლუგუნებმა უშველა. ნინა პეტრეს ასული მიხვდა, სულერთია, აწი ველარაფერს გავაწყობო, მეუღლეს საერთოდ შეეშვა და სიძისკენ გაიხედა. აჯუბეიმ უმალვე ანიშნა, ნუ ღელავთ, ყველაფერი რიგზეაო.

პირველი მდივანი ტკბობის მორევში ცურავდა. არაყი კი არა, ძალაუფლება ათრობდა, მონების ლაქუცი და პირმოთნეობა ტვინში სასიამოვნოდ უღიტინებდა და ბანგივით ედებოდა. იცოდა, რასაც მოისურვებდა, იმას იზამდა, ხმას ვერავინ ამოიღებდა. ხმაას?! როგორ გეკადრებათ! აღტაცებულნი ტაშსაც შემოჰკრავდნენ, ხელისგულებს დაისიებდნენ.

სადღესასწაულო სუფრას სანაქებოდ დარჩეული ქალიშვილები ემსახურებოდნენ, დროდადრო ერის საამაყო მომღერლები და მუსიკოსები ერთმანეთს ენაცვლებოდნენ. ყველანი მას მიჩერებოდნენ, ღიმილით თავს უკრავდნენ. ძალაუფლებით თრობამ წონა დააკარგვინა, სხეულს ველარ გრძნობდა ,სადღაც ღრუბლებში დანავარდობდა. საოცარი ყოფილა შეგრძნება საკუთარი ძალისა. იგი მსოფლიოში ერთადერთი კაცი იყო, ყველა სურვილის შესრულება რომ შეეძლო. აი, თუნდაც ახლა, შედგებოდა მაგიდაზე და შარვალს შეიხსნიდა. გაბედავდა ვინმე რამეს? არა, ეს ცოტაა! მან უნებურად თვალით ის კაცი მონახა, ხელში შავი

დიპლომატი რომ ეჭირა. ერთბაშად სურვილმა მოუარა, თავისთან მოეხმო, დიპლომეტი გაეხსნა და ხალხისთვის ეთქვა:

„იცით, რა არის ეს? იცით? არ იცით, ხომ? აი, საკმარისია ამ ერთ ღილაკს თითი დავაჭირო და რაკეტები უმალვე ამერიკისაკენ გაფრინდება! აი, ამ ღილაკზე თითის დაჭერით გაიცემა ატომური ომის დაწყების ბრძანება. ხედავთ, მე, ნიკიტა სერგის ძეს, ძველი მჭედლის შვილს რა მიპყრია ხელთ? მე ძალა შემწევს, ერთ დღეში გავანადგურო მსოფლიო ცივილიზაცია. ვინმეს, რომის იმპერატორებიდან მოყოლებული, ჰქონია ხელთ ამოდენა ძალაუფლება? ჰქონია ვინმეს მსგავსი იარაღი?! თითის მხოლოდ ერთი დაჭერა, მხოლოდ ერთი...“

არ ახსოვს როგორ გაჩნდა მასთან აჯუბეი. ნიკიტა სერგის ძემ სიძეს ამღერეული თვალები შეავლო. გონს ერთბაშად მოეგო, აჯუბეის მკაცრ ღიმილში წაიკითხა, წასვლის დრო დადგაო, თითქოს დაწყნარდა კიდეც. ახლაღა შენიშნა, ირგვლივ მსხდომი ხალხის შეშფოთებული სახეები. უცებ სიბრაზემ შეიპყრო, ანთებული თვალებით მჟავანაძე მონახა და მრისხანედ შეხედა. მჟავანაძე უმალვე ფეხზე წამოიჭრა. ხრუშჩოვმა ხელი დაუქნია, ჩემთან მოდიო და სიძეს ანიშნა, წავიდეთო. ბუნდოვნად აგონდებოდა ჩამოსვლისას კიბეებზე დაყრილი ყვავილები, ტაში, ოვაცია, მუსიკა. ისიც გაიხსენა, თვალზე ცრემლმომდგარი ყველას რომ ხელს უქნევდა. გული აუჩუყდა. უნებურად მჟავანაძისკენ საკოცნელადაც კი გაიწია, მაგრამ აჯუბეიმ დროზე მოქაჩა. მანქანაში ჩაჯდომაც გაიხსენა, მერე? მერე მის გონებასა და თვალებში მძიმე, ნესტიანი ბურუსი ჩამოწვა.

— როგორ მეჭირა თავი? — მთლად რიხით ვერ ჰკითხა მეუღლეს.

— ასე მთვრალი ჯერ არ მინახიხარ, კიდევ კარგი, რომ არ გაჭირვეულდი და წამოსვლაზე დაგვეთანხმე.

მეტი არაფერი უკითხავს. მიხვდა, სასკანდალო არაფერი ჩამიდენიაო.

„რა მოხდა, კაცი თუ ხანდახან დალევს. თანაც დალევს ტრიუმფის შემდეგ. ვინ ამიკრძალა, დროდადრო მეც ვისარგებლო უბრალო ადამიანის უფლებებით?!“

უცებ ქალის კივილი შემოესმა. ყურები ცქვიტა.

— რა ხდება?

— შენ დაგიბარებია, ერთ-ერთი მკვლელის მშობელი ყოფილა. შენთან შეხვედრას ითხოვს.

— ჩემთან შეხვედრას?! — იკითხა უაზროდ.

— ჰო, შენ გითქვამს ალექსეი პეტრეს ძისათვის, ხვალ დილის ცხრა საათზე მოვიდესო.

— მერე უკვე ცხრა საათია?

— ათია დაწყებული.

გუნება კიდევ უფრო გაუფუჭდა, გახურებული შუბლი კვლავ პირსახოცით შეიწმინდა და ზიზღნარევი ხმით თქვა.

— ტელეფონით აცნობე დაცვის უფროსს, რომ ერთ საათში მივიღებ.

2

ნიკიტა სერგის ძე მოსკოვში დიღხანს ყოყმანობდა, თბილისში გამომგზავრებულიყო თუ არა. მიხვდა, წაუსვლელობა აღარ იქნებოდა, მაგრამ ბოლო დღეებში თავის გადაწყვეტილებაში ეჭვი შეეპარა. შიში არავისთვის გაუმხელია. შინაურები აშკარად ატყობდნენ, ნიკიტა სერგის ძეს რაღაც აწუხებდა, გულს რაღაც ულრღნიდა, თუმცა მიზეზს ვერ მიმხვდარიყვნენ, რატომ იყო ასე გულაღრენილი და გაღიზიანებული. ერთი შეპასუხებაც კი აცოფებდა და აგიჟებდა.

მხოლოდ სიძემ უწყოდა ყველაზე უფრო, რა ანერვიულებდა ცენტრალური კომიტეტის მდივანს. ისიც მშვენივრად იცოდა, ახლა უკან დახევა არ შეიძლებოდა. ამის პირდაპირ თქმას, რასაკვირველია, სიმამრს ვერ გაუბედავდა, მაგრამ საუბრის დროს ხალი-

სიანად შეაპარებდა ხოლმე, თბილისიდან ტრიუმფატორები დავბრუნდებითო.

თბილისში, გამომგზავრებამდე ორი დღით ადრე ვასილ მჟავანაძე მოსკოვში ჩაფრინდა და ხრუშჩოვს რესპუბლიკაში ვიზიტისათვის მზადების თაობაზე ანგარიში ჩააბარა. ბუნებრივია, არ გამორჩენიათ დაცვის არცერთი წვრილმანი, ნიკიტა სერგის ძეს არამცთუ რაიმე საფრთხე შეჰქმნოდა, უბრალო უსიამოვნებაც არ უნდა შეხვედროდა საქართველოში მოგზაურობის დროს.

— ხომ არა სჯობია, ერთად გადავფრინდეთ თბილისში? — ჰკითხა უცებ ვასილ მჟავანაძეს.

— ბრწყინვალე აზრია, ნიკიტა სერგის ძევ, — ისე სწრაფად ჩაერთო აჯუბეი საუბარში, რომ ვასილ მჟავანაძემ ხმის ამოღებაც ვერ მოასწრო, — ნამდვილად ბრწყინვალე აზრია, მაგრამ მაშინ ხომ იქ ვეღარ შეგხვდებათ და ვეღარც მოგესალმებათ ამხანაგი მჟავანაძე!

ხრუშჩოვმა არაფერი შეიმჩნია, თუმცა გულში მადლობა გადაუხადა სიძეს.

„მართლაც და თვითმფრინავის ტრაპთან ვინ უნდა შემეგებოს, თუ არა რესპუბლიკის პირველი მდივანი?!“ — გაიფიქრა მან და ვასილ მჟავანაძეს მიუბრუნდა.

— თანახმა ვარ. გაემგზავრეთ თბილისში. ოღონდ გაემგზავრებით დაუყოვნებლივ და ყველა საკითხს დეტალურად დაამუშავებთ. დე-ტა-ლუ-რად! გასაგებია?

— გასაგებია, ნიკიტა სერგის ძევ!

ვასილ მჟავანაძის ტვინმა იმ წუთში გააანალიზა, პირველი მდივანი რასაც გულისხმობდა. ცხრა მარტის სისხლი ჯერ კიდევ არ შეშრობოდა ქუჩებს და კაცმა არ იცის, თბილისში რა მოხდებოდა. ახლა მთავარი იყო, საკავშირო მილიციისა და უშიშროების კომიტეტის მრავალრიცხოვან წარმომადგენლებს, თბილისში ხრუშჩოვის უსაფრთხოება რომ უნდა უზრუნველეყოთ, საერთო ენა გამოენახათ რესპუბლიკის შესაბამის ორგანოებთან. ისინი ხომ თბილისში კარგა ხნის ჩასულები იყვნენ და ყველა წვრილმანს გულდასმით აანალიზებდნენ.

შეშინებულმა ვასილ მჟავანაძემ — ვაი თუ ხრუშჩოვმა თბილისში ჩამოსვლა გადაიფიქროსო, შვებით ამოისუნთქა, მიხვდა, ქვეყნის ლიდერის გადაწყვეტილებას წინ ვეღარაფერი დაუდგებოდა. ვასილ მჟავანაძე პირველი მდივნის საქართველოში მოგზაურობაზე დიდ იმედებს ამყარებდა. ყველაფერი უნდა ელონა, როგორმე ხრუშჩოვს საქართველოზე და ქართველ ხალხზე გული რომ მობრუნებოდა. ისიც მშვენივრად იცოდა, ერთ გაუთვალისწინებელ მოვლენას შეიძლება ყველაფერი წყალში გადაეყარა, უფრო მეტიც, ცეცხლზე ნავთი დაესხა. აჯუბეის გულში დიდ მადლობას სწირავდა, მოსკოვში დარჩენას რომ გადაარჩინა. თვითონ ხრუშჩოვს ვერაფრით ვერ გაუბედავდა, ახლა მე იქ უფრო საჭირო ვარ, თქვენი უსაფრთხოებისათვის ღონისძიებების ჩასატარებლადო.

მეორე დილით, თბილისიდან ჯერ ვასილ მჟავანაძემ, შემდეგ კი საკავშირო დაცვის უფროსმა გენერალმა მიხეილ ანდრეევმა გენერალურ მდივანს ტელეფონით ჩააბარეს ანგარიში.

ნიკიტა სერგის ძემ კმაყოფილი იერით დაკიდა ყურმილი, სავარძლის საზურგეს მიაწვა და ბედნიერი თვალები მაღლა აღაპყრო. კვლავ ჩაესმოდა ყურში ვასილ მჟავანაძის სიტყვები, საქართველო მოუთმენლად ელის თქვენთან შეხვედრასო. უცებ სახეზე მჭმუნვარე იერი დაედო. წინ გადაიხარა, თვალი მაგიდას გაუშტერა და ჩაფიქრდა. გრძნობდა, რაღაც აწუხებდა. არ უნდოდა ამ წუხილისათვის თავისი სახელი დაერქმია, თორემ უნდა ეღიარებინა, რომ ეშინოდა.

ჩვენშიც და საზღვარგარეთაც ჯერ კიდევ ბევრნი არიან სტალინელები. ქართველი სტალინელები კი ჩემთვის ორჯერ უფრო საშიშნი იქნებიანო,

ფიქრობდა იგი. ხანდახან უცნაური აზრებიც მოსდიოდა.

„განა მე კი არა ვარ სტალინელი?“— ფიქრობდა იგი და თანაც უკვირდა, როგორ შეიძლებოდა ერთ ადამიანს თან ჰყვარებოდა სტალინი, თან რაღაც საშინლად სძულებოდა. მისი პიროვნებით ხან მოხიბლული და მონუსხული ყოფილიყო, ხან შიშსა და ძრწოლას ჰყოლოდა ატანილი. ვერ გაეგო, რა ხდებოდა. მას სტალინი სძულდა. სძულდა ბღვრამდე მისული სიძულვილით. თუკი გააჩნია სიძულვილს საზღვარი. ამავე დროს მას უყვარდა იგი. არა, მას არა, მის ორგანიზმში არსებულ მეორე პიროვნებას, ხშირად რომ მის ნაცვლად აზროვნებდა და გადაწყვეტილებებსაც მის ნაცვლად რომ იღებდა.

„იქნებ ის, ჩემში ჩასახლებული თუ ჩემს სხეულში არსებული ჩემი ორეულია ნამდვილი ხრუშჩოვი და არა მე, რაღაც კანონებით, დებულებებით და ინსტრუქციებით რომ ვმოქმედებ? იქნებ ის იმპულსური, გაუანგარიშებელი, მოულოდნელი, სტიქიურად მოვარდნილი გადაწყვეტილებებია ჩემი ნამდვილი აზროვნება და მოქმედება და არა კოლეგებთან თუ ნაცნობ-მეგობრებთან კამათში ჩამოყალიბებული შეხედულებანი?“

და აი, ახლა იგი ბელადის სამშობლოში მიდიოდა. მან დაამარცხა სტალინი. მართალია, მკვდარი სტალინი, მაგრამ მაინც დაამარცხა. განა ადვილი იყო ბელადის დამარცხება? არა, დამარცხებას ჯერ ბევრი უკლდა!

„ვინ იცის, რამდენი წელი იქნება კიდევ საჭირო, ხალხთა გულებიდან რომ სამუდამოდ ამოშალო სტალინის სახე. ვინ, სხვა კიდევ ვინ გაბედავდა შებმოდა თუნდაც მეცვალებულ ბელადს? იქნებ მალენკოვი ან ბულგანინი? იქნებ პირშავი ტურა მიქოიანი ან კაგანოვიჩი? რომელი ამ მონათაგანი აიმაღლებდა ხმას სტალინის თუნდაც ცხედრის წინაშე? იქნებ ბერია, დღეს რომ ცოცხალი იყოს?“

ბერიას ხსენებაზე მკერდში გული შეუთამაშდა, დამფრთხალი ფრინველივით ნეკნებს დაეჯახა. კვლავ იგრძნო ქართველი ხალხის სიძულვილი, სიძულვილი, რომელიც მაზუთივით ჩაელვარა გულსა და გონებაში.

„დიახ, იქნებ ბერია გაბედავდა ბელადის სამუდამოდ დასამარებას? იქნებ გაებედა კიდეც, მაგრამ იგივე ბერია მე არ მივაყოლე სტალინს უკან? ან ბერიაზე ხელის ამწევი გეგულებათ ვინმე კრემლის ვირთხებში? ეს მე შევძელი, მხოლოდ მე, ნიკიტა სერგის ძე ხრუშჩოვმა! სტალინი დავამარცხე, მაგრამ, სამწუხაროდ და სავალალოდ, ჯერ კიდევ ცოცხლობს სტალინიზმი. გავილაშქრე კი სტალინიზმის წინააღმდეგ?“

პირველი მდივანი ფეხზე წამოდგა და ფანჯარასთან მივიდა. კაცმა რომ თქვას, ან კი რატომ უნდა გაელაშქრებინა სტალინიზმის წინააღმდეგ? მას ხომ სტალინი სძულდა და არა სტალინიზმი. როცა მან ბელადის დესპოტიზმი ამხილა, ციხეებიდან სტალინის მიერ ოპატიმრებული ხალხი გამოუშვა და ადამიანთა ყელზე შემოჭერილი მარწუხები ოდნავ მოუშვა, სწორედ მაშინ გაუგო ძალაუფლებას გემო, მიხვდა, უკეთეს სისტემას ვერაფერს მოიგონებდა! კარგად იცოდა, ქვეყანაში ცვლილებები აუცილებლად უნდა მოეხდინა. ხალხისთვის უნდა დაენახებინა, სტალინის მმართველობის სიბეცე, ერთპიროვნულობა. თუმცა ისიც მშვენივრად იცოდა, რეფორმები ისე უნდა ჩაეტარებინა, ძალაუფლება არ დაეკარგა. გრძნობდა, დახანება არ შეიძლებოდა, პირველი ღღიდანვე გრანდიოზული საორგანიზაციო ღონისძიებების ჭატარებას უნდა შესდგომოდა და შეუდგა კიდეც. სტრუქტურისთვის კი ხელი არ უნდა ეხლო. სახელმწიფოს ყველა სადავე ხელში მას უნდა სჭეროდა. რეფორმებმაც არ დაახანა, აწრიალდა მთელი სახელმწიფო, დაიწყო სამინისტროების ხან დამსხვილება, ხან დანაწევრება,

ათასგვარი ფუჭი ღონისძიებების ჩატარება. არც იმდენად სულელი იყო ნიკიტა სერგის ძე, გატარებულ ღონისძიებათა შედეგების იმედი რომ ჰქონოდა. თვითონაც გრძნობდა, მის მიერ გატარებული რეფორმები ბინის დალაგებას უფრო ჰგავდა, ვიდრე სახელმწიფო მმართველობის ახალ საფეხურზე აყვანას. გადაჰქონდათ ბინაში ავეჯი. ერთი ოთახიდან მეორე ოთახში, ერთი კედლიდან მეორე კედელთან. ბინისათვის კი არც არაფერი შეუმატებიათ და არც არაფერი გამოუკლიათ. ოღონდ ეს იყო, ადრე ავეჯს უფრო მოხერხებულად ჰქონდა ადგილი შერჩეული, ამ გადატანა გადმოტანაში კი ზოგს ფეხი მოსტყდა, ზოგს კარი მოერყა, ზოგიც მთლიანდ შესაკეთებელი გახდა. არა, სტალინიზმის დამარცხება არც უფიქრია ნიკიტა სერგის ძეს, მან მხოლოდ სტალინს, მისთვის საძულველ პიროვნებას გაუსწორა ანგარიში.

„გავუსწორე კი? განა შეძელი ხალხის გულებიდან ბელადის სახის ამოგდება? განა საკუთარი გულიდან კი შევძელი მისი ნაყვავილარი სახის ამორეცხვა?!“

კვლავ წუხანდელი სიზმარი გაახსენდა. ცივმა ოფლმა დაასხა. სავარძელზან მივიდა და ხვნეშით ჩაეშვა.

„ახლა ამაზე ფიქრის დრო არაა, ახლა მთავარია, საქართველოში ჩავიდე და საკუთარ სამშობლოში გავუსწორო ბელადს ანგარიში!“

ნიკიტა სერგის ძე ყურმილს დასწვდა და აჯუბეი თავისთან იხმო..

3.

თვითმფრინავის ბორბლები ასაფრენი ზოლის ბეტონს რომ შეეხო, გული დამფრთხალი ფრინველივით ისევ მიაწყდა ნეკნების გალიას. ასაღელვებელი არაფერი ჰქონდა სახელმწიფოს ლიდერს. საზეიმო შეხვედრამ ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა. ნიკიტა სერგის ძეს შიში და სიფრთხილე საერთოდ გადაავიწყდა. ყველას, დიდსაც და პატარასაც მთელი მონდომებით იკვირვებოდა. უნდოდა გლეხური ეშმაკური ჭკუით მათ სულსა და გონებაში ჩაეხედა და მიმხვდარიყო, მართლა ასეთი გულწრფელი სიყვარულით ხვდებოდნენ სტალინის დამსამარებელსა და ცხრა მარტის ჯალათს?

მალე დარწმუნდა, რომ ხალხი, თუნდაც აეროპორტში საგანგებოდ მოყვანილი საიმედო ამხანაგები თუ უბრალო ადამიანები, გულწრფელი სიხარულით ეგებებოდნენ პირველ მდივანს. გულზე დაკიდებული ცივი, პიტალო ლოდი ერთბაშად სადღაც გაუქრა და ენით აუწერელი შვება იგრძნო. საბოლოოდ დარწმუნდა, საქართველოში რომ არავითარი საფრთხე არ ელოდა.

აეროპორტიდან მომავალი აქეთ-იქით იხედებოდა. ადამიანებს კანტი-კუნტად თუ მოჰკრა თვალი. გაკვირვებულმა გვერდით მჯდომ ვასილ მჟავანაძეს შეხედა. მჟავანაძე ელოდა პირველი მდივნის უსიტყვო შეკითხვას, მაგრამ გასაცოდავებულს პასუხი ვერა და ვერ მოეფიქრებინა. ერთადერთი რაც მოახერხა, ის იყო, რომ ხრუშჩოვის მზერას თვალი აარიდა. მაშინ აეროპორტიდან ქალაქისაკენ ძალზე ვიწრო გზა მოემართებოდა და ხომ არ ეტყოდა საქართველოს დიდ სტუმარს, უსაფრთხოების მიზნით ქუჩები გადაკეტეთ, ხალხს გარეთ გამოსვლა ავუკრძალეთ, ხოლო მოსეირნე ადამიანები გადაცმული მილიციელები და უშიშროების კომიტეტის წარმომადგენლები არიანო. ვასილ მჟავანაძეს მოუთმენლობისაგან გული ეწურებოდა. საზეიმო შეხვედრა შაუმიანის მოედნიდან იწყებოდა. ერთი სული ჰქონდა, მოტოციკლების საპატიო ესკორტით გარშემორტყმულნი შაუმიანის მოედნამდე როდის მიაღწევდნენ.

ნიკიტა სერგის ძემ კვლავ ქუჩები შეათვალიერა. უცებ მიხვდა, რომ ქუჩებში არც ბავშვებისათვის და არც ქალებისათვის ჯერ თვალი არ მოუკ-

რავს. მხოლოდ მამაკაცები მიდი-მოდიოდნენ აქეთ-იქით.

„აზია მაინც აზიაა!“ — დაასკვნა გულში ბრძნულად. ევროპაში კი ალბათ იოლად მიხვდებოდა პირველი მდივანი, რატომ არ ჩანდნენ ქალები და ბავშვები ქუჩებში და ვინ იყვნენ აქეთ-იქით დინჯად მიმავალ-მომავალი მამაკაცები.

უცებ წინ მოტოციკლების კოლონა აიარა. რაღაც ყვირილიც გაიგონა. მანქანამ ისე სწრაფად მოუმატა სიჩქარეს, რომ კისერი კინაღამ გადასტყდა. ვერ აღიქვა, გზატკეცილზე რა გადმოვარდა, ან ვინ იყო ის კაცი, გზის განაპირას რომ წააქციეს. შიშმა შეიპყრო. სიტუაციაში ვერ გაერკვა, მაგრამ მიხვდა, რომ რაღაც საშინელი მოხდა. სახეზე ბალზამირებული მიცვალებულის ფერი დაედო. თავი მაინც მოთოკა, ვასილ მჟავანიძისაკენ ერთი კი გაიხედა ბოროტად, მაგრამ თავი უმალვე შემოაბრუნა და კვლავ ვიწრო ქუჩებს გახედა. ცნობისმოყვარეობა ჰკლავდა გაეგო, რა მოხდა, იცოდა, კორტეჟის გაჩერების ბრძანებას ვერ გასცემდა. ვასილ მჟავანაძე კი, ცოცხალ მიცვალებულს რომ ჰგავდა, ხმას არ იღებდა. ან კი რა უნდა ეთქვა, შიშისაგან დაზაფრული თვითონაც ვერ გარკვეულიყო, რა მოხდა, თუმცა ხრუშჩოვზე უფრო იგრძნო საფრთხის სერიოზულობა.

„დავიღუპე, ნამდვილად დავიღუპე!“— გაუელვა თავში საქართველოს კომპარტიის პირველ მდივანს და სველ ჩვარს დაემსგავსა. უცებ, თითქოს ბნელი გვირაბიდან მატარებელი გაშლილ მინდორზე გამოიჭრა და შვებით ამოისუნთქაო, კორტეჟი ერთბაშად აღმოჩნდა მოფრიალე დროშებისა და ტრანსპარანტების ტყეში. გაისმა მქუხარე ტაში, ოვაციები, მისასალმებელი შეძახილები.

ცოცხალმა მიცვალებულმაც, აქამდე განძრევას რომ ვერ ბედავდა, სიცოცხლის ნიშნები გამოამჟღავნა. სახეზე ფერი დაუბრუნდა, ოდნავ შეინძრა და მანქანის სავარძელში უფრო მოხერხებულად მოკალათდა. ხალხის აღტაცებული შეძახილები კი მატულობდა და მატულობდა. ნიკიტა სერგის ძეც გამოერკვა, დამშვიდდა, უფრო მეტიც, თითქოს სულ გადაავიწყდა წეღანდელი შიში და გულისწყრომა. ბარათაშვილის ქუჩას ღია მანქანაში წინა სავარძლის თავზე დამაგრებულ მონიკელებულ საგანგებო სახელურს ჩაეჭიდა და ფეხზე წამოდგა.

ვასილ მჟავანაძეს თვალზე სიხარულის ცრემლი მოაწვა და ისიც უმალვე ფეხზე წამოიჭრა. საბოლოოდ გუნებაგამოკეთებული ხრუშჩოვი ხალხს უკვე ხელის აწევით ესალმებოდა. დიდი სტუმრის მსგავსად მარჯვენა ხელით მონიკელებულ სახელურს ჩაჭიდებული ვასილ მჟავანაძეც მარცხენა ხელს ენერგიულად იქნევდა. მარჯვენა ხელით მისალმებას ვერ ბედავდა, მარჯვნივ ხომ გენერალური მდივანი იდგა. მისალმებასთან ერთად ვასილ მჟავანაძე ხალხს ანიშნებდა, უფრო ენერგიულად, უფრო ხმაშეწყობილად იგუგუნეთო. თან ცდილობდა, მისი მინიშნებანი ხრუშჩოვისათვის შეუმჩნეველი დარჩენილიყო. საშიში თითქოს აღარაფერი იყო, მანქანების კორტეჟი მაინც საზეიმო შეხვედრებისათვის მიღებულ სიჩქარეზე გაცილებით სწრაფად მიჰქროდა. ლენინის მოედანი ისე გადაიარეს და რუსთაველის პროსპექტზე ისე აღმოჩნდნენ, პირველმა მდივანმა ვერც კი აღიქვა იქაურობა. თუმცა ლენინის ძეგლმა მიახვედრა, რომ ქალაქის შუაგულში იმყოფებოდა. რუსთაველის პროსპექტის ორთავე მხარეს ხალხი კიდევ უფრო მჭიდროდ ჩამწკრივებულიყო. ტრანსპარანტებიცა და დროშებიც მეტი გამოეტანათ, შეძახილებიც უფრო მწყობრად და მძლავრად გაისმოდა.

ვასილ მჟავანაძეს რაღაც უხილავმა ძალამ გულზე კვლავ ჩამოჰკიდა ქვის ცივი და პიტალო ლოდი. კორტეჟი კავ-

შირების სახლსა და სასტუმრო „თბილისს“ უახლოვდებოდა იმ ადგილს, ორმოცდათექვსმეტი წლის 9 მარტს უღვთოდ რომ დაიღვარა ქართველი ახალგაზრდების სისხლი. კედლებს აშკარად ეტყობოდა ცემენტით ამოვსებული და კედელთან შეუხამებელი ფერით გადაღებული ნატყვიარები. აბა ვინ გაბედავდა და საქართველოს დიდ სტუმარს ვინ დაანახებდა ავტომატებისა და შაშხანების ნატყვიარებს! არც ათასობით ადამიანს, შეძახილებით და დროშების ქნევით რომ ეგებებოდნენ დიდ სტუმარს, არ გახსენებია ამ მიდამოებში დაღვრილი სისხლი.

კრწანისში, დასასვენებელ რეზიდენციაში მისვლისთანავე ნიკიტა სერგის ძემ დაცვის უფროსი იხმო. თუმცა რა ხმობა უნდოდა, გაფითრებული და შეშინებული გენერალ-პოლკოვნიკი მიხეილ ანდრეევი იქვე იდგა არანაკლებ გაფითრებულ ვასილ მჟავანაძესთან და ალექსი ინაურთან ერთად.

შეხედა თუ არა სამოქალაქო ტანსაცმელში გამოჭიმულ გენერალს, ნიკიტა სერგის ძემ ერთდროულად დაკარგა ფერი და კონტროლი.

— შე ძაღლისშვილო! — მივარდა გენერალს, ჰალსტუხზე ხელი ჩაავლო და ენერგიული მოძრაობით ჩამოგლიჯა.

ვისაც პირველი მდივნის დანარჩენი სიტყვების მოსმენა თანამდებობრივად არ ერგებოდა, უმალვე გაშორდნენ იქაურობას. ვასილ მჟავანაძემ მკერდში საშინელი ტკივილი იგრძნო და თითქოს დაინახა, გული როგორ შეეკუმშა, როგორ გაუხდა ციცრის კვერცხის ოდენა. მერე ისიც შეიგრძნო, ვაკუუმში დარჩენილ დაპატარავებულ და ძლივსღა მფეთქავ გულს ნელ-ნელა როგორ დაედო ყინულის თხელი ფენა. მერე ერთბაშად გადაწყვიტა, თუკი ხრუშჩოვი მასაც მოსკოველი გენერალივით შეურაცხყოფდა, თავი იქვე უნდა მოეკლა. გადაწყვეტილებამ თითქოს დაამშვიდა და გაამაგრა კიდეც.

— ორი უკვე დაჭერილია, ნიკიტა სერგის ძევ, მესამეც ვერსად გაგვექცევა, — ძლივს ამოღერდა შეშინებულმა გენერალმა.

— მაგრამ, არ მეტყვი, რა უნდოდათ, რის ჩადენას აპირებდნენ?!

— თვითნაკეთი ყუმბარა გადმოაგდეს. ბედად, არ აფეთქდა.

— როგორ, ჯერ დაპატიმრებულებიც არ არიან?

— ორი, უკვე მოგახსენეთ, რომ დავაკავეთ, ერთმა გაქცევა მოახერხა. იქაურობას ალყა შემოვარტყით, ვერსად წაგვივა.

— დოყლაპიებო! — უყვირა ხრუშჩოვმა მთელი ხმით. უკანასკნელ მარცვალზე ხმა ჩაეხრინწა და მამალივით ამოიყივლა.

აჯუბეი შეკრთა. მიხვდა, ხრინწიანი ხმით მამალივით ამოყივლება ხრუშჩოვს კიდევ უფრო გაამძვინვარებდა. არც ის იყო ძნელი მისახვედრი, ამდენი ხნის წინ ჩაგუბებული ბოღმა ლავასავით კრატერისაკენ რომ საშინელი ძალით მიისწრაფვოდა. დაძაბული სიმამრს ყურადღებით მისჩერებოდა, მის სახეზე ფერთა ცვალებადობითა და გადმოკარკლული თვალების უაზრო ცეცებით უმალვე ხვდებოდა, ნიკიტა სერგის ძე ზღვარს როდის შეიძლებოდა გადასულიყო. ის წამი ზუსტად უნდა დაეჭირა და დროულად წაშველებოდა, პირველ მდივანს რაიმე გამოუსწორებელი სისულელე რომ არ ჩაედინა.

— გენერალო, მესამე კაცი დასაპატიმრებელია, თქვენ არ გაქვთ აქ დგომის დრო! — გაისმა უცებ აჯუბეის მტკიცე ხმა.

გენერალი ხრუშჩოვის იგივე ბრძანებასა თუ თანხმობას არ დაელოდა. თუმცა წესები ამას მოითხოვდა. მიხვდა, აჯუბეიმ მაშველი რგოლი ნიკიტა სერგის ძეს უფრო გადაუგდო, ვიდრე მას, მაგრამ არ დააყოვნა და ამ რგოლით თვითონაც არანაკლებ ისარგებლა. იცოდა, პირველი მდივნის აფეთქების წუთებში თავის გადარჩენის ყველაზე

კარგი საშუალება დანაღმული ზონიდან დროული გასვლა იყო. სამოქალაქო ტანსაცმელში გამოწყობილმა მექანიკურად ხელი შუბლთან მიიტანა, მხედრულად შემობრუნდა, აჯუბეის მადლიერი თვალით შეხედა და იქაურობას სასწრაფოდ გაეცალა.

— ნიკიტა სერგის ძევ, — მშვიდად დაიწყო აჯუბეიმ, თან შეეცადა სახეზე ღიმილი ოდნავ გამოესახა. და თუ მკრთალი ღიმილი პირველ მდივანს ხელახლა არ გააცოფებდა, ვულკანი უკვე ჩამცხრალად უნდა წარმოგვედგინა.

ხრუშჩოვმა სიძეს შეხედა. აჯუბეი მიხვდა, ქვეყნის ლიდერის სხეულში ავარდნილი ძაბვა თითქმის ნორმამდე იყო დასული.

— ნიკიტა სერგის ძევ, — გაიმეორა უფრო ენერგიულად და უდარდელი, ატმოსფერს საბოლოოდ განმმუხტველი ხმით, — უმორჩილესად გთხოვთ, დაწყნარდეთ, გენერალ-პოლკოვნიკმა ვერ მოასწრო სათქმელის ბოლომდე თქმა. სამი თავდამსხმელიდან ორი უკვე დაპატიმრებულია. დაპატიმრებულია აგრეთვე რამდენიმე ეჭვმიტანილი პიროვნებაც. არ არის გამორიცხული, რომ ერთ-ერთი მათგანი სწორედ მესამე თავდამსხმელი იყოს. ასე რომ, თამამად შეიძლება ითქვას, საქმე უკვე გახსნილია!

„ეჭვმიტანილები“ აჯუბეიმ მოიგონა. იმ წუთში არცერთი ეჭვმიტანილი არ ყოფილა დაპატიმრებული. მეტი გამოსავალი არ ჰქონდა. გამძვინვარებული ქვეყნის ლიდერი კეთილშობილი სიცრუით უნდა დაეცხრო.

— ამხანაგო მჟავანაძე, — მიუბრუნდა იგი ქანდაკებად ქცეულ ვასილ მჟავანაძეს.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი შეკრთა. ოფიციალურად და ცივად „ამხანაგო მჟავანაძე“ უკვე რისხვას თუ არა, დიდ წყენას მაინც ნიშნავდა. იერარქიული საფეხურის გათვალისწინებით აჯუბეის არ ჰქონდა უფლება პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატისათვის სახელითა და მამის სახელითაც არ მიემართა.

— სამთავე დამნაშავე უნდა დაიხვრიტოს, — განაგრძო ცივად აჯუბეიმ,— თანაც უნდა დაიხვრიტოს ისე დასაბუთებულად, ჩუმად და უხმაუროდ, თქვენმა დიდმა თანამემამულემ რომ იცოდა, გასაგებია?

— გასაგებია! — შვებით ამოისუნთქა მჟავანაძემ, თან ძველი გენერალური ინსტინქტითა და ინერციით, მხედრულად გაიჭიმა.

— ორ საათში ამხანაგმა ინაურმა პირადად მომახსენოს, ვინ არიან შეთქმულნი, ან რა მიზნები ამოძრავებდა ქვეყნისა და პარტიის მტრებს.

აჯუბეი მჟავანაძეს ისე მიმართავდა, თითქოს იმ წუთში ინაური იქვე არ მდგარიყოს.

— ამხანაგმა ინაურმა ღრმად და უკანასკნელ წვრილმანამდე გამოირკვიოს, თავდამსხმელები მარტო მოქმედებდნენ თუ რაიმე ანტისაბჭოთა ორგანიზაციის წევრები არიან.

— გასაგებია! — კვლავ არმიული რიხით წარმოსთქვა ვასილ მჟავანაძემ. მიხვდა, ქარიშხალმა უკვე გადაიარა. გახარებული იმ წუთში ვერც კი გრძნობდა, როგორ დაამცირა პირველი მდივნის სიძემ. განა მას, პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატს, ანგარიში უნდა ებარებინა „იზვესტიის“ რედაქტორისათვის? თუმცა მაშინდელ დამცირებას არც შემდგომ აუღელვებია ვასილ მჟავანაძე. მშვენივრად იცოდა, „სამეფო კარზე“ აჯუბეის რა გავლენაც ჰქონდა და რა აგდებით ექცეოდა იგი პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატებს კი არა, თვით წევრებსაც.

ნიკიტა სერგის ძე, მთელი ამ ხნის განმავლობაში სიძეს რომ ყურადღებით უსმენდა, უცებ შებრუნდა და საძილე ოთახისაკენ წავიდა. მან არ იცოდა, სად იყო საძილე ოთახი, მაგრამ ის იცოდა, მხრებში მოკაკული ვასილ მჟა-

ვანაძე ფეხაკრეფით უმალვე წინ რომ გაუძღვებოდა.

ვრცელ და ნათელ ოთახში შესვლისთანავე მჟავანაძეს ხელით უდიერად ანიშნა, მარტო დამტოვეო, მის გასვლას არ დაელოდა და ტუალეტს მიაშურა. თითქოს აღარ ნერვიულობდა, ხელები მაინც საგრძნობლად უკანკალებდა. ვერ იქნა და ვერ შეიხსნა ხვანჯარი. არადა თავის შეკავების უნარიც აღარ ჰქონდა. ბოლოს, როგორც იქნა, საქნელი მოათავა, განთავისუფლებულმა ნეტარებით ამოისუნთქა და გუნებაც გამოუკეთდა. თეთრი მარმარილოთი მოპირკეთებული ტუალეტი კმაყოფილებით შეათვალიერა, კედელზე ოქროთი მოვარაყებულ ოვალურ სარკესთან მივიდა, რატომღაც პირი დაკრიჭა, ოქროს კბილები შეათვალიერა და ტუალეტიდან საძინებელ ოთახში სულ სხვა ხრუშჩოვი გამოვიდა.

ნინა პეტრეს ასულმა ხვანჯარშეუკვრელი მეუღლე რომ დაინახა, შეშფოთებულმა მიმოიხედა, ოთახში ხომ არავინ არისო. თუმცა კარგად იცოდა, აჯუბეი მეზობელ აპარტამენტში იყო მოწყობილი, ხოლო ოთახში სხვა ვერავინ გაბედავდა შემოსვლას.

— ღელავ, ძვირფასო? — ჰკითხა ნინა პეტრეს ასულმა და ლოგინზე ჩამომჯდარ მეუღლეს შარვლისა და ფეხსაცმელების გახდაში შეეშველა.

ხრუშჩოვმა ნინა პეტრეს ასულის თვალების უკან მიკრუნჩხული შიში და შეშფოთება დაინახა.

— ვღელავ?! — იყვირა ქვეყნის ლიდერმა და ფეხზე წამოიჭრა, — მე ვღელავ?! თუ კაცი ვყოფილვარ, მაგათ ვუტირებ დედის სულს!

— დაწყნარდი, ძვირფასო, — დაუყვავა მსუქანმა, ფაშფაშა ქალმა წონასწორობადაკარგულ მეუღლეს, ფეხშიშველა და ტრუსის ამარა მუშტებს სასაცილოდ რომ იქნევდა. ნინა პეტრეს ასულმა მშვენივრად იცოდა „მაგათში“ გენერალური მდივანი დამნაშავეებს კი არა, მთელ ქართველ ერს გულისხმობდა.

— ხალხი კარგად შეგხვდა, ირგვლივ ყველა იღიმებოდა, ვფიქრობ, შეძახილები და ოვაციები გულწრფელი იყო.

— და შენ გჯერა ამ აზიელი მაიმუნებისა? არ იცი, რა მზაკვრებიც არიან? ყელს ისე გამოგჭრიან, სახეზე ღიმილი არ მოშორდებათ. — ნიკიტა სერგის ძემ წინ, ცალფა ხურჯინივით გადაკიდებულ მუცელს იქით-აქედან ხელები შემოჰკრა და თავისი აფეთქებით კმაყოფილი ლოგინზე გულაღმა წამოწვა. დიდხანს იწვალა ,სანამ საწოლს გემრიელად მოერგებოდა.

— ძვირფასო, წინასწარ ზიზღით ნუ განეწყობი. ვიღაც სულელებმა თვითნაკეთი ბომბი ისროლეს, ხომ ნახე, არც კი აფეთქდა. ისინი რომ რომელიმე სერიოზული ორგანიზაციის წევრები იყვნენ, იარაღიც უკეთესი ექნებოდათ.

ნიკიტა სერგის ძემ მეუღლეს სიამაყით შეხედა, მისი ნათქვამი მოეწონა, თითქოს დაუჯერა კიდეც, მაგრამ კმაყოფილება არ შეიმჩნია და ოდნავ დამცინავად ჩაიცინა.

— რა გულუბრყვილო ხარ! გგონია ქართველები იოლად მაპატიებენ სტალინის განადგურებას?! მაშ ცხრა მარტი რა იყო, განა იქ არ მოითხოვდნენ ჩემს გადადგომას? მამა უცხონდათ. ბრძანება გაეცი, ახლავე დაუძახონ მჟავანაძეს!

პირველი მდივანი ლოგინიდან წამოვარდა და ფეხშიშველა ტელეფონისაკენ გაემართა. გაცოფებულს თვალები ისევ წამოენთო, ხოლო ლოყებზე მსუყე წითელი ფერი დაედო.

— უხერხულია, ფოსტლებში ფეხი წადგი და შარვალი ჩაიცვი.

— იქნებ ფრაკის ჩაცმაც მომთხოვო!

— ფოსტლები მაინც ჩაიცვი, იატაკზე ფეხშიშველა სიარული რა უბედურებაა! — ნინა პეტრეს ასული ცდილობდა მეუღლე ტელეფონთან არ მიეშვა. არაფერი გამოუვიდა. სახელმწიფოს მეთაური ყურმილს დასწვდა.

— გისმენთ, ნიკიტა სერგის ძე! —

შემოესმა ვიღაცის დამფრთხალი ხმა.

— ახლავე აქ მომგვარეთ მჟავანაძე!— ყურმილი ბერკეტზე დაახეთქა და ძვირფასი ტყავის სავარძლისკენ გაემართა. ახლაღა შეამჩნია, ტელეფონი რომ საწოლთან, პატარა ტუმბოზეც იყო მოთავსებული.

ნინა პეტრეს ასულმა ფოსტლები საავარძელთან მიუტანა და მეუღლეს ქონიანი ტერფები ძალით შეაყოფინა.

— შარვალი და პერანგი ჩაიცვი, ბოლოსდაბოლოს, შენს თავს ეცი პატივი!

ნიკიტა სერგის ძემ უეცრად დაღლილობა იგრძნო და რულიც მოერია. უკვე ნანობდა, რას ავიჩემე და მჟავანაძე რატომ გამოვაძახებინეო, მაგრამ საწინააღმდეგო განკარგულების გაცემა „რასერიოზულ კაცად გამოაჩენდა“ და გადაწყვიტა, უკან აღარ დაეხია, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი საკადრისად გაეჯორა. ერთბაშად აფეთქებული ნიკიტა სერგის ძე ერთბაშადვე ჩაწყნარდა. მაინც ცდილობდა, სიბრაზე შეენარჩუნებინა, თავი გაეღიზიანებინა, რომ არ მომბალიყო და მჟავანაძე საკადრისად შეეხურებინა. ამიტომაც შეეცადა ოვალნათლივ აღედგინა, როგორ ესროლეს თვითნაკეთი ხელყუმბარა.

„იყო კი თვითნაკეთი, თუ მე მამშვიდებენ? კიდევ კარგი, რომ არ აფეთქდა. ხომ შეიძლებოდა, აფეთქებულიყო? სრულიად იოლად! აფეთქებას კი რა ჩოჰყვებოდა?“.

გენერალური მდივნის სახეზე კვლავ წითელმა ფერმა დაჩაგრა ყველა ფერი. მარცხენა ხელიც ოდნავ შესამჩნევად აუკანკალდა. აი, ახლა იქნებოდა დროული, ვასილ მჟავანაძეს კარი შემოეღო. ბრძანების გაცემიდან სულ ხუთი წუთიც არ იყო გასული, პირველ მდივანს კი ეჩვენებოდა, რომ მჟავანაძე უსაშველოდ აგვიანებდა.

— ნიკიტა, — ალერსიანად უთხრა ცოლმა, — საძინებელში ხომ არ მიიღებ ვასილ პავლოვიჩს. ჩაიცვი და მისაღებ დარბაზში დაელოდე.

— გეყო ჭკუის სწავლება. ბავშვი ნუ გგონივარ. რაკი ასე ჩაცმულს და ამ ოთახში მინდა მივიღო მისი ბრწყინვალება, ესე იგი, ასე მინდა!

ნინა პეტრეს ასული მიხვდა, ხვეწნას აზრი აღარ ჰქონდა. გადაწყვიტა, გავალ, მარტო დავტოვებ, მჟავანაძეს უხერხულ დღეში არ ჩავაგდებ, ჩემი თანდასწრებით ნიფხვით რომ დახვდებაო. უცებ გაიფიქრა, იქნებ სჯობია, ავჯუბეის დავუძახოო და ქმარს მიმართა.

— ალექსეი პეტრეს ძეს ხომ არ დავუძახო?

— დაუძახეთ, აუცილებლად მოვიდეს და მოისმინოს ჩვენი ისტორიული საუბარი.

ნინა პეტრეს ასულმა ავჯუბეი იხმო, ყურმილი ბერკეტზე დადო და ქმარს შეხედა. ის იყო, კიდევ უნდოდა, ეთქვა, შარვალს ხომ არ ჩაიცვამო, რომ სახელმწიფოს ლიდერს მჟავანაძის მობრძანება აუწყეს.

— მე გავალ. სჯობია, მამაკაცებმა ცალკე ილაპარაკოთ! — ნინა პეტრეს ასული კარისაკენ გაემართა.

— არსადაც არ წახვალ, აქ დარჩები და საკუთარი ყურებით მოისმენ ყველაფერს!

ვასილ მჟავანაძე განადგურებული და შეურაცხყოფილი იდგა დიდი, ძვირფასი ტყავის სავარძელში მოკალათებული და დამცინავად მომზირალი ხრუშჩოვის წინ.

პირველად შეშინდა კიდეც, იქნებ საწოლ ოთახში იმიტომ მიხმობს, რომ თავს შეუძლოდ გრძნობსო. კარის შეღებისთანავე ნიფხავში გამოწყობილი და წელზემოთ ტიტველი ხრუშჩოვი რომ დაინახა, აღარ იცოდა რა ექნა. თავზარდაცემულსა და შეურაცხყოფილს ეგონა, რომ სისხლი შეუდედდა და გული გაუჩერდა.

— მობრძანდით, ახლოს მობრძანდით! — მუქარანარევი დაცინვით მიმართა კარებში გაქვავებულ მჟავანაძეს.

პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატმა რამდენიმე ნაბიჯი გადადგა და

ხრუშჩოვის წინ გაჩერდა. დუმილი ჩამოვარდა. ნინა პეტრეს ასულს უნდოდა, სტუმრისთვის სკამი მიეწოდებინა. ვერ გაბედა. შიშმა შეიპყრო, ვაი თუ ჩემს თავაზიანობას მეუღლის რისხვა მოჰყვესო და სასოწარკვეთილმა აღარ იცოდა, რა ექნა.

ბედად, კარი გაიღო და აჯუბეი შემოვიდა. ნინა პეტროვნამ რომ იხმო, გული შეეკუმშა, მიხვდა, ყველაფერი რიგზე ვერ იყო. ასეთ სურათს მაინც არ ელოდა.

ნიკიტა სერგის ძემ თითქოს ვერც გაიგო სიძის შემოსვლა. ვასილ მჟავანაძეს დაჟინებით მისჩერებოდა და ცდილობდა, თვალებით დაეთრგუნა.

აჯუბეი მიხვდა, ჯერ არ დამდგარიყო საუბარში ჩარევის წუთი. ნინა პეტრეს ასულივით ისიც მშვენივრად იცნობდა სიმამრის ბუნებას. პირველი მდივანი ამ წუთში ბოღმით სავსე კასრს ჰგავდა და საუბარში ჩარევას აზრი მანამ არ ჰქონდა, სანამ კასრიდან ბოღმის ერთი მესამედი მაინც არ გადმოინთხეოდა.

ნიკიტა სერგის ძეს უბანლო, ქალურად პრიალა თეთრ მკერდზე ძუძუები კარგად გაპარსული ცხვრის დუმებივით ეკიდა. დიდი, მრგვალი მუცელი კალთაში ბურთივით ჩაედო და ზედ მოკლე, კოტიტა თითებს ათამაშებდა. ფოსტლები გვერდზე გაეწია და მსუქანი ფეხის თითები იატაკზე გაეპარჭყა. ვასილ მჟავანაძეს ყველაზე უფრო მაინც მისი უცნაურად ჭრელი, მუხლის თავებს ჩაცილებული ნიფხავი შეურაცხყოფდა.

აჯუბეიმ დაჯდომა გადაწყვიტა და თვალით სავარძელს დაუწყო ძებნა. უმალვე მიხვდა, არ ივარგებდა, მოსწავლესავით ფეხზე რომ მხოლოდ მჟავანაძე მდგარიყო. სჯობდა, ბურუსის გაფანტვას დალოდებოდა, სავარძელში მერე ჩამჯდარიყო. არც ასე ფეხზე დგომა ვარგოდა. წამიერად სწორი გადაწყვეტილება მიიღო, ფანჯარასთან მივიდა და გადაიხედა. თითქოს აინტერესებდა, გარეთ რა ხდებოდა.

ნიკიტა სერგის ძე ლაპარაკის დაწყებას აგვიანებდა.

„ნეტავ რატომ გამოიძახა? ახალი ხომ არაფერი მოხდა? თუმცა, რომ მომხდარიყო, პირველს მე გამაგებინებდნენ.“ — დაასკვნა აჯუბეიმ.

— გისმენთ, ნიკიტა სერგის ძევ! — ჩაწიხლული კაცის ხმით ამოიხრიალა მჟავანაძემ.

ხრუშჩოვი არ ჩქარობდა. საჯდომი სავარძელზე წინ წააცურა, თავით საზურგეს მიეყრდნო და ფეხები უფრო ფართოდ გაშალა. მთელი ეს მოძრაობა ისე განახორციელა, მჟავანაძისათვის თვალი არ მოუშორებია, არც ტლანქი ფერებით ჩამუქებული მზაკვრული იერი შესცვლია. ნიკიტა სერგის ძე ოდნავადაც ვერ გრძნობდა, რა ბოღმა დუღდა მჟავანაძის სულსა და სხეულში. სახელმწიფოს თვითდაჯერებულ ბატონ-პატრონს ვერც კი წარმოედგინა, თუ მის წინაშე ვინმეს შეიძლებოდა შეურაცხყოფილად ეგრძნო თავი. უკვე რამდენი წელია, მხოლოდ შიშისაგან აცახცახებულ პიროვნებებს რომ ხედავდა. რაც დრო გადიოდა, მით უფრო მეტ სიამოვნებას განაცდევინებდა თავისი უსაზღვრო ძალაუფლებით დათრგუნული კაცის ხილვა, მით უფრო მეტ ტკბობას ანიჭებდა შიშით აცახცახებული კაცი.

ვრცელ და ნათელ საწოლ ოთახში გამეფებული სიჩუმე აუტანელი ხდებოდა. ვასილ მჟავანაძე ვერ გარკვეულიყო, რა მოხდა, ხრუშჩოვმა მთელი საათით ადრე რისთვის გამოიძახა. მძიმე, ცხელი ორთქლივით შემხუთველმა დუმილმა, ქვეყნის მეთაურის მზაკვრულმა, მუქარით სავსე გამოხედვამ საბოლოოდ მოუღო ბოლო და თვითონაც ვერ იგრძნო, მარცხენა მხარეს ყბა როგორ აუთამაშდა. ვერ მიხვდა რატომ, მაგრამ უმალვე იგრძნო, ხრუშჩოვის სახეს კმაყოფილი იერი რომ გადაეკრა. ვერ მიხვდა, რადგან თავის აცახცახებულ მარცხენა ყბას ვერ ხე-

დავდა და ვერც მის ნერვიულ ცახცახს გრძნობდა. ნიკიტა სერგის ძეს კი მისი მოცახცახე ყბის დანახვა ნეტარებით აღავსებდა. არც ის გამორჩენია, ვასილ მჟავანაძის ლოყებს ქვემოდან რომ შეეპარა მუქი სიწითლე, გულით გარდაცვლილთა გვამებს რომ აქვთ ხოლმე ბალზამის გაკეთებამდე. ხმის ამოღებას მაინც არ ჩქარობდა.

„რესპუბლიკის ხელმძღვანელი ცახცახებს ჩემს წინაშე, ესე იგი, მისი სახით მთელი ერი ცახცახებს ქვეყნის ლიდერის წინაშე. დიახ, დიახ, მთელი ერი!“

ხრუშჩოვის გარეგნულად ბუნჩულა სტომაქში სადისტურმა ინსტინქტებმა თავი აიშვეს, გველებივით ასისინდნენ და მსხვერპლი მოითხოვეს. მონუსხული მსხვერპლი კი ლამის მთელი ტანით ცახცახებდა, ოფლი ასხამდა, შეურაცხყოფის გრძნობა კი, წელან რომ ჰყავდა მჟავანაძე შეპყრობილი, მისი არსებიდან მთლიანად აორთქლებულიყო და ამომშრალიყო. ნეტავ, მარტო მაინც ვიყოო, გაიფიქრა უნებურად. აჯუბეის წინაშე დამცირება ხომ გულს უკლავდა, ნინა პეტრეს ასულის იქ ყოფნა სულს კიდევ უფრო უშანთავდა.

ქალი თითქოს მიხვდა მჟავანაძის გასაჭირს და ოთახიდან გასვლა დააპირა.

— ნინა პეტრეს ასულო! — იყვირა ხრუშჩოვმა მთელი ხმით. სავარძლის საზურგეს მიყრდნობილი წამოჯდა სავარძლის სახელურებს ჩაეჭიდა და ცოლს განრისხებულმა შეხედა.

ხრუშჩოვმა მშვენივრად იცოდა, შურისძიება სანახევროდ დაკარგავდა გემოს, მოწმეები თუ არ ეყოლებოდა. ,

— რამდენი კაცი დაიღუპა ცხრა მარტს? — იკითხა უცებ მოგუდული ხმით.

მჟავანაძე შეკრთა, ასეთ შეკითხვას არ ელოდა.

— სამასამდე, ნიკიტა სერგეევიჩ! — უპასუხა დაბალი ხმით და უცებ შვებით ამოისუნთქა. შეკითხვა წარსულს ეხებოდა. ესე იგი, გენერალური მდივანი უფრო საშიშ თემას, დღეგანდელ დღეს, თუნდაც თავდამსხმელებს რომ შეეხებოდა, აღარ წამოჭრიდა. თუმცა ვინ იცის, რა მიმართულებით განვითარდებოდა საუბარი.

— მერე, როგორ ფიქრობთ, ცხრა მარტს დახოცილებს მშობლები, დაძმანი, შვილები და ნათესავები აღარა ჰყავთ? იქნებ ქართველებმა დაივიწყეთ სისხლის აღება?! მათი ოჯახები დაცვამ დაამუშავა?

— ფიქრი ნურაფრისა გაქვთ, ყველაფერი გათვალისწინებულია!

— ამ დილითაც ხომ იყო ყველაფერი გათვალისწინებული! ხელყუმბარა მაინც გვესროლეს. რას წარმოადგენენ დაპატიმრებულნი? იქნებ ცხრა მარტის ამბოხების მონაწილენი ან დახოცილთა ნათესავები არიან? ვასილ პავლოვიჩ, ცუდად დაიწყო ყველაფერი, ძალიან ცუდად! ალბათ გაგიჭირდება ჩაოხრებული დასაწყისის ამოქაჩვა, მაგრამ უნდა ამოქაჩო, აუცილებლად უნდა ამოქაჩო, გესმის?! უნდა ამოქაჩო, თორემ!— ნიკიტა სერგის ძე ფეხზე წამოიჭრა.

ნინა პეტრეს ასულს თვალები დაუბნელდა. აჯუბეის სირცხვილის ოფლმა დაასხა. მაინც რა სასაცილოდ შესცქეროდა ქვემოდან ელეგანტურად გამოწყობილ მჟავანაძეს, ფეხშიშველა, ჭრელნიფხვიანი ქვეყნის მეთაური. მრგვალი მუცელი, წელან რომ ბურთივით ედო კალთაში, წინ კვლავ ხურჯინის თვალივით ჩამოეკიდა. ცხვრის საგანგებოდ გაპარსული ორი დუმაც მკერდზე სასაცილოდ აუთამაშდა.

ნიკიტა სერგის ძე უხერხულობას სრულებითაც არ გრძნობდა. პირიქით, შესანიშნავად იცოდა, ქართველი ერის ლიდერს, ასე რომ უფრო დიდ შეურაცხყოფას აყენებდა. თითქოს ხაზს უსვამდა, თქვენ ხომ ერი არა ხართ, სხვანაირი მიღების ღირსი მით უმეტეს ვერ იქნებითო. თავისი გადაწყვეტილება მოსწონდა კიდეც.

— მაშ სამასი, არა?! — უცებ სიძეს

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიუბრუნდა, — ალექსეი პეტრეს ძევ, გაიგონეთ, არა? ცხრა მარტს სამასამდე კაცი დაღუპულა. თუ გახსოვთ, ჩვენთანაც იგივე ცნობა გვქონდა?

— სამასი — დაფიქრდა აჯუბეი და სავარძლისკენ გაემართა. მიხვდა, უკვე შეიძლებოდა საუბარში ჩარეულიყო და ხრუშჩოვის გაუთვითცნობიერებელი მოქმედებისათვის პიმართულება მიეცა.

— სამასი? — გაიმეორა კვლავ მან, — რაღაც არ მახსოვს.

მჟავანაძე უხერხულ დღეში აღმოჩნდა, ხრუშჩოვის წინ დატუქსული მოწაფესავით მდგარი აჯუბეისაკენ ზურგით აღმოჩნდა. შეუმჩნევლად ნახევარი ნაბიჯი მარცხნივ გადადგა და ერთი მესამედით აჯუბეისკენ შებრუნდა.

— სამას დაღუპულს ცხრაასი კაცი მაინც ეყოლება მოკეთე და გამომქომაგებელი. დიახ, ათას კაცამდე მაინც იქნებიან ისინი, ვინც სიამოვნებით მესვრიან თოფს. ამას თავდადებული სტალინისტებიც მიუმატეთ! — უცებ სიცილი აუტყდა და კვლავ სავარძელში ჩაჯდა.

ყალბი და უსიამო იყო მისი სიცილი. თითქოს ხაზი უნდოდა გაესვა, რომ არც დახოცილთა ჭირისუფლებისა და არც ქართველი სტალინისტებისა არ ეშინოდა.

აჯუბეის არ მოეწონა სიმამრის ნალაპარაკევი. იცოდა კურდღელივით აცახცახებული მჟავანაძეც კი მიხვდებოდა, რომ ქვეყნის მეთაურს დახოცილთა რაოდენობა კი არ აღელვებდა, არამედ მათი ჭირისუფლების, პოტენციური შურისმაძიებლების რაოდენობა აფიქრებდა.

— ნიკიტა სერგის ძევ, — მიმართა უცებ სიმამრს, — ვფიქრობ, ყველაფერი რიგზეა.

უნდოდა ეთქვა, ასაღელვებელი არაფერიაო. თავი დროზე შეიკავა, აღელვება ხომ შიშს ნიშნავდა. ენას კბილი დროზე დააჭირა.

— წინ რთული და მომქანცველი დღე გაქვთ. სამუშაო პროგრამა ხომ თვითონვე შეადგინეთ. იქნებ ცოტა ... ვენოთ.

ნიკიტა სერგის ძემ ერთბაშად ... ძნო დაღლილობა. ლაპარაკის ხალისი დაკარგა. სავარძლის საზურგეს მიაწვა და თვალები დახუჭა.

— თქვენის ნებართვით მე გავაცილებ ვასილ პავლეს ძეს.

ქვეყნის მეთაურმა პასუხის ნაცვლად ხელები სავარძლის სახელურებს ჩასჭიდა.

— გთხოვთ, ვასილ პავლეს ძევ!

მჟავანაძემ უმწეოდ შეხედა აჯუბეის. ძიშით ადგილიდან ვერ იძვროდა. ელოდა, დიდი სტუმარი როდის მისცემდა წასვლის თანხმობას.

ნიკიტა სერგის ძის თითქმის მიმშვიდებული სხეული გონებას უკანასკნელ სადისტურ ულუფას აწვდიდა. სახელმწიფოს ლიდერი მითვლემილ კაცს თამაშობდა, მაგრამ შეუმჩნევლად გახსნილი თვალის უპეებიდან კარგად ხედავდა, ვასილ მჟავანაძე რა ცეცხლში იწვოდა. შინაგანი ტკბობა გრძელდებოდა და, ბუნებრივია, ხმას არ იღებდა.

— გთხოვთ, ვასილ პავლეს ძევ, — ისევ გაუმეორა აჯუბეიმ, — თქვენც ხომ უამრავი პრობლემა გაქვთ გადასაჭრელი.

მჟავანაძემ ერთხელ კიდევ შეხედა ხრუშჩოვს, საცოდავად ამოიხვნეშა და კარისკენ გაემართა. საწოლი ოთახიდან გასვლის წინ აჯუბეიმ გაულიმა, თავი დაუკრა და უმალვე კარი მიუხურა.

ვასილ მჟავანაძემ ჯერ მისაღები დარბაზი გადაჭრა, იქიდან მარმარილოს კიბის ბაქანზე გავიდა და დაბლა დაეშვა. სახელმწიფოს მეთაურის პირად დაცვას გველნაკბენივით ჩაუარა, პომპეზურ სვეტებიან ფოიეში მძიმე კარი მოსკოვიდან ჩამოსულმა მცველმა გაუღო და ერთბაშად ეზოში აღმოჩნდა. იქვე, შორიახლოს, გივი ჯავახიშვილი, დევი სტურუა და ალექსი ინაური იდგნენ. ძნელი მისახვედრი არ იყო მჟავანაძის გამოჩენას მოუთმენლად რომ მოელოდნენ. შეურაცხყოფილმა და გა-

ნადგურებულმა ცენტრალური კომიტეტის მდივანმა სძლია საკუთარ თავს, ოფლიანი შუბლი ხელსახოცით მოიწმინდა და დაძაბულ მომლოდინეთ შორიდან გაუღიმა.

ყველამ შვებით ამოისუნთქა.

— მესამე ხომ არ დაუჭერიათ? — იკითხა მანქანაში ჩაჯდომისთანავე.

— ჯერ არა, — იყო პასუხი.

— რაღაც არ უნდა დაგვიჯდეს, ღღესვე უნდა დავაკავოთ

მანქანის დაძვრის წინ ვასილ მჟავანაძემ დიდი სტუმრის აპარტამენტის საძინებელი ოთახის ფანჯრებს თვალი შეავლო. მოეჩვენა, რომ ერთ-ერთი ფანჯრიდან ვიღაც ყურებოდა. შეკრთა, თავი უმალვე შეატრიალა და გზას გახედა.

„ვინ უნდა ყოფილიყო? — გაოცდა იგი, — დავიჯერო, ნიკიტა სერგის ძე გვითვალთვალებდა? — იქნებ აჯუბეი ან ნინა პეტრეს ასული? ალბათ მომეჩვენა, ნამდვილად მომეჩვენა!“ — დაასკვნა ბოლოს.

არ მოსჩვენებია. დარბაზიდან გავიდა თუ არა, ნიკიტა სერგის ძე ფეხზე ხვნეშით წამოდგა, ფანჯარასთან მივიდა, ფარდა ოდნავ გადასწია და იქაურობას თვალი მოავლო. მოსკოვიდან ჩამოსული მილიცია და უშიშროების კომიტეტის ჯარის წარმომადგენლები, პირველი მდივნის პირადი დაცვა, რესპუბლიკის ცენტრალური კომიტეტისა და მთავრობის ჩინიანი მორიგეები, ადგილობრივი დაცვა და მათი ხელმძღვანელები ეზოში ნერვიულად დააბიჯებდნენ. დარბოდნენ კიდეც. ნიკიტა სერგის ძემ საათს გახედა. წასვლის დრო ახლოვდებოდა და ალბათ მისი გამგზავრების უსაფრთხოებასთან იყო დაკავშირებული ამდენი ფუსფუსი და ნერვიული სირბილი.

— ნინა პეტრეს ასულო, — დაუძახა უკვე მეუღლეს. — აბა ერთი გადაიხედე, რა ღღეში არიან!

ფაშფაშა, მსუქანი ქალი მეორე ფანჯარასთან მივიდა და უზარმაზარ ეზოპარკს გადახედა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ხედავ?

— ვხედავ! — ნინა პეტრეს ასული ფანჯარას მოსცილდა და ქმარს მიუბრუნდა, — მაინც უნდა გისაყვედურო, ვასილ პავლეს ძისათვის სკამი აუცილებლად უნდა შეგეთავაზებინა!

ხრუშჩოვს სახე მოექცა.

— ხედავ, რა ბუნებაა ირგვლივ? ხედავ, სად ცხოვრობენ ეს ველურები? განა შეიძლება ველურების დანდობა? განა უკეთესი არ იქნება საქართველო უქართველებოდ? დიახ, საქართველო უქართველებოდ! — თვითონვე მოეწონა თავისი ფორმულა, — რა იქნა ალექსეი პეტრეს ძე? ახლავე დაუძახე!

„საქართველო უქართველებოდ!“ — ერთი სული ჰქონდა, აჯუბეის როდის ეტყოდა თავის ღრმააზროვან და ძვირფას ფორმულას.

— ალექსეი პეტრეს ძე მოსკოვს უნდა ელაპარაკოს.

ხრუშჩოვს გული დასწყდა, სიძეს რომ კიდევ ათ-თხუთმეტ წუთს ვერ გააცნობდა თავის გენიალურ დებულებას. კიდევ ერთხელ გადაიხედა ფანჯრიდან, ერთხელ კიდევ მოავლო კრწანისს თვალი, მერე უკან შემობრუნდა, საწოლს მიაშურა და ხმამაღლა წარმოსთქვა:

— დიახ, საქართველო უქართველებოდ!

— ჩუმად, არავინ გაიგონოს!

— გაიგონონ, თუ უნდათ! განა მაგათმა სახელოვანმა შვილმა ეშელონებით არ გაასახლა ინგუშები, ყალმიყები თუ ყირიმელი თათრები? არ დადგა დრო, თვითონაც გამოსცადონ, როგორია მთელი ერის გასახლების სიმწარე? მაშ, შენ ფიქრობ, რომ მჟავანაძისთვის სკამი უნდა შემეთავაზებინა? იცი, რა მითხრეს მოსკოვიდან გამომგზავრების წინ? მარტო იმ ადგილებში, სადაც ჩვენ წინასწარ შემუშავებული გეგმით უნდა გავიაროთ, სტალინის თოთხმეტი ათასი სურათი ჩამოხსნესო. უამრავი ქანდაკება და ბიუსტი დროებით

აიღეს და საგანგებოდ შეფუთესო, გესმის? თოთხმეტი ათასი სურათი. არ გეჩვენება, რომ პირველი სტალინისტი თვითონ გახლავს ეგ უბედური? თოთხმეტი ათასი! — წამოჯდა ნერვიულად საწოლზე, — სად იყვნენ აქამდე? თანაც სურათები და ქანდაკებები ჩამოხსნეს იქ, სადაც ჩვენ უნდა გავიაროთ. გგონია ,სხვაგანაც ახლებდნენ ხელს ყველა ხალხის მამისა და ბელადის პორტრეტებს და ქანდაკებებს? განგებ დავარღვევ მარშრუტს, განგებ წავალ სულ სხვა ქალაქებში! — ნიკიტა სერგის ძეს აშკარად მოსწონდა თავისი თავი. კიდევ უფრო სწყდებოდა გული, რომ მის ეფექტურ აღშფოთებას, მის მიერ გამოთქმულ დებულებებს და მოსაზრებებს ვერ ხედავდნენ და ვერ უსმენდნენ პოლიტბიუროს წევრები. მაშინ ხომ საბოლოოდ დარწმუნდებოდნენ, რა ღირსეული წინამძღოლი, შორსმჭვრეტელი და მოაზროვნე პიროვნება დგას გიგანტური სახელმწიფოს საჭესთან.

— თოთხმეტი ათასი, არა? აფსუს, რატომ არ დავაზუსტე ქანდაკებებისა და ბიუსტების რაოდენობა! გადამალეს ხომ, ვაუბატონებმა! თოთხმეტი ათასი რა არის, ერთ სურათს არ დავტოვებ საქართველოში. სტალინს აქვე მოვახრჩობ, აქ, თავის სამშობლოში, თავის მშობლიურ მიწაზე. ხვალვე, ხვალვე, ხვალ დილიდანვე ვაჩვენებ მათ, როგორ უნდა პოტიომკინის სოფლის მოწყობა. თანაც ვიმოქმედებ მოულოდნელად, გადაწყვეტილებებს მივიღებ წამიერად!— თოთხმეტი ათასი, არა?!

— დაწყნარდი, ადამიანო, დაისვენე, ნახევარ საათში მოგვაკითხავენ.

— თოთხმეტი ათასი! ნეტავ საფლავიდან წამოახედა და დაანახა, როგორ მხვდება ქართველი ხალხი! — პირველი მდივანი წამოდგა და ტუალეტისაკენ ფეხშიშველა გაემართა, — ხალხი! — შეჩერდა კართან და მეუღლეს მიუბრუნდა.

— რა არის ხალხი? ბრბო, უგუნურთა მასა. გადაუგდე ორი თბილი სიტყვა და გაიავდა! ხალხი...

ნიკიტა სერგის ძემ ტუალეტის კარი შეიკეტა.

4.

ხრუშჩოვს თვითონაც უკვირდა, წელან, სტალინის ხსენებისას გული ჩვეულებისამებრ რომ არ შეეკუმშა და გუნება არ გაუფუჭდა. მისი გონებიდან ხომ არადა არ ამოდიოდა შიში, სტალინის მავზოლეუმიდან გამოტანის ღამეს რომ დაეუფლა. მაინც როგორ განვითარდა მოვლენები? გიგანტური იმპერიის მესაჭე ძილის წინ თავის თავს ყოველთვის უსვამდა ამ შეკითხვას. ბელადი რომ მოკვდა, თავზარი დაეცა. იგი გულწრფელად შეიპყრო ღრმა მწუხარებამ. როგორ, რანაირად დაეუფლა სასოწარკვეთილების გრძნობა? მას ხომ თავიდანვე, განსაკუთრებით კი ომის შემდეგ, ჭირივით ეზიზღებოდა სტალინი? მაშ სიკვდილის შემდეგ სადღა გაქრა ზიზღი? მთელი მისი არსება რატომ მოიცვა გლოვამ და მწუხარებამ? განა ალალი არ იყო ის ცრემლი, სტალინის ცხედართან რომ ღაპაღუპით მოსდიოდა? მაშინ ხომ მართლაც გულწრფელად ტიროდა! თვითონაც ვერ გარკვეულიყო, რა ემართებოდა. ნუთუ მიცვალებულს ყველაფერი აპატია? ყველაფერი, — დაუნდობლობაც, შეურაცხყოფაც, შვილის სიკვდილიც? იქნებ ბელადის სიკვდილმა დაავიწყა ყველა უბედურება, რაც მისგან სჭირდა? იქნებ სიკვდილმა მის გონებაში სამუდამოდ წაშალა ყველაფერი ცუდი და დარჩა მხოლოდ დიდი ადამიანის სიკვდილით გამოწვეული უზარმაზარი გულისტკივილი? იქნებ სცდებოდა? იქნებ ადრე ეჩვენებოდა, რომ ბელადი არ უყვარდა? არა, არ ცდებოდა, არაფერი არ ეჩვენებოდა. სტალინი, განსაკუთრებით შვილის სიკვდილის შემდეგ საშინლად სძულდა. არამარტო სძულდა, ეზიზღებოდა კიდეც. მაგრამ თავის ზიზღსა

და სიძულვილს გონების რომელიღაც პასიურ უჯრედში ამწყვდევდა, გარეთ გამოსვლის საშუალებას არ აძლევდა. მომავალი პირველი მდივანი საშინელ შიშს ჰყავდა ატანილი. მისი ყოველი უჯრედი ისე იყო შიშით დაძაბუნებული, ვერა და ვერ გაებედა, ბელადის სიძულვილი გაეცნობიერებინა. სტალინზე ფიქრს საერთოდ ერიდებოდა. როცა ცხოველივით ჩაბუდებული სიძულვილი თავის ბუსუსებიან და შხამიან საცეცებს გამოაჩენდა, შიში შეიპყრობდა ხოლმე, ირგვლივ დაკვირვებით მიმოიხედავდა და ცდილობდა ფიქრი სხვა სატკივარზე გადაეტანა. ეშინოდა, ძალიან ეშინოდა, გულის სიღრმეში თუ კეფის უკან, შუბლიდან საკმაოდ მოშორებულ პასიურ უჯრედში შეკუჭული ზიზღი არ გაძლიერებულიყო, არ გაზრდილიყო და ტვინის ყველა უჯრედს არ მოსდებოდა.

საკუთარ თავს მაინც ვერ მოერია. ხანდახან, როცა ისვენებდა და თვლემდა, ტვინის შორეულ უჯრედში მიმალული შიში მშიერი თაგვივით სიბნელეში გამოდიოდა და მის ცარიელ სხეულში დასუნსულებდა. უმალვე ძილი უკრთებოდა, გამწარებული თაგვს დასდევდა და ცდილობდა ტვინის იმავე უჯრედში შეემწყვდია, საიდანაც წელან გამოსუნსულდა.

ერთხელ შიშს ვაჟკაცურად მოერია. იქნებ იმიტომაც, რომ ცოტა დალეული იყო. სავარძელში ნახევრად წამოწოლილმა პატარა თაგვს უფლება მისცა, ტვინის უჯრედიდან გარეთ გამოსულიყო. თვითონაც ვერ მიხვდა, პატარა ნაცრისფერი თაგვი შავ პანტერად როდის გადაიქცა. ალკოჰოლით გათამამებულმა პანტერას ნება მისცა, ჯუნგლებში თავისუფლად ეჯირითა. მაინც რა არ მოიგონა. ჯერ იყო და ბელადი ავტომატის ჯერით დაცხრილა. შურისძიების მოწოლილი გრძნობა ვერ დაიკმაყოფილა, ავტომატით დაცხრილვა იოლ სიკვდილად წარმოიდგინა და ამჯერად ბელადი სახრჩობელაზე დაკიდა. არა, არც ეს მოეწონა, თუმცა საკმაო ტკბობა იგრძნო, მის მოქანავე ფეხებს და გადმოკარკლულ თვალებს რომ ხედავდა. გაახსენდა ერთხელ კუნცევოში, სტალინის ავარაკზე, ეზოში პატარა ღრმულში წყალი რომ იდგა. სტალინი საშინლად გააცოფა ამ გუბის დანახვამ. ქვეყნის მომავალმა მესაჭემ თვალნათლივ წარმოიდგინა გუბესთან მდგარი ბელადი. უკნიდან კატასავით უჩუმრად მიეპარა და არაყის ბოთლი თავში ჩაარტყა, მერე, დარეტიანებულ ბელადს თავი გუბეში ჩააყოფინა და ჩაახრჩო.

მეორე ღღეს სტალინთან შეშინებული შევიდა. მოეჩვენა, რომ ბელადმა მისი ნაფიქრი და ნააზრევი უკვე იცოდა. ხრუშჩოვისათვის არც შეუხედია, ისე ჰკითხა:

— ცუდად ხომ არ ბრძანდებით, ნიკიტა სერგის ძევ?

— მგონი, ვერა ვარ კარგად, რაღაც ტანში მამტვრევს.

სტალინი წამოდგა, ხრუშჩოვთან ახლოს მივიდა და თვალებში მკაცრად ჩახედა.

— სანამ გონებაში უკეთური აზრები გიტრიალებს, მუდამ ასე იქნება. ეს კარგად უნდა გახსოვდეს, ნიკიტა სერგის ძევ!

ხრუშჩოვს ისეთი განცდა დაეუფლა, თითქოს მკერდში გულის ნაცვლად ცხელი უთო უფეთქავდა.

მას შერე პატარა ნაცრისფერ თაგვს აღარც კი უცდია, ტვინის შორეული და პასიური უჯრედიდან თავი გამოეყო. იჯდა თავისთვის თვალდახუჭული და მოთმინებით ელოდა... რას ელოდა? იქნებ ჰქონდა იმედი, რომ ანგარიშის გასწორების დრო დადგებოდა?

ბელადის ავადმყოფობის დროს თაგვს თვალი არ გაუხელია, მით უმეტეს, პასიურ უჯრედში ჩაჭედილს გარეთ გამოსვლა ერთი წამითაც არ უცდია. არც ბელადის სიკვდილის შემდეგ გამოჩენილა. სახელმწიფოს მომავალ მეთაურს საერთოდ დაავიწყდა თავისი გაძვალტყავებული, ლამის სიკვდილამდე მი-

სული თაგვის არსებობა. ბერიას განადგურებისა და ძალაუფლების ხელში ჩაგდების შემდეგ პატარა ნაცრისფერმა თაგვმა თავი ისევ გამოყო, ულვაშები აცმაცუნა და ტვინის უფრო აქტიურ უჯრედებში გადაინაცვლა. სასიკვდილოდ მისავათებული სწრაფად გამოცოცხლდა, მოღონიერდა, გათამამდა, გაიზარდა, გასუქდა, გათავხედდა კიდეც. ახლა იგი გენერალური მდივნის მთელ სხეულში დასეირნობდა და გულის ხშირი სტუმარიც გახდა.

ხრუშჩოვი გრძნობდა, სტალინის ზიზღი და ბოღმა თანდათან როგორ აგიჟებდა. ძველ ანგარიშებს ყოველდღიურად ახალიც ემატებოდა. თითქოს პრიალა, გაქონილ კანგადაკრული კეფის ქვეშ მოთავსებული თხევადი ტვინის კრისტალიზაცია დაეწყო, მიხვდა, ამოდენა სახელმწიფოს მეთაურობა არც ისე იოლი ყოფილა, თავიდან რომ ეგონა. იმასაც მიხვდა, დიდი ბელადის ავტორიტეტი გრანიტის ლოდივით რომ აწვა და გაჭყლეტას უქადდა.

„ხალხი უნდა მივიმხრო, ხალხი, რომელმაც სტალინის მივიწყებაც არ მაპატია. ისეთი რამე უნდა გავაკეთო ისეთი ნაბიჯი უნდა გადავდგა, ძალზე განსხვავებული, უფრო მეტიც, დიამეტრალურად განსხვავებული რომ იქნება სტალინის პოლიტიკისაგან. სტალინის საქმის გაგრძელება, თუნდაც ბრძნულად და ორგანიზებულად გაგრძელდა, სახელს ვერ მომიტანს. მე, მართალია, ვიქნები ბელადის საქმის გამგრძელებელი, მაგრამ არა ბელადი, არა მნიშვნელოვანი პიროვნება. ვიქნები მხოლოდ მისი იდეების ერთგული, მაგრამ საშუალო შემსრულებელი.

რაღა დამრჩენია?

განსხვავებული ნაბიჯები უნდა გადავდგა! დიახ, განსხვაებული...

განსხვავებული? ესე იგი, საწინააღმდეგო! დიახ, მხოლოდ ბელადის საწინააღმდეგოდ გადადგმული ნაბიჯები მომიტანს საერთაშორისო აღიარებასა და პოპულარობას, მხოლოდ ბელადთან დაჯახება აფეთქდება ბომბივით, სწორედ ბელადთან დაპირისპირება იქნება სტალინური ეპოქის შეზანზარება.

მაგრამ როგორ?

მაგრამ როგორ?“

სახელმწიფოს ლიდერი თითქოს გრძნობდა, რომ ორი ნაკადი თანდათანობით დიდდებოდა და სულ მალე მდინარეებად იქცეოდა. პირველი იყო სტალინის სიძულვილი და შურისძიების წყურვილი, მეორე — განდიდების მანია, თვით სტალინზე უფრო ძლიერად აღზევების უმძაფრესი სურვილი.

„რით შეიძლება ხალხს შევურყიო ბელადისადმი სიყვარული და ლამის მონური თაყვანისცემა? სადაა ის ყველაზე მტკივნეული და სუსტი ადგილი, რომლის მხილება ხალხს ჩემს მიმართ თავდაპირველად საშინლად აღაშფოთებს, შემდეგ და შემდეგ დააფიქრებს, გააოცებს, ტემპერამენტს თანდათანობით დააოკებს და საბოლოოდ მაინც განაწყობს სტალინის წინააღმდეგ?

რასაკვირველია, რეპრესიები!

რასაკვირველია, ოცდაჩვიდმეტი და სხვა წლები!“

ნიკიტა სერგის ძეს გაახსენდა, თავისი აღმოჩენით ატაცებული როგორ წამოიჭრა ფეხზე და როგორ დაძუნძულებდა უზარმაზარ კაბინეტში. მიხვდა, სტრატეგიული მიმართულება ნაპოვნი ჰქონდა. ახლა ტაქტიკის შემუშავება იყო მთავარი. დიახ, ტაქტიკას სჭირდებოდა ჯეტალური ანალიზი, სიბრძნე და დაკვირვება. ყოველი წვრილმანი ბოლომდე უნდა გაეთვალა და გაეანალიზებინა. ათას, უფრო მეტიც, ათი ათას ვარიანტს შორის, ყველაზე უფრო რეალური და ეფექტური უნდა ამოერჩია. იცოდა, სტალინზე აუგის თქმა ხალხში რა შოკსაც გამოიწვევდა. მარტო საბჭოთა ხალხში კი არა, მთელს მსოფლიოში! ჯერ ოფიციალურად ბელადზე არავის დასცდენია უბრალო კრიტიკული სიტყვაც კი,

მაგრამ პრესაში, რადიოსა და ტელევიზიაში მისი სახელის მივიწყებამ მთელს ქვეყანაში გამოიწვია მითქმა-მოთქმა. ადვილი წარმოსადგენი იყო, ბელადის მხილებას რა მოჰყვებოდა.

უცებ ის საშინელი ღამე გაახსენდა, ბელადი რომ გამოიტანეს მავზოლეუმიდან. სტალინის მავზოლეუმიდან გამოსვენებაზე დადგენილების მიღების შიშმა შეიპყრო. შეამცივნა კიდეც და ფეხებიც აუკანკალდა. დადგენილების მიღებისთანავე, გამოყო თუ არა ოპერაციის განმახორციელებელი ჯგუფი, უმალვე შინ გაეშურა.

შინაურები წინასწარ აგარაკზე გაგზავნა. ასე სჯობიაო, — უთხრა ნინა პეტრეს ასულს და აღარ მოჰყვა იმის განმარტებას, თუ რატომ „სჯობდა ასე". წინასწარ ჰქონდა გადაწყვეტილი, შინ მარტო დარჩენილიყო. არ უნდოდა, თავისი შიში და ვნებათაღელვა ვინმეს, თუნდაც საკუთარი ოჯახის წევრს შეემჩნია. დაცვის უფროსს დილიდანვე უბრძანა, მცველთა რიცხვი სამჯერ მაინც გაეზარდა და ტელეფონებს ეცა. შეამოწმა, რომელიმე მათგანი გამოთიშული ხომ არ არისო. ტელეფონების ზუმერმა თითქოს დაამშვიდა. კაბინეტში და მთელ ბინაში მარტოდ დარჩენილი მარტოობას თითქმის აღარ გრძნობდა. მაგიდაზე ლამაზად ჩამწკრივებულ აპარატებს ხელი სიყვარულით ისე მოუთათუნა, თითქოს თავის საყვარელ კატას ეფერებაო. და აი, მას, სახელმწიფოს მეთაურს, შეეძლო დასწვდომოდა რომელიმე ყურმილს და მთელი საბჭოეთი ფეხზე დაეყენებინა. დიახ, ტელეფონის ერთ მხარეს იყო იგი, ნიკიტა სერგის ძე ხრუშჩოვი, მეორე მხარეს კი ორასორმოცი მილიონი ადამიანი, მთელი საბჭოთა კავშირი. უფრო მეტიც. მთელი აღმოსავლეთ ევროპა, ჩინეთი, ვიეტნამი, კორეა!

„ჩინეთი, ჩინეთი?" — გაიელვა გულში სინანულით და უმალვე შეეცადა, ფიქრი ამ მიმართულებით აღარ გაეგრძელებინა.

უაღერესად დაძაბულ და დამუხტულ სიტუაციაში მარტოდ დარჩენილი, ტელეფონის აპარატებს ერთგული მეგობრებივით აღიქვამდა და მარტოობის სიძძიმეს ნაწილობრივ მაინც იმსუბუქებდა.

დროდადრო საათისკენ იცქირებოდა. სტალინის მავზოლეუმიდან გამოსვენებამდე კიდევ სამი საათი რჩებოდა. დრო ძალზე ნელა, მაგრამ მაინც გადიოდა. ერთი საათიც აღარ იყო დარჩენილი, რომ ხრუშჩოვს შიში შეეპარა, ვაითუ მეცვალებულისა შეეშინდეთ და გამოსვენება ვერ გაბედონო. თვითონ ხომ უნდოდა, საკუთარი თვალით ენახა, როგორ გამოიტანდნენ ბელადს მავზოლეუმთან და როგორ ჩააგდებდნენ მიწაში. დიდი სურვილი ჰქონდა, მაგრამ იქ მისვლა მაინც ვერ გაბედა. რატომ არ უნდა ეფიქრა, რომ სხვასაც შეიპყრობდა შიშის გრძნობა?! რა განწყობა დაეუფლება ოპერაციის მონაწილეებს, გენერალი-სიმუსის ფორმაში გამოწყობილი სტალინის ცხედარს რომ დახედავენ?! მათ ხომ ჩემსავით არ ეზიზღებათ სტალინი?! ვინ იცის, იქნებ გულის სიღრმეში უყვართ კიდეც თავიანთი ბელადი და იქნებ ჩემზეც არიან დაბოღმილნი?! იქნებ ბოლო წამს მათ არსებაში იფეთქოს კიდევ პროტესტის გრძნობამ და ხალხიც უმალვე აიყოლიონ?!

ამჯერად კიდევ უფრო დარწმუნდა თავისი გადაწყვეტილების სისწორეში, ნამდვილად კარგად მოეიქეცი, გამოსვენების პროცესს რომ არ ვესწრებიო. იქ იოლი იქნებოდა ჩემთვის ანგარიშის გასწორება. საკმარისი იყო ერთი, წონასწორობიდან გამოსული სამხედრო მონაწილე და იქვე აუგებდნენ წესს. აქ ვერ მომწვდება მათი ხელი, აქ შემიძლია სავსებით მშვიდად ვიყოო, — ფიქრობდა იგი. უცებ ძუნძული შეწყვიტა. სავარძელთან მივიდა, მოწყვეტილი ჩაჯდა და ფეხები გაჭიმა. შეეცადა საათისთვის აღარ შეეხედა. ცდილობდა ფიქრი სულ სხვა საგანზე გადაეტანა. არაფერი გამოუვიდა. დროდადრო

ცხვირსახოცს იღებდა და შუბლზე მომსკდარ ოფლს იწმენდდა. ასე ტანჯვაწამებაში შესრულდა დათქმული დრო — დილის სამი საათი. მღელვარებამ და შიშმა ახალი ძალით შეიპყრო. გული მწიფე ნაყოფივით ჩამოვარდნას ლამობდა, კიდეც ცოტაც და მოწყდებოდა, საშინელი სისწრაფით ძირს დაეშვებოდა და სადღაც შორს, შორს, ბნელ უფსკრულში ჩაიკარგებოდა.

როგორც იქნა, დარეკა ტელეფონმა. ასაკისა და წონისათვის შეუსაბამო ახალგაზრდული სისწრაფით მაგიდასთან მიიჭრა და ყურმილი აიღო. სამხედრო წესით მოახსენეს, დავალება შესრულებულიაო.

ერთხანს ხმა ვერ ამოიღო. თვალზე ცრემლი მოადგა და ატირდა. ყურმილი ბერკეტზე დადო, მაგიდას შემოუარა, საკარძელში ჩაჯდა და ცხვირსახოცი სახეზე აიფარა. რატომ ატირდა სახელმწიფოს ლიდერი? ბევრჯერ შეეცადა გაეანალიზებინა, რა იყო ტირილის მიზეზი, სიხარული თუ სინანული? იქნებ ორთავე ერთად? იქნებ არც ერთი და არც მეორე? იქნებ მხოლოდ დაძაბული სხეულისა და ფოლადის სიმებივით დაწყვეტამდე დაჭიმული ნერვების დამშვიდების რეაქცია? რატომ ვერ ამოიღო ხმა? იმავე წამს რატომ დაკიდა ყურმილი?!

ცნობისმოყვარეობა კლავდა, ყველაფერი დაწვრილებით მოესმინა. როგორ გამოიტანეს სტალინის კუბო, როგორ ჩაუშვეს მიწაში, როგორ დააყარეს მიწა; რას განიცდიდა, რას ფიქრობდა ამ დროს ოპერაციის თვითოეული მონაწილე. მაინც რა გამომეტყველება ჰქონდა იმ ქართველ ვაჟკაცს... — ვერა და ვერ გაიხსენა საქართველოს მაშინდელი მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის გვარი — კუბოს რომ მოჰკიდა ხელი? დავიჯერო, გულწრფელი იქნებოდა მისი საქციელი?

„მაინც როგორ გამაცურა მჟავანაძემ, რა დროს მოიგონა ავადმყოფობა. მას, სწორედ მას უნდა გამოესვენებინა სტალინი მავზოლეუმიდან! დღეს აღარ ღირს დარეკვა და დეტალების დაზუსტება. ერთი მხრივ, კარგიც გამოვიდა, ხმა რომ არ ამოვიღე. ჩემს დუმილს მილიონნაირი ფიქრი და ახსნა მოჰყვება, რაღა დარჩა, უკვე ხუთი საათია ოთხ საათში კრემლში ჩამაბარებენ პატაკს. იქაც თავდაჭერილად უნდა მოვისინი ყველაფერი. ხალხმა უნდა იფიქროს, რომ მეც სხვებთან ერთად განვიცდი ბელადის ცხედრის მავზოლეუმიდან გამოსვენებას. არავის უნდა ეგონოს, რომ ეს იყო შურისძიება, სასტიკი შურისძიება, რომლისთვისაც ღირდა ამ ქვეყნად ჩემი გაჩენა. ბელადის მავზოლეუმიდან გამოსვენების ფაქტი ყველამ უნდა გაგოს როგორც უზარმაზარი მნიშვნელობის ისტორიული ნაბიჯი, ნაბიჯი, რომელმაც ძირფესვიანად უნდა შეარყიოს სტალინის მიერ ადამიანთა სისხლით შედუღაბებული იმპერია“.

„მოვუგე კი ბელადს ბრძოლა?“

დაუსვა უცებ საკუთარ თავს შეკითხვა და გულზე უმალვე ცხელი კუპრი გადადაესხა. გლეხურმა, მზაკვრულმა ინტუიციამ უკარნახა, რომ სტალინთან ბრძოლა მხოლოდ ახლა იწყებოდა. პროლეტარიატის დიდი ბელადი ორი მეტრის სიღრმეში სამარეში ჩაფლო, მაგრამ ისიც იცოდა, იგი კვლავ ათეულ მილიონობით ადამიანთა გულში ცოცხლობდა. წინასწარ გრძნობდა სტალინიზმით დაავადებული გულები და ვონება როგორი ძალით გამძვინვარდებოდა.

ტელეფონმა დარეკა.

შეკრთა.

„ვინ უნდა იყოს? ხომ არაფერი მოხდა?“

— გისმენთ!

შვებით ამოისუნთქა. აჯუბეი ურეკავდა.

—ნიკიტა სერგის ძევ, გილოცავთ გამარჯვებას! — სიძის ხმა საზეიმოდ ჟღერდა, — თქვენს მიერ დღეს გადადგმული ნაბიჯი უდიდესი ისტორიული ნაბიჯია თავისი ყველა განზომილებით. დღეიდან მთელი მსოფლიო იწყებს

თვისობრივად ახალ ცხოვრებას! სრულებითაც არ გადავამეტებ თუ ვიტყვი, რომ დღევანდელი თქვენი ნაბიჯი თავისი მნიშვნელობით ტოლფასია ნებისმიერი დიდი ისტორიული მოვლენისა, თუნდაც იგივე ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციისა!

პასუხად ხრუშჩოვმა კმაყოფილებით ჩაიცინა და ყურმილი ბერკეტზე დადო. მიხვდა, აჯუბეიმ სათქმელი უკვე თქვა. დიალოგს აზრი აღარ ჰქონდა.

მხოლოდ ახლაღა მიაქცია ყურადღება, რომ მთელი კაბინეტი გაეჩახჩახებინა. სხვა დროს მხოლოდ მაგიდის ნათურას თუ აანთებდა. შერცხვა: მიხვდა, ჭაღი, ყველა ბრა და მაგიდის სინათლე შიშმა ინსტიქტურად რომ აანთებინა.

„შიშმა? რისმა შიშმა? სიბნელის შიშმა?“ — მისცა საკუთარ თავს შეხსენება და ცოფი მოერია. არ უნდოდა, მაგრამ მერამდენედ გახდა იძულებული ეღიარებინა, რომ მკვდარი სტალინისაც კი ეშინოდა. დიახ, გაღიზიანებული და განძვირებული სტალინისტებისა კი არა, თვითონ სტალინისა, სანთლის ფიტულად ქცეული და მიწაში სამუდამოდ ჩამარხული სტალინისა.

სინათლეების ჩაქრობა ვერ გაბედა. ფეხზე წამოდგა და სიძის სიტყვებით გაბრნყინვებულმა ოთახში ბოლთა დასცა.

„რა მოხდება ხვალ? რა ინფორმაციებს მოიტანს ტელეტაიპები?“

უცებ ინანა, ცოლ-შვილი აგარაკზე რატომ გავუშვიო. ძილი დაუფრთხა და გამარჯვების ნეტარ ბურუსში გახვეულს შინაურებთან ლაპარაკის საღერღელი აეშალა.

ვინ იცის, ნიკიტა სერგის ძეს უკვე მერამდენედ გაუელვა თავში ამ ეპიზოდებმა. ჯერ კიდევ მოსკოვში, თბილისში გამომგზავრებამდე, შემდეგ გამგზავრების წინა დღეს, განსაკუთრებით კი თვითმფრინავში.

და აი ახლა, ბელადის სამშობლოში ტრიუმფული შეხვედრის შემდეგ, გული კი არ მოულბა ქართველ ხალხზე, პირიქით, შურისძიების გრძნობამ შეიპყრო. მას ქართველი ხალხიც ისევე ეზიზღებოდა, როგორც სტალინი. ამიტომაც, აქ, თბილისში, განსაკუთრებული გემო ჩაატანა მავზოლეუმიდან სტალინის გამოსვენების ეპიზოდების გახსენებას. აქ, თბილისში, საქართველოში, კიდევ ერთხელ და კიდევ უფრო მძაფრად ინანა, რომ ვერ განახორციელა თავისი ბინძური და ვერაგული ჩანაფიქრი. ძლივს დაარწმუნეს ოჯახის წევრებმა, რომ მისი გადაწყვეტილების განხორციელება ძალზე გააღიზიანებდა სტალინისტთა მრავალმილიონიან არმიას, რომ თვით ანსტასტალინისტთა შორისაც კარგს არაფერს მოუტანდა იგი ჰუმანური დი კაცთმოყვარე სახელმწიფოს მეთაურის ავტორიტეტს. იქნებ ოჯახისთვის არც გაეწია ანგარიში შურისძიებით აღტყინებულ სახელმწიფოს მეთაურს. იქნებ განეხორციელებინა კიდეც თავისი შემაძრწუნებელი გადაწყვეტილება — დაეწვა ბელადის გვამი, ფერფლი ტუალეტში ჩაეყარა და კანალიზაციისთვის გეტანებინა ერთ დროს ლამის ღმერთისოდენა კაცის უკანასკნელი ნაშთი, აჯუბეის რომ არ ემარჯვნა.

„თქვენმა დიდმა და ჰუმანურმა ნაბიჯებმა მსოფლიოს თვალში პლანეტის უპირველეს ადამიანად გაქციათ. თქვენი პოლიტიკური პორტრეტი მთელი პროგრესული კაცობრიობის თვალში ჰუმანისტი, კაცთმოყვარე და დიდი რეფორმატორის პორტრეტია. ნუ დაალაქავებთ ამ პორტრეტს, ნიკიტა სერგის ძევ, თქვენს მასშტაბურ ანტისტალინურ ბრძოლას ნუ დაიყვანთ პიროვნული ანგარიშსწორების დონემდე“.

სხვა დროს აჯუბეის იქნებ ვერც გაებედა სიმამრისათვის მსგავსი სიტყვები ეთქვა, მაგრამ რა ექნა, მეტი გამოსავალი არ ჰქონდა. მან მშვენივრად იცოდა, ხრუშჩოვის ჩანაფიქრის განხორციელებას რაც მოჰყვებოდა.

„აბა, რა ეგონა!—ბობოქრობდა სახელწიფო მეთაური, — აბა რა ეგონა! ხომ

ეროვნული ბიბლიოთეკა

მხვდება მიწაზე გართხმული მთელი საქართველო! ჯერ კიდევ სადა ხარ, იოსებ ბესარიონის ძეე!"

ჭრელნიფხვნიანი და ფეხშიშველა გენერალური მდივანი, ღიპი რაღაც უცნაური ბურთისმაგვარი ცხოველივით რომ ეჯდა კალთაში, მანამდე უქნევდა ისტორიას მუშტებს, სანამ ვნებები არ დაუცხრა და გუნებაც საბოლოოდ არ გამოუკეთდა.

5.

თბილისის ახლადაშენებული სპორტის სასახლე საზეიმო მუსიკისაგან და შეძახილებისაგან გრგვინავდა. ხრუშჩოვთან შეხვედრამ გრანდიოზულობით და პომპეზურობით მანამდე ჩატარებულ ყველა შეხვედრას გადააჭარბა. ნიკიტა სერგის ძე ტრიუმფატორივით იდგა და ხალხს ხელაწეული ესალმებოდა. ამ წუთში თითქოს აღარც კი სძულდა ალტაცებისაგან აბღავლებული მოლაქუცე ბრბო. გაბარებულ ვასილ მჟავანაძე თვალებში შესცინებდა, თვითონ თვალზე ცრემლმომდგარი ცდილობდა გამოეცნო, რამდენად გულრწფელი იყო სახელმწიფოს ლიდერის სიხარული. დღევანდელ შეხვედრაზე ხომ იგი უზარმაზარ იმედებს ამყარებდა. სწორედ დღეს, აქ, სპორტის ახლადაშენებულ დიდებულ სასახლეში, რესპუბლიკის პარტიულ აქტივს, მის ხელმძღვანელებს, ახალგაზრდობასა და, საერთოდ, მთელ ქართველ ერს რუსთა ხელმწიფისათვის თავისი მონური ერთგულება უნდა დაემტკიცებინა. ვიღას ახსოვდა ცხრა მარტს დაღუპულთა სისხლი, ვიღას ახსოვდა ის დამამცირებელი და დაუნდობელი რისხვა, საქართველოს რომ დაატეხეს თავზე. თვით ის ადამიანებიც კი თავდაუზოგავად უკრავდნენ ტაშს, გუშინ მისი ხსენებაც რომ ზიზღსა ჰგვრიდათ. იქნებ ამ წუთებში გულწრფელიც იყო მათი ბღავილი და აღტყინება, იქნებ ხრუშჩოვის უზარმაზარმა, შეუზღუდავმა ძალაუფლებამ საღღაც გულის სიღრმეში მიკუჭა, უფრო მეტიც, მთლიანად გააქრო მათი ზიზღი?!

წარმატებისაგან თავბრუდახვეულმა ტრიუმფატორმა კონტროლი დაკარგა. მისი სული, მისი გონება ადულებულ რძეს ჰგავდა, ქვაბიდან გადმოსასვლელად მთელი სისწრაფით რომ ზემოთ მიისწრაფვოდა.

აჯუბეი მიხვდა, თუ სიმამრს დროზე არ მოთოკავდა, შეიძლება წყალში გადაყრილიყო მთელი დღევანდელი დღის წარმატებანი. ხალხს ენერგიულად მოუწოდა მანქანებში ჩავსხდეთო და მლიქვნელთა არმიაც უმალვე ორად გაიყო. ნიკიტა სერგის ძემ სახეგაბადრულმა გაიარა აღტაცებისაგან სახემონგრეული ადამიანების ცოცხალ დერეფანში.

კრწანისში, ბანკეტამდე მცირეოდენი ხნით დასასვენებლად დაბრუნებულ ხრუშჩოვს დიდი და სასიხარულო სიურპრიზი ელოდა. მაგიდაზე შავი ხისგან დამზადებულ ლამაზ ხონჩაზე იდო პატიოსანი თვლებით მოოჭვილი, თამარ მეფის ოქროს თასი.

— ნინა პეტროვნა, რა არის მაგიდაზე? — ვითომ ვერაფერს მიხვდა ნიკიტა სერგის ძე.

ფაშფაშა, ბედნიერებით სახეაფაკლულმა ქალმა ოქროს თასი ხელში აიტაცა.

— ახ, რა მშვენიერია! — შეჰკივლა გახარებულმა, — ეს ხომ თამარ მეფის თასია.

სახელმწიფოს მეთაურმა ბოროტად ჩაიცინა, მეუღლეს თასი გამოართვა, ხარბი თვალით კარგახანს წაღმა-უკუღმა ატრიალა და შემდეგ ამაყად კვლავ მეუღლეს დაუბრუნა.

— ნახევარი კილო მაინც იქნება! — თქვა კმაყოფილებით.

— ეგ ოქრო, ახლა იანგარიშე, რამდენი პატიოსანი თვალია ზედ?!

ნიკიტა სერგის ძემ კვლავ ბოროტად ჩაიცინა. რამდენი რამ იყო მის ჩაცინებაში, შურისძიებაც, ზიზღიც,

ნიშნის მოგებაც. სახელმწიფოს მეთაურის არსებაში უკვალოდ გაქრალიყო ის აღტყინება, სპორტის სასახლეში რომ დაეუფლა სიხარულის ექსტაზით მთვრალს.

დარბაზში აჯუბეი შემოვიდა.

— აი, რა დაგვახვედრეს! — სახეგაბრწყინებულმა ნინა პეტრეს ასულმა სიძეს შორიდანვე დაანახა ოქროს თასი.

აჯუბეი მოიღრუბლა. გუშინდელი სამარცხვინო ამბავი გაახსენდა, საქართველოს ხელოვნების მუზეუმში რომ მოხდა, სიდედრს მაინც ზრდილობიანად გაუღიმა, თასი ჩამოართვა, უხალისოდ შეათვალიერა და შავი ხის ხონჩაზე დადო. უმალვე მიხვდა, ოქროს თასი ხის შავი ხონჩით რომ მიართვეს ქვეყნის მეთაურს.

უძვირფასესი საჩუქრით აღტაცებული ნინა პეტრეს ასული ვერც კი მიხვდა, სიძე რომ უკმაყოფილო და განაწყენებული ბრძანდებოდა. არა, აჯუბეი სიდედრის თავხედურმა მოთხოვნამ როდი გააბრაზა, თამარ მეფის ოქროს თასი მაჩუქეთო, — იგი არც თვითონ ამბობდა საჩუქრებზე უარს. მით უმეტეს, უძვირფასეს ისტორიულ ნივთზე, რომლის ჭეშმარიტი ფასიც მან მშვენივრად იცოდა. აჯუბეი სულ სხვა რამემ გაამწარა შუბლზე ცივმა ოფლმა დაასხა. უმალვე ცხვირსახოცი ამოიღო, შუბლი მოიწმინდა და საუბრის სხვა თემაზე გადატანას შეეცადა. არაფერი გამოუვიდა. ნინა პეტრეს ასულმა პატიოსანი თვლებით მოოჭვილი თასი კვლავ ხელში აიტაცა და ხარბი თვალებით დაუწყო ლიციცი.

აჯუბეის კვლავ თვალწინ დაუდგა გუშინდელი სცენა. მთელი სიზუსტით გაახსენდა, პროფესორმა ალექსანდრე ოდიშვილმა რა მოკრძალებით აიღო ხელში თამარ მეფის თასი. ისიც განაცხადა, ამ თასს მხოლოდ მაშინ ვეხებით ხელით, როცა თქვენისთანა ძვირფასი სტუმრები გვყავსო და ნიკიტა სერგის ძეს მოკრძალებით გაუწოდა. ერთხანს დუმილი ჩამოვარდა. ხრუშჩოვის ქონიან, კოტიტა თითებში დატყვევებული — მზესავით ბრწყინავდა თამარ მეფის თასი. ყველამ შეამჩნია, სიხარბემ თვალებიდან ხელებში როგორ გადაინაცვლა და პატიოსანი თვლებით მოოჭვილ ოქროს თასზე მოლაციცე თითები ოდნავ შესამჩნევად როგორ აუკანკალდა. ნიკიტა სერგის ძემ იგრძნო, მეუღლეს ერთი სული ჰქონდა, ოქროს თასს ხელს როდის შეავლებდა. დიდი სტუმარი მკვირცხლად მოტრიალდა და თასი მეუღლეს გაუწოდა.

— მართლაც რა მშვენიერი რამაა! — აღმოხდა ნინა პეტრეს ასულს.

პროფესორმა მოკლედ დაახასიათა თამარის ეპოქა და კვლავ გაჩუმდა. მიხვდა, მისი საუბარი სტუმრებს მაინცდამაინც არ აინტერესებდათ. იგი ახლა, უბრალოდ, ელოდა, ნინა პეტრეს ასული თასს როდის დაუბრუნებდა, რომ შემდეგი ექსპონატისაკენ გადაენაცვლათ. ნინა პეტრეს ასული არ ჩქარობდა, თასს ხელში ატრიალებდა, პატიოსან თვლებს გაბრწყინებული თვალებით ეალერსებოდა და ადგილიდან ფებს არ იცვლიდა. ყველანი მიხვდნენ, აშკარად ელოდა, ვასილ მჟავანაძე როდის ეტყოდა, თუკი თასი მოგეწონათ, საჩუქრად მიიღეთ საქართველოში გატარებული დღეების მოსაგონებლადო დუმალი უხერხული ხდებოდა. უცებ ნინა პეტრეს ასულმა თასი კვლავ მეუღლეს გადააწოდა.

— ნიკიტა სერგის ძევ, მართლაც რომ უნიკალური რამ გახლავთ! ჩვენს კოლექციაში მსგავსი არაფერი გაგვაჩნია.

ვასილ მჟავანაძე როგორც იქნა გონს მოეგო. მუხლი მოეკვეთა, გუნება მოეშხამა. კარგად იცოდა, სამუზეუმო ნივთის გასაჩუქრება არავითარ შემთხვევაში არ შეიძლებოდა, თუმცა იმასაც მიხვდა, მეტი გამოსავალი არ ჰქონდა. აღელვებულმა და დაბნეულმა უძვირფასესი სამუზეუმო ნივთის გაჩუქებას რაღაც გამართლება მაინც მოუნახა, — საქართველოსადმი მტრობითა და ზიზღით

სავსე გული იქნებ როგორმე შემოუბრუნდესო, — და პროფესორს მიუბრუნდა.

— ძვირფასო მეგობრებო! — მიმართა მან პროფესორს, თუმცა მისი სიტყვები ყველა იქ მყოფ ქართველს ეხებოდა,— რაკი ჩვენს დიდ სტუმრებს ასე მოეწონათ თამარ მეფის დროინდელი უმშვენიერესი თასი, მინდა ყველა თქვენგანის სახელით (ამ სიტყვას განსაკუთრებით გაუსვა ხაზი. ყველა მიხვდა, სადაც უმიზნებდა ვასილ მჟავანაძე,—ძვირფას სტუმრებს ოქროს თასს მე კი არა, ყოველი ჩვენთაგანი, ხოლო ჩვენი სახით კი მთელი ქართველი ხალხი სჩუქნისო) მივუძღვნა იგი ჩვენს უძვირფასეს ნინა პეტრეს ასულს და ნიკიტა სერგის ძეს.

ირგვლივ უხერხული დუმილი ჩამოვარდა. საჩუქრით გახარებულმა სტუმრებმა ვერც კი აღიქვეს შეურაცხყოფილი მასპინძლების დუმილი. მხოლოდ ვასილ მჟავანაძემ იგრძნო, ზურგი როორ დაუკბინა მილიონობით ჭიანჭველამ.

— ღრმად პატივცემულო ნიკიტა სერგის ძევ! — გაისმა უცებ პროფესორის ხმა, — ჩვენ მუზეუმის თანამშრომლები და სპეციალისტები დიდად ბედნიერნი ვართ, რომ ასე მოგეწონათ მეთორმეტე საუკუნის ქართული უნიკალური ნაკეთობა.

სტუმრებს გარდა ყველანი დაიბნენ. არ იცოდნენ, პროფესორი ალექსანდრე ოდიშვილი რას მოიმოქმედებდა. მისი კეთილსინდისიერება, პრინციპულობა და შეუპოვრობა ყველასათვის კარგად იყო ცნობილი, მაგრამ ახლა, ამ წუთში, როცა რესპუბლიკის ლიდერმა სახელმწიფო მეთაურს უკვე მიუძღვნა უძვირფასესი საჩუქარი, მონახავდა კი რაიმე გამოსავალს?

პროფესორს მარტო სახე კი არა, ხელებიც გაჰფითრებოდა. ხმა შესამჩნევად უკანკალებდა, სუნთქვა უჭირდა და ნაწყვეტ-ნაწყვეტ ლაპარაკობდა.

ნიკიტა სერგის ძეს არც მისი გაფითრება გაჰკვირვებია და არც მისი აკანკალებული ხმა. იგი მიჩვეული იყო, რომ სახელმწიფოს ლიდერის წინ ადამიანები ფითრდებოდნენ და კანკალებდნენ. ხრუშჩოვმა პროფესორის ინტონაციაში ი.ასის გასაჩუქრებით გამოწვეული შეშფოთება კი არა, სამყაროს მეორე ნახევრის მეთაურის წინაშე რიდი და ძრწოლა დაინახა.

— ღრმად პატივცემულო ნინა პეტრეს ასულო, — მიუბრუნდა ახლა იგი ხრუშჩოვის მეუღლეს, — იმედს არ ვკარგავთ, რომ თქვენს ოჯახში დაიწყება ამ უნიკალური ნივთის ახალი ცხოვრება. გვჯერა, თქვენი სტუმრები, პლანეტის უდიდესი ადამიანები ნახავენ ქართული კულტურის ამ უნიკალურ ექსპონატს და იგი საყოველთაოდ ცნობილი გახდება მთელ მსოფლიოში. თავისთავად ის ფაქტი, ქართველი ოქრომჭედლების მიერ მეთორმეტე საუკუნეში დამზადებულმა თასმა რომ თქვენი და ღრმად პატივცემული ნიკიტა სერგის ძის ამოდენა მოწონება ჰპოვა, კიდევ ერთი დიდი დადასტურებაა მისი უნიკალურობისა და მაღალი მხატვრულობისა.

ნიკიტა სერგის ძემ მეცნიერს ღიმილით და მოწონებით დაუქნია თავი, ნინა პეტრეს ასულსაც ფართოდ მოეღო ჯიშიანი პირი. მხოლოდ აჯუბეიმ შეიკრა წარბი, მიხვდა პროფესორს რაღაც ჰქონდა ჩაფიქრებული და ცდილობდა მრისხანე, შხამიანი გამოხედვით მისთვის სახე დაესუსხა.

— ბუნებრივია, არცერთ ჩვენგანს და, თქვენ წარმოიდგინეთ, თვით ბატონ ვასილ პავლეს ძე მჟავანაძესაც, არა გვაქვს უფლება მეთორმეტე საუკუნის თასის კი არა, თვით უბრალო სამუზეუმო ექსპონატის გასაჩუქრებისა.

ხრუშჩოვი შეკრთა, ღიმილი სახეზე შეაკვდა. შეკრთნენ სხვებიც, სტუმრებიც და მასპინძლებიც. ალექსანდრე ოდიშვილი ელოდა ამ შეკრთომას. ალბათ ამიტომაც არ დაბნეულა და საუბარი ოდნავ შესამჩნევი მღელვარებით გააგრძელა.

— თამარ მეფის დროინდელი უნიკალური და უძვირფასესი თასის გასა-

ჩუქრების უფლება აქვს მხოლოდ ქართველ ერს და იგი დიდი პატივისცემით გიძღვნით მას.

ყველამ შვებით ამოისუნთქა, ნინა პეტრეს ასულმა ხმამაღლაც კი გაიცინა და ქმარს კმაყოფილებით გადახედა.

— ოღონდ, ღრმად პატივცემულო სტუმრებო, ერთი ქართული და არამარტო ქართული წესჩვეულება მინდა გაგაცნოთ.

ყურადღება კვლავ დაიძაბა.

— საქართველოში — განაგრძო მან მცირეოდენი დუმილის შემდეგ, — არ არის მიღებული საფლავში ჩატანებული ნივთის გასაჩუქრება. ჯერ კიდევ ქრისტეს შობამდე ამბობდნენ, საფლავში ნაპოვნი ნივთი დიდი უბედურების მომტანიაო. თუ გახსოვთ, თავშივე მოგახსენთ, ეს ოქროს თასი საფლავშია ნაპოვნი. ქართველი ხალხი კი, დიდად პატივცემულო ნინა პეტრეს ასულო და ნიკიტა სერგის ძევ, თქვენს ოჯახს ვერ გაიმეტებს დიდი უბედურებისათვის. თუ ნებას დაგვრთავთ და მოგვცემთ ორი დღის ვადას, მეთორმეტე საუკუნის თასის ისეთ ასლს მოგართმევთ, რომ მერწმუნეთ, არავითარი განსხვავება მათ შორის არ იქნება.

— შესანიშნავია! — წამოიძახა ნინა პეტრეს ასულმა, — რასაკვირველია, ჩვენ ასალი გვირჩვენია. არა, ნიკიტა სერგის ძევ?

სახელმწიფოს მეთაურმა კმაყოფილებისა და მადლობის ნიშნად პროფესორს ხელი ჩამოართვა.

აჯუბეის სახეზე მკვდრის ფერი დაედო.

— ნიკიტა სერგის ძევ, ნახეთ, რა მშვენიერი ხატია! — თქვა უცებ მან ხმამაღლა.

ყველამ ხატისკენ გაიხედა.

აჯუბეის უნდოდა თამარ მეფის თასზე საუბარი შეწყვეტილიყო. ეშინოდა, სიმამრსა და სიდედრს ახალი სისულელე არაფერი წამოეროშათ.

ნინა პეტრეს ასულმა თასს ერთხელ კიდევ შეავლო ხარბი თვალი, თითქოს ცდილობდა, ოქროგრეხილთა ყოველი ხვეული, ყოველი ძვირფასი ქვა ზუსტად დაემახსოვრებინა, რომ ორი დღის შემდეგ უხარისხო არაფერი შემოეპარებინათ და თვითონაც მეუღლესთან მივიდა, აჯუბეის გვერდით რომ იდგა მართლაც უმშვენიერესი ხატის წინ.

აჯუბეის მახვილ თვალს არ გამოჰპარვია, პროფესორმა როგორი შვებით ამოისუნთქა და შემდგომი ექსპონატების ჩვენებისას რა ენაწყლიანი გახდა. მიხვდა, ალექსანდრე ოდიშვილი უძვირფასესი თასის შენარჩუნებას ზეიმოდა. იმასაც მიხვდა, პროფესორის თანმხლები მეცნიერები ფრიად კულტურული და განათლებული პიროვნებანი რომ ბრძანდებოდნენ. მართალია, ნინა პეტრეს ასულის წამოძახილის დროს მათ ტუჩებზე გამოსახული ირონიული ღიმილი არ შეუნიშნავს, მაგრამ მიხვდა, ყველამ როგორ შეაფასა ქვეყნის მეთაურისა და მისი ფაშფაშა მეუღლის ინტელექტი. მუზეუმის დათვალიერების შემდეგ საჩუქრით კმაყოფილი ხრუშჩოვი ყველას გულთბილად გამოემშვიდობა. ნინა პეტრეს ასულმა ჯიშიანი ტუჩებით უხვად ჩამოარიგა მოწყალე ღიმილი. აჯუბეიმ ფეხი განგებ აითრია, ალექსანდრე ოდიშვილს ხელი სულ ბოლომ ჩამოართვა და ხმამაღლა, სხვების გასაგონად უთხრა:

— აღტაცებული ვარ თქვენი მახვილგონიერებით. მჯერა, რომ ქართველი ერის უნიკალური საუნჯე მართლაც საიმედო მეცნიერისა და დარაჯის ხელშია!

აჯუბეიმ პროფესორსა და მის თანმხლებ მეცნიერებს არცთუ ორაზროვნად უთხრა, არ გეგონოთ, ანკესზე მეც წამომაგეთო.

მეორეს მხრივ, აჯუბეი პროფესორის მადლიერიც დარჩა, იცოდა, მუზეუმიდან უძვირფასესი ნივთის წაღება ხვალვე მთელ ქვეყანას მოედებოდა და ქართველი ხალხის დიდ უკმაყოფილებას გამოიწვევდა.

— გმადლობთ!—მოკლედ მიუგო ალექ-

სანდრე ოდიშვილმა და თავი მდაბლად დაუკრა. ჭალარა მეცნიერმა ისეთი სახე მიიღო, თითქოს ვერ მიხვდა, აჯუბეი სად უკაკუნებდა.

6.

— ძვირფასო ალექსი პეტროვიჩ, დღევანდელი დღის როგორი კმაყოფილი ხართ? — ამაყად და შინაურულად ჰკითხა სიძეს ხრუშჩოვმა. წინასწარ იცოდა, აჯუბეი რასაც ეტყოდა. სპორტის სასახლის კულისებში, საზეიმო შეხვედრის დამთავრების შემდეგ უკვე მოასწრო სიმამრის შექება. მაინც უნდოდა სიძისაგან ამჯერად უფრო მშვიდად და უფრო დაწვრილებით მოესმინა საქებარი სიტყვები. კარგად გაეგო, რას ამბობდნენ სხვები, როგორ აფასებდნენ სახელმწიფოს მეთაურის გამოსვლას, რას გადმოსცემდნენ ტელეტაიპები.

— სპორტის სასახლეში თქვენი გამოსვლა და, საერთოდ, მთელი დღევანდელი დღე იყო საქართველოში ტრიუმფალური მოგზაურობის აპოთეოზი. მინდა ისიც გითხრათ, ნიკიტა სერგის ძევ, რომ ხალხი ძალზე კმაყოფილია. გუშინ თქვენზე განაწყენებული ხალხის დაშოშმინება და მიმხრობა კი დიდი გამარჯვებაა, უსისხლო, თოფის გაუსროლლად გამარჯვება!

— ვფიქრობ, თოფის გაუსროლლად მაინც არ დამთავრდება საქმე, — მოიღუშა უცებ ხრუშჩოვი, — მესამე თავდამსხმელი დაიჭირეს?

— ხუთი კაცია დაკავებული. ვარაუდობენ, რომ ამ ხუთიდან ერთერთია მესამე დამნაშავე.

— დიახ, უტყვიოდ და უსისხლოდ საქმე არ დამთავრდება. ვინც ჩემზე ხელი აღმართა, ის უნდა მოკვდეს! — ხრუშჩოვმა პიჯაკი გაიხადა, შარვლის ხვანჯარი შეიხსნა და სიძეს ანიშნა, შარვლისა და ფეხსაცმელების გახდაში მომეხმარეო.

ნინა პეტრეს ასულმა ქმარს საძინებელი ოთახიდან ფოსტლები შემოუტანა. ნიკიტა სერგის ძემ ფოსტლებში მაინც არ გაუყარა ფეხი და მდიდრულ ხალიჩაზე წინდებით გაიარა.

— დიახ, ძვირფასო ქართველებო,— ამჯერად ვერ გადავრჩებით უსისხლოდ!— დაუქნია სივრცეს თითი და ტყავის სავარძელში ჩაჯდა.

— ინციდენტის ამბავს სადმე ხომ არ გაუჟონავს?

— არავინ არაფერი იცის. უცხოეთიც დუმს. ქალაქში გავრცელებული ჭორიც უმალვე ჩაქრა.

— ძალიან კარგი! მე ახლა ცოტას დავისვენებ! — ხრუშჩოვი ტუალეტისაკენ წინდებისამარა გაემართა.

აჯუბეიმ სიმამრს ზიზღით სავსე თვალები გააყოლა.

„ღმერთო, ვის ხელშია პლანეტის ბედი!“— განსაკუთრებით სიმამრის ჭრელი ნიფხავი აგიჟებდა. თუმცა, კაცმა რომ თქვას, რა მნიშვნელობა ჰქონდა, სახელმწიფოს მეთაურს მუხლებს ქვემოთ ჩამოსული ჭრელი აბრეშუმის ნიფხავი ეცვა თუ სხვა რომელიმე მოდური ტრუსი. ბოლოსდაბოლოს, ნიფხვის არჩევანი მისი პირადი საქმე იყო. უბედურება სხვა რამ გახლდათ — ბოლო წლებში, ძალუფლებით გათავხედებული, ძალზე ხშირად პოლიტბიუროს წევრებსაც კი ფეხშიშველა და ნიფხვისამარა იღებდა.

„თურმე ხანდახან რა იოლად და შემთხვევით ექცევა კაცი სახელმწიფოს სათავეში“, — გააგრძელა წელანდელი ფიქრი აჯუბეიმ.

— მე წავედი, ნინა პეტრეს ასულო! — გასძახა საძინებელ ოთახში სიდედრს, შავი ხის ხონჩაზე მოთავსებულ ოქროს თასს უსიამოდ შეავლო თვალი და თავის აპარტამენტს მიაშურა.

ფიქრები, ამ წუთში აჯუბეის გონებაში რომ ტრიალებდა, ახლა როდი იბადებოდა. მსგავსი აზრები სხვა დროსაც ხშირად ეხვეოდა ყოველი მხრი-

დან. ვინ, თუ არა იგი, იცნობდა ნიკიტა სერგის ძეს. ვინ, თუ არა იგი, გრძნობდა, რა დონისა და ინტელექტის ადამიანს ეპყრა ხელთ პლანეტის უზარმაზარი და უპირველესი ქვეყნის საჭე. დაძაბული შეხვედრებით გადაღლილს მოგონებების თავი აღარ ჰქონდა, მაგრამ მაინც გაახსენდა სიჭაბუკეში თბილისში გატარებული დღეები. გაახსენდა დაკერებული ფეხსაცმელები და ამოკემსილი პიჯაკი რომ ეცვა და ხეირიანი სადილი ბედნიერებად რომ მიაჩნდა. რას წარმოიდგენდა მაშინ, რომ ერთ ათეულზე ცოტა მეტი წლის შემდეგ უზარმაზარი ქვეყნის მესაჭის გვერდით დადგებოდა და ძალზე ხშირად საბჭოთა სუპერსახელმწიფოს ურთულესი მექანიზმის საჭე მის ხელთ იქნებოდა. არცთუ იშვიათად რაიმე სისულელეზე გაბრაზებული და გაანჩხლებული ხრუშჩოვი მძიმე წონას მატარებელს ჰგავდა, თვითონ კი მეისრეს, სახიფათო მიმართულებით დაძრულ მატარებელს სულ სხვა ლიანდაგზე რომ გაუშვებდა ხოლმე.

საძინებელ ოთახში უმალვე გაიხადა და აბაზანას მიაშურა. ხეირიანად ვერც კი მოასწრო ბანაობა, რომ ტელფონის ზარი აწკრიალდა. აბაზანიდან გამოვიდა, იქვე, მიმდებარე დასასვენებელ ოთახში ჩალის სავარძელზე ჩამოჯდა და მარმარილოს მაგიდაზე მოთავსებული ტელეფონის ყურმილს დასწვდა. სიმამრი ურეკავდა.

— სულ დამავიწყდა, მეკითხა, რა ჩურჩული შეიქნა სპორტის სასახლესთან ჩვენი მანქანების მახლობლად? მგონი, ვიღაც ქალი კიოდა. მომეჩვენა თუ მართლა მოხდა რაიმე გაუგებრობა?

— ისეთი არაფერი, ნიკიტა სერგის ძევ, — უსიამოდ შეიჭმუხნა აჯუბეი.— აქამდე ეგონა, სახელმწიფოს ლიდერს, არაფერი გაუგონია და შეუმჩნევია, სპორტის სასახლესთან რაც მოხდაო. სიძემ იცოდა, ნიკიტა სერგის ძე ყოველ გართულებას შეიძლებოდა გავცოფებინა და რაიმე გამოუსწორებელი შეცდომა მოსვლოდა. თანაც როდის, ტრიუმფული მოგზაურობის ფინიშამდე ერთი ნაბიჯიღა რომ რჩებოდა.

— მაინც რა მოხდა?

— ერთი ქალი ითხოვდა თქვენთან შეხვედრას. იგი დაკავებული ხუთი ეჭვმიტანილიდან ერთ-ერთის დედა გახლავთ.

— მკვლელის დედა ითხოვდა ჩემთან შეხვედრას?! — გაცოფდა ხრუშჩოვი.

— ერთ-ერთი ეჭვმიტანილის დედა, ნიკიტა სერგის ძევ. ჯერ კიდევ არ არის დამტკიცებული, რომ სწორედ ის გახლავთ მესამე თავდამსხმელი.

— კარგი და პატიოსანი! გადაეცით ვასილ მჟავანაძეს, რომ ხვალ დილის ცხრა საათზე მისი თანდასწრებით მივიღებ მკვლელის დედას!

7.

ვრცელ მისაღებში ყველაფერი საზეიმოდ იყო გაჩირაღდნებული. გარეთ მზიანი ამინდი იდგა, ფართო ფანჯრებიდან მზის სხივები დარბაზში უხვად იფრქვეოდა, დარბაზს მეტი განათება არ სჭირდებოდა, მაგრამ ჭაღიცა და ყველა ბრაც ჩართული ჰქონდათ და მისაღები დარბაზის მარმარილოს კედლები საზეიმოდ ელვარებდა.

ნიკიტა სერგის ძე შავი ტყავის მძიმე სავარძელში იჯდა. საზურგეზე მიწოლილს უზარმაზარი სურვილი ჰქონდა ფეხი ფეხზე შემოედო და უდარდელი კაცის იერი მიეღო. ვერ ახერხებდა. დიდი მუცელი და მოკლე, ჩასუქებული ფეხები სასურველი პოზის მიღების საშუალებას არ აძლევდა. თუმცა ფეხის შემოდებას ვინ დაეძებდა, კალთაში ჩაწოლილი და მუხლებშუა გაჩრილი მუცელი ფეხის ფეხზე მიდგომასაც არ ანებებდა. იჯდა სავარძელში ფეხებგაშლილი და უცხო ქალის მიღებას მოუთმენლად ელოდა. საშინელი სურვილი ჰქონდა, თავისი ძალა და ნიჭი სულ სხვა სიტუაციაშიც გამოემჟღავნებინა.

ვასილ მჟავანაძე ხელმარცხნივ იდგა, ცალი ხელი მეორე სავარძლის საზურგეზე დაედო. დაჯდომას ვერ ბედავდა. მისკენ ოდნავ მარცხნივ და ნახევარი ნაბიჯით უკან ერთთავად გაფითრებული ინაური გაშეშებულიყო. რესპუბლიკის უშიშროების კომიტეტის მთავარი ამოცანა გახლდათ, სახელმწიფოს მეთაურს თვალში არ მოხვედროდა.

მარჯვენა მხარეს მოთავსებული სავარძელი აჯუბეისთვის იყო განკუთვნილი. სავარძლის უკან ხრუშჩოვის დაცვის უფროსი გენერალი ანდრეევი იდგა. უხერხულ დღეში ჩავარდნილი აჯუბეი დაჯდომას არ აპირებდა. ნიკიტა სერგის ძემ კვლავ არ შესთავაზა მჟავანაძეს დაბრძანდიო. აჯუბეიმ კარგად იცოდა, მისი დაჯდომა ულამაზო, უფრო მეტიც, საქართველოს ლიდერის აშკარა შეურაცხყოფა იქნებოდა. იგი დროდადრო ბოლთასაც სცემდა. ესეც კმაროდა. იქ დამსწრე ფეხზე მდგომი და გაქვავებული საზოგადოებისათვის დაენახებინა, რომ სახელმწიფოში სინამდვილეში ის გახლდათ მეორე კაცი.

ვასილ მჟავანაძე დიდხანს არწმუნებდა ქეთევან გორდელს, არ გინდა ხრუშჩოვთან შესვლა, წასვლის წინ ნუ გავალიზიანებთ, პატიოსან სიტყვას გაძლევთ, ყველაფერს მე და ალექსი ინაური მოვაგვარებთ, ვაი თუ თქვენმა შესვლამ საქმე უფრო გაართულოს და მერე ვერაფერს ვეღარ გიშველითო. გამწარებულ ქალს ხრუშჩოვთან შესვლა ვერ გადაათქმევინეს. ქეთევანი მიხვდა, მჟავანაძე არ ატყუებდა, შველას გულწრფელად ჰირდებოდა, მაგრამ ისიც იცოდა, სახელმწიფოს მეთაური როგორ განარისხა თავდასხმისა და მოკვლის მცდელობამ. სჯეროდა, თუ ხრუშჩოვს გულს არ მოულბობდა, მჟავანაძე ვეღარაფერს უშველიდა. რაც არ უნდა დამიჯდეს, ჩემი უდანაშაულო შვილი უნდა გადავარჩინო, ხრუშჩოვს გულს მხოლოდ ჩემი ცრემლი თუ მოულბობსო, — ჯიუტად იმეორებდა იგი.

მჟავანაძე გრძნობდა, ქალი მართალი იყო.

„მაინც როგორ მიაღწია მთავრობის მანქანამდე?“ — ფიქრობდა იგი. — დაცვა რომ ყურადღებით ყოფილიყო, ხომ გადავრჩებოდი ამ დავიდარაბას!“

ესკორტი რომ დაიძრა, ვასილ მჟავანაძეს დანა პირს არ უხსნიდა.

„ესეც მეორე შემთხვევა, — ფიქრობდა გულშემოყრილი, — თანაც როდის, ყველაფერი რომ ტრიუმფით დამთავრდა. როგორ განვითარდება მოვლენები? ვითომ გაიგონა ქალის კივილი? რა ვქნა? როგორ მოვიქცე? მოვახსენო თუ საერთოდ არ დავძრა კრინტი? თავისი დაცვა, ხომ მაინც მოახსენებს?! ხომ არ სჯობია, დავასწრო? ვითომ მათ კი გადაუსვამს თავზე ხელს? თუ არაფერი გაუგონია, სჯობია ორთავე მხარე ჩუმად ვიყოთ. უმჯობესია, პირადი დაცვის უფროსს ინაური მოელაპარაკოს! მაინც როგორ შემოიპარა ამოდენა დაცვაში?—მატლებივით უღრღნიდა გულს მწარე ფიქრები, — ბოლოსდაბოლოს, რა მოხდა, გაუბედურებული დედა ითხოვდა მიღებას, მეტი ხომ არაფერი! რამდენი გიჟია და მოუთმენელი ამ ქვეყანაზე. მაგრამ... ეს ქალბატონი ხომ თავდასხმაში მონაწილის დედაა. მართალია, ის ყმაწვილი ჯერჯერობით ეჭვმიტანილია, მაგრამ... ღმერთო ჩემო, ეს უბედურება გვაკლდა კიდევ?!“

შეშინებული მჟავანაძე ხმის ამოღებას კი არა, განძრევასაც ვერ ბედავდა.

„ეს ოჯახდასაქცევი მაინც რატომ არ იღებს ხმას?“ — გაიფიქრა უცებ და უნებურად შიშმა შეიპყრო, ხმამაღლა ხომ არაფერი წამომცდაო.

ნიკიტა სერგის ძეს ქალის კივილისათვის თითქმის არ მიუქცევია ყურადღება. ტრიუმფით მთვრალის გონება მაღლა, ცაში დანავარდობდა და ვიღაცა ქალის შეკივლებისათვის არ ეცალა. პირიქით, თვითონ იყო განაწყენებული, ვასილ მჟავანაძე ხმას რატომ არ იღებდა, რატომ არ ელაქუცებოდა.

— რატომ დუმხართ, ვასილ პავლეს,

ძევ, რაიმეთი უკმაყოფილო ხომ არ ბრძანდებით?

მჟავანაძემ შვებით ამოისუნთქა. თითქოს თავიდან ბოლომდე გასაპნულს დიდი კასრით წყალი გადაასხესო, ისე გამოცოცხლდა, თვალები ნეტარებით გაახილა. აღარ გაახსენდა, მანქანაში რომ იყო, ფეხზე წამოიჭრა და თავით მანქანის ჭერს შეასკდა.

— ყველაფერი დიდებულად ჩატარდა, ნიკიტა სერგის ძევ, — ვითომც აქ არაფერიაო, სხაპასხუპით წარმოსთქვა მჟავანაძემ,— თან წინ, ხრუშჩოვისაკენ გადაიხარა. აბა, საზურგეზე მიყრდნობილი ლაპარაკს როგორ გაუბედავდა. წინ გადახრა სწორედ უფროსის წინაშე ფეხზე წამოდგომის ფუნქციას ასრულებდა, დაბნეულმა წეღან რომ ვერ მოისაზრა და ფეხზე რომ სასაცილოდ წამოიჭრა.

— თქვენი გამოსვლა მართლაც რომ გენიალური გახლდათ, ნიკიტა სერგის ძევ, ყოველი სიტყვა გვირგვინი იყო საქართველოში თქვენი ისტორიული ვიზიტისა. დარწმუნებული ვარ, ხვალ მთელი მსოფლიო ალაპარაკდება. საქართველოში თქვენი ტრიუმფი ყველაზე თვალსაჩინო დადასტურებაა პარტიის, პირადად თქვენს მიერ შემუშავებული გენერალური ხაზისა, თქვენი პოზიციის ურყეობისა და სიმართლისა.

აშკარად ტყუოდა ვასილ მჟავანაძე. ყოფილი გენერალი გულში გამოუსწორებელი სტალინისტი იყო და სტალინიზმის წინააღმდეგ მიმართულ კრიტიკას არა და არ იზიარებდა!

„ეტყობა, ქალის კივილი ვერ გაიგონა, — იმედიანად გაივლო გულში და მარცხენა ხელი თავზე დინჯად გადაისვა, კოპი ხომ არ ამომივიდაო, — ვითომ გადავრჩით? და თუ მაინც მოახსენებს პირადი დაცვის უფროსი? ვფიქრობ, ინაური უკვე გამონახავდა მასთან საერთო ენას. არც გენერალ ანდრეევს ჩაეთვლება პლიუსში იმ ქალის შეუმჩნევლად შემომაპარა“.

კრწანისში ნიკიტა სერგის ძემ მჟავანაძეს ხელი გაუწოდა და დიმილით უთხრა.

ბიბლიოთეკა

— ბოლო აკორდამდე ორი საათიღა დაგვრჩა. გთხოვთ, მანამდე ნურავინ შემაწუხებს.

მჟავანაძე საბოლოოდ დარწმუნდა, რომ ნიკიტა სერგის ძეს ქალის კივილი არ გაუგონია და გუნება საბოლოოდ გამოუკეთდა.

საბოლოო აკორდში მთაწმინდაზე გამართული ბანკეტი იგულისხმებოდა. ვასილ მჟავანაძე უმალვე იქითკენ გაემართა, ყველაფერი დაათვალიერა, უწვრილმანესი დეტალებიც კი დააზუსტა.

— მსახიობები მოვიდნენ? — ჰკითხა ცენტრალური კომიტეტის მდივანს იდეოლოგიის დარგში.

— ყველანი აქ არიან!

შემდეგ უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარე ცალკე ოთახში გაიხმო.

— აქ მაინც აღარ შევრცხვეთ. ამ საღამოს თუ გავუძელით, მგონი, ყველაფერი სასიკეთოდ დამთავრდება.

— აქაურობა ლამის ალყაშია მოქცეული, ყოველი ჩვენი კაცის გვერდით მოსკოვის დაცვის წარმომადგენლებიც მორიგეობენ.

— დამნაშავე მაინც ვერ დაადგინეთ?

— ვნახოთ, ვასილ პავლეს ძევ! იქნებ შუა სუფრაზე მოგვიტანონ სასიხარულო ამბავი!

— ამდენს ვწვალობთ, წელებზე ფეხს ვიდგამთ, გამოხტებიან ვიღაც მატრაკვეცები და ყველაფერს წყალში ჩაგიყრიან. ის კი არ იციან, რომ ერთი ნაძირალას მოკვლა საქმეს ვერ უშველის. მის მაგივრად მოვა მეორე, უარესი ნაძირალა!

აზარტში შესულმა მჟავანაძემ ვერც გააანალიზა, რა წამოროშა. ინაური დაიბნა, ჯერ გაიფიქრა, სმენამ ხომ არ მომატყუაო. ეს ისე, შიშისაგან გაიფიქრა, თორემ მშვენივრად იცოდა, ყველაფერი რომ ზუსტად გაიგონა. უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარემ ისეთი სახე მიიღო, თითქოს მჟავანა-

ძის ბოლო სიტყვები არც მოუსმენია და სასწრაფოდ ერთ-ერთი ტელეფონის ყურმილს დასწვდა.

ნაადრევი გამოდგა ვასილ მჟავანაძის სიხარული. კრწანისში მიბრუნებულს აჯუბეიმ უთხრა, ნიკიტა სერგის ძემ იმ ქალთან საუბარი მოისურვა, დღეს, სპორტის სასახლიდან წამოსვლის ჟამს მანქანასთან მიჭრას რომ შეეცადაო.

— საუბარს, რომელიც ხვალ დილით, ცხრა საათზე შედგება, თქვენც უნდა დაესწროთ, ვასილ პავლეს ძევ. იმედია, მანამდე გაერკვევით დეტალებში. იქნებ, საკითხი მოაგვაროთ და ქალი დააშოშმინოთ, იქნებ მისი შვილი მართლაც არ არის დამნაშავე. ნუთუ ხვალ დილამდე ვერ დაადგენთ, ვინ იყო თავდასხმის მესამე მონაწილე?

ნირწამხდარმა და შეშინებულმა მჟავანაძემ ვერც კი იგრძნო აჯუბეის ქედმაღლური და საკმაოდ თავხედური ტონი.

და, აი, ახლა იდგა სახელმწიფოს მეთაურის გვერდით. იდგა დაბნეული და შეშინებული. ერთის მხრივ, გადარჩა, ხრუშჩოვმა რომ არ ჰკითხა, იმ ქალის თაობაზე რატომ არაფერი მომახსენეო. მეორეს მხრივ, მაინც ეჭვი ეპარებოდა. გადარჩა კი? იქნებ უარესიცაა, ჯერ რომ ამ საკითხზე სიტყვაც არ უთქვამს? ვაი თუ, რომ გაცოფდება, მაშინ მომიბრუნდეს და შემრისხოს, სპორტის სასახლესთან მომხდარი ინციდენტი, აეროპორტის გზაზე თავდამსხმელებთან უშუალოდ რომ არის დაკავშირებული, რატომ დამიმალეო.

აი, სულ რაღაც ორიოდე წუთში რამდენი რამის გაფიქრება მოასწრო ვასილ მჟავანაძემ, სანამ გენერალი და ორი ოფიცერი დარბაზში შავტანსაცმლიან, ჭაღარა, სიმპათიურ ქალს შემოიყვანდნენ.

კიდევ ერთხელ ინანა მჟავანაძემ, წუხელ, ბანკეტის შემდეგ რომ შევხვდი, როგორ ვერ გადავთქვეინე ნიკიტა სერგის ძესთან შეხვედრაო და ქალს სიბრაზშერეული სინანულით შეხედა.

დარბაზის დიდებულებამ და ბალეტის ელვარებამ საბრალო ქალი შეაცბუნა, დააბნია და შეაშინა კიდეც. ერთბაშად ვერც კი მოჰკრა თვალი, სად იჯდა დიდი სტუმარი.

გენერალმა ქალს მხარზე ხელი მორიდებით დაადო და ხრუშჩოვის სავარძლისაკენ მიანიშნა.

ხრუშჩოვის დანახვამ ჯერ დააბნია საცოდავი, მერე თითქმის სირბილით მიიჭრა მასთან. ოფიცრები უმალვე წამოეწიენენ და მკლავებში ჩაავლეს ხელი. ნიკიტა სერგის ძე ჯერ შეკრთა, მაგრამ ქალის ცრემლები და ვედრებით სავსე სახე რომ დაინახა, ოფიცრებს ანიშნა, ახლოს მოიყვანეთო.

— მოკლედ მითხარით, რა გნებავთ!— მოჭრა ქვეყნის მეთაურმა. თან ხელი ასწია და ოფიცრებს ანიშნა, კმარა, მეტი მოახლოება საჭირო არ არისო!

აჯუბეიმ ხმის ნაცნობ ინტონაციაზე იგრძნო ხრუშჩოვის აფეთქების საფრთხე და შეშფოთებული და დაძაბული ერთ ადგილზე გაქვავდა. მთავარი იყო, აფეთქების წამი არ გამოჰპარვოდა, საუბარში დროულად ჩარეულიყო და სიტუაცია განემუხტა. აჯუბეიმ ზუსტად განსაზღვრა შეხვედრის მოსალოდნელი შედეგები. მიხვდა, ხრუშჩოვს ერთი კეთილშობილური ჟესტით, ერთი უბრალო მოწყალებით შეეძლო მთელი საქართველოს სიმპათია მოეპოვებინა. არადა, სახელმწიფოს ლიდერის გაფიცხება თავდასხმის ფაქტსა და ხრუშჩოვის დაუნდობლობას მთელ მსოფლიოში გამოამზეურებდა. გუშინ ბევრჯერ სცადა, სიმამრისათვის ოსტატურად მიეწოდებინა მოკრძალებული რჩევა. სამწუხაროდ, ხელსაყრელი მომენტი ვერ იპოვა.

— დიდად პატივცემულო ნიკიტა სერგის ძე! — დაიწყო ქალმა და უმალვე ტირილი წასკდა. ქეთევანი ვერა და ვერ მოერია თავს. იცოდა, ტირილი უნდა შეეკავებინა. გეგმა წინასწარ შე-

ადგინა, უნდოდა, დალაგებით ელაპარაკა, სტალინური რეპრესიების დროს ოჯახის განადგურების ამბავიც მოკლედ და ნათლად მოეყოლა, იქნებ ხრუშჩოვის გული ამით მაინც როგორმე მოვიგოო. მშვენივრად იცოდა, ხშირად შებრალების ნაცვლად არამცთუ ტირილი, ცრემლებიც როგორ აღიზიანებს ადამიანებს. თავი მაინც ვერ შეიკავა და გულსაკლავი ზმუილი ამოუშვა.

მჟავანაძემ შუბლი შეიჭმუხნა. ქალის საქციელი არ მოეწონა. ეწყინა, რომ ქეთევან გორდელმა მისი დარიგება არ გაითვალისწინა. ხრუშჩოვის ხასიათი კარგად იცოდა და გრძნობდა, საქმე სასურველი მიმართულებით არ წარიმართებოდა.

— გააგებინეთ ამ დედაკაცს, რომ მე მეტი არ მცალია! — ფრაზა კბილებშუა გადმოაფურთხა სახელმწიფოს მეთაურმა.

— ამოიღეთ, ქალბატონო ხმა! — გაბედა მჟავანაძემ და ქალს ქართულად მიმართა.

ქეთევანი ვერა და ვერ მოერია თავს.

— ვერ გამიგია, რა უნდა ამ ქალს!— იფეთქა ხრუშჩოვმა, — ამხანაგო მჟავანაძე, იქნებ თქვენ ამიხსნათ რისთვის შემაწუხა!

— დიდად პატივცემულო ნიკიტა სერგის ძევ, ქალბატონი ქეთევან გორდელი დედა გახლავთ თავდასხმაში ეჭვმიტანილი ერთ-ერთი ახალგაზრდისა...

— ახ, ამიტომ მობრძანდა ჩემთან, რომ თავისი ბანდიტი შვილი დაიხსნას?! — დამცინავად წარმოსთქვა ხრუშჩოვმა. თან ისეთი სცენა გაითამაშა, თითქოს არ იცოდა, შავტანსაცმლიანი ქალი ვინ იყო ან რა უნდოდა.

მაინც რატომ დათანხმდა მის მიღებას? იქნებ რაიმე დიპლომატიური ჟესტის გათამაშებას აპირებდა? ან იქნებ აინტერესებდა ენახა ქალი, რომლის ნაშიერმაც სახელმწიფოს ლიდერზე ხელის აღმართვა გაბედა? ან იქნებ უნდოდა, შური დედაზეც ეძია და ქართველი ხალხის ზიზღი და სიძულვილი ბოლომდე ამოენთხია?

ქეთევანმა უკანასკნელი ძალღონე მოიკრიბა, უკანასკნელი ცრემლები გადაყლაპა და დინჯად დაიწყო.

— დიდად პატივცემულო ნიკიტა სერგის ძევ!

ოფიცრებმა ქალის მშვიდი ხმა რომ გაიგონეს, დაწყნარდნენ და ყურადღებაც ოდნავ მოადუნეს.

— უნდა დამიჯეროთ, ნიკიტა სერგის ძევ, უნდა დამიჯეროთ, ჩემი შვილი არ არის დამნაშავე, მას არავითარ შეთქმულებაში არ მიუღია მონაწილეობა!

— რა უნდა დაგიჯეროთ, ან რატომ უნდა დაგიჯეროთ. არსებობს მსოფლიოში რომელიმე დამნაშავე ან მისი მშობელი დედა, დანაშაულს რომ აღიარებენ და სიმართლეს რომ იტყვიან?!— ისეთი სახით წარმოსთქვა ხრუშჩოვმა და თან იქ დამსწრეთ ისე გადახედა, თითქოს რაღაც დიდი სიბრძნე აღმოეთქვას.

— ნიკიტა სერგის ძევ, მე დედა ვარ, უბედური დედა და უნდა დამიჯეროთ!

— რატომ ხართ უბედური დედა? — დაინტერესდა უცებ ნიკიტა სერგის ძე.

არა, მისი დაინტერესება სიმპათიური ქალის სიბრალულით როდი იყო გამოწვეული. რატომღაც მოუნდა ხანშესული ჭაღარა, დარბაისელი ქალის ოჯახურ საიდუმლოებებში ჩაეხედა. იქნებ ტერორისტულ აქტში მონაწილეობა მათი ოჯახური უბედურების შედეგი და ყლორტი იყო?!

ქეთევანი მიხვდა, სისულელე წამოროშა. ფრონტზე უგზოუკვლოდ დაკარგული და შემდეგ გადასახლებული ქმრის ამბავი ალბათ კიდევ უფრო დაეჭვებდა ისედაც დაეჭვებულ ხრუშჩოვს. შეშინებული გაშრა, ენა ჩაუვარდა და გაფითრდა.

— ხედავთ, სათქმელი არაფერი გაქვთ! — კვლავ ბოროტად გადმოაფურთხა ხრუშჩოვმა. — თქვენი შვილი

დაისჯება, დაისჯება როგორც მკვლელი!

— ნიკიტა სერგის ძევ, — ჩაერია უცებ საუბარში აჯუბეი.

ყველამ მას შეხედა. ოფიცრებმაც მისკენ გააპარეს თვალი. ქეთევანმა წამიერი მოდუნებით ისარგებლა, ოფიცრებს ხელიდან დაუძვრა, ხრუშჩოვს მივარდა და დაჩოქილმა ფეხებზე დაუწყო კოცნა.

ოფიცრები უმალვე გამოერკვნენ, მაგრამ ნიკიტა სერგის ძემ ხელის მკვეთრი მოძრაობით ანიშნა, თავი დაანებეთო. ოფიცრები შეჩერდნენ და მხედრული წესით ორი ნაბიჯით უკან დაიხიეს.

ქვეყნის მეთაური სადისტური შემაძრწუნებელი ღიმილით პირმოხეული, კმაყოფილებითა და ბედნიერებით აღსავსე თვალებით ჩასჩერებოდა უბედურ დედას. თან ცდილობდა კარგად დაენახა, სიმპათიური ქალბატონი ფეხსაცმელებს როგორ ულოკავდა.

აჯუბეიმ სიმამრის შურისძიებით მოზეიმე გამოხედვა რომ დაიჭირა, შეწუხდა, აღარ იცოდა რა ექნა. თავისი უძლურება იგრძნო და სათქმელი აღარ დაამთავრა. კარგად იცოდა, სანამ ხრუშჩოვის არსებაში სადისტური ორგაზმი არ ჩათავდებოდა, რაიმეს თქმას აზრი არ ჰქონდა.

მჟავანაძე და ინაური სულითხორცამდე შეაძრწუნა უბედური ქალის საქციელმა. გულში ბოღმა შემოაწვათ, ძარღვებში სისხლი გაეყინათ, ხმის ამოღება მაინც ვერ გაბედეს. ორთავენი მიხედნენ, ხრუშჩოვი მარტო იმით კი არ ტკბებოდა, ქალი რომ ფეხსაცმლებს ულოკავდა, იმ წუთში სახელმწიფოს მეთაურს სჯეროდა, მთელი ქართველი ერი, ასე რომ სძულდა და ეზიზღებოდა, მის ფეხებთან იყო დამხობილი.

ხრუშჩოვს თვალები დაებინდა. შემდეგ ბურუსი თითქოს სადღაც გაქრა და შორეულ ეკრანზე საკუთარი თავი დაინახა ,სტალინს თვალცრემლიანი რომ ეველრებოდა, ჩემი ტყვედ ჩავარდნილი შვილი გამოიხსენიო. ახლა, ამდენი წლის შემდეგ თითქოს უფრო შეიგრძნო სტალინის ცივი, სასტიკი, ოდნავ დამცინავი გამოხედვა. აი, თვალნათლივ დაინახა, როგორ დაემხო ბელადის ფეხებთან, როგორ დაუწყო კოცნა და ლოკვა მის მოძველებულ ჩექმებს. როგორ ცვიოდა იატაკზე და ჩექმებზე მისი მდუღარე ცრემლები, როგორ ბღაოდა და როგორ ყლაპავდა სიტყვებთან ერთად მლაშე ცრემლებს.

უცებ სტალინმა ფეხი ზიზღით გამოგლიჯა და ცივი, ყინულივით ცივი ხმით უთხრა:

„ყველას შვილების დახსნის საშუალება მე არა მაქვს. ჩვენი შვილებისათვის გამონაკლისის იმედს ტყუილად ნუ ვიქონიებთ!“

ამ სიტყვების შემდეგ ბელადი დასასვენებელი ოთახის კარისკენ გაემართა, კარი დინჯად, აუღელვებლად გამოაღო, ოდნავ შემობრუნდა, ერთხელ კიდევ შეავლო თვალი იატაკზე დამხობილ, ცხარე ცრემლებით მტირალ ხრუშჩოვს და კარიც გაიხურა.

კარის მიჯახუნების ყრუ ხმამ ხრუშჩოვი კვლავ კრწანისის სასახლის მისაღებ დარბაზში დააბრუნა. ნიკიტა სერგის ძემ ამჯერად უფრო დიდი სიამოვნებით დახედა მის წინაშე მფორთხავ ქალს.

აჯუბეი მიხვდა, ორგაზმი გრძელდებოდა. ხმის ამოღებას ჯერ კიდევ არ ჰქონდა აზრი. ოდნავ შემობრუნდა და მჟავანაძეს შეხედა, აინტერესებდა, ამ ენით აუწერელმა დამამცირებელმა სცენამ ერის ხელმძღვანელის გულში რა ცეცხლი დაანთო. შემდეგ მზერა ინაურზე გადაიტანა. გაოცდა, მათ გაქვავებულ სახეებზე ვერაფერი ამოიკითხა, თუმცა სჯეროდა, ორთავენი უზარმაზარი დაძაბულობისა და შინაგანი ენერგიის ფასად იკლავდნენ გულში შურისძიების გრძნობას.

ორთავეს შეეძლო იმ წუთში ეროვნული გმირი გამხდარიყო. საჭირო იყო მხოლოდ ერთი მძაფრი პროტესტი, იქნებ სახელმწიფოს მესაჭის ჩასუქე-

ბულ, უინტელექტო სახეზე სილის მოხდენილი გალაწუნება, სილისა, რომლის ხმას მომავალ საუკუნეებში ასჯერ უფრო მკვეთრად და მკაფიოდ გაიგონებდნენ, ვიდრე ივანე მხარგრძელის ალიყურის ხმას. მაგრამ ეს არ შეიძლებოდა მომხდარიყო. ვერც ერთი, ვერც მეორე ხრუშჩოვს სილას ვერ გააწნავდა. არავის ეგონოს და ტყუილად ნუ დასწყდება გული, რომ ერთმაც და მეორემაც ხელიდან გაუშვეს გმირობის შანსი. გმირობის შანსს მხოლოდ გმირად დაბადებული ადამიანი კარგავს. ისინი არ ყოფილან გმირებად დაბადებულნი, თუმცა ერთი მათგანი მაშინვე ატარებდა საბჭოთა კავშირის გმირის ვარსკვლავს, მეორემ კი ოქროს ვარსკვლავით მოგვიანებით დაიმშვენა მკერდი.

ნიკიტა სერგის ძეს სახე ნელ-ნელა დაუწყნარდა. აჯუბეი მიხვდა, კიდევ რამდენიმე წუთიც და ხრუშჩოვთან ლაპარაკი შესაძლებელი გახდებოდა. იცოდა, ამდენი ხალხის თვალწინ გათამაშებულ საზიზღარ სცენას აღარაფერი ეშველებოდა. ახლა მთელი თავისი ნიჭი და უნარი უნდა გამოეყენებინა, ყოვლად სამარცხვინო შეხვედრის ეპილოგი რომ მაინც ყოფილიყო ინტელიგენტური და კეთილშობილური.

დიდი იმედი მაინცდამაინც არ ჰქონდა, მაგრამ ბედი მაინც უნდა ეცადა, რადაც არ უნდა დასჯდომოდა, მოვლენებს სათავეში უნდა ჩასდგომოდა და მათი შემდგომი განვითარებისათვის სასურველი მიმართულება მიეცა.

სიძემ ის წამი ზუსტად დაიჭირა, ნიკიტა სერგის ძე რაღაცის სათქმელად რომ გაემზადა. უმალვე ქალს მივარდა, ორთავე მკლავში ხელი ჩაავლო და ფეხზე წამოაყენა.

— ქეთევან მიხეილის ასულო! — თქვა მან თბილად, თან ოფიცრებს ანიშნა, შემეშველეთო.

ქეთევანი გააოცა აჯუბეის თბილმა მიმართვამ, გულში იმედი ჩაუსახა და ოფიცრებს უსიტყვოდ დაემორჩილა, სამი ნაბიჯით უკან რომ დაიხიეს, აღარც იმაზე განუცხადებია პროტესტი, ოფიცრებს რომ მტკიცედ ჩაებღუჯათ მისი მკლავები. ამდენი ტირილის შემდეგ უცებ დამშვიდდა და უცნობ სიმპათიურ კაცს იმედიანად შეხედა:

აჯუბეი მიხვდა, ათიანში მოარტყა. იმასაც მიხვდა, ქალი რომ კმაყოფილებით აღავსო. მიღების წინ ყოველი შემთხვევისათვის იკითხა ქალის სახელი და მამის სახელი. გამოცდილებით იცოდა, დიდი თანამდებობის პირისაგან ამ ფორმით მიმართვა ყველაზე უფრო ამშვიდებდა და იმედით აღავსებდა ყველაზე ჯიუტ და შეუპოვარ მომჩივანსაც კი.

— ნუ ღელავთ, ქეთევან მიხეილის ასულო, მე ვთხოვ უძვირფასეს ნიკიტა სერგის ძეს, უშუალოდ დამავალოს თქვენი ვაჟიშვილის საქმეებში ჩახედვა. თუ იგი დამნაშავე არაა, ხვალ დილითვე, შეიძლება ამ საღამოსაც, შინ გეყოლებათ. სამწუხაროა, რომ სათანადო ორგანოებმა ამდენხანს ვერ გაარკვიეს მტყუან-მართალი და ყოველ წვრილმანზე სახელმწიფოს მეთაურის შეწუხება გვიხდება. დიახ, მაო რომ საქმე ბოლომდე მიეყვანათ, ღღეანდელი შეხვედრა აღარ შედგებოდა. არ უნდა ვისარგებლოთ ღრმად პატივცემული ნიკიტა სერგის ძის თბილი გულით და ყურადღებიანობით, ქვეყნის მეთაურს არცერთი წუთი არ უნდა დავაკარგვინოთ უქმად. განა თვითოეულმა ჩვენთაგანმა არ იცის, მას წინ რამოდენა საქმეები ელოდება?!

ქეთევანი კიდევ უფრო დაატყვევა აჯუბეის მომღიმარმა სახემ და მშვიდმა, მზრუნველმა ტონმა.

— კიდევ გიმეორებთ, ნუ ღელავთ. მე აჯუბეი გახლავართ, ალექსი პეტროვიჩი! — აჯუბეი თვითონვე მიხვდა, რომ ქალმა ვერ იცნო ხრუშჩოვის სიძე და დროულად აუხსნა ვინ იყო.— კიდევ გიმეორებთ, თუ თქვენი ვაჟი დამნაშავე არაა, დაუყოვნებლივ გამოუ-

შვებენ. ამხანაგ ალექსი ინაურს კი ვთხოვ, რაიმე გაუგებრობის შემთხვევაში დაუყოვნებლივ ჩემთან დაგაკავშიროთ.

საბრალო ქეთევანმა აღარ იცოდა რა ექნა. უმალვე ნიკიტა სერგის ძეს მიაპყრო მზერა. მთავარი მაინც მისი თანხმობა იყო.

აჯუბეიმ აცალა, სანამ შურისძიებით გრძნობადამცხრალმა ხრუშჩოვმა ქალს თავი ოდნავ არ დაუქნია, შემდეგ კი ყოველგვარი გართულების თავიდან ასაცილებლად ოფიცრებს მკაცრად მიმართა:

— გთხოვთ, სახლამდე გააცილოთ!

სიხარულისაგან აცახცახებულმა ქალმა დარბაზში მყოფთ ერთხელ კიდევ მოავლო მადლიერებით აღსავსე მზერა. ვასილ მჟავანაძის ღიმილმა კიდევ უფრო დაამშვიდა, ისიც კი მოეჩვენა, რომ ვასილ პავლეს ძეს ლოყაზე სიხარულის ცრემლი ჩამოუგორდა. უცებ გონებამ უკარნახა, სჯობია წახვიდე, საქმე არ გააფუჭოო, თავი ყველას მდაბლად დაუკრა და **შებრუნდა.**

დარბაზში სიჩუმე ჩამოვარდა. თვალი ყველამ მიმავალ ქალს გააყოლა, მძიმე კარის მიხურვისთანავე აჯუბეიმ სიმამრს ღიმილით შეხედა. ნიკიტა სერგის ძის კმაყოფილებით სავსე სახემ სიხარულითა და საკუთარი თავის რწმენით აავსო. მომჩივანი ქალისადმი სახელითა და მამის სახელით მიმართვამ სახელმწიფოს ლიდერიც გააოცა და გუნებაში სიძეს წინდახედულება შეუქო.

ყველანი ჩუმად იდგნენ, არ იცოდნენ რა ეთქვათ ან რა მოემოქმედებინათ. ისევ აჯუბეიმ განმუხტა ვითარება, ინაურისაკენ შებრუნდა და საკმაოდ მკაცრი ხმით უთხრა:

— ალექსეი პეტროვიჩ! იმედი გვაქვს ოფიცრებს არ დასჭირდებათ შეხსენება, რომ სიტყვა არავისთან წამოსცდეთ. საერთოდ კი, სჯობია, ყველაფერი დაივიწყონ, რაც აქ ნახეს!

სადაც სამართალი იყო, აჯუბეის გენერალი ანდრეევი უნდა გაეფრთხილებინათ, ოფიცრები ხომ მოსკოველები იყვნენ. საქართველოს უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარე მიხვდა, აჯუბეიმ სინამდვილეში მჟავანაძე და ინაური გააფრთხილა, სიტყვა არავისთან წამოგცდეთო და თავი მორჩილად დაუქნია.

●

მეორე დილით არჩილ გორდელი გაანთავისუფლეს. დილის რვა საათზე უკვე სახლში იყო და სიხარულით ატირებულ დედას ამშვიდებდა.

ქეთევანს სჯეროდა, რომ შვილი მისმა ცრემლებმა იხსნა, თუმცა არჩილთან ამის თაობაზე არც მაშინ და არც შემდგომ არასდროს არაფერი წამოსცდენია.

რა იცოდა საბრალო ქალმა, რომ მისი ცრემლები და თხოვნა საშინელი დამცირებიხ ფასად რომ დაუჯდა ხრუშჩოვს და აჯუბეის იმ წამსვე დააავიწყდათ, როგორც კი მან კრწანისის ბახლში მისალები დარბაზი დატოვა. იმავე საღამოს გენერალურ მდივანზე თავდასხმის მესამე მონაწილეც დაიჭირეს და ნათელი გახდა, რომ არჩილ გორდელს შეთქმულებასთან არავითარი კავშირი არ ჰქონდა.

□გაგრძელება იქნება□

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მარი აბრამიშვილი

1998 წელი ცნობილი ქართველი პოეტი მარი აბრამიშვილის საიუბილეო წელია. ჟურნალ „მნათობის“ რედაქცია გულითადად ულოცავს ქალბატონ მარის ამ ღირსშესანიშნავ თარიღს და უსურვებს დღეგრძელობას, ბედნიერებასა და კიდევ მრავალ შემოქმედებით გამარჯვებას.

* * *

საკუთარ თავთან ჭიდილია სიცოცხლე ჩემი!
საკუთარ თავის სიყვარული — შენდამი ტრფობა!
საკუთარ თავის შეძულება — შენ მძულხარ ოდეს!
ო, ღალატი კი ...
ღალატი ხომ არ შემიძლია!

ჩემი ტირილი — ცრემლია შენი;
ჩემი ტკივილი — შენი წყლულია;
საკუთარ თავთან სიმარტოვე —
ყოფნაა შენთან
და განშორება არ შემიძლია.

ჩემი სუნთქვაა სიცოცხლე შენი,
მე შენს გარეშე არც რა მიგრძვნია
და რადგან შენ ხარ მარადისი
მარადისობა,
მე თვით სიკვდილიც არ შემიძლია!

* * *

ერთი წვეთისგან შემდგარი ზღვა ვარ,
ო, მე ამ ზღვაში წვეთი ვარ, წვეთი;
ერთი ვარ, მაგრამ ქვეყანა მე ვარ,
ჩემზე ტრიალებს ბორბალი ბედის.

წვეთი ვარ, მაგრამ ზღვასავით ვღელავ,
მე დაჭრილიც ვარ, სისხლი მდის, აგე!
ჩემშია ყველა!
ჩემია ყველა!
ყველაფრისათვის მე პასუხს ვაგებ!

ეროვნული ბიბლიოთეკა

* * *

ჩემი ვარსკვლავი —
ვით სულის ხემსი
და მთვარე — ჩემი მრგვალი მაგიდა, —
ამოვიგულე გულიდან ლექსი,
როგორც ლებანი ბროლის კაკლიდან.

მთელი სიცოცხლე ვიყავ მართალი,
მაგრამ რად გინდა?
ვინ რას დამპირდა?
უანგარიშოდ მოვიკალ თავი
და ამისთვისაც ვიღაც გამქირდავს.

* * *

მომესალმება,
ერთს გამიღიმებს
და მსწრაფლ ჩაივლის
ჩემი ნაცნობი, —

იცის, რა მძიმე ტვირთსაც
მივათრევ
და არ იწუხებს თავს თანაგრძნობით.

უკვდავი სახელები

— ბიჭო!.. ბიჭებო!!...
მე არ გიცნობდით,
თქვენ გამეცანით სიკვდილის მერე
და გაწამებულს ამდენ სიცოცხლით,
უფრო შემზიზღდა ჩემი სიბერე.

გუშინ არ იყო? — ტელეეკრანზე
იცინოდით და გვიქნევდით ხელებს,
დღეს რა ისეთი ცხენი შეკაზმეთ,
ქროლვით გაუსწროს იმ ლურჯა
ცხენებს?!

ახლა ვის ვუთხრა დაიმედებით,
რომ ეგ სიკვდილი არ არის მხოლოდ,
ან ვით შევიცნო თქვენი დედები,
მთლად საქართველო როდესაც
გგლოვობთ?

თქვენი გმირობა თუმცა მახარებს,
ლამაზ სახელებს გულს ლახვრად
ვირჭობ, —

ბიჭო, ლევანო!
ბიჭო, კახაბერ!
ბიჭო, ირაკლი!
გიორგი, ბიჭო!!..

* * *

კი, ადგა რასაც მამა-პაპა,
ვადგავართ იმ გზებს;
კი, შხამს როგორსაც წვნევდა იგი,
ჩვენცა ვწვნევთ ისეთს;

კი, მოუთმენელ მოთმინებას
გვასწავლის ქრისტე,
მაგრამ... ამდაგვარს?!
მაგრამ... ამსიგრძეს?!

* * *

საქართველოდან წასულ კაცებს
(მცირეოდენის გამოკლებით)
უცხოეთი ისე იტაცებთ
ქართვლის ძუძუთი გამოკვებილთ,
დავიწყებიათ ვალი თვისი,

არხეინად ლხინობენ იქა,
გაუმარჯოსო საქართველოს! —
გვიჭახუნებენ შორით ჭიქას, —

ვაი, შენ, ასეთო ქართველო!

* * *

ისევ შორსა ვარ,
ისევ მარტო ვარ;
დაშორიშორდა ისევ მანძილი, —
მეგობარ კაცს რომ მიქცევს
ბატონად,
შემირცხვენია ის სავარძელი!

ეროვნული ბიბლიოთეკა

ძუნწი კაცი

ქალის სიძუნწეს —
კიდევ ახსნი რაღაც მიზეზით,
ძუნწი კაცი კი...
ძუნწი კაცი არის მელია,
ფული კარტივით დაპრესილი
უდევს ჯიბეში,
ისე კი დადის,
თითქოს ჯიბე ცარიელი აქვს.
გაუმაძღრობა და სიხარბე კაცის
ამგვარის
სხვის გაჭირვებას
არასოდეს არ დაგიდევდა,
ასეთი კაცი —
ასანთსაც კი ხელის კანკალით
გამოგიწოდებს სიგარეტის
მოსაკიდებლად.
ძუნწი კაცისთვის უცხო არის
სული მდიდრული,
გულმოწყალების უხვი ტვირთი
მას არ უზიდავს, —
ასეთი კაცის,
ხელოვანიც იყოს დიდგული,
არც ლექსი მინდა,
არც ნახატი
და არც მუსიკა!

* * *

სიმართლე სუფევს ჩემს საუფლოში,
რომელსაც მევე ვუდგავარ მცველად,
თავს დამტრიალებს ძალა უხეში
და ვიგერიებ ვით კრუხი ძერას.

ვდევნი, ვაშინებ,
ვებრძვი, არ ვუთმობ!
ვებღაუჭები სიკეთის რწმენას,
მაგრამ...
ვით შეცვლი მუხთალ საწუთროს,
მაგრამ...
რას უზამ ამ ბედისწერას?!

* * *

სამშობლოვ ჩემო,
გინდივარ რაღად?!
გულდაფლეთილი, თვალდაშრეტილი?
ვერ გამომადგა მე იარაღად
გრძნობა სათუთი, ფიქრი კეთილი.

სახეში მცემდნენ ქარები ავი,
მემუქრებოდნენ გადაქანებით,
სულ წინ მისწრებდნენ ჯიკავ-ჯიკავით
გალაღებულნი ზურგის ტარებით.

ვის რას ანიშნებს ღღეს ჩემი გვარი?
რაღა ვარ ახლა მე—შენი შვილი?
სიყვარულის ზღვის ვარ ნატალღარა,
ცივ და უგულო კლდეებს შეფშვნილი.

უსასრულობა

ამ მთების იქით, იქით,
სულ იქით,
კვლავ იმის იქით, გაღმა,
სულ გაღმა;
ამ ზეცის ზემოთ, ზემოთ,
სულ ზემოთ,
იმ უმაღლესის მაღლა,
სულ მაღლა;
ამ მიწის შიგნით, იმ შიგნით შიგნით,
უძირო ძირის, ულრმესი სიღრმის, —
ის ღმერთმა უწყის, რა ხდება ახლა.

აქ კი... ამოსულს სიცოცხლის ხიბლით,
მზეს სისხლისმღვრელი ღმები ახლავს,

• • •

ჰა, ჭაბუკურად წამოხტა ლექსი!
აჰა! ელვისებრ იშიშვლა ხმალი!
ტყვიას ნუ ესვრი!
ტყვიას ნუ ესვრი!
სიტყვამ განსაჯოს ცოდვა და ბრალი!

ჰა კვლავ შეგუბდა ტატნობზე ნისლი!
აჰა, კვლავ მოდგა მტრობა და შური!
ნუ გინდა სისხლი!
ნუ გინდა სისხლი!
მტკვარმა განბანოს მჭვარტლი და მური!

• • •

გულგრილობის,
სიძულვილის,
ნგრევის
ნეტავ როდის შეგეყარა სენი?

სად ჩაჰკალი სული აღმაშენი,
ეს იმედი მქონდა, ბიჭო,
შენი?!

• • •

თავის სიკვდილით
აქ არვინ კვდება!
აქ კლავენ სიტყვით,
ტყვიით და მზერით;

აქ ემუქრება სიბილწე კდემას
და რომ გადარჩე,
ძნელია, ძნელი.

• • •

სიტყვა — „სამშობლო“ უწინამძღვრებს
ლაშქარს სიტყვათა,
ჭირში თუ ლხინში
ის პირველი აღმოითქმება,
საქართველოო!
გულამოსკვნით იტყვის ვიღაცა
და სხვა სიტყვები ტანჯვით მოვლენ
მერე რითმებად.

მოვა „მშვიდობა“, „სიყვარული“
მოვა ნანატრი,
გულს უსალბუნებს,
ვით დახრუკულ მინდორს ცვარ-ნამი
და აჰა, უცებ თავს აიშვებს სიტყვა —
„ღალატიც“
და უსათნოესს მომიწამლავს ლექსს
საწამლავით.

• • •

დასასვენებლად წასულ კაცივით
მე სამშობლოდან გავიდე უნდა,
რომ დავიშორო გზა და მანძილი,
მერე შევიკრა ვით თოვლის გუნდა;

გაბატონებულ გულს და გულისთქმას
ცივი გონების მათრახით ვცემო, —
ამ უმაქნისი სიყვარულისგან
როგორ დაგღალე,
სამშობლოვ ჩემო!

• • •

არ მკითხო ახლა,
რისთვის და რატომ?!
დამტოვეთ მარტო!
არ ახსენოთ ჩემი სახელი!

ოცნების ფრთების ნაფლეთებით სავსეა
გული.
ყურძნის მტევნების ნამუსრევით ვით
საწნახელი.

* * *

ო, როგორ არცხვენს, როგორ არცხვენს
სულს ეს სხეული — ბებერი ციხე;
ჩაკეტილი ჰყავს ამ ტარტაროზს
ეს ანგელოსი,
ფორთხავს და ილხენს.

ო, როგორ აჩენს, როგორ აჩენს
დაღმეჭილ სახეს,
ლიმილს კი მალავს, —
ო, როგორ არცხვენს, როგორ არცხვენს
სულს ეს სხეული,
მოკვდავი — მარადს.

* * *

არვინ!
არც არვინ!
არც არვინ!
მართალს არ ამბობს —
ვხედავო;
ისევ შენა სთქვი, კალამო,
სანამ გაგლია სევდამო;

არც როდის გიკადრებია
სიცრუის ფრთებით ფრენაო,
გადმოდგებიან მაღლიდან,
ტყუილს გვაყრიან ზედაო, —
სიმართლე! ჩემი სიმართლე
რით ველარ გამომზევდაო?!

მაშ მე რაღა ვთქვა?!

(ზოგიერთების გასაგონად)

მცირე ხიწვია შენი დარდი იმ ჩემს ლახვართან!
და თუ შენ ამბობ, ვეწამეო, მაშ, მე რაღა ვთქვა?
მაშ მე რაღა ვთქვა, დალოცვილო,
მაშ მე რაღა ვთქვა,
უთქმელად თმენა ვისაცა მჭირს ჭირთა მრავალთა?
ვინ დავსვა მზერად ჩემთა წყლულთა —
ძველთა, ახალთა,
შენც ხომ ბედს ჰყვედრი, ბედნიერო,
მაშ მე რაღა ვთქვა?
სხვას ჩემზე მეტი ვის უნახავს მტრობა მზაკვართა,
ან ვით გაიგებს ჩემს სატირალს,
ვინც მე მიტირის,
ვისაც გუშაგი არ დგომია იმ ცივ საკანთან,
სად ყრუ კედლები გამოცოცხლდნენ
ჩემი სიკვდილით?
გაძევებული არ ყოფილა ვინც სამშობლოდან,
ვისაც არ ცმია უცხო ქვეყნის თოვლის ქურქები,
მიუწვდომელი არის მისთვის ჩემი გოლგოთა
(ნუ მებუქები, თუ ღმერთი გწამს,
ნუ მებუქები!)!
მცირე ხიწვია შენი დარდი ამ ჩემს ლახვართან
და თუ შენ იტყვი, ვეწამეო, . .
მაშ მე რაღა ვთქვა?

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ემზარ კვიტაიშვილი

წიგნიდან: „იკაროსის დაღუპვა“

სიმწარე, ნაწყვეტ-ნაწყვეტად ამოთქმული

I

ლოდი მაწევს მძინარს, მღვიძარს,
ვერ დაგტოვე ზეით მიწას,
დალეწილი, ნაწამები —
მიუხვედი დედას, ბიძას.

სულ ჩამოხმი, ქვეყნის ბოლმით
წმინდა გული გაისივე;
მაისს იშვი, დასაღუპად
აირჩიე მაისივე.

ვერცხლისწყალი რომ გასხლტება,
ისე გაქანდი და გაქრი,
მე მომდექი, ვერ მონახე
სხვა, ჩემს გარდა დასაჩაგრი.

შენ იყავი, ვინც მამაშენს
გულ-მუცელი გამოუჭრა,
ორმო — სისხლით შესავსები,
შენ იყავი ბოლო უჯრა.

ზედ რომ იჯექ, იმ ხომალდის
მსხვრევა თითონ დააჩქარე,
ბადეს ხევდი,
შენ გახევდი,
შენ გახვედი ყოვლის გარე.

ვისი გადამარჩენს სახე,
ვის ვიპოვი შენს მაგივრად,
გინდ გადიქცეს ეს ქვეყანა
თვალ-მარგალიტების სკივრად.

ჩამქრალ სანთელივით ხრჩოლავ,
თავო ჩემო დასახრჩობო,
რამდენს იტევ,
მითხარ კიდევ,
რა ტკივილი უნდა შობო...

გინდა ტყავის,
გინდა რკინის,
რას მიშველის კაბა-ჯუბა,
ვინ გადურჩეს ნაკრავს შენსას,
ალესილო, შხამში, შუბო.

მკვდარს ვედრები... ღმერთო, რა დროს
დავიხანჯლე, დავითოფე...
ვაი, დიდი ბიჭი ვიყავ,
არ დაგცალდა დავითობა.

გაგაყოლე სული ჩემი,
ავგაროზად ყელზე გები,
მართლა დიდი ბიჭი იყავ,
ვაი, ძნელად გასაგები.

გაშრა სისხლი და შეეშვი —
ქალს თუ ეშმას, გიშრისთმიანს,
მე ხომ ვიცი, სიცოცხლეზე
ბევრად მეტი დაგითმია.

ახლა უკვე სულერთია —
სადმე ვიარო თუ ვიდო,
ნახონ, გლოვის ბუდედ იქცა
სახლი ჩვენი — სადავითო.

II

დახუნძლულა ხე ცხოვრების
ჭირით ათასნაირითო...
მეხი, თავზე დატეხილი,
ველარაფრით აირიდო.

სასიკვდილო ძილისაგან
დაძლეული სუნთქავ ძლივ და
ატყობ, ტანჯვა უსაშველოდ
გაიწელა, გახანგრძლივდა.

ავად მოსაგონებელი,
გათენდება ერთი დღეც და
გაოგნდები,
თითონ იტყვი,
რომ გუმანი შენი შეცდა.

ვინც აშენე სიმწრით, მისი,
გულ-მუცელი ჩაინგრევა,
ხელს იფარებ,
შენ არ გინდა —
დაინახო ძვლების გროვა.

რაღა დროსი, შენი ჰქენი,
შენ სიკვდილო გასუსულო,
გადმომხედე, თუ სადმე ხარ,
მიცან, ჩემი ბიჭის სულო.

„რად ირჩიე ჩემებრ ურჩი,
რას მერჩოდი, რას მაჩენდი...“ —
ხშირად უთქვამს გამწარებულს,
ენთო სახე მისი — დენთი.

დამიმძიმა ბეჩავს ტვირთი
წუთისოფლის დაღრეჯამო;
ცრუს, უპიროს, ხომ შეგპირდი —
ცეცხლი ვსვა და ცეცხლი ვჭამო.

მე ღვარცოფმა თან წამიღო
ამ დაწყევლილ ბედიანა,
მოქნეული ურო თავში
დამკრა, დამარეტიანა.

მიფიქრია (არ ამაოდ),
ახლეჩილი ვიყავ კვარი...
ალი მლოკდა და ჩემსავე
ნეკნებში ვარ გამომწვარი.

გამოკეტილს ბნელ სენაკში,
გამჭვარტლული მაწევს დირე...
არ ეგონოთ, გლოვა ჩემი
მოვათავე, დაგიტირე.

გადიდებული სურათი მის ოთახში

გადახაზულ სახეზე
ვინ მოისვას ხელი,
მკვდარ მიწაზე დახლილი,
ვისი გაქრა ხალი.

წელი გადაიტეხა
ჩემმა დიდმა ხემ ხო,
მათრევს დარდი რამხელა,
ვიღას გადავემხო.

დამსხვრეული მუხლები,
გადამსკდარი კანი,
მოუღლელი სიმაღლე,
თვალის ამატკენი...

მზე ერთფერად უნათებს
პირმოთნეს და სათნოს,
სისხლი ვინც დამადინა,
გულიც მან დაადნოს.

რამდენს კლავს მწუხარება —
ძველი, არახალი...
შეყინულა ლოყაზე
ჩემი ბიჭის ხალი.

ამოჩემებული

დნება უქმი ცხოვრება —
შეცდომების ჯამი;
არ დამინდო ათასჯერ
მკვდარი, შიშნაჭამი.

მომინიშნა წრე მცირე,
ერთხელ არ დამინდო,
თავშიშველი მატარა
ასე მინდორ-მინდორ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩამომძახა ბნელ ფსკერზე:
დაეტიე მანდო,
ვიდრე გამოგყელვია
ყელი საქამანდო.

ხმა სადღა მოგაწვდინო,
გასულს დროის გარე,
ან რა გულით შევირგო,
რაც შენ წაიმწარე.

გადაგიჭრეს ფესვები,
ჩემგან დარგულ კედარს...
ვლოკავ ლოდზე შავ ცრემლებს,
შხამის ხიდან მწვეთარს.

თავზარი

გაცივდა მამის თითები —
საფერებელნი, სალმონი...
არც ლოცვა გამომივიდა,
ვერც გავაგონე ფსალმუნი.

ღამეს გაშორდა ჩახუთულს,
უფსკრულს ხახაში ჩახედა,
აღარ ისურვა კიაფი
ვარსკვლავთა მოჩახჩახეთა.

ეწყევლი ხვედრს, მიხვედრილი ვარ:
ქვა, რკინა, ძვალი — იშლება...
ბირკით, ლენცოფით დაფარულ
მინდვრის ჩანს გადაშიშვლება.

ცრემლს მადენს, იქეთ მიმდენის
ავბედი, ჩემი მჩარხავი,
ვინც შემძრა, ვინც შემარყია,
იქა მყავს დასამარხავი.

სახეს, სამოთხის სახილავს,
გულსა და სისხლში ვინ წაშლის,
ჩავშავდი, იმის უნათლესს
ვის ჩავუშვებდი მიწაში.

ამბობენ, ირწმუნებიან —
სიტყვა მწკრივია ნიშანთა...
ის ოცდახუთი ივნისი
ჩემს ტვინში ამოიშანთა.

განაპირებული

რისმა გიხსნას იმედმა,
რის ჭამა და რა სმა,
სიძვირეში სექტემბრისაც
აიწია ფასმა.

დაწყევლილი მოგელავს,
რაც მოგელის, იცი,
გეტირება, სიცილიც
შენი არ გავს სიცილს.

თავი ველარ აიშვი,
არც გელირსა შვება,
ოქროს იდგა გორები,
ნამცეცები გრჩება...

თქვენთანა ვარ, წმინდა სულნო,
ხატზე დასაფიცნო,
თვალს ვარიდებ ყველა გამვლელს,
არ მსურს, ვინმემ მიცნოს.

ნუგეში

კაცი თავს კედელს ახლიდა —
დიდი ცოდვილი ვარ მეო,
არ მეპატია, უფალო,
სიგლახე და სიარმეო.

ძის ჩემის, ამონთხეული,
სისხლი ზედ შუბლზე მცხია მე,
სულ შხამად ამომადინე,
რაც გაიმეტე სიამე.

ქვადაც რომ ვიქცე, ამ დღისთვის
არ გავიმეტებ მე სხვასო,
არვის დავკაწრავ, მთელ ტანზე
თუნდაც ეკალი მესხასო.

გახმობაზეა ძირ-ფესვი,
დამეხილ-გადანახაზი,
დაწრეტილს, წელში გაწყვეტილს,
იმედი მქონდეს რაღასი...

ნუ წუხხარ, ჩვენთან მოდიო,
უხმობდნენ მამა-ბიძანი;
დავაჩერდი და იმ კაცში
ჩემივე თავი ვიცანი.

ᲛᲓᲐᲠᲔ ᲨᲔᲓᲐᲠᲔᲑᲐ

ახლა მე ერთ ბანალურ შედარებას მოვუხმობ და გთხოვთ
ნუ გაგიკვირდებათ, ნურც ხელმოცარულ კაცად ჩამთვლიან,
მითუმეტეს, რაიმეს რაიმესთან დაწყვილება არ მიჭირს.
ხშირად მაგონდებიან უნაყოფო, ცარიელი ადამიანები,
სიკეთე, მადლი რომ არ დაჰყვათ და ასე უნდა განქარდნენ.
მხდალი, გუნებაწახდენილი, ამაზე მუდამ ვწუხდი, დამნანებია.
მათ რო ვიხსენებ, ცეცხლზე მოშიშინე ქვაბი მახსენდება —
სახურავ და სახელურდაჭეჭყილი, დიდი, ალუმინისა.
შიგ ერთი გაკეთება ლობიოა ჩაყრილი, წყალი თბება,
მარცვლები იბერება, კანი ეჭმუჭნებათ გაჟივებულებს;
ზოგიერთები ფსკერზე შეირხევიან, ამოტივტივდებიან,
ზედაპირზე დაფარფატებენ, განიშნებენ, გამოვხმითო.
ამ ფშუტე, გადასაყრელ მარცვლებს მაგონებენ ის საცოდავი,
გასაცხრილი არსებები, სამზეო რო უნდა დატოვონ... არას ტოვებენ.
რაღაც უბედურება ტრიალებს მათ თავს. არავინ იფიქროს —
რომელიმე მათგანს ვამცირებდე ან არად მიმაჩნდეს.
საგანგებოდ არც იყო აღსანიშნი ეს ამბავი, მაგრამ ხდება —
კაცს რაღაც შემოგიჩნდება, არ გეშვება, ტვინს გიბურღავს;
სანამ ქაღალდზე არ გადაიტან ამ აბდაუბდას, არ მოგასვენებს.
აქვე ვიტყვი: სვეგამწარებული, დაძირული, მე ბევრად,
ბევრად უარეს დღეში ვარ, სანატრელი მაქვს მათი ხვედრი.
რაც თავი მახსოვს, გადაყვლეფილ თავ-პირზე მევლება
ახვარხვალებული ცოდვის მდულარე. თვალღია — გაუნელებელი,
ქუსლებში შენთებული ჯოჯოხეთის ალზე ვარ შედგმული, ვიხრუკები.

ᲫᲐᲦᲚᲘᲡ ᲢᲧᲐᲕᲘ

იქ, სადაც ვაკე-საბურთალოს კლდეა გაგლეჯილი და
ოღრო-ჩოღრო, დაბრეცილ ფერდობზე გაკვალული,
მილდატანებული ბილიკი თავქვე მიიკლაკნება, —
შემაწუხებელი, გულსაკლავი სურათი ვნახე...
ნეტა არ დამეხედა ძირს, გუნება წამიხდა...
ორიოდ კვირის წინ ამ გადატრუსულ ჯაგებში
დასრიალებდა წყვილი, გიშრისფერი თვალი.
ახლა გაბრტყელებული გდია პატარა,
დაბალფეხება ჭრელი ძაღლის ტყავი —
ბალახზე დაკრული, გულდაგულ დატკეპნილი.
თვალების ალაგას — ორი ნუშისტოლა ხვრელი.
იყო ალბათ წუთები — პატრონს უმზერდა მადლიერი;
უკანა თათებზე შემდგარი შეწკმუტუნებდა, შესწკნაოდა.
ახლაც ატყვია პაწია, გაქვავებულ დრუნჩზე
ორი შავი წერტილი, ჩასვრეტილი —
ყნოსავდა ნამიან მიწას, სუნსულებდა.
დავყურებ გათელილ ბალანს, ცხადად ჩამესმის —
ფერდებჩალეწილი ფინიას გაბმული,
სიკვდილისწინა წკავწკავი, თანდათან მისუსტებული,
არც მინდა მივიხედო, ვშორდები იმ ᲪᲝᲓᲕᲘᲚᲘᲐᲜ ადგილს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საავადმყოფოს ეზოში

ერთი გადახრილი ხე მეგულება;
ატმების ყვავილობისას, აპრილის თვეში,
პირდაპირ დაკორძილ, ხორკლიან ტანზე,
ბლუჯა-ბლუჯად, უფოთლოდ გამოაყრის
ღვინისფერი, პატარ-პატარა ყვავილები —
მომინდება, ზედვე მივაგლისო ხოლმე, —
თითებში მოვჭყლიტო, მოვსორსლო,
შევიგრძნო სისველე, დაკარგული სურნელი.

გულჩვილი

დაფლეთილ ცაზე ამოსულ მზეს
მინდა ვუთხრა ერთი სიტყვა: მენანები.
თვითონ დედამიწას, დათხრილს, დაგლეჯილს,
მინდა ვუთხრა: მენანები.
ქალი, შუბლში ნაოჭი რომ ჩაჯდომია, —
მაშინებს. რა ხდება, არ ვიცი —
ყველა და ყველაფერი მებრალება —
მე თვითონ შესაცოდებელს, საბრალოს.

* * *

ერთადერთი თეთრი ყვავილი ხარ,
ჩემდა იმედად ამოსული, გაშლილი.
შენი ფეხის გულებში ჭკნობა სუნთქავს,
შუბლზე, თვალთა უპეებში დაგეტყო,
წყეული ალბათ შენს მკერდსაც მოადგება —
მოგიჩვარავს, ჩაგკიდებს, შეგინაოჭებს...
მე იმ დღის გახსენებაც მზარავს, მესიკვდილება.

ავადმყოფობის დროს

არ ვიცი, როგორ ავხსნა ეს მომთენთავი ჟრჟოლა...
თვალებიან, მკლავებიან, სახის ნაკვთებიან,
ბეჭებიანად ვირღვევი და ვგრძნობ ნეტარებას.
დუღს, აწვება საფეთქლებს, დაქცევაზეა ტვინი —
ბედნიერება იქნებოდა, თავს რომ შემომისალტავდეს ვინმე.

სოფლის ზნე

ადექ, მიდი და გაუგე,
რას გიპირებს ეს საწუთრო;
ჭრელი, არცთუ მხიარული,
ბნელი, არც ისეთი მყუდრო.

ეს ცხოვრება შუა გზაა,
აქვე რჩება,
არსად მიდის,

ადგილს ტკეპნის, თავს ინახავს
ჭუპრი ჭიის, კვერცხი ჩიტის.

გატრუნულა, თან ბობოქრობს,
მტყორცნელია რისხვის, ელდის,
უცნაური ზნე ჭირს სოფელ-
სხვანაირად ვერც გაგრძელდეს.

ვიღას ახსოვს...

მოვათავე მამლობა,
არც მაქვს დასაყივლი,
გრძელმა ალმა გამლოკა,
ფრთხილად, გვერდზე ვიევლი.

მდინარე ვარ უთევზო,
ჟამის დავყევ ნებას,

არ თქვან, ღამეს უთევსო
მიზანს საოცნებოს.

ვიღას ახსოვს ზარის ხმა,
დილილმე და დივლი...
ღვინოს მღვრიეს დავისხამ,
რეტდასხმული ვივლი.

გაუღვეველი

დროს წინ ვერ გაუსწრებ და
უკანაც ვერ დახევ,
მძულხარ, მარადისობის
გამყინველო სახევ.

ხან ჭკნები და ხან ღვივი,
გაურღვევი წრე ხარ,

დღეის დღეში მოქცეულს,
აქ მომიწევს წნეხა.

ასე დასდევს ხვედრი თუ
განაჩენი მკაცრი
ფრინველს, აფართხალებულს,
სისხლისაგან დაცლილს.

ჭადარის ძირას

„ნუთუ სულ არ გეშინია,
პაწაწინა ბარტყო,
თეთრი მთვარის კენწეროდან
მიწას დაებერტყო.

ალბათ რაღაც გიხარია,
ისე აჭყლოპინდი,
ვერც კი ატყობ, კატასავით
მოგპარვია ბინდი.

გინდ შეასკდი რკინის ბადეს,
გინდ ქვას თავი ურტყი,
რას გახდები, ფრთხილად, ვიდრე
გაგწეწვია ბურტყლი“.

ასე ვუთხარ ერთ ბელურას,
კუდმოკლეს და ციცქნას;
არც შემხედა, დაჯდა, ბალახს
ღერო წააწიწკნა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფანჯარასთან მომდგარი მთვარე

დამამუნჯა ცქერამ ცისა,
პირში ბურთი ჩამჩარა,
ვინ იქნება, მთვარესავით
რომ უყვარდეს ფანჯარა.

მთვარეე, მთვარეე, ამ ციე ღამეს
რა ვერცხლი გადმოღვარე,
საეჭვოა, გყავდეს სადმე
ჩემისთანა მოყვარე.

თუა რამე, არ გეფიქრა,
გულო, ანდა არ იზამ;
დაგითრია, გაფართხალა
შენ მორევმა მთვარისამ.

სული განდე, რჩები, მთვარეე,
ძალად იდუმალადო
და გპატიობ, შენ ერთს, რაგინდ,
რაგინდ არ მიღალატო...

კარდაკარ მოსიარულე ვაჭარი

ტარანის აცმა ეჭირა,
წაბლის უჭირავს აცმა;
მიმდევარია სეზონის,
სხვა რა იღონოს კაცმა,
ალიონიდან წანწალებს,
ისეთს რას იღებს ნაცვლად.

ხან ჩიტს მოგიყვანს მგალობელს,
ხან გიწვდის კორჩიოტას,
ოჯახი ელის, ცოდვაა,
ფულს გააკეთებს ცოტას.

წყავის ხეზე ქანაობა

(ყრმობის მოგონებიდან)

რას დამაკლებს ახლა
მე მზე დამსიცხავი,
რტოგაშლილი, გრილი,
მეფარება წყავი.

ზურგი მუქი ფოთლის,
პრიალასი, გლუვის;
მოაქვს ხილვას მისას
სიმყუდროვე გლოვის.

მეფარება ნარბენს,
მეფურ ჩრდილში ვწევარ,
აჰყოლია ნიავს
ტოტის ნელი რწევა.

მახსოვს ნაფუძარზე
ამოყრილი წყავი;
მახლავს დარდი ჩემი,
ჩუმი, აურწყავი.

სანაპირო ღრუბლიან დღეს

საამოა გრილ კაფეში
თვალის მოტარება,
ხან — შხაპუნა ნაცრისფერი,
ხან — გამოდარება.

გახვალ, ბრდღვინავს, აყალყული,
ხიდზე ულაყები,
მე კი ღიდან გაჩენისა,
ვარ გაულაღები.

მოკლე, ჩუქურთმებიანი,
რკინის ბოძი გდია...
შენს წინ აზრიალებული
ნევის პროსპექტია.

და ინთქმება ამ გუგუნში
ნაბიჯები შენი,
მისრიალებს ეს ქვეყანა,
შენგან შეუსმენი.

ცეცხლმა დამწვას...

ეროვნული ბიბლიოთეკა

მზე ისევ ფლეთს, ეფეთება
ჩემს დაკლებულ მზერას,
ცეცხლმა თუ არ დამწვა, ეს ცა
ისე რამ შეფეროს.

არსად წყარო უკვდავების,
აღარც ვერცხლის სურა...
რამ დააცხროს ხვედრი მწარე
მე თუ არ დამწურა.

დაქარდული მეწვის წვივი,
რა მზე, რისი გრილო;
მერეც, მიჯობს, ცეცხლმა დამწვას
მკვდარი, უსურვილო.

ბოლმა საქართველოსი

დალეწილ კლდესთან ვიდექი,
შეძრული ფიქრით უნდოთი:
ისე ვერ გამოიზამთრე,
როგორც ილიას უნდოდი,
როგორც აკაკის უნდოდი,
როგორც ერთ ფშაველს უნდოდი.

საჭოჭმანო

მატარე. ყოფა მეტირა.
რითი დამსჯიდი მეტით.
მოსვლა? არმოსვლა? რა ჯობდა —
ვერც ვიტყვი გადაწყვეტით.

მოწამლულია წყარო და
სისხლიანია ლუკმა.
მრცხვენია, ერთი ცხოვრებაც
ჩამოიმარცვლა უქმად.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გიორგი ჩარკვიანი

რაინდები

ღვინო — კოკასა, თაფლი — ქოთანსა,
ვის აბრალებდნენ — იმ მთას, ამ მთასა—
ამაღლებასა უაზნოთასა
და დამდაბლებას გუარიანთასა.
მტკვართან ლანდები, ხიდზე ჩრდილები,
ცაზე კაშკაშებს მთვარე ნალევი...
ვის ხელის იყვნენ, ვის მორჩილებდნენ
ტანასხლეტილი ელვა ქალები.
სიტყვა მახვილი ხანჯლის წვეტივით,
კაკლების ძირას ცეცხლი ბრიალებს.
ლხინი ვაჟური, თავაწყვეტილი
ან სისხლიანი ხმლების ტრიალი.
რა არს სპარსეთი ან თუნდაც რომი,
მტკაველი მიწა არ დავანებოთ...
მაგრამ... ძმებთანაც იცოდით ომი
თქვენ, რაინდებო გუარიანებო.
... დღეს კი ქალაქში ჭექს დინამიტი,
ბნელში ტყვიები ზოლებს ავლებენ..
ნუთუ ამითი, მხოლოდ ამითი
თქვენ დაგემსგავსეთ შთამომავლები?!

არმაზი

საითკენ გაექანები.
შორს არიან თუ ახლოს.
ქალები, რამდენი ქალები,
ყველას სახელი გახსოვს.
ვერ გადაიხადე ვალები
სხვისი თუ შენი ნებით...
მათი ფერადი თვალები,
შუბლზე ჩამოშლილი თმები.
ბეჭედში ციმციმებს ალმასი,
ტანი ალვისხის სადარი...
ვისია გოგო ლამაზი?
რად გინდა, შენი არ არის.
მცხეთა და ბრძენი არმაზი,
გიშველეს ღვინის ჭიქებმა...
ვისია გოგო ლამაზი?
შენია, ვისი იქნება!
მტკვარს გადაცურავთ მხარულით,
ნაპირზე ლოდები ვეება
... ერთი ბეწო სიხარული,
ერთი ნამცეცი შვება.
სადღაც აფეთქებენ ლაღუმებს,
საღამოს ცაა ბაცი.
ლექსმა და ქალმა ვერ დალუპეს
ვერცერთი ჭკვიანი კაცი.
დარია თუ ავდარია
ცრემლები არ უნდა ღვარო
...ნეტავი რა გიხარია,
ვინ გითხრა — ჭკვიანი ხარო?!
ქუჩა-ქუჩა დანავარდობს,
აჟღარუნებს ნალებს ქარი.
არც ზამბახობს და არც ვარდობს,
ლექსია თუ ნალექსარი?!
მოყვებიან ქუჩას მარდად,
თმებს უწეწავს ქალებს ქარი...
ვაი შენ თავს, თუკი მართლა
ლექსი გახდა ნალექსარი.
ქუჩა — დიდი დარბაზია,
ქარო, აქეთ გამოჭენდი...
ვაი პოეტს დარბაისელს,
სანთელივით ჩამოღვენთილს.
ვისი ძმა და ამქარია
ეს ჭადარი განიერი...
იყო ვიღაც ამ ქარივით
უტეხი და კადნიერი;
ურჩი, როგორც ქორის მართვე,
გალიების დამლეწავი...
ნუთუ მართლა, ნუთუ მართლა
ლექსი გახდა ნალექსარი?!

ეროვნული ბიბლიოთეკა

სულამითი

ქალი თუ დენია,
ამაყობს ამითი.
„შავ ვარ და შუენიერ“, —
ამბობს სულამითი.
თუნდ იყოს მუშტები,
თუნდ იყოს დანები,
კვლავ დაემუშტრები,
თავს ვერ დაანებებ.

სადაა ლერწამი,
სადაა ტირიფი?
არ გინდა, ერთ წამსაც
არა ღირს ტირილი.
რად უნდა ეხვეწო,
რას იზამ ამითი...
შენსა მტერს ეხვევა
შენი სულამითი.

შიში

რაღაცას წვალობ, რაღაცას ელი,
ბევრი იმედი ჟამმა დალახვრა...
თუმცა გავიდა მრავალი წელი
სიკვდილის შიში ვერ გადალახე.
არავინ იცის ის შენზე უკეთ,
რომ გეჩვენება (ნეტავ სად არი?)
ჯერ არ გათხრილი და მაინც უკვე
მივიწყებული ერთი საფლავი.
...წადი და სდიე დიდების ვარსკვლავს,
მოწყვიტე, ხელში აათამაშე,
რა უნდა შენთან ჭირსა და ვარამს,
ფული და ქალი გაგათამამებს.
ტკბილ არს დროებით სატრფოსთან
წოლა...
უცებ შეგზარავს... (ნეტავ სად არი?!)
მოგეჩვენება ნამთვრალევს — ბოლავს
ჯერ არ გათხრილი ერთი საფლავი.

მოგონება

არაფერი გიჭირდა
ისეთი და ასეთი.
შენი იყო ნიჭი და
სხვისი იყო გაზეთი.
რისთვისა თუ რითვინა,
მუქთად იქ არ გაძლებდი,
არ იყავი მზითვის ყმა,
ჯამაგირსაც გაძლევდნენ.
ყველა კარგი ლექსიდან
წკრიალებდნენ ეჟვნები.
სულ ფეხებზე გეკიდა
ხრუშჩოვი და ბრეჟნევი.

ამას ვერ მოერიდე —
ხან გხსნიდნენ, ხან გაძრობდნენ...
კვლავ ბეჭდავდი წერილებს
საქართველოს ტაძრებზე.
გოგო — იის კონაა,
კოცნი ტუჩებს მინდობილს...
არაყსა და კონიაკს
სვამდი, როცა გინდოდა.
თავს რადა გრძნობ ეულად
ამ ფიქრებში გართული?
... მხიარულად ქცეულა
მოწყენილი წარსული.

ჭაღარა

დრონო, ანუ დროებო,
არც ხნავდი, არც ბარავდი.
ახალგაზრდა პოეტო,
როგორ გაჭაღარავდი.
მუხას რა მოესია,
ირემს უნდა მგელობა?
გეგონა პოეზია
დახლიანი ხელობა.
ისევ ღვინო მზესავით,
ისევ ქალებს აკოცო...
ეს და მხოლოდ ეს არი
საქმე სამამაკაცო?
ატმებო და ლეღვებო,
ლექსის წერამ დაგღალათ?

ეროვნული ბიბლიოთეკა

გინდა სისხლით შეღებო
დაწყევლილი ჭაღარა?
არ იგუებ არადანს,
გსურდა სულ პირველობა,
დახლიანი, არადა
ღარდიანი ხელობა.
ნეტა ვის შუბლს, დროებო,
ნაოჭები ღარავენ?
ახალგაზრდა პოეტო,
როგორ გაჭაღარავდი.

ტვირთი

რას აკეთებ, შავო ქალო,
არ გყავს ქმარი, არცა კურო...
მარტოობის დედოფალო,
ლამაზო და უბედურო.
ეგ ცხოვრება — მუდამ მწარე —
ორად რად არ გაყოფილა.
შვილით როგორ გაიხარებ —
ორსულადაც არ ყოფილხარ.
მზის ამოსვლას დაასწარი,
ძინავთ სახლში ქმრიან ბოზებს;
თვით არ იცი, სხვას ასწავლი
დაკვრას ფორტეპიანოზე.
ვინ გეძახის, ვის დაჭირდი,
შენს ხვაშიადს ვინ გაიგებს.
რა მძიმეა წლების ტვირთი,
ქრონიკული სიღარიბე.
ყველამ ქუდი დაიხურა,
თან წაიღო თეთრი ვარდი.
ის პოეტი სდ ფაფხურობს,
როგორც ჭაჭა, რომ უყვარდი.
ხან ყვიროდა, ხან ტიროდა,
სიყვარულო, ძალსა შენსა...
თავს მოვიკლავ, — იძახოდა, —
შხამი არა, ღვინო შესვა.
ვერ გაჩუქებს ვერცხლს და გიშერს,
ხშირად თვითონ შია პური...
ის პოეტი ამ ლექსს გიწერს,
შენზე უფრო უბედური.

* * *

ეძია და მონახა
გახვრეტილი შაური...
არავისი მონა ხარ
წვრილფეხა აზნაური?..
ძნელი წლები გადის და
ბრა კარგავ ღონესო.
ეძალები წყალდიდსა,
არ კადრულობ ფონებსო.
ცხენი სად გაგიყვანდა,
ჭრელმა ვეფხვმა დატორა.
ერთი გოგო გიყვარდა,
იმანაც მიგატოვა.
ძლიე ტანჯვას მუხანათს,
შხამივით დაილევა.
ბედი — ქორა ბულაა,
რქენა ეადვილება.
თეთრად ყვავის ხეხილი
ვაშლის ბაღის დამრეცზე.
ლექსი გქონდეს მეხივით,
სხვას კი ნურას დაეძებ.
ლექსის მთაზე თამამი
მოგიხდება ხმაური
...ვაი, არც იქ ხარ თავადი,
არც ტახტის აზნაური?!

ეროვნული
ბიბლიოთეკა

შაბურა არაბული

* * *

ვინც მიყვარს, იგი
ვერ შემაძულონ,
ვინცა მძულს, იგი
ვერ შემაყვარონ.
თუმც ძველებურად
ანთიხარ მზეო,
თუმც ძველებურად
ყვავი, მაყვალო.

დავალ ქვეყნად და
არ ვიცი, ფეხქვეშ
სად ჩამეშლები
მიწავ აყალოვ,
და მე მრცხვენია,
რომ იქ არა ვარ,
ლამის დავკარგოთ,
სამურზაყანო!

* * *

გაგიჟდა ტერენტი გრანელი
უკეთესს შაბურაც არ ელის...
აფსუს! არ მინახავს შატილი,
მინახავს ყვარელი, ქარელი,
კვლავ ქრიან ქარები ქარაფში,
არც ხლება რამ გასახარელი.

წარსული? არ მახსოვს არარა,
ბეჩავს პაემანზე ვინ ელის?
არც ნანა და არცა მანანა,
არც ნელი და არცა ნინელი,
ჯიბეში რად მიდევს დანა, რად?

ქართველებს ვგონივარ ჩინელი!
იდარა, რა კარგად იდარა,
იმედი ხვალისა ბრწყინვალის.
მწყემსი ცხვარს მოდენის
მთიდანა,
და უკან რომ დარჩა
ჟინვალი
და უკან რომ დარჩა
ბიდარა,
ნისლებში გამოჩნდა
მყინვარი!

იუმორესკა

ქალი,
კარი — კარნავალი,
ქალი, როგორც
კარნავალი,
ჩემთანაც ხომ მოვიდა...
ვით ცეცხლიდან ნაპერწკალი,

ვით გვალვაში ცივი წყალი,
როგორც ფიფქი თოვიდან...
ჩემზე ჭკვიანს,
ჩემზე ლამაზს
აბა ვის იპოვიდა?

ეროვნული ბიბლიოთეკა

* * *

თითქოს ხელებზე უხილავი
მადევს ხუნდები...
მთელი სიცოცხლე
ამ ხუნდების
მსხვრევას ვუნდები.

და გამჯდარი მაქვს
ძვალსა და რბილში
შიში
შიმშილით სიკვდილის შიში!...

* * *

ერთს გავაბოლებ მამა-პაპურად
მანამ ნურას სჯამთ,
სანამ შაბურამ
თქვენს ფეხებთან არ დაიჩოქოს...
თოვს დეკემბერი, შრიალებს გარეთ,
თქვენ მსურხართ, არ მსურს
მე თქვენი ოქრო...
მაინც მოვედი და მოგაგენით,

თუმცა გზა იყო სულ ოღრო-ჩოღრო...
რას ვფიქრობ, ვერა, ველარ მიხვდებით,
და გულს დავადებ ფოლადის ბოქლომს...
ჯერ კი ვზივარ და ვითვლი იარებს
ხომ ჩემი ხორცით უნდა მეკვებეთ!...
ვერ გამიგია, რა გაღრიალებთ,
პატრონს ველარ სცნობთ,
ლომის ლეკვებო?...

* * *

არა, არა ვხევ სურათებს,
მე სურათებს ვინახავ...
ფოტოებზე ხევსურები
იცვამდნენ ჯღანს,
ძირახალს...
ცხრა ქვეყანა მომივლია

ცხრა მთა გადამილახავს
აჰა, ისევ ჩემს მთებში ვარ,
ვდგავარ, ვითვლი იარებს
ჩემთვის არა, ხევ, სულერთი
შენთვის არის სად იდგები
სუყველგან იშრიალებ!

* * *

ერთ ლექსსაც დავწერ
და აღარ წავშლი,
ვინც ვერ გაიგებს,
იმან „გეიგოს“,

რომ პურის ფულიც
არა მაქვს სახლში —
ახალ წელს ვხვდები
უკაპეიკოდ!...

* * *

ქართოვა,
ცივა,
ბარტო ვარ
ეზივარ,
მინთია ღუმელი...
ვკითხულობ,
მინდა გართობა,
ვერ მოვალ,
ვერა,

ნუ მელით!
გავყურებ
ქალაქს ქარიანს
არაფრით ვგავარ
ზეკაცებს!
მარტო ვარ,
იანვარია!
ვფიქრობ ოქროსფერ
ეკაზე!...

ჯუთლები

ახლა, ალბათ, თოვლი მოდის და
ჟიპიტაურს სვამენ ჯუთლები...
მეც თუ ვფხიზლობ, მაგათთვის
ვფხიზლობ
მაგათთვის ვთვრები, თუ ვთვრები.
ყველა ჯუთელს პატივსა ვცემ —
ნოშრევანს კი — განსაკუთრებით!
ჯუთის ცაში დაფარფატებენ
შავი ჭკები — თეთრი მტრედები.

სვით, იმღერეთ და იჭადირეთ,
ძველებურად მეიმედებით...
ჯოჯოხეთის საპირისპიროდ,
ალბათ, ჯუთა არის ედემი!...
თიბეთ ბალახი, ხანით მიწა,
ზარდეთ ბალღები...
სოფელი, სადაც დავიბადე და
სადაც, ალბათ დავიმარხები...

* * *

თავისუფლები კი ვართ, მაგრამ
მაინც არ ვართ ბედნიერები!...
ათ პროცენტზე არაფერს ვამბობ,
ქვეყანა დარჩათ ბიზნესმენებს
და კომერსანტებს,
ჩვენ კი მშივრები

თეთრ ღამეებს უნდა ვმწყემსავდეთ!...
ვიღაც ფულების ფარას მიდენის
და დგამს თბილისში ლამაზ ჯიხურებს!
და ჯიხურში რომ ზის გამყიდველი,
როგორც მათხოვარს, მათხოვარი
ისე მიყურებს!...

* * *

ნუ გგონივართ სულელი და
ნუ გგონივართ თვალაბმული
წყალი მოაქვს კალამს ჩემთვის,

მოაქვს ჩემთვის კალამს პური...
როგორ მოგწონთ, პოეტებო,
არაბულის კალამბური?

ეროვნული
ბიბლიოთეკა

თენგიზ ბუაჩიძე

ნამცეცები

წინათქმა

ეს „ნამცეცები“ ორმოცი და მეტი წლის მანძილზე იწერებოდა. მათი თავდაპირველი წარმომშობია სხვადასხვა დროს ჩაწერილი აზრები თუ შთაბეჭდილებანი, აგრეთვე დაწყებული და შემდეგ რატომღაც მიტოვებული თხზულებათა, სტატიათა, კერძო წერილთა ნაწყვეტები, ციტატები და გახსენებანი, რომელთაც პერიოდულად, შემთხვევით და მოულოდნელად ვაწყდები ხოლმე ჩემი არქივის მორიგი დალაგების დროს. ცხადია, აქაა უახლესი ჩანაწერებიც, რომელთაც უკვე შეგნებულად ვაკეთებდი ამ უკანასკნელ თხუთმეტი-ოცი წლის მანძილზე.

ჯერ განვიზრახე ამ ზოგჯერ ერთმანეთის გამომრიცხავ ფიქრებსა და მსჯელობებზე აგებული ფრაგმენტების თემატური დალაგება, მაგრამ მალევე უარი ვთქვი ამ განზრახვაზე: იქმნებოდა რაღაც ერთფეროვანი და საკმაოდ მოსაწყენი სურათი. ამიტომ ნაწყვეტთა დალაგების პრინციპი ძირითადად ქრონოლოგიურია რაც ზოგჯერ წყდება და ირღვევა იმ მოულოდნელი „აღმოჩენების“ შედეგად, როცა იძულებული ვარ, ახალგამოვლენილი მასალა ნებისმიერ ადგილზე მოვათავსო.

ისიც უნდა ვთქვა, რომ ამ ფრაგმენტებზე დაყრდნობით ბევრი სოლიდური ნაშრომი თუ გამოკვლევა დაიწერებოდა. ამაზეც უარი ვთქვი, უფრო მეტიც — მათში არაფერს ვასწორებ გარდა ზოგჯერ მხოლოდ სტილისა. დარჩეს ისე, როგორც იყო, რადგან ყოველგვარი გათანამედროვება აუცილებლად გამოიწვევდა იმ ბუნებრივი გზის გაყალბებას, რაც ყმაწვილობიდან დღემდე გამოვიარე და ჩემთვისაც უინტერესოს გახდიდა ამ ჩანაწერებს, მკითხველზე რომ აღარაფერი ვთქვა. მკითხველი თვით მიხვდება (უნდა მიხვდეს), როდისაა დაწერილი ესა თუ ის ფრაგმენტი.

ახლა ამ ფრაგმენტებში ზოგი საეჭვო და მეტად საკამათო პასაჟიც მხვდება. დღეს, ცხადია, ასე არ დავწერდი. მაგრამ დღეს „დღესაა“ და მაშინ „მაშინ“ იყო. მაშინ ვიწყებდი, ახლა ვამთავრებ ფიქრს, განსჯას. შეფასებებს... გამოუცდელის გულუბრყვილობიდან გამოცდილის დაკვირვებამდე — ასე დავასათაურებდი ამ ფრაგმენტებს, ოღონდ ადრე რომ „ნამცეცები“ არ დამერქვა. მათი უმნიშვნელო ნაწილი თავის დროზე ჩემი „მცირე პროზის“ პირველ გამოცემაში გამოქვეყნდა და ასევე მცირე დოზებით გაზეთ „ქართულ კულტურაში“ იბეჭდებოდა.

ნუმერაცია მხოლოდ იმიტომ მივადევნე, რომ თვით მე ერთმანეთში არ ამრეოდა (თუმცა ვშიშობ, ისე არ გამომივიდეს, როგორც ერთხელ ტროცკიმ სტალინს უთხრა: „იოსებ ბესარიონის ძევ! თავი დაანებეთ თქვენი სისულელეების დანომრვას!“ არცერთს არ ვედრები, — ღმერთმა დამიფაროს! — მაგრამ ხომ შესაძლებელია, ჩემს დონეზეც განმეორდეს სიტუაცია და ვინმემ რაიმე მსგავსი შემომძახოს? ჰმ...).

ასე თუ ისე, აი ეს „ნამცეცები“ მთლიანად.

1992 წელი.

მ ი ნ ა წ ე რ ი: ერთმა ახლობელმა ამ ჩანაწერებისთვის ასეთი ეპიგრაფი შემომთავაზა:

„...რომ მქონოდა კალდერონის ენა. რაფაელის ფუნჯი და მოცარტის მელოდია, იქნებ მეც რაიმე გრძნობა ჩამენერგა თქვენთვის...“ ჰაინრიხ ჰაინე.

იყოს ეს ეპიგრაფი — რამდენადმე მაღალფარდოვნად და პრეტენზიულად, მაგრამ მაინც ამჟღავნებს ჩემს კეთილ სურვილს.

თ. ბ.

1.

...ადამიანის ხასიათს, ცოდნას, წვდომისა და განცდის სიღრმეს, ინტელექტსა და გონების ძალას მხოლოდ ის კი არ გვამცნობს, თუ რას და როგორ გვპასუხობს, არამედ ისიც, თუ რა კითხვას სვამს, როგორ შეკითხვას იძლევა. და ზოგჯერ შეკითხვის დასმა პარადოქსულად უფრო მნიშვნელოვანი ხდება, ვიდრე ზოგიერთი ჭკვიანური პასუხი.

2.

...საკუთარ თავს სარკეში ან სურათზე რომ ვაკვირდებით, განა მშობლებზე ან სხვა წინაპრებზე ვფიქრობთ? ჩვენ „ჩვენ“ ვართ. ისინი „ისინი“ იყვნენ. ხოლო შვილებს ან შვილიშვილებს რომ ვუცქერით, ჩვენდაუნებურადაც კი ვეძიებთ და ვხედავთ მათში „ჩვენიერს“; ორივე შემთხვევაში ყურადღების საკუთარ თავზე გადატანა ქვეცნობიერი ეგოცენტრიზმის გამოვლინებაა, რაც, როგორც ჩანს, ადამიანის პიროვნულობის ერთგვარი საყრდენია. ეს განუწყვეტლივ მეორდება თაობიდან თაობაში, მოდგმიდან მოდგმაში.

3.

...ზოგს ხასიათის სიმტკიცის გამოვლინებად სიჯიუტე მიაჩნია. იმას კი ვერ ხვდება, რომ სიჯიუტე, როგორც ყოველგვარი სტატიკურობა, უსუსურობის შინაგანი თვისებაა. ხასიათის სიმტკიცეზე განა უფრო არ მეტყველებს შეგნებული და მოქნილი თანმიმდევრულობა?

საქართველოს ისტორიული ბედ-იღბალი მრავალწილად განსაზღვრა ქართველთა ხასიათმა, რომლის თავისებურება თავისთავად იმავე ისტორიულმა ბედ-იღბალმა განაპირობა, ერთგვარი მოქნილობა რომ მიანიჭა.

4.

...ადამიანის ბედნიერების ერთ-ერთ მთავარ პირობად მრავალ ძველ რელიგიურ-ფილოსოფიურ სისტემაში პიროვნების გონივრული თვითშეზღუდვაა აღიარებული. ახალ პერიოდში ყველაზე მძაფრი ვნებიერებით მას დოსტოევსკი ქადაგებდა. რელიგიისაგან დამოუკიდებელი და უკიდურესობისაგან დაზღვეული თვითშეზღუდვა ალბათ ყველა ჩვენგანს მართებს, ყველას, ვისაც თავი გონიერად მიაჩნია.

5.

...ბოლოსდაბოლოს ხომ ყოველი პოლიტიკური პრინციპის დაყვანა შეიძლება გარკვეულ ზნეობრივ პოსტულატამდე (ისე როგორც პირუკუ) .

6.

...კულტურა ვითარდება მხოლოდ ადამიანით და მხოლოდ ადამიანისათვის. სხვა მამოძრავებელი და სხვა მიზანდანიშნულება მას არ გააჩნია. ეკოლოგიური კრიზისი ხომ დიდი პრობლემაა, მაგრამ განა ადამიანურობის კრიზისი უფრო გლობალური პრობლემა არ არის?

7.

...ვოლუნტარიზმის ბუნება ხომ რამდენადმე ირაციონალურია — თითქმის დამოუკიდებელია გარემოს შეცნობილი თავისებურებებისაკენ და არსებითად დამოკიდებულია ვითარების სუბიექტურ შეფასებაზე. მისი ზნეობრივი საფუძველი შესაძლებელია დადებითიც იყოს და უარყოფითიც. სოლომონ ლეონიძე, მაგალითად, კეთილშობილ ვოლუნტარისტად მესახება.

8.

...ყოველი გონიერი ადამიანი თავს უნდა გრძნობდეს იმ უსასრულო ჯაჭვის მხოლოდ ერთ-ერთ ნამცეცა რგოლად, რომლის საწყისი უხსოვარი წარსულიდან მოდის და რომლის გაგრძელება უსასრულო მომავალში იკარგება.

9.

...თუ მშენებლობაში მკვიდრად და სწორად აგებული სახლი, თუნდაც სტანდარტული, მაინც დადებითი მოვლენაა და მშენებელს აქტივში ეთვლება, მწერლობაში მკვიდრად და სწორად აგებული სტანდარტული შენობა მხოლოდ პასივია, რის შეგნებაც ზოგიერთ ავტორს აკლია, რადგან, როგორც დაუფიქრებლად ხმარობდა სტანდარტულ მასალას, ასევე სტანდარტულად აზროვნებს.

მხატვრული აზროვნების ხარისხი შინაგანად გაპირობებულია გარეგნული გამოხატვის საშუალებებითაც.

10.

...სწორად მიგვანიშნა უახლესმა ქართულმა სალიტერატურო ცნობარმა, რომ ეგნატე ნინოშვილის ლიტერატურული მემკვიდრეობა მხოლოდ განაცხადია იმ მწერლური აღმავლობისა. რაც ჯერ კიდევ წინ ჰქონდა ამ ნიჭიერ, ტრაგიკული ბედის მქონე ახალგაზრდა კაცს, ჩვენს სახელოვან წინაპარსაც და თანამედროვესაც.

11.

...მეცხრამეტე საუკუნის სამოციანი წლების დემოკრატები სამართლიანად თვლიდნენ, რომ ნამდვილი ტალანტი ცენზურის ყოველგვარ პირობებშიც მონახავს ფორმას თავის ჭეშმარიტ აზრთა გამოსათქმელად. ამის ბრწყინვალე მაგალითს ზოგჯერ ილია ჭავჭავაძე იძლევა.

12.

...ხალხის გულში მხოლოდ ერთი ლექსითაც შეიძლება მოიპოვო მარადიული ხსოვნა: ესაა ნოე ჩხიკვაძის განუმეორებელი „ვინ მკითხულობს? ვინ დამეძებს? ვის ვუყვარვარ მე?“

13.

მწერალს ზოგჯერ ასე ემართება: სხვის ცხოვრებაზე რომ ჰყვება, თითქოს თავისას ხედავს და თავის ცხოვრებაზე რომ მოგვითხრობს, თითქოს სხვისია. ეს უნებური კონტამინაცია მწერლის თვით ბუნებიდან გამომდინარეობს.

14.

...ზოგიერთთავის პრემია არის პატივმოყვარეობის დაკმაყოფილების საშუალება, ზოგიერთთათვის — პრესტი-

ჟის საქმე, სხვათთავის — თვითდამკვიდრების ფორმა, კიდევ სხვათათვის — ღირსეული ჯილდო. შინაგანად თითქმის ყველამ იცის თავისი ფასი...

15.

...მეორე მხრივ, რა ქნას რედაქტორმა, თუ არ დაბეჭდა ზოგიერთი სუსტი მწერლის თხზულება, როგორღა აუწყოს საქმის მცოდნეთ მისი სისუსტე?

16.

...თითქმის დაუჯერებელია, მაგრამ ზოგი არაპოეტი შინაგანი წყობით ზოგიერთ აღიარებულ პოეტზე უფრო პოეტია.

17.

... მარტის თვეს, თითქმის არავის რომ არ უყვარს არეული ხასიათის გამო, აქვს რაღაცის მოლოდინის ფერი თუ სურნელი, უფრო ზუსტად — მომავლის წინათგრძნობის თვეა თითქოს მარტი.

18.

...შენი ნაწერის მთარგმნელის მიმართ ზოგჯერ რაღაც უცნაური გრძნობა გიჩნდება: თითქოს საიდუმლო სიყვარულის ამბავი სხვას გაანდე და ახლა გეშინია, უნებური შეცდომით არ გამხილოს და არ შეგიბღალოს ის სათუთი გრძნობა.

19.

...მაინც რა ბევრს იზიდავს, იტყუებს და აცდუნებს მწერლის ულმობელი ხელობა?!

20.

...მიხეილ ჯავახიშვილის უაღრესად ეროვნულ პროზას მკაფიოდ ეტყობა ფრანგული მწერლური ტრადიციის ღრმა ცოდნა. მან პირველმა შეუტია ქართულ მწერლობაში გაბატონებულ ალკოვური სიტუაციების ქალწულებრივ მოკრძალებულობას, რაც დღემდე იწვევს ჩვენი აღმზრდელ-პედაგოგების გარკვეული ნაწილის ფარულ თუ აშკარა პროტესტს. კარგია თუ ცუდია — ეს ფაქტია.

21.

...კვლავ მეწვია კითხვა: მაინც რა მომაკვდინებელი მიზეზი იყო ვახტანგ ჭაბუკიანის თეატრიდან ასე უეცარი მოკვეთისა? განა ის დღემდე არ რჩება ყველა დროის უდიდეს ქართველ მოცეკვავედ?

22.

...ეროსი მანჯგალაძეს უხვად ჰქონდა, რაც ასე გვაკლია ზოგჯერ: იმ ეროვნული სულის სცენაზე სრული განსხეულების უნარი, უაღრესად კოლორიტულ ფიგურად რომ აქცევდა. მის ახლო მეგობრებს გარდა, ნეტა თუ ვინმემ იცის, შინაგანად რა მოკრძალებული და ზოგჯერ გაუბედავი კაცი იყო ეროსი? მთის სიმძიმე ტვირთი კი ასწია! როგორ დაგვაკლდა ყველას ეროსი, რა სიხარული მოგვტაცა სიკვდილმა?!

23.

...ილიკო სუხიშვილში თითქოს შერწყმული იყო ქართველი გლეხის მიამიტობა, თბილისელი ბიჭის ეშმაკობა, ოჯახის მამის კეთილშობილება და ეროვნული გმირის თავდადება.

24

...ძალიან მიკვირს, რომ უკვე სამოცისა ვხდები, — ასე უღმერთოდ უცებ?

25.

...მუსიკას რომ მსმენელთა მოჯადოების უნარი აქვს, საყოველთაოდ ცნობილია, მაგრამ თუ ემთხვევა ერთმანეთს სხვადასხვა მსმენელში მის მიერ აღ-

ძრული ემოციები? თუ ემთხვევა — მუსიკას ჰქონია ადამიანთა შინაგანი გათანაბრების უნარი, ხოლო თუ არა — მას ადამიანთა ისეთივე დიფერენციერების უნარი ჰქონია. როგორც მწერლობას და მხატვრობას.

26.

...„სახვითი ხელოვნების ენა“, „მუსიკის ენა“ შინარსობრივად სხვა ცნებებია, ვიდრე „მწერლური ენა“. ენის ფენომენს მწერლობაში და ცხოვრებაში გარდა გამოსახვისა სხვა ფუნქციაც აკისრია. განსხვავებით სხვა ხელოვნებათა ენისაგან, იგი ერთდროულად ხელოვნების ენაც არის და საყოველთაო ხმარების საგანიც. ძირითადად ენაში აცნობიერებს ხალხი თავის თავს. ენას პატრონობს ხალხი და ენა პატრონობს ხალხს. ვერცერთი ხელოვნების ენა, გარდა მწერლურისა, ამას ვერ იკისრებს.

27.

...სხვა ენაზე მწერალ ქართველებს რომ ვაკვირდები და ვკითხულობ, აკაკის „ღამურა“ მაგონდება. ერთი, ორი ან სამი გასაგები და შესაწყნარებელია ვითარებათა გამო სხვათა და სხვათა, მაგრამ — განა არა მრავლდებიან! მიხეილ ჯავახიშვილი რომ საქართველოში დაბრუნდა, სამწერლო ქართული აღარ იცოდა და მერე როგორ მოიქცა და რა ჰქმნა? თქვენ საით მიდიხართ, ძმანო?

28.

„მართალია, რამდენჯერმე გამოიცა და სხვადასხვა თვალსაზრისით შესწავლილ იქნა იესე ოსეშვილ-მიქაძემდივან-ბარათაშვილის „ცხოვრება-ანდერძი“ — თავისი დროის ეს შესანიშნავი პროზაული თხზულება, მრავალი ნიშნით მეთვრამეტე საუკუნის სენტიმენტალურ რომან-ავტოგრაფიებს რომ ჩამოგავს. მაგრამ ჯეროვანი ყურადღება მის წმინდა ლიტერატურულ ღირსება-თავისებურებებს

აკლია. აჰა, ახალგაზრდები, რეალური თემა სამეცნიერო-სადისერტაციო კვლევისათვის!

29.

„სიტყვაკაზმულ ხელოვნებაში საუკუნეთა მანძილზე ბევრი რამ ჰკარგავს თავის პირველყოფილ უბიწოებას, გარდა ჰომეროსის „ბავშვურ-ზეაღმტაცურ აღმოჩენათა ბრწყინვალებისა და ბიბლიის ზოგიერთ უმაღლეს მხატვრულ პასაჟთა სახეობრივ აზროვნებისა. ჩვენთვის ამ რიგს ვეფხისტყაოსანიც ემატება.

30.

...ჩვენ ყველანი მოკვდავნი ვართ, არც ერთი ჩვენგანი არ შერჩება ამ წუთისოფელს, ყველასათვის დაუდგენია ბუნებას რაღაც ვადა, რომლის საზღვარი ჩვენ, საბედნიეროდ, არ ვიცით. მაშასადამე, ერთიღა დაგვრჩენია — ღირსეულად განვვლოთ ცხოვრების დღენი. მთელი საიდუმლოება ისაა, თუ რას ნიშნავს, რას გულისხმობს ეს „ღირსეულად“. კერძოდ ჩემთვის იგი სიკეთის სინონიმია, რადგან ბოროტების საწყაო თითქმის აღვსილია.

31.

...პრინციპში, ქალის ემოციური ბუნება უმეტესად რაღაცის დაცვასა და შენარჩუნებას გულისხმობს; ასევე პრინციპულად — მამაკაცის ქმედითი ხასიათი უმეტესად რაღაცის გადალახვას ანუ დაძლევას ესწრაფვის.

32.

...თუ მწერალს ერთხელაც არ შეჰპარვია ეჭვი თავის მწერლობაში, მწერალია?

33.

...უერთმანეთოდ არარსებული სიყვარული და განშორება მთელი ჩვენი ცხოვრების თანამგზავრია.

34

...სულ უფრო ხშირად მინდა ვკითხო ადამიანებს: ჩვენ საქმეს ვაკეთებთ კი? ვპოვეთ საკუთარი თავი?

35.

...ის, რაც თავის დროზე მონაწილეთა თუ დამსწრეთა სავსებით აუღელვებელი, პროზაული, უემოციო, ყოფისმიერი ინტერესით ხდებოდა, შთამომავლებში ზოგჯერ იძენს რაღაც მღელვარე, პოეტურ, ამაღლებულ, რომანტიკულ საფარველს, რადგან მომდევნო დრო და მოვლენები უკვე სხვაგვარ შუქს ჰფენენ. რაღაც სიმბოლოს მნიშვნელობას ანიჭებენ თავის დროზე თითქმის შეუმჩნეველ ეპიზოდს საზოგადოებრივ ცხოვრებაში.

ხდება ხოლმე პირიქითაც...

36.

რამდენი ხანია ვეძიებ ჰარმონიას, ანალიზს რომ არ ემორჩილება. ამაოა ყოველივე.

37.

ყოველი კონკრეტული სინამდვილე თავის თავში შეიცავს მრავალ პოტენციურ შესაძლებლობას. მაგრამ მომავალში ხორციელდება მხოლოდ ის, რაც გაპირობებულია პირველსახეთა სიმრავლით. დროებით განხორციელებული სინამდვილე შინაგანად მოძრავია, წინააღმდეგობრივია, არამდგრადია, გარდამავალია, რადგან მომავლის პირველელემენტთა მცირე გადაადგილება-გადანაცვლებაც კი კვლავ ბადებს კანონზომიერ ცვლილებათა აღმოცენებას მომავალში. ასე გრძელდება დაუსრულებლად...

38.

...შემჩნეულია, რომ ისტორიის გასუბიექტურება ობიექტურად გარდაუვალი პროცესია.

39.

...კაცობრიობის ბავშვობა დასრულდა. პირველი ატომური ბომბის აფეთქებით დასრულდა. ადამიანის არსებობის სულ სხვა ხანაში შევდივართ. თუ გვსურს, რომ კვლავ ვიყოთ, უნდა შეიცვალოს ჩვენი აზროვნების ხასიათი, მიმართება, დონე. მეტად საშიშად გავძლიერდით... პასტორალი დამთავრდა და ანთებული მაშხალებით დენთის საწყობში შევდივართ...

40.

...ჩვენს სპეციალობას ნამდვილად მხოლოდ მაშინ ვეუფლებით, როცა სხვას ვასწავლით. ძველთაგანვე ცნობილ ამ მოვლენას თითქმის ყველა ადამიანი ცხოვრებაში ერთხელ მაინც ადასტურებს.

41.

...პროფესიონალი მოლაპარაკენი — ამ სიტყვის დადებითი მნიშვნელობით, თუნდაც იურისტები, საზოგადო ლექტორები, სხვადასხვა ტექნიკური თუ ჰუმანიტარული დარგის მცოდნენი, მედიკოსთა დიდი ნაწილი, მიტინგთა ორატორები, ქუჩაში მოქადაგენი და კიდევ მრავალი სხვა — ქართულად თითქმის აღარ მეტყველებენ. მათი ქართული მოჩვენებითია: კალკებისა და შტამპების კორიანტელი, უცხო ან მახინჯი სინტაქსური კონსტრუქციები, ქვეტექსტის სრული უქონლობა... მძიმე შთაბეჭდილება იქმნება. გამოუცდელი მსმენელი (ე. ი. უმრავლესობა!) თვით ეჩვევა ამგვარ დაუფიქრებელ და განუსჯელ მეტყველებას...

42.

..ადამიანი, რომელშიც მკვეთრადაა გამოხატული ეგოცენტრისტული ფსიქოლოგია, თავის თავს სამყაროს ცენტრად თვლის. ამიტომ ხალხის ის ჯგუფი ან მთლიანად ერი, რომელსაც ამგვარი პიროვნება ეკუთვნის, მისი აზრით, ყველაზე სრულყოფილია სამყაროში. ამას რაც მოსდევს საყოველთაოდ ცნობილია...

43.

...ერთი რამ მოგვემატა ეროვნულ ხასიათში: ვაჭრობის უნარი არ გაგვაჩნდა და ახლა მასობრივად გავვაჭრდით...

44.

....რაც უფრო სულით მაღალია პიროვნება, მით უფრო ნაკლებად აქვს სურვილი საკუთარი თავი აამაღლოს. ეს მას ფიქრადაც არ მოუვა...

45.

..ერის წიაღში მისი წარმომადგენლების ხასიათთა სხვადასხვაობა ქმნის ჰარმონიას.

ან ტრაგედიას.

ან ტრაგიკომედიას, როგორც დავით კლდიაშვილმა გვაჩვენა:

ორივე ტიპიური ქართველია — პლატონიც და კირილეც. მაგრამ რა მკვეთრი სხვაობაა მათ შორის?! თითქოს სხვადასხვა ერის შვილები არიან! და იმავ დროს, ორივე ის ტიპია, ჩვენ რომ ყველას გვახასიათებს...

46.

...რწმენითაც რომ არ ვიყოთ, ფსიქოლოგიით ჩვენ ქრისტიანები ვართ: დედის ხატება ჩვილითურთ ის ღვთაებაა, ყველა ქართველ რომ ეთაყვანება...

47.

...ცხოვრება ძნელია. ჯერ არ მინახავს ბედნიერი ადამიანი — სულელებს გარდა...

48.

ქრისტიანობა, უპირველესად, მკაფიო არსისა და მოხაზულობის წესმოძღვრებაა, აზიურ-აღმოსავლური რელიგიების საპირისპიროდ, ის ვერ იტანს ვერავითარ ბუნდოვანებას, გაურკვევლობას. ოცი საუკუნის დაუცხრომელ ბრძოლასა და ჭიდილში, შესაძლებელია. სხვათა შორის, იმ დოგმატებმაც გაამარჯვებინა, რომელთაც დიდი გამძაფრებით თავს ესხმოდა და ესხმის უღვთო კრიტიკული აზრი...

49.

უაკნსკნელი სამოცდაათი წლის მანძილზე მომხდარი ეროვნული, პოლიტიკური, სოციალური, კულტურული, სარწმუნოებრივი, დემოგრაფიული თუ სხვა სახის დეფორმაციების შედეგად ჩვენ საზოგადოებაში გამეფებული პროვინციალიზმის აღმოფხვრა ალბათ ამდენსავე წელსა და აღნიშნულ სფეროებში მასობრივი აღდგენითი ღონისძიებების ჩატარებას საჭიროებს. თუ ეს არ მოხდა, ნურავის ეწყინება, დღეს ჩვენში არსებული აგრესიული პროვინციალიზმი სრულიად შეარყევს და დაასამარებს საღი ტრადიციებით მდიდარ ქართველთა სულიერ ცხოვრებას. ამის აღიარების ნუ გვეშინია, გვეშინოდეს აუღიარებლობისა, ე. წ. „სირაქლემის პოლიტიკისა“...

50.

...ქრისტიანული კაცობრიობის შეგნებაში ოცდაათი ვერცხლი სამუდამოდ დამკვიდრდა ღალატის სიმბოლურ ფასად, „სიმბოლურისა“ იმიტომ, რომ ლალატის ფასის ფორმა და რაოდენობა იმდენადვე მერყევი და ცვალებადია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რამდენადაც მერყევი და ცვალებადია პოტენციური მოღალტის ხასიათი. ამასთან კავშირში, რაღაც აუხსნელი ასოციაციით, აი, რა მაწუხებს: არავინ უწყის, საით ან რა გზით წავალთ, თუ კიდევ რაიმე ეროვნული კატაკლიზმი მოხდა. ასე მეჩვენება, რომ ცოდვილი იასეს აჩრდილი ფარფატით გადაუვლის ხოლმე საქართველოს ზეცას..

51.

...ცხოვრებით გამოცდილნი დიდი სიხარულის ჟამსაც ქვეცნობიერად იმაზე ფიქრობენ, რომ დიდი მწუხარების ჟამიც დაუდგებათ...

52.

...რამდენადაც ვიცი, ვინც კი დაფიქრებულა საკუთარი ცხოვრების განვლილ გზაზე, თითქმის ყველა უკმაყოფილოა, რომ ვერ გააკეთა ის, რის გაკეთებაც შეეძლო, ყოველთვის ვერ იმოქმედა ამა თუ იმ ვითარების შესაბამისად, ვერ გაითვალისწინა რაღაც და სხვა ამგვარი. სამწუხაროდ, იმაზე კი არ ფიქრობენ, რომ სწორედ იმგვარად მოქმედებდნენ, როგორც შეეძლო მათ შინაგან ბუნებას, ხასიათს, დონეს, რომელთა თვისებანი მათ ხელთ არაა, ხოლო თუ ცალკეულ შემთხვევებში თავი დაძლიეს და სათანადოდ მოიქცნენ, სჩანს, ის თვისება მათში ყოფილა.

53.

...როცა რამეს ვწერ, არა მხოლოდ ნაწერს ვუკვირდები, არამედ ჩემ თავსაც: რა ხდება ამ დროს ჩემში. პოლ ვალერის აქვს დაახლოებით ამგვარი ნათქვამი: განა არ შეიძლება მხატვრული ნაწარმოების შექმნის თვით პროცესიც აღვიქვათ მხატვრულ ნაწარმოებად? საინტერესოა... ორმაგი ხედვა და განცდა.

54.

...განსაზღვრული ასაკიდან თანდათან ვეჩვევი იმ აზრს, რომ.. ოდნავ სხვაგვარად რომ ვთქვა — ეს ქვეყანა უჩემოდ იქნება. „უჩემობაც“, შეიძლება, სწორედ იმ მომენტს გულისხმობს, ამ აზრთან რომ გავმთლიანდები. ბევრი ფიქრობს ალბათ ამგვარად.

55.

...ახალი თაობა ვერასოდეს ვერ წარმოიდგენს, თუ რა განვიცადეთ ამ საუკუნის ოცდაათიან წლებში. ასევე ძნელი წარმოსადგენი იყო ჩვენთვის, რა და როგორ განიცადა ქართველმა ხალხმა ოციან წლებში. ასევე სრულად ვერ წარმოიდგენენ მომავალი თაობები ორმოცი-ორმოცდაათი წლის შემდეგ, თუ რას განვიცდით დღეს ჩვენ. დროთა განცდა-ემოციათა რთულ სპექტრს, არსში ადამიანურს, ვერავითარი ისტორია და დოკუმენტი სრულად ვერ ასახავს. ყოველივე ამის ადექვატური ჩვენება მხოლოდ დიდ მწერალს ანუ დიდ მწერლობას შეუძლია.

56.

...კაცი ბაღს ბარავდა და ცაზე ფიქრობდა — ყველა ადამიანშია რაღაც ღვთიური. ქალი ცომს ზელდა და ქმარზე ფიქრობდა — ყველა ადამიანშია რაღაც მიწიერი.

57.

...გრაფომანი წერის წყურვილით შეპყრობილი ადამიანია, „წერას ატანილი“, თვითდამკვიდრების (შეიძლება, დიდების მოხვეჭისაც!) მისთვის ყველაზე შეუფერებელი გზა და ხერხი რომ აურჩევია. ტოლსტოი პირობითად ვარაუდობდა, რომ ნამდვილი მწერალი ოთხმოცი პროცენტით მაინც გრაფომანი უნდა იყოს (ე. ი. წერის ძლიერი სურვილი უნდა ჰქონდეს)! ამდენად, მისი აზრით, მწერლობისთვის ოცი პროცენ-

ტიც საკმარისია. თუ თვით ტოლსტოის მაგალითით გავზომავთ, ადვილად უნდა მივხვდეთ, თუ რას იწონის ეს ოცი პროცენტი! ხოლო გრაფომანი ასი პროცენტით (და მეტითაც) გრაფომანია.

58.

...ჩუმი პროტესტი იგივეა, რაც ჩუმი სიმღერა — „ამირან გულში მღეროდაო". ჩუმი პროტესტი იგივეა, რაც ჯიბეში ბრანწი... მაგრამ ზოგჯერ ჩუმი პროტესტი ისე მოიცავს ყველას, რომ ერთბაშად ამოხეთქავს, გაცეცხლებული ხალხი აბღავლდება და იარაღს დასტაცებს ხელს... თქვენ კი ირონიით ამბობთ: „ჩუმი პროტესტიიი, იჰ!"

59.

...ნუ ეცდები დიდობაში იმის ჩადენას, რასაც ბავშვობაშიც კი არ იკადრებდი.

60.

...ყოველ მკვლევარს. ცხადია, სრული უფლება აქვს გამოთქვას განსხვავებული აზრი ან აღიარებულის საწინააღმდეგო ვარაუდი. მკითხველს აინტერესებს მხოლოდ ის, რამდენად არის ეს ახალი აზრი და ვარაუდი ძველზე დამაჯერებელი. მეცნიერებაში მხოლოდ ერთი კრიტერიუმი არსებობს: ყოველგვარი შეხდულება არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს მკაცრად დადგენილ ფაქტებს.

61.

...ყველამ ვიცით, რომ ადამიანის ცხოვრებაში ლოდინს, მოლოდინს დიდა ადგილი უჭირავს. თუ დროზე ხელი არ გაანძრიე, გონება არ ამუშავე და რაღაც არ იმოქმედე, საბოლოოდ ეს ლოდინი და მოლოდინი შეგრჩება მხოლოდ...

62.

...ყველაზე ძლიერად დაკმწვეველ მკითხველთა დონე მაწუხებს. ამ მდე ხიხარულით ვფიქრობდი, რომ ქართველები ყველაზე განათლებული, ინტელექტუალური, გამგები, მგრძნობიერი, გონიერი და სხარტი აღქმის ხალხი ვიყავით, ახლა მწუხარებით ვრწმუნდები ჩემს შეცდომაში.

63.

...ქართველი ხალხის უპირველესი მტერი ის იქნება, ვინც მუსულმან ქართველებსა და ქრისტიან ქართველებს შორის შუღლს და მტრობას ჩამოაგდებს. იმაზე უფრო ბეცი, უგონო და დამთხვეული პოლიტიკოსი ვინ იქნება? მაგრამ, ვაი, რომ არიან ასეთნი...

64.

...ადამიანს, რომელიც ბევრს მსჯელობს სიკეთისა და ბოროტების თეორიულ პრობლემებზე და ამ მსჯელობით იფარგლება, უნდა ჰკითხოთ: თვით როგორ ცხოვრობს — მზადაა აცელქებულ ბავშვს ყური აუწიოს, თუ თვითაც იძლევა შინაგანი სიკეთისა და კეთილშობილების ყოველდღიურ მაგალითს?

65.

...ყველაზე , ძნელი სიმართლისთვის თვალის გასწორება ყოფილა.

66.

...იცის კი ვინმემ, რას დაეძებს ცხოვრებაში?

67.

...ქართველისთვის ქედის მოდრეკა და სიკვდილი ერთი უნდა იყოს.

68.

...არსებობს კი წუთისოფელში მარადიული სიმართლე? თვით ამ ორი სიტყვის — მარადიული სიმართლე — აზ-

რობრივი და ფორმალური მეზობლობა, თუ ის არ გულისხმობს რაღაც ღვთიურ-ზეციურს, სემანტიკურად მთლად გამართული არ არის, მაგრამ პირობითად ყველანი ვხმარობთ, რადგან გვჭირდება: ქართველთა მარადიული სიმართლე თავისუფლებაა.

69.

...ნამდვილი კაცობა შიშზე ამაღლებაა. ამის თქმა ადვილია...

70.

...პროზას აქვს ფარული რიტმი, პოეტურზე უფრო რთულად მისაღწევი და თითქმის მიუწვდომელი უმეტესი აღმქმელისთვის.

71.

...მუსიკა ხომ შემოქმედთა სულის პიროვნული სტენოგრამაა, სხვისთვის ბოლომდე გაუშიფრავი.

72.

...მშობლიური ენა ჩვენი იმდენადვე გადამრჩენია, რამდენადაც ჩვენ ვართ მისი წმინდად შემნახავნი. თუ ეს ურთიერთმიბმულობა არსისა და ქმედებისა დაირღვა, საშველი არაა, გადავშენდებით...

73.

...განა წინასწარ ვიცით, როგორ მოულოდნელ ექოს გამოსცემს ჩვენი სული, ოდენ ეკლესიასტეს სტრიქონებს ეწაფება?

74.

...არისტოტელეს ეკუთვნის გამოთქმა: ერთი და იგივე ჭეშმარიტება კაცობრიობაში არა ერთხელ, არამედ უსასრულოდ მრავალგზის აღმოცენდება.

75.

...მრავალი დამკვირვებლის აზრით, სხვა თვისებათაგან განსხვავებით, პატიოსნება მემკვიდრეობით არ გადადის. ისე გამოდის, რომ პატიოსნება იმდენად შეძენილი, შეგნებულად თუ შეუგნებლად აღზრდილი პიროვნული თვისებაა, რომ პიროვნულ თვისებად ბოლომდე რჩება.

თუმცა ამას ბევრი აღიარებს და ამტკიცებს, ძნელად თუ მჯერა...

76.

...შემოქმედი ხშირად ვერ უძლებს დროის შემოტევას: თუ ფეხი აუწყო, დროებითი, მხოლოდ დროებითი, წარმატება უზრუნველყოფილი აქვს; თუ ჩამორჩა, უყურადღებობის ბნელ ორმოში აღმოჩნდება; თუ გაექცა და გაუსწრო, თანამედროვეთა გულგრილობა და ირონია განმზადებულია.. უმეტესობა ფეხის აწყობას სჯერდება. მაგრამ არიან შემოქმედნი. ჰარმონიულად რომ ასხიერებენ წარსულსაც, თანამედროვეობასაც და მომავალსაც. ისინი სძლევენ ყოველი დროის ფაქტორს. ზედროულნი ანუ ყველადროისანი არიან.

შეიძლება, მეტად საეჭვო და საკამათო რამ წამომცდა — ვინაა მსაჯული?

77.

...არც ერთ თვითმყოფ ლიტერატურასა და ხელოვნებას არავითარი გავლენის არ ეშინია. პირიქით, მეზობელთა თუ შორეულთა მიღწევების შემოქმედებითი ათვისება ამდიდრებს და აფერადებს თვითმყოფობას. ამგვარი შიში მხოლოდ მათი ხვედრია, ვინც მართლა სუსტია, ვისაც თავისი თავის არა სწამს, მერყევია, გაუბედავია და მყარი ტრადიცია არ გააჩნია. თავის დროზე სპარსულის გავლენამ პალიტრა გაგვიმდიდრა, — უკიდურესობანი დავიწყებას მიეცა, ხოლო ორგანულად აღქმული ორგანულსავე შეერწყა. რუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

სულის გავლენა სუსტი იყო, მაგრამ იქიდანაც მოვიდა ზოგიერთი სიახლენი. ქართული კი ქართულადვე დარჩა მარად — უმაღლესი რანგის შემოქმედებად.

78.

...გონების სისხარტე ყოველთვის როდია მაღალი გონიერების მაჩვენებელი. მძიმედ მოფიქრალნი, ჩვეულებრივ, მეტს აღწევენ. და, საერთოდ, გონიერების აღმატებულება მეტად მოუხელთებელი კატეგორიაა. ცხადია, ყველასთვის გასარჩევ უკიდურესობებს არ ვგულისხმობ...

79.

...ნებისმიერი დარგის დიდი შემოქმედი საკუთარ ყოფიერებას და ფსიქოლოგიასაც კი აყალიბებს ვითარცა მის მიერ შექმნილ ხელოვნების ნაწარმოებთა პარალელურად არსებულ აგრეთვე სახელოვნო ქმილებას.

80.

...ეთიკის დარგში ზოგიერთი მოაზროვნის ყურადღება მიპყრობილია სულიერი კულტურისა და რეალური სინამდვილის ურთიერთობებისადმი, რაც საბოლოოდ მთა იმ სწორ დასკვნას აღიარებინებს, რომ ნებისმიერი რეალურად არსებული სინამდვილე მაღალი სულიერების დამთრგუნველია. ხოლო, ჩემი აზრით, მათ შორის ჰარმონიის ძიება მარად განუხორციელებელი უტოპიაა.

81.

..ისე მეჩვენება, რომ ირონია და პაროდია ავტორის ჯანსაღ სულიერებაზე მიუთითებს. რასაკვირველია, ვერ გამოვრიცხავ შესაძლებელ გადახრებსა და გამონაკლისებს.

82.

...რაც უნდა იდეალისტად დამსახონ, მაინც ვამტკიცებ, რომ კულტურას ის ქმნის, ვინც სინამდვილეზე ამაღლდება.

83.

...ალბერტ აინშტაინი: „ჩემი რელიგიაა ღრმად განცდილი დაჯერებულობა უზენაესი ინტელექტის არსებობაში, რომელიც ჩვენ გვეხსნება შეცნობისათვის ხელმისაწვდომ სამყაროში“.

84.

...„მრავალჟამიერზე“ უკეთესი სიმღერა ჯერ მსოფლიოს არც ერთ ქვეყანაში (სადაც კი ვყოფილვარ), არც ერთ ხალხში და არც ერთ მხარეში არ მსმენია. ეს რაღაც ერთდროულად ღვთაებრივი და მიწიერი, ეპიკური ჰიმნი და რომანტიკულად ამაღლებული ლირიკაა, უღრმესად და უნატიფესად შერწყმულ-გაერთიანებული, ზოგადი და კონკრეტული, სწრაფწარმავლობისა და მარადიულობის ბილიკებზე გადამრბენი, უსაზღვრო სივრცეში განფენილი და კოსმიურობამდე ზეაღმართული. არა, ასეთი რამ არსად არ მომისმენია...

85.

...ვინც ახალგაზრდობიდან შეგნებულად უარყოფს ადამიანების მისწრაფებათა ბანალურ მიზნებს,—სიმდიდრეს, ბრწყინვალებას, ფუფუნებას, — როგორც წესი, შინაგანად ის ბედნიერიც და წარმატებულიც იქნება.

86.

...კვლავ ალბერტ აინშტაინი: „ხშირად ვეკითხები ჩემს თავს, თუ რატომ ასე მტრულად ექცევიან ებრაელებს? ამის ახსნა მხოლოდ ამგვარად

შემიძლია: ისინი დანარჩენ კაცობრიობაზე უარესნი არ არიან, მაგრამ ისინი უბრალოდ სხვანაირნი არიან"..

87.

...ჩემი აზრით, ლექსის კითხვა, მისი პიროვნული განცდა და ავტორთან სრული თანაგანცდა მოითხოვს ერთგვარ განმარტოებას, თუ ფიზიკურს არა, სულიერს მაინც და არა სამიტინგო ან საუსტრადო სიტუაციას, რაც ბადებს და გვაჩვევს იმგვარ ზედაპირულობას, რასაც ჭეშმარიტ პოეზიასთან საერთო არაფერი აქვს.

88.

...ზოგჯერ ადამიანს წარმოდგენა არა აქვს, თუ რა ხდება მის სულიერ არსში, რა მზადდება და რა მისთვის სრულიად მოულოდნელ, გაუთვალისწინებელ და ჯერ გონებით აუწონავ ნაბიჯს გადაადგმევინებს ის მისთვისაც გაუმჟღავნებელად მიმდინარე პროცესი. სინამდვილეში კი სწორედ მასში ვლინდება ინდივიდის ჭეშმარიტი არსი. რომელსაც ველარ ჰფარავს ვერც პოზა, ვერც სიღაბი და ვერც ის, როლი, სხვადასხვა ვარიანტით. თითქმის ყოველთვის რომ თამაშობს რეალობაში.

89.

...უზარმაზარი სხვაობა შინაგან წყნარ მშვენიერებასა და გარეგნულ მყვირალა სილამაზეს შორის. ჩემი ცხოვრების საკმაოდ დიდი ხნის მანძილზე არც ერთხელ არ შემხვედრია მათი ერთიანობისა თუ ერთგვარი მიახლოების მაგალითი. არც ერთხელ...

90.

...სასაცილოა, როცა ვინმე ცხარედ ქადაგებს და არწმუნებს ყველას, რომ მხოლოდ ისაა სხვებისთვის მისაბაძი ნიმუში და კიდევ უფრო სამწუხაროა, როცა არც ქადაგებს და არც არწმუნებს სხვებს, არამედ შინაგანად ასე ფიქრობს და სჯერა.

91.

...ყველაზე მეტად საოცნებო ადამიანისთვის ალბათ არსებობის სრული დამოუკიდებლობის მიღწევა და შეგრძნებაა, რაც, სამწუხაროდ, სავსებით გამორიცხულია რეალურ სინამდვილეში.

92.

..იმაზე მეტად სამარცხვინო რა იქნება ხელისუფალთათვის, ვიდრე ინტელიგენციის დევნა და შევიწროებაა. არადა. ეს პერიოდულად მეორდება ყველგან და ყოველთვის.

93.

...ვინ დაასახელებს ზუსტად უშუალო მიზეზს იმ სევდისა, მელანქოლიისა თუ მწუხარებისა, ზოგჯერ სრულიად მოულოდნელად და თითქოს უსაფუძვლოდ რომ მოგვიცავს ხოლმე?

94.

...უიმედობა უძლურების დასაბამია, შეიძლება, პირიქითაც ითქვას, მაგრამ უფრო სწორი პირველი უნდა იყოს.

95.

....როგორც გოეთე ამბობდა, ჩვენ მხოლოდ სიბერეში მივხვდებით, თუ რა შეგვემთხვა ახალგაზრდობაში. გოეთე რატომღაც უმატებს ფრაზას, რომ ადამიანები ვერასოდეს ჭკუას ვერ ისწავლიან.

96.

...სამწუხაროდ, ალბათ ეს არის ახალი „საბაზრო კულტურის" საწყისები:

უმწეო და უცნაურ ტექსტებზე შეთხზული მყვირალა და მჩხავანა სიმღერები, პრანჭვა-გრეხა, ტლინკაობა და უტიფარი მოძრაობანი ესტრადაზე, უხმო და პრეტენზიულ შემსრულებელთა მოძალება. რომელთაც თვითდამკვიდრების მათთვის მისაწვდომი მხოლოდ ამგვარი ფორმა თუ ამოძრავებთ. და ამას ჰქვია თანამედროვე სიმღერა და თანამედროვე მანერა! აუტანელია ეს მოდერნული პროვინციალიზმი. თუ ასე გაგრძელდა, მშვიდობით ქართული კულტურის, ყოველ შემთხვევაში, საესტრადო სიმღერის, ეროვნულობა და უნიკალურობა. ვფიქრობ, ამას აღარაფერი ეშველება და ალბათ იგივე ელის სხვა დარგსაც და ჟანრსაც...

97.

...რამდენი სულელიც ამ ქვეყნადაა, იმდენი ჭკვიანი რომ იყოს, მაინც არაფერი გვეშველება: გაიაფებულ ჭკვიანთა სურვილით ობლად დარჩენილ სულელთა უმცირესობას მუზეუმში მოათავსებენ და ეთაყვანებიან.

98.

...„ხელოვნების ბუნება იმგვარია, რომ ავსებს უფსკრულს საშუალებებსა თუ მიზნებს შორის. ხელოვნება იმის იდეალური ილუსტრაციაა, თუ როგორ ერწყმის საშუალება მიზანს, არ არსებობს იმგვარი საშუალება, რაღაც მიზნის ნაწილი რომ არ იყოს, არ არსებობს მიზანი, რომელიც საშუალება არ იყოს სხვა მიზნისთვის“ — ამერიკელი ფილოსოფოსი ჯონ დიუი.

99.

...ქართულ ენაზე (ყველა სხვა მშობლიურ ენაზე) მეტყველი ადამიანი თავის შინაგან არსს, თავის სულს ავლენს, როცა არსებობას, წარმოდგენებს და სინამდვილეს იმგვარად აღიქვამს, იქმნის და გამოხატავს, როგორც მხოლოდ თავის მშობლიურ ენაზე აღიქვამს, იქმნის და გამოხატავს.

100.

...განწყობილება ზოგჯერ ჯანმრთელობის მდგომარეობის უნებური გამოვლენაა...

101.

...ხალხთა ცხოვრებაში დგება ხოლმე საბედისწერო ჟამი, როცა ერთი საათის სიყალბე საუკუნეობრივი სიმწრისა და განსაცდელის მიზეზი ხდება.

102.

...მეც მომსვლია ზოგჯერ სხვებსავით — სიკეთის სურვილით უნებურად ბოროტებას მივმხრობივარ. მერმე გვიან ყოფილა თავში ცემანი და თითზე კბენანი.

103.

...თავისთავად არაფერს არ ნიშნავს, იყო პატიოსანი. გამოუვლენელი და პასიური პატიოსნება მიწაში ჩამარხული უმოქმედო ტალანტივითაა.

104.

..სჯობს გვიან, ვიდრე არასდროს, სჯობს ადრე, ვიდრე გვიან. სჯობს არასდროს არ ფიქრობდე ამაზე და მოქმედებდე, როგორც შინაგანად გემოქმედება.

105.

...სხვების წინაშე სიმართლე ხშირად თავის მართლებაა. შინაგანი სიმართლე თავისთავად გამართლებს.

106.

...სიცოცხლის დასასრულისას სიცოცხლის დასაწყისს უნებური მწუხარებით იხსენებენ.

107.

...კერძო საკუთრება არის პიროვნული თავისუფლების საფუძველი, ხოლო დემოკრატიული კონსტიტუცია — ამ თავისუფლების გარანტი.

108.

ჯ.სიტყვით კეკლუცობა აუტანელია. ერთგან ვწერდი: „მცირე მნიშვნელობა", რედაქციაში გაუსწორებიათ: „კნინი მნიშვნელობა". რომ წავიკითხე. კინაღამ გული გამისკდა.

109.

...თავის გასამართლებლად ზოგჯერ ვამბობთ, — სხვა დროა, სხვა ვითარებანია.

110.

....სიმშვიდეში განმარტოება ხშირად აუცილებელი პირობაა სულიერი თავისუფლებისა.

111.

...ხელწამოსაკრავი სიმართლე მხოლოდ სხვისი სიმართლეა.

112.

...პოლიტიკა არ არის და არც შეიძლება იყოს მასების საქმე.

113.

...ახალი ეპოქა ნიშნავს პოლიტიკური, ეკონომიკური და სულიერი ცხოვრების საფუძვლების შეცვლას.

114.

...ოქროს კვეთი ჩვენს, მოკვდავთა, ენაზე თანაზომიერების პრინციპია.

115.

...გენეტიკის უახლესი მიღწევანი მნიშვნელობით ატომგულის დანაწევრების მიღწევას უტოლდება. სავარაუდებელია, რომ მათი პერსპექტივა დღეს ყოვლად წარმოუდგენელი ფანტასტიკის ზღვარს ებჯინება. თუ ამ საუკუნეს ფიზიკის საუკუნეს უწოდებენ, მომავალი საუკუნე ბიოლოგიის საუკუნე იქნება.

116.

...როგორც ძველებს უთქვამთ, ადამიანის შესაძლებლობანი განუსაზღვრელია. ალბათ, მართალია, მაგრამ ამით რომ თვით ადამიანობა დაიკარგოს?..

117.

..ქართული კულტურის თანავარსკვლავედში გრიგოლ ხანძთელი მარად ჩაუქრობელი მნათობია. საკვირველია (და საინტერესოა), რომ ის და ავტორი. გიორგი მერჩულე, ჩვეულებრივ მკითხველთა ყურადღებაში გაიგივებულია.

118.

„...ძე შეცდომილი", როგორც ჩანს, პერსონალური განსახიერებაა უამრავ შეცდომილ ძეთა, რომელთა რიცხვმა, თუ ასევე გაგრძელდა ჩვენი ცხოვრება, რა მიზეზით უნდა იკლოს?

119.

...დიდი გოეთე აღტაცებული იყო ბაირონის პიროვნებით, ვერ იტანდა შილერის ფილოსოფიას და მკვდრეთით აღადგინა შექსპირი; ოთხმოც წელს მიღწეული, გატაცებული იყო ახალ-

გაზრდა ქალებით, შვილიშვილებად რომ ეკუთვნოდნენ, წერდა სატრფიალო ბარათებს და პედანტურად ინახავდა მათ ასლებს სპეციალურ ყუთში...

120.

...სევდა რომ შემიპყრობს, ვფიქრობ მათზე, ვინც წინათ მართლაც დაუძლეველი სევდით იყო მოცული და აგრეთვე მათზე, ვისაც იმგვარიეე სევდა მომავალში მოძებნის. ამას გაუცნობიერებლად. გულის გადასაყოლებლად, ფიქრის განსაქარვებლად ჩავდივარ. და, საოცარია, სევდა შეუმჩნევლად სადღაც მიიპარება და შინაგანად სრულიად დაცარიელებული ვრჩები. იქნებ სწორედ ის ჩუმად გამქრალი სევდა იყო აუტანელი სიცარიელის ერთადერთი შემვსები, ამდენად საჭირო და აუცილებელი?

121.

...დღევანდელობა იმას მაგონებს, გურამიშვილმა რომ დიდი წუხილით, მაგრამ მოხდენილად თქვა: „კახელების აღმა ხნული ქართველებმა დაღმა ფარცხეს“-ო.

122.

...ერთობ გრძელი პასაჟია, მაგრამ დღეისათვის მეტად საჭირბოროტო. ამიტომ ბოლომდე ამოვწერ. 1882 წლის მარტით დათარიღებულ „შინაურ მიმოხილვაში“ ილია ჭავჭავაძე მწუხარებით აღნიშნავს: „არ არის ქვეყანაზედ არც ერთი ერი, რომლის შემძლებელი ნაწილიც ასე გულაცრუებული, ასე გულგრილი იყოს საზოგადო საქმეების შესახებ, როგორც ჩვენები არიან. არ არის ჩვენში არც ერთი საზოგადო საქმე, რომ მასში ჩვენის დიდკაცობის წარმომადგენელი მოქმედებდეს, თეატრია, გაზეთი, თუ ჟურნალი — უიმათოდ იღვწიან; ღარიბს, ღატაკს, თავისი გროშები მოაქვს, რომ როგორმე თეატრი, გაზეთი, ჟურნალი შეინახოს და ერთობ საზოგადო საქმეს ხელი როგორმე შეუწყოს და ერთი დიდკაცთაგანი კი ყურსაც არ იბერტყავს, თითქო ყოველივე ეს მისთვის სათაკილო საქმე იყოს. ან იქნება უმეცრებისა გამო ჰგონიათ, რომ ქართული თეატრი, ქართული ჟურნალი, თუ გაზეთი, და სხვა ამ-გვარი საქმე არაფერს არ მოასწავებენ და წვრილფეხობის ცულლუტობათა სთვლიან. ერთიც, მეორეც, მესამეც, რაც უნდა უძლურნი იყვნენ დღეს, ჩვენის ვინაობის დამცველნი და შემნახველნი არიან. ვინც ამათ ზურგს შეაქცევს. თავის საკუთარ ვინაობას უარყოფს, თავის ადამიანურ სახეს შეურაცხყოფს და არარადა ჰხდის. თუ ადამიანს თავისი ვინაობა არარად მიაჩნია, მაშინ იმ ადამიანში ადამიანური რაღაა? დრო გამოიცვლება, დრო მოვა, როცა თავისი ვინაობიდან გადამდგარი კაცი ყველასაგან შერისხული იქნება, როგორც უღირსი, თითონ იმათგანაც კი, ვინც ეხლა სიხარულით ამისთანა კაცს შეიკედლებს ხოლმე და ულოლოებს. დრო მოვა, როცა ყველასათვის ცხადი იქნება, როგორც ორჯერ-ორი, რომ თუ კაცი თავისას გადაუდგა, სხვისას ვერ უერთგულებს. ეს ჭეშმარიტება დღეს ცოტამ იცის და ხვალე ბევრს ეცოდინება, და მაშინ ვაი თავის ვინაობაზედ გულაცრუებულს, გულგრილს და ხელაღებულს!..“ ილიას ამ სიტყვების შემდეგ 110 წელია გასული...

123.

...ბევრი ქართველისთვის ლხინში თავშეკავება დიდ გმირობას უდრის.

124.

...ტყუილია — ცვლს ყური დაუგდე, მაგრამ შენს ჭკუაზე იარეო. რაც უნდა ბევრი იარო, საბოლოოდ მაინც ცოლთან მიხვალ.

125.

...უწინდელმა სახელმა „ლიტერატორი“ დღეს, სამწუხაროდ, ძველი აზრი, შინაარსი და მნიშვნელობა დაკარგა. მაშინ ის გულისხმობდა თითქმის ყველაფერს: პოეტს, პროზაიკოსს, მთარგმნელს, მწერლობის ისტორიკოსს, თეორიტიკოსს. კრიტიკოსს, პუბლიცისტს, ესეისტს, გამომცემელს, ჟურნალისტს, რედაქტორს, რედაქციის მუშაკს, ასე გასინჯეთ, მოაზროვნესაც, ფილოსოფოსსაც და რევოლუციონერსაც კი. ის იყო ყველაზე საპატიო, დაფასებული და დასაფასებელი წოდება შემოქმედების ამ დარგში. ახლა გულისხმობს, დიდი-დიდი, ლიტერატურისმცოდნეს, ხოლო თუ ამ ახალი კერძო დარგის წარმომადგენელი დოცენტი ან პროფესორია, მათი უმეტესობა, ღმერთმა დაიფაროს! — იმ სახელსაც აღარ კადრულობს.

126.

...წამით გავიხსენოთ იოანე საბანისძის პასუხი ქართლის კათოლიკოს სამოელის მიმართვაზე, რომ იოანეს აღეწერა „ახლისა მოწამისა ჰაბოისი“ მარტვილობა: „მძიმე არს ჩემდა ორკერძოვე: უკეთუ ურჩ ეექმნე ბრძანებასა თქვენსა, წერილ არს — შვილი ურჩი წარსაწყმედელსა მიეცესო; და თუ ვისწრაფე მორჩილებად, მისთვისცა იტყვის — უდარესსა შენსა ნუ გამოიძიებო და უძლიერესსა შენსა ნუ განუკითხავო. ამისთვის შიშმან და ზრუნვამ შემიპყრა მე და შეშფოთნა გონება ჩემი.“ რომელი მწერალი არ მდგარა ანალოგიური დილემის წინაშე მაშინ, გვიანაც, დღესაც? სულით ძლიერი ამ მწერალთაგან იოანეს კვალად წასულა, ხოლო სულით სუსტნი...

127.

...ილუზია — თავის მოტყუება, გზა მცდარობისაკენ, საქმეში ჩაუხედაობა, უცოდინარობა, ზოგადი ან კონკრეტული ტყუილი, ლანდების ადევნება, ყალბი მოჩვენება, სინამდვილის დამახინჯებული აღქმა და სხვა. ილუზია ლათინურიდან მოდის, ნიშნავს მოტყუებას, სიცრუეს, ცდომილებას, მცდარობას, გაცრუებას... სისულელეა ეს ყველაფერი. ილუზიაზე უფრო ადამიანური და ღვთიური არც ადამიანს შეუქმნია და არც თვით ღვთაებას.

128.

...„რწმენის ძეგლი“ — ასე უწოდა ზოგიერთმა მკვლევარმა ქართული ენისა და ლიტერატურის ერთ-ერთ უძველეს ძეგლს „ქებაი და დიდებაი ქართულისა ენისაი“. კარგადაა ნათქვამი — ზუსტად, მოკლედ, ამომწურავად. და მრავალმნიშვნელოვნად...

129.

...სიბერე და ბავშვობა, ბაბუა და შვილიშვილები — ერთმანეთისკენ სვლისა და ერთმანეთთან მიახლოების პროცესი. მათი ამ მიახლოება—შეერთებისას ყოველთვის ურთიერთცნობის ზარი რეკავს. და კიდევ ის ზარი, ყველას რომ გვიხმობს.

130.

...სამწუხაროდ, ბევრს ერევა ორი სრულიად სხვადასხვა რამ: თეოლოგია და თელეოლოგია სულ მოკლედ: თეოლოგია — ღვთისმეტყველება რელიგიურ შეხედულებათა ერთობლიობაა ღვთის არსისა და ქმედებათა შესახებ იმ ტექსტთა გონებაჭვრეტითი აღქმის საფუძველზე, რომლებიც მიჩნეულია ღვთიური ზეშთაგონების ნაყოფად. ხოლო თელეოლოგია მოძღვრებაა უმაღლესი მიზნისა და მიზანშეწონილობის შესახებ, ბუნებრივ პროცესთა ერთგვარი ანტროპომორფიზაციის (გაადამიანურების) აღიარებით, მოძღვრება, რომელიც ცდილობს უპასუხოს კითხვაზე, რისთვის, რა მიზნისთვის ხდება

ესა თუ ის ბუნებრივი პროცესი. რომ ამ პროცესებს აქვთ რაღაც მიზანი და მიზანშეწონილობა... სულ ადვილია მათი გარჩევა.

131.

...ჩვენს ყოფილ „სოციალისტურ სამშობლოში“ სხვა იდეათა შორის, ასე ვთქვათ, აკვიატებული იყო ბუნებაზე ადამიანის გაბატონების აუცილებლობა და იმ იდეის ნებისმიერი (!) საშუალებებით პრაქტიკული განხორციელება — ხორცშესხმა. ის კი არ იცოდნენ, იმას კი არ აქცევდნენ ყურადღებას, რომ მთავარი იყო ადამიანის მიერ თავის თავზე ბატონობის იდეა, რომ ესაა საფუძველთა საფუძველი ყოველგვარი, გინდ განყენებულ-ზნეობრივი, გინდ რეალურ-პრაქტიკული, ადამიანური თუ ანტიადამიანური ქცევა-ქმედებისა. ეს დღესაც მეტად აქტუალური პრობლემაა, მაგრამ ვგრძნობ და ვხედავ, რომ არათუ მის გადაწყვეტას, არამედ უბრალო დაყენებასაც კი დღევანდელ საზოგადოებაში რეალური საფუძველი, სამწუხაროდ. არ გააჩნია....

132.

..ქართველ ხალხს სრული ზნეობრივი უფლება აქვს თქვას ზვიად გამსახურდიაზე: „მან უჟამოდ ნაყოფნი ჩემნი მოისთვლნა და სანთელი ჩემი დაშრიტა და ყვავილი ჩემი დააჭკნო და მშვენიერებაი სიკეთისა ჩემისაი დაბნელა და დიდებაი ჩემი დაამდაბლა“ („შუშანიკის წამება“).

ბუნკერში ის და მისი მომხრენი კი არ ისხდნენ, არამედ ჩვენ ჩაგვყარა ყველანი — მთელი საქართველო სამყაროსგან მოწყვეტილ ერთ დიდ ბუნკერში ჩააგდო და, ჩანს, ასეც უპირებდა დატოვებას.

133.

...ხომ შეგიმჩნევიათ — საყოველთაო წესს რომ დაარღვევთ, იმ წუთში ისჯებით, არა სხვის მიერ, არამედ საკუთარი განცდით და პირადად თქვენს მიერ შექმნილი უხერხულობით.

134.

...მეც ვიზიარებ იმ შეხედულებას, რომ ლიტერატურა და ხელოვნება უმაღლესი რეალობაა, რომელიც ზნეობრივ შეფასებას საკუთარ თავშივე ეძიებს, პოულობს და ავლენს.

135.

...ნიკოლოზ ბერდიაევის შეხედულებით რელიგია არის შემოქმედებითი პასუხი ღმერთის შემოქმედებაზე.

136.

....დოსტოევსკი ვარაუდობდა, რომ თუ ადამიანს ჩაუნერგე, რომ ღმერთი არ არსებობს, რომ ის. ადამიანი, მაიმუნიდან წარმოიშვა, ამას მართლაც ირწმუნებს და ეს რწმენა მას მაიმუნად აქცევს.

137.

...ცნობილია, რომ მონანიებას ბერძნულად მეტანოია ჰქვია, რაც უშუალო თარგმანით გონების შეცვლას, გასნახლებას ნიშნავს.

138.

...მოსკოვში, ქართულ სუფრასთან ერთი ნაცნობი რუსი მწერალი მეუბნება: „რა უიღბლო კაცი ვარ! თავის დროზე სულ სტალინურ პრემიაზე ვოცნებობდი, რა არ დავწერე, მაგრამ სულ ამაოდ. მაშინ რომ დისიდენტი გავმხდარიყავ და დისიდენტურად მეწერა, ახლა ხომ მეც ვიქნებოდი აღიარებული და პოპულარული? ნიუჟელი ია ტაკაია უჟ სერიატინა? ახლა რა ვქნა არ ვიცი“... ჯერ მხოლოდ ორი ჭიქა ჰქონდა შესმული. „დაიწყე ჟირინოვს-

კობა ლიტერატურაში", — ვეუბნები. „როგორ, როგორ? მიშველის კი?!" — ხელი მტაცა მკლავში. კიდევ ორი ჭიქა რომ დაუმატა, მოდუნდა და გაითიშა.

139.

....ირონია გამორიცხავს მრავალ ლიტერატურულ ელემენტს — თხრობის მოძღვრობითობას, ლირიზმს, ფსიქოლოგიურ დასაბუთებას, ექსპოზიციას და წინაღსვლებს; ესაა ხერხი ან შეგრძნება-გამოსახვის ფორმა, რომელიც განსაკუთრებული ცალმხრივობით დიდი ძალის მრავალმხრივ ეფექტს აღწევს.

140.

....თავისი შედეგებით ყველაზე ტრაგიკული ღვთიური ნება და სურვილი, რაც მისგან ადამიანს მიუღია, არის უფლება თავისუფლებაზე.

141.

...„ყოველგვარ შეცნობას ობიექტად აქვს ის, რაც არის. მაგრამ ღმერთი ყოველგვარი იმის მიღმაა. რაც არის. მას რომ მიუახლოვდე, აუცილებელია უარყო მასზე დაბალი, ამდენად ყველაფერი, რაც არის"... და იქვე: „თუ ღვთის ხილვისას შესაძლებლია მისწვდე ხილულს, მაშინ ხილული იქნებოდა არა თვით ღმერთი, არამედ რაღაც შეცნობადი, რაღაც მასზე დაბალი. მხოლოდ შეუცნობლად შესაძლებელია მისწვდე მას, ვინც უმაღლესია ყოველგვარ შეცნობადზე"... და კიდევ: „ვითარცა ნათელი აქცევს ბნელს უხილავად, ასევე არსებულის შეცნობა, განსაკუთრებით ზედმეტი შეცნობა, სპობს იმ შეუცნობლობას. რაც ერთადერთი საშუალებაა ღვთის შესაცნობად". — ამბობს ინტეგრალური ინტუიციზმის შემქმნელი რუსი ფილოსოფოსი ლოსკი. ამდენად, ღმერთი მიუწვდომელია, გამოუხატავია, ნათელსახილველია, გამოიცნობა იდუმალებით, უოქმელად, შეუცნობლად.

142.

...ყოველი ნამდვილი აღმზრდელ-მასწავლებელი ამავე დროს მოწაფეა, თავისი აღმზრდელ-მოწაფეების მოწაფე.

143.

...საინტერესოა აზრი მართლმადიდებლობაზე ცნობილი სლავოფილის ა. ხომიაკოვისა: „საზოგადოების ახლებურად აღზრდა, პოლიტიკური საკითხებიდან მისი მთლიანად მოწყვეტა და იძულება, რომ თავის თავს მიხედოს. მიხედეს თავის სიცარიელეს, თავის ეგოიზმს და თავის სისუსტეს — აი საქმე ჭეშმარიტი განათლება-განახლებისა... ფესვი და საწყისი ამ საქმისა რელიგიაა, და მხოლოდ ღია, შეგნებული ზეიმი და გამარჯვება მართლმადიდებლობისა მოგვცემს შესაძლებლობას ხალხის ყოველმხრივი აღზრდა-განვითარებისა"...

144.

...ჩვენი ყურადღება უნდა მიექცეს იმ კანონზომიერ, თუმცა ბევრისთვის საკვირველ და მიუღებელ მოვლენას, რომ ნებისმიერ ეპოქაში სულიერ ძიებებს თან სდევს ერთობისა და ერთიანობის შესამჩნევი უკმარისობა ერთმანეთთან სულიერად და საზოგადოებრივად ყველაზე დაახლოებულ პირთა, ჯგუფთა, კავშირთა თუ მოძრაობათა შორის და შიგნით. უამფაქტოროდ არ არსებულა და არ არსებობს არავითარი ძიება, არავითარი წინსვლა და არავითარი პროგრესი. უამისოდ ყოველივე იქცევა უძრავ დოგმად და ჯამში კვდება, რომ სხვა დროში, სხვა ეპოქასა და სხვა პირობებში კვლავ აღდგეს და განაგრძოს არსებობა, შესაძლებელია, ახალი დროის საჭიროებისამებრ სახეცვლილი თუნდაც ფორმით, თუნდაც შინაარსით.

145.

...ადამიანის მიწიერი ცნობიერება შეზღუდულია უზენაესი საწყისისადმი მიახლოების სწრაფვაში. ადამიანის სიტყვა მხოლოდ ერთი მცირე საფეხურია ყოვლისმომცველი უზენაესი ლოგოსისკენ მიმავალ უსასრულო კიბეზე. ადამიანს არ ძალუძს უარი თქვას თავის ადამიანურ სიტყვაზე, მაგრამ მისთვის დაუძლეველია მარადიული შინაგანი მოთხოვნილებაც — დაეუფლოს უმაღლეს სიტყვას.

146.

...ცოდნა, რომელიც უშუალოდ არ შეეხო პიროვნების გულის გულს ზედაპირულია, ცალმხრივია, ყალბია, ამორალურია. სინამდვილეში ჩვენ გაცილებით ცოტა ვიცით, ვიდრე გვგონია. ადამიანური შემეცნების ძალმოსილება და დაგროვებული ცოდნის შეფასება ღრმა კავშირშია ზნეობრივ სიწმინდესთან.

147.

...სახითმეტყველებაში ჭეშმარიტების, სიკეთისა და სილამაზის. ამდენად, შემეცნების, ეთიკისა და ესთეტიკის ერთობლიობა ნამდვილი მწერლისა და შემოქმედის უპირველესი და უნაღდესი საბუთია. ამ აუცილებელი ერთობლიობის გარეშე მფეთქავი პიროვნების გული ჩვეულებრივი, ჯანსაღი და მოსაზრებული გრაფომანის გულია.

148.

...განსხვავებას დასავლეთისა და აღმოსავლეთის ქრისტიანობას შორის გოგოლი მართასა და მარიამის სახარებისეული იგავით გადმოგვცემს: ისინი ახლობლები არიან ვითარცა დები, მათი განყოფა დროებიდან, ორივეს თავისი ღირსება გააჩნია: — მართა — დასავლური ქრისტიანობა — უფრო ახლოა ყოველდღიურობასთან, ადამიანთა ყოფით საზრუნავთან; მარიამს — აღმოსავლურ ქრისტიანობას — გადაუდვია ყოველგვარი ზრუნვა მიწიერზე, მოთავსებულა ღვთაების ფერხთით, რათა უკეთ გაიგონოს და გაიგოს მისი სიტყვები, სანამ გამოიყენებს და ხალხს გადასცემს... აქედან, მწერლის აზრით, კარგად გამოსჭვივის მართლმადიდებლობის ღირსებანი — ახალი ცხოვრების უფრო საიმედო მესაჭისა და წარმმართველისა...

149.

...ხალხის განათლებულობის მხოლოდ პროცენტობით ზომვა და ამით თავის მოწონება, მკაცრად რომ არ ვთქვა, რომ სამარცხვინოა, რბილად ვიტყვი, რომ უბრალოდ თავისა და სხვისი მოტყუებაა. მასობრივი განათლებულობა იზომება და იწონება უპირველესად მასების ყოფითი ზნეობისა და ყოფითი კულტურის დონით, შემდეგ კი სხვა პარამეტრებით. ჩვენი ხალხის ზერელე, გარეგნულ და უკმარის განათლებულობაზე არაფერს ვამბობ — ყოველივე ისედაც ნათლად ჩანს...

150.

...ზოგჯერ ვფიქრობ, ჩემთვის მართლა მთავარია პიროვნების საზოგადოებრივი სუვერენიტეტი? ჩანს, ამ „ზოგჯერ“ ეჭვი მეპარება. თუ არა, მაშ რა არის ჩემთვის მთავარი? თუ ისაა მართალი, რომ საკუთარი თავის შეცნობას მთელი სოცოცხლე უნდა მოუნდე?

151.

..ბერდიაევის აზრით რუსეთის ისტორია ტრაგიკული ისტორიაა შფოთაბორგვისა უკიდურესობათა შორის, რუსი ადამიანი წინააღმდეგობათა ერთიანობაა, რომელმაც არ იცის შეზღუდვე-

ბი და საზღვრები თავის მისწრაფებებში. კარგად ვფლობ რა ამ ისტორიას, ვეთანხმები ცნობილ ფილოსოფოსს და ვუმატებ: სხვანაირი ცხოვრება რუსეთმა არც იცის და არც შეუძლია, მისი მთავარი ნიშან-თვისებაა აბსოლუტური მორჩილება ან, პუშკინის თქმისა არ იყოს. „რუსული ბუნტი, უაზრო და დაუნდობელი!“

152.

...წარსულის დიდ ადამიანთა აზრისა თუ ავტორიტეტის გამოყენება სრულიად სხვადასხვა ჯურის ვიწროპარტიული თუ ერთმანეთის საწინააღმდეგო სხვა საზოგადოებრივი ინტერესების სასარგებლოდ იმ ადამიანთა სახელის პირდაპირი შეურაცხყოფაა. პარტიულ თუ ინტელიგენტურ პრაგმატიზმზე თანახმა ვარ, მაგრამ სავსებით მიუღებელია პარტიული თუ ინტელიგენტური უტილიტარიზმი.

153.

...ზოგჯერ სერიოზული კრიტიკოსებიცა და მოაზროვნეებიც იმგვარი წინასწარაკვიატებული აზრით მსჯელობენ ამა თუ იმ ლიტერატურულ ან საზოგადოებრივ მოვლენაზე, რომ მათ მიერ გამოტანილი დასკვნები და შეფასებანი მხოლოდ გაოცებას იწვევს.

154.

...ალბათ ყველას გვახსოვს, რომ ყოველი ადამიანი, ყოველი პიროვნება, ვინც უნდა იყოს და რაც უნდა იყოს, ერთადერთი და განუმეორებელია თავისი წარმოშობის, არსებობის, პოტენციისა თუ ბედ-იღბლის მიუწვდომელი იდუმალებით.

115.

...ხშირად მოგვიკიდია ხელი საქმისათვის, რომლის შედეგი სრულიადაც არ ყოფილა წინასწარ გარანტირებული.

156.

...ახლა მაწუხებს ხოლმე ბორხესის მიერ დასმული კითხვა: სამყარო ქმნილია ჩვენამდე და ჩვენს გარეშე; ჩვენ მოვდივართ მზა მსოფლიოში და თითქმის უცვლელი ვტოვებთ მას; მაშინ რა ვარ და რისთვის ვარ აქ მე?

157.

...კარგადაა ნათქვამი: თავის თავს რომ ეძიებს, გონება მასში სამყაროს აღმოაჩენს, ხოლო სამყაროს რომ იძიებს — თავის თავს ხედავს.

158.

...ჩვენ ყველანი ცხოვრების უუფლებო შეგირდები ვართ, ისინიც კი. ვინც მისი უწყვეტობის ცალკეულ ნაწილებს თუ მონაკვეთებს აფორმირებენ.

159.

მოჩვენებითი ჭეშმარიტების დიქტატორული მფლობელიც კი მას მხოლოდ სხვებზე საკუთარი ამაღლებისათვის იყენებს.

160.

...კვლავ არგენტინელი ბორხესი: „იგავში სერვანტესზე და დონ კიხოტზე“ იგი ამტკიცებს, რომ ლიტერატურა მათით იწყება და მათითვე მთავრდება.

161.

...არის ნაკადი რომელშიც შესვლა შეიძლება, გამოსვლა კი აღარ — ცნობიერების ნაკადი.

162.

...შესაძლებლია, ჯოჯოხეთი ადამიანის მარადიულ ცხოვრებას გულისხმობს, ამ მარადიულობით გამოწვეული

სატანჯველით და არა „თვით“ ჯოჯოხეთს ცეცხლითა და შანთით, მდუღარით და ყინულით. კაცის სიცოცხლის მარადიულობაზე უარესი სატანჯველი ხომ წარმოუდგენელია.

163.

...მომავალი საქართველოსთვის მთავარია, რომ დემოკრატია აღიარებულ იქნას არა მხოლოდ პოლიტიკურ სისტემად, არამედ მსოფლმხედველობად, პიროვნების ყოფნისა და ყოფის წესად. საქართველო იქნება ისეთი, როგორიც იქნება მისი მოქალაქეთა უმრავლესობა და არა იმგვარი, როგორც ელიტარული უმცირესობა.

164.

...ტომაშ მასარიკი, ჩეხოსლოვაკიის პრეზიდენტი 1918—1935 წლებში: „სწორედ ინტელიგენცია, რომელიც უფრო ფართო თვალსაწიერს ფლობს, უნდა ხელმძღვანელობდეს პოლიტიკური რეალობებით და არა ლოზუნგებით; მარადიულ იდეალებს ჩვენ არავინ წაგვართმევს, მაგრამ რეალური სინამდვილე ყოველთვის ხელიდან გვისხლტება“... და კიდევ: „ინტელიგენტობა, განათლებულობა — ეს არაა პოლიტიკური პრივილეგია, მაგრამ მას შეუძლია მძლავრ პოლიტიკურ ფაქტორად იქცეს. მოკლედ რომ ვთქვა, ინტელიგენციას იმდენი პოლიტიკური წონა ექნება, რამდენ პოლიტიკურ გონიერებასაც გამოამჟღავნებს“.

165.

...კულტურა-ცივილიზაციაში მრავალი რამაა საეჭვო, გადასახედი. შესასწორებელი, დასახვეწი, ყავლგასული, სასაცილოც და დასაგმობიც, მაგრამ რამოდენა სისულელე იქნებოდა ამის გამო მისი მთლიანად უარყოფა!

166.

...რაც უფრო ხშირად აანალიზებ საკვდილის ფილოსოფიურ თუ ფიზიკურ ასპექტებს, რაც უფრო ღრმად ეცნობი სხვადასხვაგვარ წყაროებს ამ თემაზე, უძველესი ცივილიზაციებიდან დაწყებული — ეგვიპტე, ჩინეთი, მესოპოტამია, საბერძნეთი, რომი და. ცხადია, უძველესი სამყაროს რელიგიურ-ზნეობრივი შეხედულებანი, — დამთავრებული ნიცშეთი, ეგზისტენციალისტებითა და თანამედროვე მისტიკოსებით, სულ უფრო მშვიდად ფიქრობ მოახლოებულ სასრულზე, ღრმად მრავალმნიშვნელოვანი და ბრწყინვალე ქართული სიტყვით რომ ვთქვათ, „გარდაცვალებაზე“.

167.

..საყოველთაოდ ცნობილი: „ვაზროვნებ, მაშასადამე ვვარსებობ“ — დეკარტი; ნაკლებად ცნობილი: „მსურს, მაშასადამე ვვარსებობ“ — მენ დე ბირანი.

168.

...ქალი რომ კეკლუცობს და იპრანჭება, გასაგებია. თუმცა დასანანია. კაცი რომ კეკლუცობს და იპრანჭება?..

169.

...შემეცნების თეორიაში რაციონალური, დისკურსიული თუ ინტუიტური პრიმატის დამკვიდრება განეკუთვნება არა მხოლოდ გნოსეოლოგიას, არამედ მრავალწილად განსაზღვრავს საზოგადოებრივი ყოფის ძირითადი პრობლემების გადაწყვეტასაც.

170.

...არსებობს მოსაზრება, რომ ადამიანი ვლინდება სამი მთავარი ცხოვრებისეული სახით: გონებითი აზროვნებით,

ნებელობის სურვილით და გულისხმიერი გრძნობით, რომ ჭკუა-გონება შეწონასწორებულია სუბიექტის შეგნების სხვა ძალებით.

171.

...ერთხელ კიდევ ვიხსენებ ბელინსკის ფართოდ ცნობილ მტკიცებას: „...ხელოვნების სფეროში, პირველი — არავითარი მიმართულება გროშად არ ღირს ტალანტის გარეშე, და მეორე — თვით მიმართულება მარტო თავში კი არ უნდა ჰქონდეს მწერალს, არამედ, უპირველეს ყოვლისა, გულში. სისხლში“...

172.

„გულისხმიერი შემეცნება, ცხადია, ინტუიტური შემეცნებაა, მისი მთლიანობა სწორედ რომ შეესაბამება მხატვრული შემოქმედების ბუნებას. მაგრამ ეს გარემოება ზოგიერთ მოაზროვნეს საერთოდ რაციონალისტური შემეცნების წინააღმდეგ ალაშქრებინებს და უარყოფინებს დასავლურ განათლებულობას, რომლის საფუძველში, მათი აზრით, დევს უძველესი წარმართობის კლასიკური სამყარო და არსებითად წარმოადგენს ფორმალური გონების ბატონობას ყოველივე მასზე, რაც მის შიგნით ან გარეთაა, ბატონობას წმინდა და შიშველი გონებისა, თავის თავსვე რომ ეფუძნება და მისთვის დამახასიათებელი ორი სახით რომ გვევლინება — ფორმალური განყენებულობისა და განყენებული მგრძნობელობის სახით.

173.

...ის კი უეჭველი უნდა იყოს, რომ რეალური სამყაროს შემეცნება გონებითი-ლოგიკური გზით განუყოფელია პიროვნების ზნეობრივ თვითგამორკვევისაგან.

174.

...ტყუილად არ წერს გასული საუკუნის ერთი მკვლევარი: „რუსებმა პრაქტიკული ფილოსოფია აღმოსავლეთიდან დაიმკვიდრეს და ვერასოდეს ვერ შეძლებენ შეეთვისონ გერმანულ რაციონალიზმს, რადგან ის ეწინააღმდეგება მართლმადიდებლობას. რომელიც მოითხოვს, რომ გონებამ და გულმა ერთმანეთი არ შთანთქან და, ამასთან, არ გააორონ თავიანთი ინტერესები“. ჩვენც ეგეთები ვართ, ქართველები?“

175.

...რა ადვილი სათქმელი და საქადაგებელია — მშვიდად იყავით, ყველაფერი წყნარად, ფილოსოფიურად აღიქვით, ნუ აყვებით გულისხმას, დაიოკეთ გრძნობები, აკეთეთ თქვენი საქმე და ა. შ. საქმე კი არა, ლამის გული გასკდეს..

176.

... ადამიანმა თვით უნდა გადასდოს თავი, რომ ბოლომდე იტვირთოს და ზიდოს თავისი ზნეობრივი დანიშნულება და განწირულობა, მართალია, ბნელში, რამდენადაც უმაღლესი ჭეშმარიტების ნათელი მისთვის მაინც დახშულია, ხოლო შეცვალოს და გააზავოს უმაღლესი ჭეშმარიტება ადამიანური უტოპიებითა და ცდომილებებით მის მეობას არ სურს, ამდენად იგი წინასწარ განწირულია ტანჯვისთვის და შეგნებულად ირჩევს ამ განწირულობას, რადგან არ იცის სხვა გზა უმაღლესი ჭეშმარიტებისაკენ, რომელზედაც ნაკლებს იგი არ სჯერდება.. აი, რა აზრები მომივიდა გოტფრიდ ბენის (1886—1956) ნაწარმოებთა კითხვისას.

177.

..რამდენიმე შემოქმედი მაინც ვიცი (მსოფლიო ლიტერატურიდან), რომელთაც მთელი ცხოვრება აწუხებდათ და აღელვებდათ არც მეტი და არც ნაკლები, თანაფარდობა ცალკეული ადამიანის „მუსა“ მთელს სამყაროსთან, რომლებმაც მრავალი წელი უძღვნეს ცდებს,

როგორმე განეჭვრიტათ ადამიანური ევოლუციის არსი ზოგადად, განესაზღვრათ მისი ხასიათი და მიმართება ამ ფარგლებში — ადამიანური ცივილიზაციისა და კულტურის სულიერი არსი, და საბოლოოდ, არსი სიტყვის ხელოვნებისა. იმგვარად ვასკვნი, რომ ნიადაგ ამ პრობლემებში ტრიალი, სხვადასხვა მიდგომა და, ბუნებრივია, ბევრის უაღრესად საღი, ფხიზელი და ფაქიზი დასკვნები, ერთდროულად უსრულო და ჩვეული სუბიექტივიზმით დაღდასმული შედეგები ამდიდრებენ, აღრმავებენ, ასულიერებენ მათ შემოქმედებას, მაგრამ ამ შედეგთა განზოგადებული ჯამი (ცხადია, ჩემთვის შესაძლებელ განზოგადებას ვგულისხმობ) იქითკენ მიგვაქანებს, რომ მალე მივაღწევთ მათ მიერ „ნანატრ“ შედეგს — სრულ ლოგიკურ უშედეგობას და ყველაფერი დაიწყება ისევ თავიდან, როგორც არაერთგზის მომხდარა წარსულ ათასწლეულებში...

178.

...ყველას ვეთანხმები, ვინც ამტკიცებს ან ვარაუდობს, რომ ადამიანის გონება, ინტელექტი იმყოფება განვითარების მხოლოდ დასაწყის სტადიაზე თუ საფეხურზე და რომ საბოლოო ჯამში გასცდება წინასწარ შემოფარგლულ, მემკვიდრეობით მიღებულ, ბრსებითად საბედისწერო წრეს, რომელშიც ათასწლეულობით მიმდინარეობდა მისი მოსახილველი ისტორია, და შექმნის მართლაც ადამიანის ღირს ცივილიზაციას.

179.

...ჯერ დოსტოევსკიმ, შემდეგ ნიცშემ, შემდეგ ბერდიაევმა, შემდეგ ფროიდმა, შემდეგ ორტეგა-ი-გასეტმა გააფრთხილეს კაცობრიობა, დაინახეს და იწინასწარმეტყველეს რა „ბრბოს ადამიანის“ მოვლინება. მაგრამ ვინ უგდო ყური მათ გაფრთხილებას? ბრიქით — გონებით ღატაკმა პოლიტიკოსებმა ბრბოსა და მასებში ლოზუნგივით ისროლეს, რომ მხოლოდ ისინი არიან მათი და ერის გადამრჩენად მოვლინებული მესიები! და ატოკდა, ატალღდა, აყალყდა ბრბო და მასა, აგორდა მიტინგები, ანტიადამიანური მოწოდებებით დაგესლილი და უადამიანო ინსტიქტებით შეპყრობილი! და აბრიალდა წიგნების კოცონები, და იხუვლა სისხლმა, და დაილეწა სინდისი და კეთილშობილება, და აღდგა „ქერა ბესტია“, და შეიტკბო ხონჩით მირთმეული უფლებანი, და დამკვიდრდა შუა ევროპაში კანონიერად არჩეული მანიაკი ჰიტლერი! ყველაფერი მეორდება, ოღონდ ფარსის სახით. ლილიპუტთა დონეზე...

180.

...ბოლშევიკურად გაგებული სოციალიზმის ერთ-ერთი მთავარი ამოცანაა ეროვნულობის მოსპობა.

181.

„ძველი ევროპული ხელნაწერების იშვიათი მცოდნე პატრი მიქაელ თამარაშვილი გულდინჯად აღნიშნავს: „უწინ ევროპელნი აფხაზეთს ხან ერთისა და იმავე სახელით იხსენიებენ, როგორც საქართველოს, ხან ცალკე ასახელებენ დალაზიკა, აბაზიას გარდა იბერია, გეორგიას უწოდებენ. ამ სახელებს ხშირად ერთმანეთში ურევენ“.

პაპთა ეპისტოლეებიდან:

„ვინ არ შეიყვარებს და არა თაყვანსა სცემს ისეთ უფალს, რომელიც კაცს სხვა არაფერს სთხოვს, თვინიერ იმისა, რომ მართალი და მოწყალე იყოს“...

„როგორც ცეცხლი ოქროს გასწმენდს, ზოგჯერ ბოროტთა საშუალებით გამოსდის კეთილთა“...

„სულზე უმშვენიერესი, სანატრელი და ძვირფასი არა არის რა“...

182.

...საოცარი და კანონზომიერია ალბათ ჰეგელის ნათქვამი, რომ არ არსებობს ჰერაკლიტეს არც ერთი დებულება, რომელსაც ის, ჰეგელი. თავის ლოგიკაში არ შეიტანდა. ქრონოლოგიური დაშორიშორება ამ ორ მოაზროვნეს შორის 2500 წელია! პირდაპირ უნდა ითქვას: ჰერაკლიტეს მსოფლმხედველობა ერთ-ერთი გამოვლინებაა სამყაროს ძველბერძნული გააზრებისა, რომელმაც უზარმაზარი გავლენა მოახდინა ევროპული და მსოფლიო კულტურის შემდგომ განვითარებაზე. ყმაწვილობიდან მახსოვს მისი ერთი გამოთქმა: „ცეცხლის სიკვდილი —ჰაერის დაბადებაა და ჰაერის სიკვდილი — წყლის დაბადებაა". მახსოვს არა იმიტომ, რომ მაშინვე ჩავწვდი ნათქვამის სიღრმეს, მახსოვს მისი სიმშვენიერით და სიმოკლით, რუსთაველის ყველაზე პოპულარული აფორიზმივით რომ ჩამრჩა ხსოვნაში...

183.

...ლიტერატურის მხატვრულობა მისი არსის, სპეციფიკის და ესთეტიკური აქტიურობის პრობლემაა. სამეცნიერო-ტექნიკური რევოლუციისა და მეცნიერული მეთოდოლოგიის მიღწევები შუქს ჰფენენ ხელოვნების ბუნებასა და დანიშნულებას, მაგრამ დგება საკითხი: ეს მკაცრი მეცნიერული მეთოდოლოგია გამოვიყენოთ როგორც მხოლოდ დამხმარე საშუალება ხელოვნების დარგში თუ ვაღიაროთ, რომ ხელოვნების მხატვრულობა უკანასკნელი ციხე-სიმაგრეა ხელოვნების იდუმალი არსის მისადგომებზე, რომელიც აუცილებლად დაეცემა ზუსტი მეთოდების შემოტევის შედეგად და ადგილს დაუთმობს მათემატიკურ გამოთვლა-გაანგარიშებებს?

184.

...ჩვენ, მწერლებმა. ჭეშმარიტი ხელოვნების ყველა დარგის პრაქტიკოსებმა და თეორეტიკოსებმა, არა მხოლოდ მტკიცედ უნდა ვაღიაროთ. არამედ ყოველწუთიერი, ყოველდღიური შემოქმედებით უნდა განვამტკიცოთ ის ჩვენთვის ურყევი, მტკიცე და შეუვალი შეხედულება, რომ პრინციპულად შეუძლებელია ხელოვნების შეცვლა და შენაცვლება არა მხოლოდ ნებისმიერი „მანქანური წარმოებით", არამედ ყველა სხვა სახის ადამიანური მოღვაწეობით.

185.

....ეთიკის ფილოსოფიურ-ესთეტიკური არსი მხატვრულ შემოქმედებაში იმით განისაზღვრება, თუ რამდენად მონაწილეობს მორალი და ზნეობრიობა გამოსახულ ადამიანთა ყოველგვარ მიზანსა და იდეალში, გამოვლინებასა თუ ფარულ ზრახვაში, რომელთა ძალითაც პიროვნების თეორიის ყველა ფსიქოლოგიური პრობლემა ეთიკურ ასპექტს იძენს; არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ თვით იდეა ჰუმანიზმისა თავისი უმაღლესი მნიშვნელობით არის ეთიკური კატეგორია — მივმართავ ჩემს ძვირფას კოლეგებს, ქართული მწერლობისა და ხელოვნების ყველა დარგის ქურუმებს.

186.

...პეიზაჟი მხატვრობასა და მწერლობაში. უბრალოდ ჩამოვთვლი: ღრმა ზნეობრივი გავლენა ბუნებისა ადამიანზე; ბუნება როგორც კეთილი ცხოვრებისეული საწყისი; სამყარო ბუნებრივი სიკეთისა; ჰარმონიული მიზანშეწონილება მისი არსისა. პროცესებისა, მოვლენებისა; პეიზაჟის სიუჟეტურ-ესთეტიკური განწყობა, მისი სტიქიური ძალმოსილების ველურ და დაუოკებელ გამოვლინებისას ფარული მხატვრული

საშუალებების ძიება პოტენციური სიკეთის მისაგნებად; გამოსახვის აქსიოლოგიური ასპექტი (ღირებულებითი ეთიკა); პეიზაჟის აქციდენციური მომენტი (შემთხვევითობის ფენომენი); ბუნების სახეთა ანუ მოვლენათა ერთგვარი გაადამიანურება და პერსონიფიკაცია; ბუნების სამყაროს მიზანდასახული დეფორმაცია; გამომსახველობითი რაკურსების ცვლა ერთსა და იმავე ხედის მიმართ; პეიზაჟის ექსპრესიული ეროვნულ-პატრიოტული აღქმა და ასახვა; გეოგრაფიული და გნოსეოლოგიური პათოსი და ა. შ. მოკლედ — ადამიანის კონტაქტი ბუნებასთან ნებისმიერ პარამეტრში, ვითარცა უძლიერესი საშუალება მისი სულიერი წყობის გამოვლინებისა, მის ფასეულობათა ჭეშმარიტი ღირებულების გამჟღავნებისა და მისი სულის უხილავი სიმების აჟღერებისა — პეიზაჟი ადამიანის გამდიდრებისა და განვითარების ერთ-ერთი უძლიერესი ფაქტორი.

187.

...დრამატული სპექტაკლი ტელევიზიით მეტად ძნელი საყურებელია — აძლიერებს თეატრალური ხელოვნების ხელოვნურობას.

188.

...ცოდნის გზით — სულიერი სრულყოფილებისკენ. კვლავ ძალაშია ეს დევიზი-მოწოდება? თუ პირიქით — სულიერების გზით ცოდნის სრულყოფისკენ? იქნებ სულ უბრალოდ, ყოველგვარი მაღალფარდოვანი ბუუტურის გარეშე — იყავი კეთილშობილი, ეცადე იყო კარგი კაცი ა?

189.

...თუ მხატვრულ ტექსტში ავტორისეული „მე" მოქმედებს, ეს ხელს უწყობს თხრობაში ზნეობრივი მიკროკლიმატის შექმნას.

190.

...ლირიკულ-ემოციური თხრობა აძლიერებს მის აზრობრივ ასპექტს და, როგორც მ. ბახტინი ამბობდა, ინტონაციურ-ღირებულებითი მუსიკის კონტექსტში ახვევს ტექსტს, რომლის ორგანიზება მსჭვალავს ნაწარმოების მთელს მხატვრულ სტრუქტურას. ეს მე არ ვიცოდი (ან არ მახსოვდა), როცა „გზას ბავშვობისაკენ" ვწერდი, მაგრამ რაღაც მსგავსი, თუ არ ვცდები, გამომივიდა.

191.

...ყველა მხატვრულ ტექსტში, ჰომეროსიდან დღემდე, მოიძებნება (ადვილად თუ ძნელად, სულერთია) ის წამყვანი ემოციურ-აზრობრივი სიმი თუ ხაზი, რასაც მართლაც „მიჰყავს" თუ რასაც მისდევს პაწაწინა ლექსისა თუ მრავალტომიანი ეპოპეის უკლებლივ ყველა სტრუქტურა, ყველა შემადგენელი კომპონენტი და მკითხველისთვის ის უხილავი ინფრასტრუქტურაც, რაც, მართალია, ტექსტში უშუალოდ არ შესულა. მაგრამ ურომლისოდაც არც ერთ ნამდვილ მწერალს შემოქმედებითი მუშაობა არ შეუძლია.

192.

...ახალგაზრდა მწერლებსა და ჩვენც ყოველთვის უნდა გვახსოვდეს, რომ ასოციაციათა რიგი, ტექსტსგარეშე კონტექსტი, რაც თხზულების შინაგან პარტიტურას ქმნის, მეტად განვითარებული და გაჯერებული უნდა იყოს, რადგან აქტიურად, თითქოს უხილავად, მონაწილეობს ემოციურ-ფსიქოლოგიური აღქმის ჩამოყალიბებაში, მკითხველის განწყობილებისმიერი რეაქციის აღმოცენებაში და ხელს უწყობს ადამიანში ეთიკური საწყისის ესთეტიზაციას (გამხატვრულებას).

193.

...ყველა რეალისტი შემოქმედი ამავე დროს რომანტიკოსია, ხოლო მე ჯერ არ შემხვედრია რომანტიკოსი მწერალი რეალიზმის უხვი ელემენტების გარეშე. ამგვარი ტრადიციული დაყოფა ერთგვარად პირობითია და თუმცა თანახმა ვარ, რომ ამ დაყოფის საფუძველი, ცხადია, ვლინდება ნაწარმოების მხატვრულ სტრუქტურაში. მაგრამ, ჩემი აზრით, უფრო მეტად მწერლის მსოფლმხედველობის, მსოფლგაგების, მსოფლშეგრძნების და მსოფლაღქმის სფეროს განეკუთვნება. ასე დამარწმუნა პრაქტიკამ და არა ერთგვარად განყენებულმა თეორიამ. ბოლომდე გულახდილად რომ ვთქვა, ჩემი მოკლე ჭკუით, არსებობს მწერალთა მხოლოდ ორი კატეგორია — ნიჭიერნი და უნიჭონი. სხვა ყველაფერი გამოგონილია...

194.

...თუ ჩვენ გვინდა შევიტყოთ, გავიგოთ და გავიაზროთ, რა იდეალი ან იდეალური ესახება მწერალს, სხვა გზა არ არის: უნდა შევიდეთ, შევიჭრათ, ჩავწვდეთ სახე-ხასიათის იმ სემანტიკურ სტრუქტურას, რომელიც გამოხატავს მწერლის ეთიკურ კონცეფციას. იმ მორალურ-ზნეობრივი და სოციალურ-ფსიქოლოგიური წარმოდგენების ჯამს, რაც ვლინდება მის მიერ შექმნილ სახე-ხასიათებში. და მხოლოდ ამდენად და მხოლოდ ამიტომ მივიჩნიოთ ისინი მწერლის იდეალად ან იდეალურად. ყველა სხვა გზა ე. წ. „იდეური ანლიზისა“ უნებლიე ან შეგნებული გაყალბება იქნება. მხოლოდ ასევე, თუ ჩვენ გვინდა შევიტყოთ საწინააღმდეგო — იმ იდეალისა და იდეალურის საპირისპირო, რასაც ვერ ეგუება შემოქმედის ეთიკა. არავითარი ლიტონი განცხადებები კრიტიკისა თუ თვით მწერლისა მხედველობაში მისაღები არ არის.

195.

...ლეონარდო და ვინჩი: ვისაც შეუძლია წყაროს წყლით მოიკლას წყურვილი, ის დოქიდან წყალს არ დალევს... კარგია, არა?

196.

...მრავალ ათასწლეულებს გროვდებოდა ცნობები იმის თაობაზე, თუ როგორია და რა არის ხელოვნებისა და სილამაზის ბუნება. დღეს კი გვაქვს პასუხი?

197.

...პლატონი ამბობდა, რომ რიტორიკა არ განეკუთვნება ხელოვნების დარგს და არის ერთგვარი უნარი. არისტოტელე აცხადებს, რომ რიტორიკა ხელოვნებაა, რომლის მეთოდისა და საზღვრების დადგენა მას შეუძლია და დაადგენს კიდეც.

198.

...ნეტარი ავგუსტინე ამბობს: რიცხვი, წონა და ზომა მშვენიერია ვითარცა ცოცხალი ღმერთის მიერ დაწესებულნი. უილიამ ბლეიკი თითქოს პასუხობს: რიცხვი. წონა და ზომა — ესაა სიკვდილის სიმბოლო... ახლა ჩვენ რა ვქნათ?

199.

...პლატონმა არ თქვა განა — „ფილოსოფია და პოეზია დიდი ხანია რაღაც განხეთქილებაში არიანო?“ ვიღაც გამოხტება დღეს და მკერდზე ხელს დაიბრაგუნებს — „მე მოაზროვნე ფილოსოფოსი—პოეტი ვარო“! არც ფილოსოფოსია, არც პოეტი, აკაკის უბრალო ღამურაა.

200.

...დიადი რიტმი, რომლითაც მოცულნ სრულიად სამყარო, ყოველივეზე რომ ბატონობს სინამდვილეში— სიკ-

ვდილ-სიცოცხლეზე, დღესა და ღამეზე, კოსმიურ სხეულთა მოძრაობაზე, აყვავება-დაცემაზე, წელიწადის დროთა რიტმულ ცვლაზე, ბედნიერება-უბედურებაზე, საყვარულ-სიძულვილზე, სიკეთე-ბოროტებაზე, შავსა და თეთრზე. ძილ-ღვიძილზე და უამრავ სხვა რამეზე — ეს დიადი რიტმი აფიქრებინებდა პირველყოფილ ადამიანს, შუა საუკუნეთა გულწრფელ ღვთისმეტყველთ, ახალი დროის უმეტეს მოაზროვნეებს, პოეტებსა და ყველა სხვა დარგის შემოქმედთ, აფიქრებინებს დღევანდელობის ჩვეულებრივ ადამიანებს და მათ შორის მეც, რომ სამყაროში არსებობს რაღაც ერთი უზეშთაესი საწყისი, ერთიანი სუბსტანცია, რაღაც ღვთიური გონი თუ არსება, რომელიც უზრუნველყოფს საოცარ ჰარმონიას ერთმანეთის საპირისპირო მარადიულ მოვლენებს შორის...

201.

....ბუნებრივია, ესთეტიკის დასაწყისი მეტაფიზიკურია, რადგან გაანტრომორფირებული (გაადამიანურებული) კოსმოსი ამის მტკიცე საფუძველს ქმნის. დღეს ყველასთვის ცხადია, რომ ადამიანისა და ბუნების მჭიდრო ურთიერთკავშირში ჩამყენებელი მსოფლგაგება, სამყაროს რომ ადამიანის ქცევისა და შეხედულების მიხედვით განსჯის, თავისთავად ქმნის ნოყიერ ნიადაგს მშვენიერებისა და ხელოვნების თეორიის აღმოსაცენებლად.

202.

...მეცნიერთა უმრავლესობა თვლის, რომ პოეტურ-სახეობრივი აზროვნება განუყოფელი ნაწილია მეცნიერული შემოქმედებისა, განსაკუთრებით მეცნიერების იმ დარგებში, რომელთაც უმეტესად მსოფლმხედველობრივი მნიშვნელობა აქვთ. მე დავუშატებდი: აგრეთვე მუსიკალურ შემოქმედებასა და პრაქ-ფიზიკა-მათემატიკაშიც, — უპირატესად ტიკას; ასტრონომია—ბიოლოგიაშიც, — უპირატესად პოეტურ წარმოდგენებსა და ქანდაკება-მხატვრობის თეორიასა და პრაქტიკას. აღარაფერს ვამბობ ლოგიკის მეცნიერებაზე, რომლისგანაც განუყოფელია პოეტური განზოგადებანი.

203.

...ხომ აღიარებულია და მართალია, რომ ადამიანის შეგნებაში ინფორმაცია და ემოციები განუყოფლად არიან ერთმანეთთან დაკავშირებულნი. ემოცია განუყრელი თანამგზავრია ადამიანის მთელი ცხოვრებისა მაგრამ, ახალი, ვგონებ, ის არის, რომ როგორც ინფორმაცია წარმოშობს ემოციებს, ასევე ემოციები წარმოშობენ ინფორმაციას. ამის გასაგებად მხოლოდ მცირე დაფიქრება და განსჯაა საჭირო.

204.

...იმასაც ამტკიცებენ (მეც ვამტკიცებ). რომ ინფორმაციის უშუალო გადაცემა წმინდა სიმფონიური მუსიკით არ ხდება, მაგრამ მას აქვს თვისება. მძლავრად აღძრას მსმენელში ემოციები, დაკავშირებულნი ამა თუ იმ ინფორმაციასთან. ამდენად, ემოციის საშუალებით, არა უშუალოდ, არამედ მეორეული გზით, სიმფონიური მუსიკა ინფორმაციას გადასცემს, უეჭველია, რომ ამგვარი ინფორმაცია ერთგვაროვანი არ არის და ყოველი მსმენელი მას სუბიექტურ ელფერს მიანიჭებს.

205.

...ზნეობრივი რელიატივიზმი ისე შეუმჩნევლად შეეპარება კაცს, იმგვარი მცოცავი რამ არის, ზოგჯერ იმგვარად ძნელი გასარჩევია, განსაკუთრებით კრიზისულ პერიოდებში, რომ, სულაც რომ არ ელი. სწორედ იმ დროს აღმოჩნდები ღორებიან ტლაპოში. მე-

რე იხეხე და ირეცხე, რამდენიც გაგეხარდება, — იმ ტალახს ვეღარასოდეს მოიცილებ.

206.

...ზოგიერთის განსაზღვრებით, ბედნიერება არის ადამიანის საზეიმო სასიხარულო თვითდამკვიდრება მის გარემომცველ სამყაროში. ამდენად, ზეიმი აღიარებულია ბედნიერების აუცილებელ ემოციურ-ფსიქოლოგიურ ატრიბუტად, ხოლო სიხარული მის თანამდევ ელემენტად. ეს რაღაც ახალს მატებს (ერთი თვალსაზრისით კი აკლებს) ბედნიერების იმ განსაზღვრებას, ადრე რომ ჩაგვინერგეს. ესაა „ზეიმის" მომენტი— ჩვენ ხომ ახლა ყველაფერს ვზეიმობთ: პირველი თანამგზავრის გაშვებასაც, გაგარინის დაბრუნებასაც (მანამდე ხომ იყო ზეიმი კოსმოსში ძაღლების გაშვებასთან დაკავშირებითაც), ქუჩის მოასფალტებასაც, ნიუ-იორკში ხრუშჩოვის გამოსვლასაც, ამერიკაში დაწყებულ ეკონომიკურ კრიზისსაც, ჩაის ფოთლის კრეფის გეგმის შესრულებასაც და ვიღაც ნიქსონის დამარცხებასაც... რა ბედნიერები ვართ, არა?

207.

...უანგარობა ალტრუისტულ ხასიათთა მთავარი თვისება უნდა იყოს, რადგან, როგორც ამტკიცებენ, ის, უანგარობა, მეტად აახლოებს ადამიანებს, წარმოშობს კეთილმოსურნეობის გრძნობას და ა. შ. ეტყობა, ჩვენში ძალიანაა გავრცელებული ეს უანგარობა — ყველა ყველას ახლობელია, კეთილმოსურნე და მოკეთე....

208

...რიგით მკითხველს ვეკითხები: გაგიგონიათ ამგვარი გამოთქმები — „სიუჟეტური ხედვის სივრცე", „შემთხვევითი შეხვედრის ფენომენი", „შებრუნებული თხრობის ბალანსი", „ბალადური ფაბულა", „ავტონომიურ-უნივერსალური საწყისი", „დროისგარეშე გამეორებანი", „სასიყვარულო ფიზიოლოგიის მაქმანი", „თხრობის ექსპოზიცია, ინტროდუქცია და აპოთეოზი", „ასოციალური ბარიერის დაძლევა", „უარყოფითი პერსონაჟის ტერიტორია", „ხასიათის ეთიკური სტრუქტურა", „შესაძლებლობის კაზუსი", „შემთხვევითი ბუტაფორია" და სხვა ამგვარი? დაინტერესდით და შედეგად მრავალ შემოქმედებით საიდუმლოებას დაეუფლებით.

209.

...სადღაც პაუსტოვსკის უწერია: ზოგიერთი რამ ჩვენ, ადამიანებმა, განსაკუთრებით მწერლებმა, ბუნებისგანაც უნდა ვისწავლოთ. უპირველეს ყოვლისა, მისი გულუხვობა.

210.

...მეტად მომწონს გამოთქმა — მერცხლების ფრთებით მოდენილი ღრუბელი... ვისია, არ მახსოვს.

211.

...შეიძლება ზედმიწევნით იცოდე პოეტური შემოქმედების კანონები, ლექსის აგების საიდუმლოება, ყველა ნიუანსის გათვალისწინება-შეფასება, შეიძლება ზეპირად იცოდე მთელი მსოფლიო პოეზია ანუ მისი შედევრები, ახალიც და ძველიც, შეიძლება ახლო მეგობრობდე მრავალ პოეტს, შეიძლება მოხდეს მოუხდენელი — დაესწრო ლექსის შექმნის იდუმალ პროცესს, შეიძლება ყველას მიერ აღიარებული იყო უდიდეს ლექსმცოდნედ (არის მეცნიერების ამგვარი დარგი), იცოდე ლექსის გარშემო ათასი სხვა რამ... და არ იყო პოეტი, რაც ხშირად ხდება, მეტად ხშირად გასაკვირველად ხშირად, თვით ლიტერატურისმცოდნეთა და ლიტერატურის თეორიტიკოსთა საკმაოდ ვიწრო წრეშიც... მაგრამ შეიძლება არც არაფერი იცოდე, წარმოდ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

გენაც არ გქონდეს ზემოჩამოთვლილ ამბებზე და იყო ნამდვილი პოეტი, დიდი პოეტი და (რაც უკვე იშვიათია) უდიდესი პოეტი. პოეტობა ის ღვთის მადლია, რომელიც არავითარ კანონებს და კანონზომიერებებს არ ემორჩილება.

212.

....ორი კონტრასტული ცენტრის ესთეტიკური დაპირისპირება ბუნებრივად იწვევს მოქმედ პირთა ეთიკურ მაქსიმალიზმს, თუკი ავტორის პოზიციას უკომპრომისოა კეთილისა და ბოროტის მიმართ.

213.

...ამგვარი სერიოზულობანი რომ მომბეზრდება, მე თვით ვამბობ: იცით, რა, ახლა მეტად სერიოზული საქმე მაქვს და პლანეტარიუმში მივდივარ. თუ ვინმე წამომყვება, — ვარსკვლავები ვათვალიეროთ და ნაკლებ სერიოზულ ამბებზე ვიფიქროთ... ვატყობ, რომ სულ უფრო გადავდივარ ბურლესკზე.

214.

...მხატვრული სახის ირაციონალიზმი, — ვერ გამიგია ასე რატომ ეშინიათ ამ გამოთქმისა პოზიტიურ პლანში (საგინებლად, იცოცხლე, იყენებენ)? ან თვით სიტყვა ირაციონალიზმი, მათი აზრით, ანტიმარქსისტულია, ან იმავე აზრით, მხოლოდ მხატვრულ სახესთან კავშირშია დასაგმობი? ვფიქრობ, ირაციონალურია თვით ეს მიდგომა ამ შესიტყვებისადმი.

215.

...ნილს ბორის მიერ შემოტანილმა დამატებითობის პრინციპმა საკითხი დასვა ამ პრინციპის ზოგადმეთოდოლოგიურ მნიშვნელობაზე. ჩვენც ის დაგვემართა, რაც მაშინ ფიზიკოსებს? ხომ დასაშვებია, რომ მეცნიერული ანალიზი და განზოგადება იმავე ურთიერთობაში აღმოჩნდება მხატვრულ სინთეზსა და მხატვრულ განუმეორებლობასთან?

216.

...მართლაც ყოველთვის უნდა გვახსოვდეს ცხოვრებისეული შინაარსის ხელოვნების შინაარსად გადაქცევის აუცილებლობა? მაშინ რა ჯანდაბად გვინდა ის არეულ-დარეული თეორიები და ტვინის ჭყლეტა, თუ ეს გვყოფნის, რაღად გვინდა ის სხვადასხვა (გამოგონილი) იზმები? დარჩეს ემპირიული შემოქმედება და ვაქციოთ ცხოვრებისეული შინაარსი ხელოვნების შინაარსად. ამით დაიწყება და ამით დამთავრდება კიდეც ხელოვნება და ლიტერატურა...

217.

...ცხოვრება ხელოვნებაში ერთდროულად ხდება მწერლის თანაავტორიცა და ოპონენტიც. აი, ესაა მართალი. გოეთეს ხომ უთქვამს, რომ ხელოვნებაში მხატვარი ქმნის, ვითარცა ბუნება, მაგრამ გორკის უთქვამს, რომ მხატვარი მოდის, რათა არ დაეთანხმოს ამას. მე ვერ ვხედავ აქ ვერავითარ დაპირისპირებას. თანაავტორობისა და ოპონენტობის პრინციპი სახეზეა.

218.

...ხელოვნება თავის დროზე (უადრესად ადრე) ერთადერთი მეცნიერება იყო. ახლა ცდილობენ ელექტრონულ-გამოთვლით მანქანას მწერლის, კომპოზიტორისა და მხატვრის ფუნქციები შეაწერონ...

219.

...მსოფლიოს შემეცნება ნიშნავდა ადამიანის თვითშემეცნებას, ხოლო

მსოფლიოში თავისი მნიშვნელობის გარკვევა სამყაროს შემეცნების წინაპირობა იყო.

220.

...პოეტური იმპროვიზაციის, დაუოკებელი ფანტაზიისა და პიროვნული თავგანწირვის გარეშე შეუძლებელია მკაცრი მეცნიერული აზროვნება, რაც ყოველთვის რაღაც ზღვარს უდებს იმპროვიზაციასაც, ფანტაზიასაც და თავგანწირვასაც, რომ განაპირობოს მათი შემდგომი კვლავაღორძინება, კვლავაღზევება. კვლავაღმაფრენა და.. კვლავდაბრუნება ცალკეული ფხიზელ და ჯიუტ ფაქტთან... ჰერიჰაა! — წამოიძახებს ვილაც.

221.

...ფიზიკა, ფიზიკა, ფიზიკა — მეცნიერებათა მეცნიერება! მე რომ ჩურჩულით ვთქვა — სული, სული და სულიერება, თქვენ რას იტყვით?... წინასწარ ვიცი...

222.

...მართლა გამოსჭვივის ამ ჩანაწერებში ტიპიური ქართველის ტიპიური უკიდურესობანი? თუ ასეა, ასეთნი ვართ, თუ ასე არ არის, ჩვენი საქმე წასულია... იცით, საით? მე რატომ უნდა გითხრათ? თქვენ თვითონ...

223.

...წარმოგიდგენიათ, რომ იაზროვნოთ არა მხოლოდ აუცილებლობის კანონებით, არამედ სილამაზის კანონებითაც? ნუთუ ქართველებისთვისაც რთულია ეს?

224.

...სწორედ რომ ხელოვნებას ძალუძს შეაღწიოს საყოველთაოში, რომელიც მოიცავს განსაკუთრებულობის სიუხვესაც და ინდივიდუალობის უსასრულობასაც.

225.

....აბა. დააკვირდით და განსაჯეთ: თვითდამკვიდრების აქტი მხოლოდ შემოქმედებით აქტში ხდება.

226.

...ვინსენტ ვან-გოგი: „რაც უფრო მეტს ვფიქრობ, მით უფრო მეტად ვთვლი, რომ არ არსებობს იმაზე უფრო მხატვრული, ვიდრე ადამიანებისადმი სიყვარულია“...

227.

...ლიტერატურას და ხელოვნებას რომ ჰუმანისტური საწყისი გამოაცალო, იგივეს ნიშნავს, რომ განუდგე ადამიანს, პიროვნებას და ფქვილის მაგივრად ნახერხი იხმარო... ამიტომაა უტოპიური „მანქანური“ შემოქმედება.

228.

...ეს სამი მომენტი, სამი დიდი გერმანელის გენიით აღბეჭდილი, ღირსია კაცობრიობის სამუდამო ხსოვნისა. იოჰან კეპლერი (1561—1630), იოჰან ვოლფგანგ გოეთე (1749—1832), პაულ ჰინდემიტი (1895—1963) — არიან კაცობრიობის შესაძლებლობათა ამ სამი მეცნიერ-მხატვრული აღზევების ავტორები: 1619 წელს კეპლერმა ტრაქტატში „მსოფლიო ჰარმონია“ გამოხატა აზრი იმ კანონთა ერთობლიობისა, რომელნიც წარმართავენ სამყაროს და მუსიკის საფუძვლებს შეადგენენ; ორი საუკუნის შემდეგ გოეთე იმავე აზრს ჩამოაყალიბებს საერთოდ ხელოვნების მიმართებით: „მშვენიერი — ბუნების იდუმალ ძალთა მანიფესტაციაა. მისი წარმოშობის გარეშე ისინი მარად და-

ფარულნი დარჩებოდნენ"; კიდევ ერთი საუკუნის შემდეგ კეპლერის ყოვლისმომცველი იდეიდან გამომდინარე, ჰინდემიტმა შექმნა სიმფონია „მსოფლიოს ჰარმონია", აგებული დიდისა და მცირის კოსმიური და ადამიანური ყოფის შეუღლებაზე...

229.

...აუტანელი საქერია ახალგაზრდა მაყურებელთა ეს მასობრივი გაგიჟება, გაბრბოება, გაპირუტყვება, ტელევიზიით რომ ზოგჯერ გადმოსცემენ ზოგიერთი როკ-ვარსკვლავის კონცერტებს და დარბაზს აჩვენებენ. ამას არავითარი განსჯა-დაფიქრება არ სჭირდება — ასე იწყებოდა ბოლშევიზმიც, ფაშიზმიც, ყოველგვარი სულიერი გაპარტახება. ესაა კულტურის დასასრული, ესაა პირდაპირი გზა უკან — ბარბაროსობისკენ და წინ — ბარბაროსობისკენ. ღმერთო, ააცილე საქართველოს, ჩვენი უბედურებანიც გვეყოფა..

230.

..დანაშაული, მიმართული საკუთარი ხალხის წინააღმდეგ — ბოლშევიზმი. ყველგან და ყოველთვის, წარსულშიც, დღესაც და მომავალშიც. გინდა სახელი გამოუცვალე, გინდა სახრავი. მისი გენები ყველა ჩვენგანის სისხლშია, სუნთქვაშია, მზერაშია. ამის ხმამაღლა აუღიარებლობა კიდევ უფრო ზრდის მის სიცოცხლისუნარიანობას. მესმის კითხვები: რატომ ასე ხელაღებით ვაკრიტიკებთ და ვლანძღავთ წარსულს, არ გვეყო? გავჩერდეთ და ვიცხოვროთ ახლებურად. თანხმა ვარ. ლანძღვა უაზრობაა, მაგრამ „ვიცხოვროთ ახლებურად" — ბავშვური გულუბრყვილობაა. თუ არსებითად არ შევიმეცნეთ, რა მოხდა, რა იყო, ასევე არსებითად და ძირეულად არაფერი შეიცვლება. ჩვენში უნდა შეიცვალოს, ჩვენს გენში, ჩვენს სისხლში. ჩვენს სუნთქვასა და მზერაში. ჩვენს ყოფასა და ყოფიერებაში...

231.

...მე რომ გაგიმჟღავნო, რომ რაველის მუსიკა მიყვარს, მიხვდები ჩემს ხასიათს? მერე რომ დავუმატო, ქართულ „მეტივურზე" ვგიჟდები-მეთქი, რას იფიქრებ? რა დასკვნას გამოიტან?

232.

...რატომ გვიზიდავს ასე ქალის შიშველი სხეულის ყურება თუნდაც მხატვრობაში? იმიტომ, რომ ჩვენი წარმოსახვის უნარი უნაპირო...

233.

..მიჩნეულია, რომ რა იდეოლოგიაც ბატონობს, იმგვარივე სახეობრივი სისტემა, მეთოდი და სტილი გვაქვს. დავუშვათ, რომ ასეა. მაგრამ ვინ გამოიძია უკუმიმართების პროცესი — თვით სახეობრივი სისტემის, მეთოდისა და სტილის გავლენა იდეოლოგიაზე?

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ᲡᲝᲚᲝᲛᲝᲜ ᲒᲣᲪᲘᲨᲕᲘᲚᲘ

1832 ᲬᲚᲘᲡ ᲨᲔᲗᲥᲛᲣᲚᲔᲑᲐ ᲝᲡᲝᲔᲗᲘᲡ ᲭᲐᲕᲭᲐᲕᲐᲫᲘᲡ ᲨᲔᲛᲬᲐᲡᲔᲑᲘᲗ

ქართლ-კახეთის სამეფოს გაუქმებიდან დაწყებული XIX საუკუნეში ეროვნული და გამათავისუფლებელი მოძრაობა არ შეწყვეტილა. მაგალითად წყება პროტესტის გამოხატვისა იმის მაჩვენებელია, რომ გეორგიევსკში ხელმოწერილი შეთანხმება საუკუნის დასაწყისშივე ცალმხრივად დაირღვა. იმპერატორ ალექსანდრე პირველის მანიფესტმა, რომელიც ძალმომრეობის გამოხატულება იყო და რომელიც ალყაშემორტყმული სიონის ტაძარში იქნა სახალხოდ გამოცხადებული, მოსპო აღმოსავლეთ საქართველოს პოლიტიკური ერთეულის არსებობა. ამის შემდეგ გაბატონებული ძალა შეუდგა საქართველოს სხვა ნაწილების სისტემატურ დაპყრობას, რისთვისაც თაღლითური დიპლომატიის ყველა ხერხი და საშუალება იქნა გამოყენებული რუსთა ხელისუფლებისაგან: მოსყიდვა, საჩუქრები, დაჯილდოებები, დაპირისპირებანი, დაპირებანი და უფრო მეტად და ხშირად უხეში ძალითა და სხვა ხერხებითა და საშუალებებით მიელი საქართველო გადაიქცა დაპყრობილ ქვეყნად და წაერთვა დამოუკიდებელი მართვა-გამგეობის ყოველნაირი სტატუსი. „საქართველოში სამეფოს გაუქმების დღიდანვე იწყებოდა განმათავისუფლებელი მოძრაობა, რომელიც მომდევნო პერიოდში სულ უფრო და უფრო ფართოვდებოდა“ („საქართველოს ისტორიის ნარკვევები“, ტ. IV, გვ. 819).

პირველი შეთქმულება 1802 წელს ივლისში კახეთში მოხდა, როცა კელმეჩურში შეკრებილებმა მოითხოვეს ტრაქტატის პირობების დაცვა, მაგრამ ეს შეთქმულება ჩაიშალა, შეთქმულნი დააპატიმრეს, ზოგი სპარსეთში გადაიხვეწა.

ამ წლიდან დაწყებული ნახევარი საუკუნის განმავლობაში საქართველოში არ შეწყვეტილა პროტესტის გამოხატვის ტალღა. რუსული ხელისუფლების ჩვენს ქვეყანაში განმტკიცების პროცესი იყო მიზეზი სახალხო პროტესტის გამოხატვისა. რუსეთისაგან განხორციელებული კოლონიური პოლიტიკა დიდ წინააღმდეგობას ხვდებოდა. ქართული მოსახლეობა მსხვერპლი შეიქნა კოლონიური რეჟიმისა და თუ ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა კუთხეში აჯანყების ალი ავარდებოდა, იგი მიმართული იყო დამპყრობლის წინააღმდეგ. 1804 წლის მთიულეთის ამბოხება თუ ერთი მხრით გამოიწვია იმან, რომ ზამთარში ადგილობრივი ქართული მოსახლეობა უნდა მომსახურებოდა რუსის ჯარებს, გაეწმინდა გზა, გამოეკვება ჯარისკაცები, „რუსი მოხელეები აიძულებდნენ მათ (მთიულებს— ს. ხ.) უფასოდ გამოეყვანათ ხარ-ურმები, მიეცათ სურსათ-სანოვაგე, პური, ქერი, ფრინველი, პირუტყვი, ცხენებისათვის თივა და სხვა. ხოლო ფულს არ უხდიდნენ“ („საქართველოს ისტორიის ნარკვევები“, ტ. IV გვ. 916), მეორე მხრით იგი იყო სამშობლოს ეროვნული გათავისუფლებისათვის ბრძოლაც.

ასე იყო არა მხოლოდ 1804 წელს, როცა მთიულებმა მთავრობას უთხრეს: „ან სულერთიან დავიხოცებით, ან რუსებს გავრეკავთო“, არამედ 1812 წელსაც, როცა კახეთი აჯანყდა, 1819—1820 წლებში იმერეთსა და გურიაში აჯანყებისას. ქართველობა იბრძოდა არსებობის შესანარჩუნებლად და ეს ბრძოლა, მიუხედავად გამომწვევი მიზეზებისა, იყო პოლიტიკური ხასიათისა, გულისხმობდა რუსთაგან გათავისუფლებას.

XIX საუკუნეში, მის პირველ ნახევარში საქართველოში მომხდარ ამბავთა შორის განსაკუთრებულად გამორჩეულია ქართველი მოწინავე ახალგაზრდობის ის მოძრაობა, რომელსაც „1832 წლის შეთქმულება“ ჰქვია და რომელშიც მონაწილეობა მიიღო მაშინდელმა ქართულმა განათლებულმა თაობამ.

შეთქმულნი დაისაჯნენ. პირველი განაჩენი

ხაშინელი და ველური იყო. მეთაურებისათვის ჯერ ხელ-ფეხი უნდა დაეკრათ, შემდეგ თავი და დაეყარათ მოედანზე ყველას დასანახავად, რომ ასეთი ბოლო ექნებოდა ყველას, ვინც გაბედავდა მთავრობის წინააღმდეგ რაიმე ნაბიჯის გადადგმას. მართალია იმპერატორმა არ დაამტკიცა სასამართლოს ასეთი განაჩენი, მაგრამ შეთქმულების მეთაურთა ჯგუფის წევრებს რუხეთში სამუდამო გადასახლება გადაუწყვიტეს. დროთა განმავლობაში იმპერატორმა აპატია ეს სასჯელიც და, როგორც ნიკოლოზ ბარათაშვილი ამბობს: „უამთ-ვითარებით გარდახვეწილი შვილები უკან დაბრუნდნენ". ვერ დაბრუნდა სოლომონ დოდაშვილი, რადგან იგი ტფილისში გარდაიცვალა ვიატკაში და იქვე დამარხეს. არ დაბრუნდა სოლომონ რაზმაძეც, რომელსაც პეტერბურგში აღარ ჩაესვლებოდა და საქართველოში არავინ ჰყავდა. იგი დასახლდა პენზაში და იქვე გარდაიცვალა.

შეთქმულებასა და შეთქმულთა შესახებ როგორცა ჩანს, ხაუბარი და რაიმე ცნობათა გავრცელება საშიში ყოფილა. არც მემუარებში, არც მიწერ-მოწერაში და მით უფრო არც ნაბეჭდში 1832 წლის შეთქმულებაზე ბევრი არაფერი მოიპოვება. პირველი პუბლიკაცია საარქივო ქაღალდებისა მოხდა 1881 წელს, ნახევარი საუკუნის გავლის შემდეგ, რუსულ ენაზე. თანაც შერჩეული საბუთებისა კავკასიის არქეოგრაფიული კომისიის მიერ შეკრებილ აქტებში (ტ. VIII, 1831—1837 წ. წ. როზენის მმართველობის დრო).

რასაკვირველია, ქართულ პრესაში ამ აკრძალული ისტორიული ფაქტის ხსენება არ იყო შესაძლებელი, მაგრამ, ცხადია, გამოხმაურება ასეთი იქნ ისეთი ფორმითა და საშუალებით მას არ შეიძლება არ ჰქონოდა. უპირველეს ყოვლისა, აღსანიშნავია გაზეთ „დროების" გამოცემის ათი წლის თავზე მაშინდელი თბილისის ქართველი ინტელიგენციის შეკრება, როცა ილია ჭავჭავაძემ წარმოსთქვა მცირე ხიტყვა ქართული ჟურნალისტიკის შესახებ და მოიხსენია სოლომონ დოდაშვილი და გიორგი ერისთავი, პირველი როგორც გამომცემელ-რედაქტორი 1832 წელს ლიტერატურულ-საზოგადოებრივი ჟურნალისა „სალიტერატურონი ნაწილნი ტფილისის უწყებათანი"-სა, ხოლო მეორე, დამაარსებელი და რედაქტორი ჟურნალ „ცისკრისა" 1852—1853 წლებში და მოიხსენია ისინი, როგორც დამწყებები (განსაკუთრებით პირველი) ქართული ჟურნალისტიკისა, რომელთაგანაც აღმართული დროშა ჟურნალისტიკისა ახლა ჩვენ გვიჭირავს ხელშიო. ეს იყო პირველი ოფიციალური ხსენება სოლომონ დოდაშვილისა, 1832 წლის შეთქმულების ერთ-ერთი მეთაურისა. ილია ჭავჭავაძის მიერ წარმოთქმული ხიტყვა დაიბეჭდა კიდეც გაზეთ „დროებაში".

ეროვნული ბიბლიოთეკა

1937 წელს ივანე ჯავახიშვილმა ილია ჭავჭავაძის დაბადების ასი წლისთავისადმი მიძღვნილ საჯარო სხდომაზე წაიკითხა მოხსენება ილია ჭავჭავაძისა და საქართველოს ისტორიის თემაზე. მომხსენებელმა ბრძანა, რომ „ილია ჭავჭავაძის ისტორიული კონცეპციისა და მისი მოღვაწეობის ამ დარგში მნიშვნელობის გასათვალისწინებლად ჩვენი მგოსნის ისტორიული პოემების გამოყენება არც საჭიროა და არც მართებული. ილია ჭავჭავაძის შეხედულებათა გამოსარკვევად და იმ წვლილის ცხად-საყოფად, რომელიც მას საქართველოს ისტორიის გაშუქებაში შეტანილი აქვს, მისი ისტორიული პოემები არ გამომიყენებია. უამისოდაც ეხლა საკმაო და მრავალფეროვანი მასალა მოგვეპოვება, რომ ზემოდასახული ამოცანის განხორციელება შევძლოთ" (ივანე ჯავახიშვილი, „ილია ჭავჭავაძე და საქართველოს ისტორია", 1938, გვ. 3).

ასეთი მიდგომა ილია ჭავჭავაძის მოღვაწეობისადმი სრულიად მართებულია. ისტორიკოსმა შეაფასა მწერლის შეხედულებანი და დაასკვნა, რომ ილია ჭავჭავაძეს თავმომწონეობა და ეროვნული სიამაყის გრძნობა კი არ ამოქმედებდა, როცა იგი ეხებოდა საქართველოს ისტორიის მკვლევართა ღვაწლს, არამედ პირუთვნელი, უტყუარი და დაუნდობელი შეფასება ქვეყნისა და ერის წარსულისა.

ასეთი მტკიცე შეხედულების მქონეს ილია ჭავჭავაძეს, სამწუხაროდ, ახდილად არ შეეძლო დაეხასიათებინა ის პოლიტიკური ორგანიზაცია, რომელიც XIX საუკუნის 20-იან წლებში ჩაისახა და განვითარდა საქართველოში და რომელმაც არსებობა დაამთავრა შინაგამცემლობის წყალობით, ილია ჭავჭავაძე არაერთხელ შეეხო ამ აკრძალული საკითხის არსს, მართალია არა პირდაპირ ფაქტებისა და პროცესის დასახელებითა და ჩვენებით, მაგრამ მაინც შეაფასა იგი, როგორც მნიშვნელოვანი მოვლენა იმ აჯანყებათა წყებაში, რაც საქართველოში ხდებოდა საუკუნის პირველ ნახევარში, ილია ჭავჭავაძე სხვადასხვა ფაქტებს და საზოგადოებრივი ცხოვრების მოვლენებს აღწერდა და შიგადაშიგ, გადაკვრით ხაზს უსვამდა 1832 წლის შეთქმულების ხასიათს, მის მნიშვნელობასა და როლს ქართული ეროვნული გათავისუფლების ბრძოლის ისტორიაში.

პირველი დახასიათება ამ ფაქტისა ილია ჭავჭავაძემ გამოხატა იმ სატირულ თხზულებაში, რომელიც დაწერილია 1871 წელს და ჰქვია „რა ვაკეთეთ, რას ვშვრებოდით ანუ საქართველოს ისტორია მეცხრამეტე საუკუნისა". ეს მხატვრული ნაწარმოებია, სატირული განწყობილე-

ბით დაწერილი, რომელშიც მწერალი შემდეგ-ნაირად მოიხსენიებს XIX საუკუნის ამ ისტორიულად მნიშვნელოვან ამბავს:

— მერე როცა ამ წვა-დაგვამ
დღენი ჩვენნი მოგვიწამლა,
ტანჯვა ველარ ავიტანეთ,
სინდისმაც გაგვამხილა,
რა ვაკეთეთ? რას ვშვრებოდით?
— შერცხვენილნი და დამწვარნი
— აქა-იქა ვჩურჩულებდით.
— მერე, როცა ეგ ჩურჩული
შეგვიტყვეს და შეგვამცნიეს,
როცა ცხვრისა ფარასავით
მოგვკრიბეს და შეგვამწყვდიეს, —
რა ვაკეთეთ? რას ვშვრებოდით?
— ფერმიხდილნი ბეზღობაში
ერთმანეთს ვეჯიბრებოდით და ა. შ.

იხევ მეცნიერი ისტორიკოსის შეხედულება უნდა წარვიმძღვაროთ, ამ დებულების განსაზღვრავად და დასასაბუთებლად: „პოემები ხომ არსებითად მხატვრული ნაწარმოებებია და მიზნადაც იქ ავტორს საქართველოს ისტორიის დაწერა არა ჰქონია დასახული“-ო.

ხრულიად მართებულია ეს აზრი, რაც გარკვეულად მტკიცდება პოეტის შემოქმედების იმ ფორმით, რომელიც ივანე ჯავახიშვილს არ მიაჩნდა საბუთად. მართლაც, ამ ხატირული თხზულების აზრი 1832 წლის შეთქმულების არსზე არ მეორდება და არც ეთანხმება იმას, რაც ილია ჭავჭავაძეს გამოთქმული აქვს არა მხატვრულ, არამედ პუბლიცისტურ ნაწერებში, სადაც მხატვრული შინაარსისა და ფიგურების გარეშე მიმდინარეობს მსჯელობა აკრძალულ თემაზე.

1879 წლის „შინაური მიმოხილვა“ საფაურით „ვის ნათესსა ვმკით“ გამოქვეყნდა გაზეთ „დროებაში“ 1880 წლის № 1-ში. ამ დროს „ივერია“ და „დროება“ გაერთიანებულნი არიან და ილია ჭავჭავაძე და ხერგეი მეხი რედაქტორობენ გაზეთ „დროებას“ და ჟურნალ „ივერიას“. „ვის ნათესსა ვმკით?“ გარკვეულად მიუთითებს საქართველოს წარსულზე, როცა ჩვენმა წინაპრებმა დათესეს თესლი ბრძოლისა ხამშობლოს შენარჩუნებისა და დაცვისა, მამულიხათვის თავის განწირვისა. აი, საქართველოში დადგა დრო გამოცოცხლებისა, საზოგადოებრივი ცხოვრების გამოფხიზლებისა. „ეს უკანასკნელი ოთხი-ხუთი წელიწადი როგორღაც, ცოტად თუ ბევრად, სანუგეშონი იყვნენ“, საქართველოში შეიქმნა ღარიბ მოსწავლეთა შემწეობის საზოგადოება, რომელმაც 1879 წელს თბილისში გახსნა სკოლა, სადაც მეცადინეობა და სწავლა დედა ენაზე წარმოებდა. ილია ჭავჭავაძეს ეს ფაქტი მიაჩნია ჩვენში საზოგადოებრივი ინტერესის გამოფხიზლებად. ეს გამოფხიზლებული საზოგადოება ამაზე არ გაჩერებულა. „შესდგა საზოგადოება წერა-კითხვის გამავრცელებელი ქართველთა შორის, რომელსაც მინიჭებული აქვს უფლება, რომ სასოფლო და პირველდაწყებითს სკოლებში სწავლა დედა-ენის შემწეობით აწარმოოს“. იმავე 1879 წელს შედგა ქართული თეატრის დასი. ყველა ეს ამითაა მნიშვნელოვანი, რომ ქართველთაგან საკუთარი თაოსნობით, ღვაწლით და შეწირულობით დამკვიდრდა ყველა ეს დიდი საქმე, ერის სულიერი ცხოვრების გამომამსწორებელი. ქართულმა საზოგადოებამ შეიგნო ძალა ერთიანობისა, ერთობისა, კულტურის გაღვიძება—გაძლიერებისა. ყველაფერი ის, რაც გაჩენილია სამოცდაათიან წლებში, შედეგია იმისა, რომ ადრე იყო მცდელობა დამოუკიდებლობის მოპოვებისა. ხაიდან მოდის ეს ხურვილები და მისწრაფებანი, რაც ქართველმა საზოგადოებამ განახორციელა, მართალია მცირე, მაგრამ მაინც ეროვნული გაძლიერებისაკენ სწრაფვა? ილია ჭავჭავაძე არც თუ შორეული წარსულისაკენ მიდის და გადმოგვცემს: „ბევრმა თავდადებულმა მამულისშვილმა დაანთხია ამისათვის სისხლი, მაგრამ გარედამ მტერმა და შიგნით უკეთურთა ბზარვამ და ლალვამ იმოდენი ჯაფა, სისხლის ღვრა, თავგანწირვა, — ამაოდ ჩაუტარეს დარღვეულობით დაუძლურებულს ქვეყანასა და ერთხელ ზურგშემოქცეულს ბედს პირი ჩვენსკენ ველარ აქნევინეს“. ასეთი რამ მომხდარა საუკუნეების წინაც და მიმდინარე, მეცხრამეტე საუკუნეშიც, მაგრამ ილია ჭავჭავაძე სრულიად გარკვეულად, ამასთან, შეფარულად მიგვანიშნებს იმაზე, თუ ვის ხელში იყო ხურვილი გათავისუფლებისა და გაერთიანებისა. მათი წარმომადგენლები, ე. ი. ძველი ქართველი მოღვაწენი ცოტანი-ღა არიან ცოცხალნი. „ჩვენი უბედურება ის იყო, რომ მაგ ძველთაგან, რომელთაც შერჩათ ხურვილი ყოვლად მხხნელი შეერთებისა, „ცოტანიღა შეგვრჩენენ. დროთა ბრუნვამ, სხვა ნიავქარის ქროლამ, ხუსტებს გული შეუცვალა და ჩვენს დროსათვის დარჩა იმ ძველთაგან ძალიან მცირე გუნდი, რომელთაც კიდევ უცემდათ გული ქვეყნისათვის. დრომ ისე იმძლავრა იმათზედ, რომ ჩუმად, ხმაამოუღებლივ უნდა მიმჯდარიყვნენ თავის უხიხარულო ჭერქვეშ და იქ ეგლოვნათ, იქ ეტირნათ თავის ქვეყნის პირქვე დამხობა, მერე ისე, რომ ცრემლი თვალზე არავის შეემცნია.“ XIX საუკუნის ხამოცდაათიან წლებში ამ „ძველთაგან“ მხოლოდ რამდენიმე მოღვაწე იყო შემორჩენილი. ილია ჭავჭავაძე „შემორჩენილებში“, რასაკვირველია, გულისხმობდა 1832 წლის შეთქმულების მონაწილეებს, რომელთაც აღმაფრთოვანებელი ხურვილები ამოქმედებდა, მაგრამ ახლა „ხმაამოუღებლივ უნდა მიმჯდარიყვნენ თავის უხიხარულო ჭერ-ქვეშ“. ამ „შემორ-

ჩენილებსო“ „გულში ჰქონდათ მეთქი ის მაცხოვარი წყურვილი შეერთებისა, მაგრამ დრომ ისეთი თავზარი დასცა, რომ შიშობდნენ არამც თუ ემოქმედათ რამე, არამედ ერთმანეთის ნახვასაც კი ერიდებოდნენ“.

ეს რომ ასე იყო, რომ ერთმანეთს ვერ ბედებოდნენ და ერიდებოდნენ კიდეც, მშვენივრად ჩანს ვახტანგ ორბელიანის ლექსში „ძველს მეგობარს“. ეს ძველი მეგობარი ვახტანგ ორბელიანისა იყო დიმიტრი ყიფიანი. ახალგაზრდობაში ვახტანგ ორბელიანი და დიმიტრი ყიფიანი მონაწილენი იყვნენ 1832 წლის შეთქმულებისა.

„...შენ და მე ბევრი რამ მოგვითმენია, —
დიახ, მოვხუცდით! ერთის-ღა მხოლოდ
ნუგეში გვრჩენია:
ვისიც თვალს კიდევ ახარებს ბუნების
მშვენიერება,
ვინც არ დამშვრალა გულითა და კვლავ
სწამს ძმობა, ერთობა,
ვისიც სულს შერჩა ბოლომდის ცის
ნაპერწკალი ცხოველი,
იმისთვის სიტკბოებითა მაინც სავსეა
სოფელი.
მაგრამ მარტო ვარ, არვინ მყავს, მე აქ
არვისი არ მესმის,
ვინც რომ მიყვარან, ვერ ვხედავ, ამაოთ
გული მათ სძებნის!
მოდი.“

ამისთანა შემთხვევებს გულისხმობდა ილია ჭავჭავაძე. ამ ორი მოღვაწის, გახსენებით, რომელთა გარდაცვალებაზე ილია ჭავჭავაძემ გამოთქვა თავისი გულის წუხილი, გამოიტირა ის ქართული საზოგადოება, რომელიც 30-იან წლებში იღვწოდა სამშობლოს გათავისუფლებისათვის, რისთვისაც შექმნეს ის მეტად მნიშვნელოვანი ორგანიზაცია, რომელსაც არ ეღირსა ეთქვა თავისი გადამწყვეტი სიტყვა.

ილია ჭავჭავაძე განაგრძობს: „ეგრე ეგ უკეთესნიც დაშორდნენ ერთმანეთს და დღე და ღამე კლებაში შედიოდნენ, კლებულობდნენ იმიტომ, რომ ის ყოვლად მხსნელი სურვილი მარტო იმათ გულში ტრიალებდა და შიშით თავი გარეთ ვერ გამოეყო, რომ გავრცელებულიყო მათ მიმდევართა შორის და მემკვიდრეობით გადასულიყო მომავალთა გულში. ამ სახით, ის სურვილი ცოტაღა ბეუტავდა ზოგიერთა გაცალკევებულის გულში, როცა მოედანზე გამოვიდა ხხვა ახალი მოზარდი თაობა. ახალი თაობა მოესწრო და ის თითქმის განელებული, მილეული სურვილი ერთობისა და საზოგადოებრივის კავშირისა კვლავ გაფუვდა, აღორძინდა ჩვენს დაფუყებულს გულში და აბა, ლამის ნაყოფიც გამოიღოს“. . .

რასაკვირველია, სამოციანი წლების ახალთაობის, „თერგდალეულების“ მოძრაობა ილია ჭავჭავაძეს მიაჩნია იმ იდეათა გაგრძელებად, რაც ოდაათიან წლებში დაისახეს ქართველებმა, რომელთაგანაც სამოცდაათიან წლებში ცოტანი ღა იყვნენ დარჩენილნი ცოცხლებში. ილია ჭავჭავაძეს სამოციანელთა მოძრაობა მიჩნეული აქვს ოცდაათიანელთა მოღვაწეობის გაგრძელებად. ეს აზრი ხომ, ქართული ჟურნალისტიკის მიმართ, მან სწორედ 1876 წელს გამოთქვა იმ დროშასთან დაკავშირებით, რომელიც აღმართეს ოცდაათიანელებმა სოლომონ დოდაშვილმა და გიორგი ერისთავმა.

აი, რატომ დაარქვა ილია ჭავჭავაძემ ამ „შინაურ მიმოხილვას“ „ვის ნათესსა ვმკით?“ ის, რაც ქართულმა საზოგადოებრიობამ მოიმკო სამოციან-სამოცდაათიან წლებში, დათესილი იყო ოცდაათიან წლებში. თუ მაშინ ვერ მოხერხდა საქართველოს პოლიტიკური დამოუკიდებლობის რესტავრაცია, სამოციან-სამოცდაათიან წლებში მოხდა გამოფხიზლება ქართული ეროვნული შეგნებისა და პოლიტიკურად თუ არა, კულტურულ-ეროვნული გამოფხიზლების თვალსაზრისით ახალი ეპოქა დადგა საქართველოში.

ილია ჭავჭავაძეს არ უხსენებია ოცდაათიანი წლების შეთქმულება, მაგრამ ისე წარმართა მსჯელობა თავის ამ ხსენებულ „შინაურ მიმოხილვაში“, რომ გამგები გაიგებდა რას გულისხმობდა პუბლიცისტი და რა პოლიტიკური სარჩული ედო სხვისი დათესილის მომკას!

1883 წლის აგვისტოს „შინაური მიმოხილვა“ ცენზურისაგან მეტად შემცირებული დაიბეჭდა 1883 წლის „ივერიის“ სექტემბრის ნომერში. საცენზურო კომიტეტის არქივში დაცული ილია ჭავჭავაძის ამ შინაური მიმოხილვის ტექსტი აღადგინა პავლე ინგოროყვამ. ის ფაქტი, რომ ცენზურამ ამ მიმოხილვის ტექსტი დაარბია, უკვე საკმარისია იმისათვის, რომ წარმოვადგინოთ თხზულების ღირსება და დანიშნულება.

ილია ჭავჭავაძე მსჯელობს ქართული საზოგადოების ცხოვრებაზე ბატონყმობის გადავარდნამდე ოცი-ოცდაათი წლით ადრე. ეს დრო არის ოცდაათიანი წლების ამბების შემდეგი ეტაპი, როცა ქართულ საზოგადოებრივ ცხოვრებაში გამეფდა ე. წ. „მყუდროება“, დადგა ბურუსიანი, ღრუბლიანი დღე, რომელსაც არც წვიმა, არც ქარიშხალი არ არღვევდა, „ელვას რომ ათასში ერთხელ ვღირსებოდით, დიდი ღვთის წყალობა იქნებოდა, ხელს ავაპყრობდით ცისკენ და ღაღადებით ქებასა და მადლობას ვეუბნებოდით უფალს ელვისა და ქუხილის გაჩენისათვის ერთის წამით მაინც“. ელვა, ჭექა და ქუხილი იყო 1832 წლის დეკემბრამდე, რასაც მოჰყვა სრული უმოქმედობა,

ხიჩუმე და მკვდრული მყუდროება, დრო მიძინებისა და, ილია ჭავჭავაძის თქმით — დროგონებრივი და ეროვნული მიმძინარებისა. ამ რიგად, შეთქმულების ჩაშლის შემდეგ ჩვენში ყოველგვარი მოძრაობა აღიკვეთა, მკაფიოდ გამოიხატა სიღატაკე ქართული აზრისა და ცხოვრებისა. ორმოც, ორმოცდაათიანი წლების ქართველი საზოგადოების ერთი ხორციელი ნატვრა, მხოლოდ ის იყო თუ როგორ გაფრთხილებოდა ფიზიკურ არსებობას, რადგან სულიერი ცხოვრება აღარ არსებობდა. აღნიშნულ წლებში აღარავინ ფიქრობდა იმაზე, რომ ქვეყანას ყოლია მხნე მუშაკნი და მებრძოლნი, ნიჭიერნი და ქველნი, დიდი ასპარეზის მქონენი, რომელთათვისაც ეს ასპარეზი დიდ სამსხვერპლოდ გადაიქცა. ამ სამსხვერპლოზე იკვლოდნენ და იწირებოდნენ ძენი მამულისანი, რომელნიც ეხვ ძვირად არ აფასებდნენ თავს, როგორც ორმოც-ორმოცდაათიანი წლების მოქალაქენი.

ცხადია, ილია ჭავჭავაძეს მხედველობაში ჰყავს ეს ქარიფველობა, რომელიც სათავეში ჩაუდგა ხერიოზული პოლიტიკური პროტესტის გამოხატვას, რომელმაც ყურად აღარ იღო თავისი ფიზიკური არსებობა, სულით ძლიერი საქმეს სათავეში ჩაუდგა და მიზნად დაისახა დიდი იდეა — ქართული სულის გადარჩენა.

„ორმოციანი და ორმოცდაათიანი წლების წინაპარნი საქმის ხალხი იყო. მათი ზრუნვის საგანი, განაგრძობს ილია ჭავჭავაძე, იყო ეროვნების წინ გაძღოლა, მტერსა და მოყვარესთან პირნათლად გამოსვლა და გაძღოლა — ყოველივე ეს თვითოეულად და საზოგადოდ შეადგენდა მაშინდელის ქართველის საზრუნავს საგანს, მისის გონების და აზრის სავარჯიშოს“.

ამ „შინაური მიმოხილვის“ ის ნაწილი, რომელიც ცენზურას ცხრილში გაუტარებია, არც ერთგან არ ახსენიებს 1832 წლის შეთქმულებას, მაგრამ ცენზურა კარგად კი მიმხვდარა, ან ილია ჭავჭავაძის გამოთქმა რომ მოვიშველიოთ — „ცენზორს სუნის აღება შესძლებია“. და ამიტომაც უთარეშია პუბლიცისტის ამ ტექსტზე. ცენზურა, რასაკვირველია, მიმხვდარა, თუ რა და როგორ დროს უპირისპირებდა ილია ჭავჭავაძე ერთმანეთს, როგორ ახასიათებდა დროის ამ ორ მონაკვეთს, როგორ ახასიათებდა პუბლიცისტი ოცდაათიანი წლების პოლიტიკური კატასტროფის შემდეგდროინდელ ქართველთა საზოგადოებას, მთლიანად საქართველოს. აქაც ილია ჭავჭავაძემ არ დაასახელა მომხდარი ფაქტი, იგი მხოლოდ ორი ეპოქის დაპირისპირებით გამოხატა. ცენზურა მაინც მიუხვდა ავტორის ზრახვას და ამიტომაც შეკვეცა ბევრი რამ ილია ჭავჭავაძის ამ „შინაურ მიმოხილვაში“.

1832 წლის შეთქმულება არ ყოფილა ილია ჭავჭავაძისათვის ისეთი ფაქტი, რომელიც ერთხელ აღნიშვნის მასალა იქნებოდა, როგორც ჩანს, იგი ხშირად დაფიქრებულა ამ მნიშვნელოვანი ისტორიული ამბის არსზე და სხვადასხვა დროს, მის დაუსახელებლად გამოუთქვამს თავისი აზრი. 1892 წელს ილია ჭავჭავაძემ რამდენიმე წერილი უძღვნა მეცხრამეტე საუკუნის ქართულ ლიტერატურას და ბუნებრივია, დაახასიათა იმ საუკუნის პოლიტიკური ვითარება. ქართველმა საზოგადო მოღვაწეებმა ერთად თავი მოიყარეს და იფეთქეს გულში ჩარჩენილი სასულდგმულო ანდერძების მიხედვით. ილია ჭავჭავაძე აუცილებლად გულისხმობს იმ ანდერძს ანუ იმ საბუთს რომელიც შეიქმნა XVIII საუკუნის უკანასკნელ წლებში გეორგიევსკის სიმაგრეში. ის საზოგადო მოღვაწენი დამარცხდნენ და გაეცალნენ ცხოვრების სარბიელს, დაიქსაქსნენ, თუმცა მათი გულისტკივილი თეხლად დარჩა ცხოვრების ხნულშიო. ილია ჭავჭავაძე შეწუხებული ამბობს:

„ჩვენა ვწუხვართ, რომ მეტის სავსებით ვერას ვიტყვით ამ თეხლად დარჩენილისა... ხოლო რაცა ვსთქვით, ისიც საკმაოა გვაცოდინოს, რომ ამ თეხლზე გასწყდა ჯაჭვი ცხოვრების ზედმიყოლებისა, აწმყოსა და წარსულს შუა ჩასტყდა ხიდი, შემდეგს სათავე და დასაბამი მოუწყდა.“ საზოგადოებრივი ცხოვრება უკაცურად დარჩაო, უსაქმობამ და უსაგნობამ ცხოვრების დინებას ჩამოაცილა მაშინდელი კაცებიო, ნაწილმა სამსახურებისაკენ გაიწია, ნაწილიც ოჯახურ გარემოში ჩაიკეტა და საზოგადო ცხოვრება გაღარიბდაო. „აი, ჩვენის ფიქრით, ნიშნობრივი ძარღვი იმ ხანისა, რომელმაც მეცხრამეტე საუკუნის ოცდაათიან წლების თითქმის მეორე ნახევრამდე თავი იჩინა ჩვენში“ („წერილები მეცხრამეტე საუკუნის ქართულ ლიტერატურაზედ“, თავი მეორე). პავლე ინგოროყვა ილია ჭავჭავაძის ამ ნაწარმოების შესახებ „სარედაქციო შენიშვნებში“ წერდა: „საცენზურო დაბრკოლება აქ მართლაც ადვილი გასაგებია, რადგან მეორე წერილში (რომელიც ცენზურამ დაამახინჯა — ს. ხ.) 1832 წლის შეთქმულების იდეური შეფასებაა წარმოდგენილიო“-ო, (ილია ჭავჭავაძე, თხზულებათა სრული კრებული ათ ტომად, ტ. III, 1953 წ., სარედაქციო შენიშვნები, გვ. 492-495).

1894 წელს დაიბეჭდა „ლექსები ვახტანგ ორბელიანისა, სრული გამოცემა მისი ასულის მარიამ ორბელიანისა, ავტორის პორტრეტით“, რომელსაც დაერთო „მოკლე ბიოგრაფია ვახტანგ ორბელიანისა“ დაწერილი ილია ჭავჭავაძისაგან. აქ ილია ჭავჭავაძე მკითხველს აძლევს შემდეგ ცნობას: „1832 წელს თავ. ვახტანგს მოეშალა სამშობლოში შვება და სიამოვნება. ეს მაშინდელი უმაწვილკაცებისათვის თავმოსაწონებელი, მაგრამ უბედური წელიწადი ყველას მოეხსენება. ამა წლის შემთხვევათა გამო ჩვენი პოეტი. ხვებთან ერთად იძულებული

იყო თავის სამშობლო ქვეყანას გამოჰკლებოდა და 1833 წელს თავის ბინა გადაეტანა კალუგაში... მარტო 1837 წ. ნაპატივები და შენდობილი დაბრუნდა თავის ქვეყანაში".

სამშობლოს სიყვარულის გრძნობა, რამაც ვახტანგ ორბელიანი მიიყვანა 1832 წლის შეთქმულებამდე, ილია ჭავჭავაძის აზრით, პოეტის დედის — თეკლა ბატონიშვილის დამსახურებაა, რადგან „ჭკვიანის დედის მოთხრობებმა გამოუნასკვეს ჩვენს მგოსანს იგი სიყვარული სამშობლოსი, იგი სიყვარული და ნაღველი წარსულთა დროთა მიმართ, რომელიც დედა-ძარღვად შეექმნა თავად ვახტანგ ორბელიანის პოეზიას და ბოლოს ასე უხვად გაიშალა და გაიფურჩქნა მის ლექსებში. ამ სიყრმიდამ ჩანერგულ სიყვარულით შევიდა იგი ცხოვრებაში იმ დროს, როცა უკეთეხ ნაწილს მაშინდელ საზოგადოებისას, მაშინდელ უმაწვილკაცობას, უკვე განცხოველებული ჰქონდა იგივე სიყვარული, და როცა აქედამ წამომდგარი ნაღვლიანი ფიქრი და გულმტკივნეული ზრუნვა ქვეყნისათვის უკვე დაძრულიყო". ბანგრძლივი დასვენებისას გამოინასკვა მასშიო ის აზრი, რომ არ შეიძლება ერის მაჯისცემა შეწყდეს, ის აზრი არ მოქმედებდეს სახვალიოდ. მართალია იგი ბეუტავდა დიდ ხანს და დაიწყო თუ არა მეორე მეოთხედი საუკუნისა, ეს ნასკვი საქვეყნოდ შეიკრა და ბოლოს გაიხსნა კიდეც. ეს შეკვრა-გახსნა აზრობრივი კვანძისა იყო საბაბი უკეთეს კაცთათვის სამშობლოს მდგომარეობით და მისი სიყვარულით თვალის ახილებისა, აქეთ-იქით მიმოხედვისა, ყოფილის შეფასებისა და აწმყოს დანახვისა. ახალგაზრდებმა მოიკითხეს— რა წაიღო ძველმა და რა მოიტანა ახალმა. ამ მოკითხვამ შესძრა გონება და გული მაშინდელი უმაწვილკაცობისა. ამ მოძრაობამ შემოიკრიბა ირგვლივ გრიგოლ ორბელიანი, დიმიტრი ყიფიანი, გიორგი დავითის ძე და გიორგი რევაზის ძე ერისთავები, ზაქარია ერისთავი, იოსებ და კონსტანტინე მამაცაშვილები, ნიკოლოზ ბარათაშვილი, ალექსანდრე და დიმიტრი ორბელიანები და სხვანი და დაიწყეს კიდეც ზრუნვა სამშობლოს თავისუფლების მოპოვებისათვის". ამ მართლა-და ბრწყინვალე წრეში ტრიალებდა სულით და გულით თავადი ვახტანგ ორბელიანი და, რა თქმა უნდა, მას სიყრმიდანვე გამოყოლილს სიყვარულს სამშობლო ქვეყნისას ამ წრეში უფრო აეხსნოდა ფრთები, უფრო დიდი სიგრძე-სიგანე მიეცემოდა"-ო, წერს ილია ჭავჭავაძე, მაგრამ... შეთქმულება გამომჟღავნდა და შეთქმულნი დაისაჯნენ, დაისაჯნენ სამშობლოს გათავისუფლების სურვილისა და საქმიანობის გამო.

ილია ჭავჭავაძე ჩახვდული იყო თავისი სამშობლო ქვეყნისა და ერის წარსულში, მით უფრო ახლო წარსულში, რომლის თანდამსწრენი და მოქმედნი პირნი მასთან დაახლოებული მოღვაწე ადამიანები იყვნენ. ილია ჭავჭავაძეს თავისი სიმამრისაგან მოსმენილი ექნებოდა სოლომონ დოდაშვილის მოღვაწეობისა და საქმიანობის ამბები, რადგან თადეოზ გურამიშვილი იყო ავტორი თხზულებისა, რომელიც სოლომონ დოდაშვილმა დაბეჭდა თავის ლიტერატურულ ჟურნალის მეხუთე ნომერში, სათაურით „საყვარელო მამულო".[1] დიმიტრი ყიფიანი, გრიგოლ ორბელიანი ვახტანგ ორბელიანი, ძმები, მამაცაშვილები, რევაზ ერისთავი, ოძისელი მემამულე, რომლის საქმიანობასაც კარგად იცნობდა ილია ჭავჭავაძე და წერილიც აქვს გამოქვეყნებული ამ ერისთავის მამულ-დედულზე სათაურით „ოძისის სამეურნეო სკოლის საკითხზე" და სხვანი დაახლოებულნი იყვნენ ილია ჭავჭავაძესთან და არაა გამორიცხული, რომ მათთან საუბარიც ჰქონოდეს ოცდაათიანი წლების პოლიტიკურ აქციასთან დაკავშირებით. გარდა ამისა, მან, რასაკვირველია, იცოდა 1832 წლის შეთქმულების საქმეთა რუსული პუბლიკაცია არქეოგრაფიული აქტების ტომში. და რადგანაც მაშინ ახლო წარსულის ამ მნიშვნელოვან ამბავზე ახდილად და თავისუფლად მსჯელობა არ შეიძლებოდა, ილია ჭავჭავაძემ, რამდენიც მოახერხა და როგორც მოახერხა, არ გამოტოვა მხედველობიდან ეს მეტად მნიშვნელოვანი მოვლენა თავისი საუკუნისა და მისცა დახასიათება 1832 წლის შეთქმულებას.

---

[1] თადეოზ გურამიშვილის წერილი მეორედ დაიბეჭდა „დროებაში" 1875 წლის 29 თებათვეს, მცირე შენიშვნით: „უფ. ი. ჭავჭავაძემ გადმოგვცა შემდეგი ნაწერი სოლომონ დოდაევისა და რადგან ამ კაცის ყოველი ნაწერი, სხვა არა იყოს რა, ჩვენი ლიტერატურის ისტორიისათვის მაინც უნდა იყოს საინტერესო, ამიტომ აქ ვბეჭდავთ". ი. ჭავჭავაძეს თავის სიმამრის სახლში უნახავს „საყვარელო მამულო" და გადაუცია რედაქციისათვის. სრულიად შესაძლებელია, რომ ი. ჭავჭავაძეს და „დროების" რედაქციასაც არ სცოდნოდათ, რომ ეს თხზულება გამოქვეყნებული იყო 1832 წელს. ჟურნალში თხზულებას ბოლოში უწერია: თ. გურამოვი. „დროებამ" კი იგი ს. დოდაშვილის ნაწარმოებად დაბეჭდა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

იოსებ გუბელაძე

მეცნიერება და საფლესიო კალენდარი

მოდით გავადევნოთ თვალი ფიზიკის ისტორიაში აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებულ მოვლენათა მსვლელობას. აქ მოხდა არსებითი გადატრიალება მანამდე გავრცელებულ შეხედულებებში (ე. წ. კლასიკურ მექანიკაში). სამყაროს უფრო ფაქიზ სურათში ადგილი აღარ დარჩენილა ზემოხსენებული დეტერმინიზმისათვის. 1920-იან წლების მეორე ნახევარში მოხდა XX საუკუნის ფიზიკის ერთერთი უმნიშვნელოვანესი მოვლენა (მეორეზე ქვევით გვექნება ლაპარაკი): კვანტური მექანიკის შექმნა. მასში გადამწყვეტი როლი მიუძღვით ისეთ დიდ მკვლევარებს (შემდგომში ნობელის პრემიის ლაურეატებს), როგორიც იყვნენ ვერნერ ჰეიზენბერგი, ერვინ შრედინგერი, პოლ დირაკი, ლუი დე ბროილი. ფუძემდებლური მნიშვნელობა ჰქონდა ჩვენი დროის ერთერთი უდიდესი ფიზიკოსის ნილს ბორის იდეებს, რომლებმაც შემდგომში თავისი კულმინაცია სწორედ ზემოხსენებულ დამატებითობის პრინციპში ჰპოვეს.

ახალი თეორიის ამოსავალი დებულება გახლავთ განუსაზღვრელობის პრინციპი, რომლის არსი შემდეგში მდგომარეობს: ნივთიერების შემადგენელი მიკრონაწილაკები კარგავენ იმ ინდივიდუალობას, რომელსაც მათ ანიჭებდა კლასიკური თვალსაზრისი (იხ. ზემოთ). ეს მიკრონაწილაკები თითქოს იდღაბნებიან სივრცეში და ამჟღავნებენ უნარს ერთდროულად იყვნენ ორ მახლობელ ადგილას (შესაბამისი ალბათობებით). ცნობილია ექსპერიმენტები, რომელთა შედეგებიც ცალსახად მიუთითებენ ერთი ნაწილაკის ერთდროულ გავლაზე ერთი კედლის ორ სხვადასხვა ხვრელში. ამ თეორიაში ნაწილაკები ჩვეულებრივ საგნობრივ არსებობასთან ერთად. იძენენ ტალღურ თვისებებსაც. ამით ხდება სივრცეში ადგილსამყოფელის განსაზღვრის ცნების პირობითობის წარმოჩენა. თითქოს საქმე გვაქვს რხევით მოძრაობასთან თავისთავად და არა რაღაცის რხევით მოძრაობასთან: ნივთიერება ემსგავსება სინათლეს (კვანტურ მექანიკაში თავად სინათლეს დამატებით ენიჭება ნაწილაკური თვისებები).

ეს ყველაფერი იმდენად აღემატება ჩვენში ჩამოყალიბებულ წარმოდგენებს, რომ ალბერტ ეინშტეინიც კი, რომელიც თავად იყო ავტორი არანაკლებ პარადოქსული ფარდობითობის თეორიისა და რომლის იდეებმაც ლოგიკური თვალსაზრისით უდიდესი წვლილი შეიტანეს კვანტური მექანიკის შექმნაში, ვერ ეგუებოდა ასეთ დასკვნებს და საჯაროდ ილაშქრებდა მათ წინააღმდეგ.

განა ჩვენს მკითხველს მოვლენათა ასეთი განვითარება არ აგონებს მათემატიკის დაფუძნებასთან დაკავშირებულ ისტორიას? ფიზიკური ყოფიერების საფუძვლებში ჩაძიებისას (ისევე რო-

---

დასასრული. იხ. „მნათობი", № 2.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვორც იქ) აღმოჩნდა, რომ „ხელთ გვისხლტება“ თავად ამ ყოფიერების არსი. ჩვენი რაციონალური ანალიზისთვის უჩინარია ამ ყოფიერების „ფესვები“, მაგრამ ისიც ხომ ვიცით, რომ ეს არ „კლავს“ ფიზიკურ მეცნიერებებს. სწორედ რომ პირიქით: ფიზიკის შემდგომი განვითარება თავისი ინტენსივობით, თუ არ აღემატება, არაფრით არ ჩამოუვარდება მათემატიკისას... და ეს იმიტომ, რომ ფიზიკოსებს **სწამთ** ბუნების არსებობისა, ყოფიერების იდეისა და მისი კოსმოსის სახით ხორცშესხმისა. მათ სწამთ მატერიის არსებობისა, რომლის სიღრმეში ჩახედვისასაც იგი კარგავს საგნობრივ სახეს და (ამ თვალსაზრისით) უჩინარდება. ეს არის რწმენა ადამიანისგან დამოუკიდებლად არსებული და განხორციელებული იდეისა — შემოქმედების ამ აქტისა. იმის აღნიშვნაც უთუოდ ღირს, რომ მეცნიერთა ამ რწმენას ყველა „ფილოსოფოს-მოაზროვნე“ როდი იზიარებს; და მათ შორის არიან ისეთებიც რომლებიც თავიანთი აზრით ეკლესიას წარმოადგენენ. ასე მაგალითად, ირლანდიელი ეპისკოპოსი „იდეალისტი“ ჯორჯ ბერკლი (XVIII ს.) არარსებულად და ილუზიურად მიიჩნევდა (საწინააღმდეგოდ ჭეშმარიტი მართლმადიდებლური სწავლებისა) მატერიალურ საგნებს სივრცესა და დროსთან ერთად. ერთი შენიშვნაც: თითქოს ჩვენი ანალოგიის გასაძლიერებლადო, მათემატიკის და ფიზიკის საფუძვლების ეს ეპოქალური გადასინჯვები, როგორც ვხედავთ, თითქმის ერთდროულად მიმდინარეობდა.

იმ პერიოდში სამეცნიერო წრეებში გავრცელებულ განწყობას კარგად გადმოგვცემს ეინშტეინის, დირაკის, ედინქტონის და სხვათა ცნობილი გამონათქვამები, რომლებშიც ხდებოდა სამყაროში უხილავად მოქმედი ღვთაებრივი ნების აღიარება.

შემდეგი (და ბოლო) მაგალითი განსაკუთრებით საინტერესოა ჩვენთვის, რადგან იგი სწორედ დროის ფიზიკურ ასპექტს შეეხება.

კლასიკურ ფიზიკას საფუძველი დაუდო ლეგენდარულმა ისააკ ნიუტონმა (XVII—XVIII ს.). მის გრანდიოზულ შრომაში „ნატურალური ფილოსოფიის მათემატიკური საწყისები“ გადმოცემულ იქნა გარემომცველი სამყაროს ერთიანი მწყობრი მათემატიკური აღწერა. აქ შეჯამდა როგორც საკუთარი (ნიუტონის), ისე წინამორბედთა შედეგები. შეიძლება ითქვას, რომ ნიუტონისეული მსოფლმხედველობა წარმოადგენდა მთელი ფიზიკის საფუძველს XVIII საუკუნიდან XX საუკუნის დასაწყისამდე. ისააკ ნიუტონს შეუფასებელი ღვაწლი მიუძღვის მათემატიკაში, ასტრონომიაში, მექანიკაში, სინათლის თეორიაში. ამასთან იგი იყო უაღრესად მორწმუნე ადამიანი. ამბობენ, რომ ღმერთის სახელის ხსენებაზე ნიუტონი ყოველთვის ფეხზე დგებოდა და მოწიწების ნიშნად ქუდს იხდიდა. სიცოცხლის დასასრულ მან დაწერა თხზულება დანიელ წინასწარმეტყველზე და თავისეული თარგმანება იოანე ღვთისმეტყველის გამოცხადებაზე.

ჩვენთვის საინტერესოა ნიუტონის შეხედულება სივრცესა და დროზე. სივრცეს იგი განიხილავდა მატერიალური სამყაროსგან მოწყვეტილად (მისგან დამოუკიდებლად), ერთგვაროვნად და უსასრულოდ განფენილად ყოველი მიმართულებით. მის ფიზიკაში დროც ასევე ცალკე არსებულად, ყველგან ერთნაირად და თანაბრად მიმდინარედ იგულისხმებოდა. ფაქტიურად დროში აღიარებული იყო მხოლოდ მისი შეუქცევადობა და აქ თავდებოდა მთელი ფილოსოფიური ჭვრეტა.

XIX საუკუნის მიწურულისთვის გამოჩნდა პირველი ბზარები ამ მარტივ და ერთი შეხედვით თავისთავად სურათში. გარკვეული კონკრეტული თეორიული წინააღმდეგობების დასაძლევად ხდებოდა გარემომცველი ფიზიკური სამყაროს სტრუქტურის შესახებ ახ-

ალი ფიზიკური დაშვებები. უკვე მწვავედ იგრძნობოდა ამ დაშვებათა ექსპერიმენტული დადასტურების საჭიროება და 1887 წელს ჩატარდა კიდეც ასეთი გადამწყვეტი ექსპერიმენტი (ალბერტ მაიკელსონის და ედვარდ მორლის მიერ). შედეგი მოწმენდილ ცაზე მეხის გავარდნას გავდა. გამომჟღავნდა სინათლის ბუნების იდუმალი მხარე, რომელიც არაფრით არ „ეტეოდა" ნიუტონისეულ სურათში (აქ ჩვენ არ დავიწყებთ ფიზიკური არსის დაწვრილებით გადმოცემას). ამის შემდეგ მეცნიერები ერთხანს კიდევ ცდილობდნენ „ძველი" ფიზიკის შენარჩუნებას, რისთვისაც იშველიებდნენ გართულებულ ლოგიკურ კონსტრუქციებს და განიხილავდნენ ახალ-ახალ ჰიპოთეტურ დაშვებებს, მხოლოდ 1905 წელს გამობრწყინდა მეცნიერების ცის თაღზე ალბერტ ეინშტეინის ახალი ფიზიკური სურათი, სადაც ძირეულად იყო გადატრიალებული სივრცე-დროის ნიუტონისეული კონცეფცია. მის ე. წ. ფარდობითობის სპეციალურ თეორიაში დრო აღმოჩნდა არა აბსოლუტური, არამედ ფარდობითი, ე. ი. დამოკიდებული დამკვირვებლის ადგილსა და მოძრაობაზე. ათვლის სხვადასხვა სისტემის მიმართ დროის მდინარების სხვადასხვანაირობა არის რელატივისტური თეორიის ერთერთი მთავარი დებულება (მკითხველს შევახსენებთ ამ საკითხის ღრმა კავშირს ნეტარი ავგუსტინეს აზრებთან, რაზეც ვისაუბრეთ პირველი ნაწილის მესამე თავში). ეს იმას ნიშნავს, რომ ფიზიკოსები მიუთითებენ ერთიდაიგივე ფიზიკური მოვლენის დროში განვითარების სხვადასხვანაირობაზე ორი სხვადასხვა დამკვირვებლის თვალსაზრისით — აზრი ეკარგება უკვე თავად ერთდროულობის ცნებას. 1916-17 წლებში გაფორმდა ეინშტეინის ზოგადი ფარდობითობის თეორია, სადაც მოხდენილ იქნა ნიუტონის თეორიის გლობალური რეკონსტრუქცია და ნაჩვენები იყო ახალი მიდგომის მნიშვნელობა მთელი კოსმოლოგიისთვის. გამოირკვა, რომ დრო და სივრცე არ არსებობს მათში არსებული და მოწესრიგებული მატერიისგან მოწყვეტით, რომ დრო უფრო ნელა მიმდინარეობს ძლიერ გრავიტაციულ (მიზიდულობის) ველში (მაგალითად, მზეზე დედამიწასთან შედარებით), სხეულის მასას აქვს უნარი გადაიქცეს გამოსხივებად, თვით მასაც კი დამოკიდებულია მოძრაობის სიჩქარეზე და ა. შ. სამყარო იქნა აღქმული ოთხგანზომილებიანად, სადაც სიგრძე-სიგანე-სიმაღლესთან ერთად განიხილება მეოთხე განზომილება — დრო. ასე მაგალითად, აზრი აქვს სიგრძის და დროის ერთმანეთთან შეკრებას... ამ ე. წ. მსოფლიო სივრცე—დროს აქვს თავისი გეომეტრიული ფორმა, თავისი სიმრგვალე; უფრო მეტიც, ამ ფორმის თვისებების შესწავლით პრინციპში შესაძლებელია დადგინდეს ფიზიკური სამყაროს სასრულობა და შეფასდეს მისი ზომებიც კი...

იმისთვის, რომ არ შეიქმნას შთაბეჭდილება თითქოს ეინშტეინისეული რელატივისტიკა არის რაღაც განყენებული და სადღაც „ვარსკვლავიერ სამყაროში" არსებული, აღვნიშნავთ, რომ ამ თეორიის პრაქტიკული „გამოყენების" მაგალითია ატომური და წყალბადის ბომბი.

ამრიგად ვხედავთ, რომ აქაც მოხდა უკვე აღწერილი შემთხვევების ანალოგიური რამ: როგორც კი ჩავეძიეთ დროის არსზე ყოველდღიურ ცხოვრებაში ჩამოყალიბებული შეხედულებების საფუძველს, ეს არსი ხელიდან გაგვისხლტა.

მკითხველის ყურადღებას გავამახვილებთ შემდეგ გარემოებაზე. სამყაროს სასრულობა (როგორც სივრცეში, ასევე დროში) სრულიად ცალსახადაა გადმოცემული ეკლესიურ სწავლებაში. სივრცე--დროის ერთიანობა და მატერიალურ სამყაროზე დამოკიდებულებით არსებობა ასევე ნათლადაა მითითებული წმინდა მამათა ნაწერებში. ამით გამოაშ-

კარავებულია დროის (და სივრცის) ამ-ქვეყნიურობა. აქ მივადექით მეტად მნიშვნელოვან საკითხს (რომელზეც ყურადღების გამახვილებას ავტორი უმადლის ერთ კეთილმორწმუნე ქრისტიანს) — მართლმადიდებლური ხატისა და რეალისტური სურათის განსხვავების საკითხს. როგორც ვიცით, კანონიკურად შესრულებულ ხატში გამოირიცხება სივრცის გადმოცემა პერსპექტივის საშუალებით, რის გამოც გამოსახულება არის სიბრტყეზე (რაღა თქმა უნდა, აქ არაა ლაპარაკი ხატის მისტიურ სიღრმეზე). სივრცისა და დროის უცილობელი ერთიანობის გამო პერსპექტივის კანონების დაცვის შემთხვევაში ხატი დაკარგავდა მარადიული (ზედროული) ყოფიერების გადმოცემის საშუალებას: იგი დამიწდებოდა, რაც ესოდენ საგრძნობია კათოლიკებთან რელიგიურ თემაზე შესრულებული ქანდაკებების შემთხვევაში.

ჩვენ აღარ დაგვიწყია ლაპარაკი რწმენის მნიშვნელობაზე ფიზიკაში, როდესაც რამდენიმე ექსპერიმენტულ მონაცემზე დაყრდნობით მკვლევარი განზოგადების გზით შეიცნობს სამყაროს გლობალურ კანონებს. სინამდვილეში სწორედ ეს განზოგადება-ინდუქციის პრინციპია ფიზიკის უკლებლივ ყველა კანონის საფუძველი (გავიხსენოთ თავში განხილული მაგალითი 2+2=4-ის შესახებ). ზოგიერთ შემთხვევაში ეს გარემოება კურიოზულ ხასიათს იძენს. როგორც მოხდა, ვთქვათ, ნახევრად ხუმრობით ისტორიაში ნიუტონის მიერ ვაშლის ჩამოვარდნის მაგალითზე მსოფლიო მიზიდულობის კანონის აღმოჩენის შესახებ. ამ კანონს აქვს პრეტენზია ერთიანი მიდგომით ახსნას მთელი ხილული სამყაროს მოძრაობის ფორმები დაწყებული კენჭებიდან დამთავრებული გალაქტიკებით. მისით იქნა, მაგალითად, ნაპოვნი ცის თაღზე ადრე უცნობი პლანეტა ნეპტუნი.

...ზოგადფიზიკური კანონები წარმართავენ სამყაროს, როგორც ერთხელ მომართულ იდეალურ საათს. კოსმოსში ქაოსურობასაც თავისი ფარული კანონზომიერება აქვს. ფიზიკის ერთერთ მთავარ (თუ არა უმთავრეს) მიზანს წარმოადგენს, რაც შეიძლება ზოგადი (და ამიტომ უფრო ღრმა) კანონების შემჩნევა. იმის დაკვირვება, თუ როგორი „ერთგულებით" მორჩილებს და მისდევს ამ კანონებს ქვიშისა და მტვრის უმცირესი ნაწილაკები და ვარსკვლავთ მირიადებით დაწნული მეტაგალაქტიკური სტრუქტურები, აღძრავს უკვე შიშს ყველგანმყოფი უხილავი ნების წინაშე. თითოეული არსებისთვის ამ-ქვეყნად დადგენილია და განსაზღვრული მისი დრო, ადგილსამყოფელი, დანიშნულება: საზღვარი დასდევ, რომელსა არა გარდახდენ (ფს. 103. 9). ყოველ მოვლენას აქვს თავისი იდუმალი მხარე, ყოველ ბგერას აქვს თავისი განუმეორებლობა იმ დიდ სიმფონიაში, რომელსაც სამყარო ჰქვია. დაწყებული ელემენტარული ნაწილაკებიდან ვიდრე იმ ციურ გვირგვინებამდე, რომლებიც შეიძლება სამუდამოდ დარჩეს მიწიური მეცნიერების თვალსაწიერს მიღმა, მინიშნებულია სილამაზის ზებუნებრივ წყაროზე. ამ ჰარმონიას მით უკეთ აღვიქვამთ, რაც უფრო ზოგადია საკითხისადმი მიდგომა, რაც უფრო გლობალური კანონებიდან „გამოგვყავს" კონკრეტული ფიზიკური მოვლენები. ჩვენ გვინდა დავინახოთ ტილო, რომელზეც „დახატულია" სამყარო, დავინახოთ ლარნაკი წარწერებს მიღმა....

დღეს უკვე მუშავდება და თანდათან იკვეთება უზოგადესი ფიზიკური სურათები, რომელთა კონკრეტულ ინტერპრეტაციებსაც წარმოადგენს უკვე ცნობილი თეორიები. მრავლის მეტყველია ერთერთი ასეთი (ჯერ კიდევ ჰიპოთეტური) სურათის თვით დასახელება: დიდი გაერთიანება. დღესდღეობით გარკვეულია მომავლის ამ თეორიის რამდენიმე მხარე (აბდუს სალამის, სტივენ ჰოკინგის და სხვათა შრომებში). ალბერტ ეინშტეინმა თავისი სიცოცხლის

ბოლო 40 წელი შეალია ფიზიკური სამყაროს იმავე ერთიანი სურათის (ველის ერთიანი თეორიის) შექმნას, რომლის განხორციელება დღესაც მომავლის საქმედ რჩება. საყოველთაოდაა ცნობილი მისი რელიგიური მსოფლმხედველობა და ადამიანის შემეცნების შემოსაზღვრულობის გრძნობა.

ჩვენ გავაკეთეთ თანამედროვეობის ისეთი დარგების მოკლე ისტორიული მიმოხილვა, რომლებიც უშუალოდ არ სწავლობენ სიცოცხლის გამოვლენის ამქვეყნიურ ფორმებს. მათემატიკის ბუნების აღწერიდან ფიზიკაზე გადასვლისას ვიგრძენით არსებითი განსხვავება, გამოწვეული ფიზიკური ყოფიერების „შემოსვლით". ეს განსხვავება იმდენად მნიშვნელოვანია, რომ ე. წ. წმინდა მათემატიკის სპეციალისტებს (ყოველ შემთხვევაში მათ უმრავლესობას) ტრადიციულად უჭირთ ფიზიკოსებთან მჭიდრო სამეცნიერო კონტაქტების დამყარება. მათი ფაქიზი მათემატიკური სტრუქტურების „არსებობა" თვისობრივად განსხვავდება რეალური არსებობისგან. თავის მხრივ ფიზიკოსებიც იშვიათად იჭრებიან ღრმად „მათემატიკურ სამყაროში" (რა თქმა უნდა, გამონაკლისები აქაც არის): მათემატიკა მათთვის მეორადია ფიზიკური არსის შემდეგ, თუმც კი ხშირად ამ არსის გადმოცემის ერთადერთი საშუალება.

ნათქვამის საილუსტრაციოდ ალბერტ ეინშტეინის და ანრი პუანკარეს ცნობილი დაძაბული ურთიერთობაც იკმარებს, რომლის შინაარსიც ასეთია. ანრი პუანკარე, უპირველეს ყოვლისა, იყო მათემატიკოსი და ამის შემდეგ მექანიკოსი. როდესაც სამეცნიერო წრეებში აღიარება მოიპოვა ეინშტეინის სპეციალურმა ფარდობითობის თეორიამ აღმოჩნდა, რომ მსგავსი მიდგომა პუანკარესაც ჰქონია განვითარებული. ამ ორი ავტორის დაძაბული ურთიერთობის მიზეზი იყო პრიორიტეტის საკითხი, რადგან ფიზიკის ისტორიამ თავისი არჩევანი ცალსახად ეინშტეინზე შეაჩერა. ეს კი იმიტომ მოხდა, რომ ალბერტ ეინშტეინმა პირველმა წარმოაჩინა მთელი სიღრმით სამყაროს ახალი მათემატიკური სურათის ფიზიკური არსი.

ამის შემდეგ განა გასაკვირია, რომ თვისობრივად იცვლება მეცნიერების ბუნება, როდესაც საკვლევი ობიექტის ყოფიერება კიდევ უფრო მაღალი დონისაა? ლაპარაკია ცოცხალ არსებებზე. აქ ხომ უკვე თავიდანვე ნათელია, რომ არსი (სიცოცხლე) არ ექვემდებარება უშუალოდ რაციონალურ ანალიზს: იგი ყოველთვის განუზომლად მაღლა დგას მასზე გაკეთებული ბუნებრივი „წარწერებისგან", როგორიცაა ცოცხალი არსებების ორგანიზმები. თუკი არსის ასეთ მიუწვდომლობას ადგილი აქვს მცენარეული სამყაროს იერარქიულ საფეხურზე, მაშინ ხომ ცხოველებზე ლაპარაკიც ზედმეტია.

აქ ასეთი ღრმა კანონზომიერება იჩენს თავს: ყოველი შემდგომი დონის ყოფიერების განხილვისას წინანდელი დონისთვის მისადაგებული მეთოდები და საშუალებები უკვე იმდენად უსუსურია არსის გადმოსაცემად, რომ მათ მხოლოდ დამხმარე მნიშვნელობაღა თუ შეიძლება მიენიჭოთ. სინამდვილეში ამ დროს ძნელდება ყველა დისციპლინის ერთი სახელის „მეცნიერების" ქვეშ გაერთიანებაც კი! ჩვენს თვალწინ არსებულ ქმნილებათა პანორამის ორ უკიდურესობას — მინერალთა სამყაროს და ადამიანს შორის „მანძილის" სიდიდეზე მეტყველებს ის გარემოება, რომ ფორმალურ-ლოგიკური მეცნიერებები ფაქტიურად უკვე წყვეტს არსებობას ადამიანზე ლაპარაკისას, შემთხვევითი არაა მეცნიერ-ჰუმანიტართა ერთგვარი დაპირისპირება ბუნებისმეტყველებთან. საღი განსჯისთვის ღიმილის მომგვრელია მათემატიკურ-ფიზიკური ხასიათის არგუმენტები სასიცოცხლო მნიშვნელობის საკითხებში, როგორიცაა მორალი, ურთიერთობები ადამიანებს შორის

მიუხედავად სამყაროს მთელი „ხილული სპექტრის“ იერარქიული აგებულებისა, რაც არის შედეგი ბიბლიის პირველ გვერდებზე აღწერილი შემოქმედების აქტის თანმიმდევრობისა, მასში ყველა დონეზე გამოკრთის პირველყოფილი (შეუქმნელი) სილამაზის ანარეკლი. ჩვენი აღქმისთვის მისაწვდომი „სპექტრის“ დასაწყისის და დასასრულის ეს თვისება გადმოცემულია ემანუელ კანტის ცნობილ სიტყვებში — „ორი რამ ავსებს ჩემს სულს საკვირველებით: ვარსკვლავებით მოჭედილი ცა ჩემს ზემოთ და მორალის კანონი ჩემში“.

მეცნიერებისთვის სრულიად ნათლადაა შემოსაზღვრული ყოფიერების ის სახე, რომელიც მის აღქმას განეკუთვნება, რაც შეეხება ადამიანზე უფრო ღრმად, იქ გარე მეცნიერებისთვის უკვე ადგილი აღარ რჩება. აი, სწორედ აქ არის ტერმინის „გარე მეცნიერების“ გასაღები და სწორედ ამ გასაღებისთვის დაიწერა ეს მიმოხილვა“.

ზემოთ გადმოცემულის საფუძველზე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ მხოლოდ რელიგიური თვალთახედვის სიმწირის შემთხვევაში შეიძლება გაჩნდეს აზრი ეკლესიის ცხოვრებაში (იქნება ეს კალენდარი თუ სხვა რამ) მეცნიერული მოსაზრებებით ხელმძღვანელობაზე. სინამდვილეში აქ სწორედ მეცნიერების არსში გაურკვევლობასთან და არაკომპეტენტურობასთან გვაქვს საქმე. როგორც ვნახეთ, მეცნიერება ხილულ სამყაროზე ერთიანი ხედვის გამომუშავებისთვისაა მოწოდებული და აქაც კი თუნდაც პატარა ნაწილის დანახვის და „აქ მოტანის“ შესაძლებლობა ილუზიურია, თუ სურათი რწმენის საშუალებით არ შეივსო. ადამიანს სწამს მისგან დამოუკიდებლად არსებული, მასზე აღმატებული სიბრძნისა და ყველგან, ყველაფერში ეძიებს ამ სიბრძნის ანარეკლს. არსი ყოველთვის მიღმა რჩება და მისი მიდევნების პროცესში იშვება მეცნიერება. მაგრამ ამ რწმენისგან განუზომლად მაღლა და უსასრულოდ შორს დგას სარწმუნოება, რომელთანაც მიახლება ხდება არა ცოდნის გაღრმავებისა და ინტუიციის ხმის ხარჯზე და არა მარტო საკუთარი ნებით, არამედ თვით ღვთაებრივი ნების დაშვებით. ასეთია ამ საგანზე ეკლესიური სწავლება.

სათანადო სულიერი წყობის მეცნიერი თავის საქმიანობაში ხედავს რელიგიური გრძნობის გაღვივების და არა ეკლესიური ცხოვრების კრიტიკული ანალიზის საშუალებას. ოღონდ ეს ყოველთვის აუცილებელი როდია. სავსებით შესაძლებელია მეცნიერული მოღვაწეობისთვის „საკმარისი რწმენით“ დაკმაყოფილება. ისტორიამ ამის რამდენიც გნებავთ იმდენი მაგალითი იცის.

ჩვენ ვცდილობდით ხაზი გაგვესვა იმ გარემოებისთვის, რომ ხილულ მხარეზე შეჩერება თავად მეცნიერებისთვისაა დამღუპველი და რღვევის საწინდარი. დღეს ძნელად თუ მოიძებნება სერიოზული ბუნებისმეტყველი, რომელიც თავისი პოზიციებიდან ცდილობდეს ჩაერიოს საეკლესიო და რელიგიურ საკითხებში. ეს მეცნიერების უკვე გარდავლილ საყმაწვილო კაპრიზულ ქმედებებს განეკუთვნება, რაც სამწუხაროდ ახლაღა „აღწევს“ ჩვენში. ასეთი კადნიერება მეცნიერების გაკერპების და ამით ღვთაებრივი განგების უარყოფის ტოლფასია, ხოლო ამ საქციელის ლოგიკური მანკიერება თავად მეცნიერებაშივეა გამოაშკარავებული.

მეცნიერის მოკრძალება, გამოხატული თავისი საქმიანობის ზუსტი საზღვრების ცოდნაში, თავად ცოდნის შეძენაში წარმატების წინაპირობაა. თუ ეს ქვაკუთხედი არ იქნა დადებული მეცნიერების საფუძველში, მაშინ იგი სულ სხვა ელფერს იძენს. ასე მაგალითად, ძალიან საეჭვოა, რომ ძველი ცივილიზაციების ცოდნის მიღების მეთოდი ჩვენეულის მსგავსი ყოფილიყოს. ამ აშკარად დემონურ სამყაროსთან კონტაქტებით მიღებული ცოდნის გარეგანი მხარე მართლაც რომ განსაცვიფრებელია. რაც შეეხება შინაგან მხარეს იგი საიდუმლო თაყვა-

ნისცემასთან იყო დაკავშირებული. განა მრავლისმეტყველი არაა ის ფაქტი, რომ ათასეულობით წლის წინ მცხოვრებ მაიას ტომის ხალხს (ამერიკის კონტინენტზე) ხმარებაში ჰქონდა კალენდარი, რომელიც უფრო ზუსტად აღწერდა მზის ხილულ მოძრაობას ცაზე, ვიდრე გრიგოლის კალენდარი; და ეს მაშინ, როცა გრიგოლის კალენდრის მიზანი სწორედ მზისადმი ზუსტი მიდევნება იყო. ძველი ეგვიპტის ცივილიზაციაზეც ბევრი რამის თქმა შეიძლება. მათი პირამიდების ორიენტაცია ვარსკვლავიერი სამყაროს მიმართ იმდენად შთამბეჭდავია, რომ თანამედროვე „მეცნიერულ-ფანტასტიკური" მსოფლმხედველობა ცდილობს მათში კოსმოსური ცივილიზაციებისადმი მიმართვა ამოიკითხოს (ე. დენიკენი, „მოგონებანი მომავალზე").

განგების ნებით თითქმის არაფერი არ შემორჩენილა წარღვნამდელი ცივილიზაციის ზექალაქებისა და შემზარავი მუსიკალური ინსტრუმენტების შესახებ....

წმინდა მამები სრულიად გარკვევით გვაფრთხილებენ, რომ ამ ქვეყნის დასასრულ გენიოსთ გენიოსი (ადამიანური საზომებით) ანტიქრისტე გაჩნდება და აამოქმედებს ბუნებაში ჩადებულ ისეთ შესაძლებლობებს, რომლებზედაც მეცნიერებას ეჭვიც კი არა აქვს. იქნება არაჩვეულებრივი, გონებამიუწვდომელი ცრუ სასწაულების ფეიერვერკი, რომელთა წარმატებაც და საზოგადოებაზე გადამწყვეტი ეფექტი განპირობებული იქნება მაშინდელი კაცობრიობის სრული დაშორებით ქრისტიანული მსოფლმხედველობისგან.

გონების თვალი მაშინაა ნათელი, როცა იგი რწმენას მისდევს. მაშინ ხედავს იგი არაჩვეულებრივად ლამაზ სურათს და დანახულიც ატკბობს ადამიანის სულს, აღვივებს მასში თავისი შემოქმედის სიყვარულს. ჩვენი გონება, სულის ეს თვალი, მართლა ხედავს თუ არა წინააღმდეგობას დროის ხატს — მართლმადიდებლურ საეკლესიო კალენდარსა და ხილულ ციურ სამყაროს შორის, ეს უკვე სხვა საკითხია (რომელსაც შემდეგ თავში შევეხებით). ამ თავში კი შევეცადეთ გვემხილებინა სურვილი, ცდუნება ასეთი წინააღმდეგობის დანახვისა.

ოთხლიანი რუსთაველის ქ. № 28

ტელეფონები: მთ. რედაქტორის — 99-51-61, მთ. რედაქტორის მოადგილის, პ/მგ. მდივნის 99-91-00.

გადაეცა ასაწყობად 23. 03. 93 წ., ხელმოწერილია დასაბეჭდად 31. 05. 93 წ., ანაწყობის ზომა $7^1/_4$X12, ქაღალდის ფორმატი 70X108. ფიზიკური ნაბეჭდი ფურცელი 11, ბირობითი ნაბეჭდი ფურცელი 15,5. სააღრ.-საგამომცემლო თაბახი. 16,8, ტირაჟი 3.300. შეკვეთა 439. ჟურნალ-გაზეთების გამომცემლობა „სამშობლოს" სტამბა, კოსტავას ქ. № 14.

ფასი 20 კუპ.

ბ 18/45

ინდექსი
76126

ეროვნული
ბიბლიოთეკა